Это выдающееся стихотворение было признано даже «сынами другого поколения», В.Г. Белинский назвал его «выдающимся», Д.И. Писарев дал на него отрицательный отзыв, но, заметим, не мог обойти молчанием. Радикальный Писарев не мог одобрить не столько религиозных мотивов, сколько соединения и принятия *темного* и *ясного*, «чаши *радости*» и «чаши *скорби*», которые равно благословляются с любовью и мольбой (то есть благодарностью) *тоскующей в изгнании* душой. С точки зрения молодых революционеров, Вяземский – не боец, его поиски гармонии мира они считают поражением и глупостью, в то время как автор, продолжая разговор со своей депрессией, нашел лекарство для стабилизации душевного (и духовного) состояния: «три вечные струны: молитва, песнь, любовь!». Они с женой поехали в Иерусалим в паломничество, продолжали жить, любить и молиться, Пётр Андреевич продолжал вести поэтический диалог с бытием и свои записи: «Талантов нет во мне излишка, не корчу важного лица; я просто Записная Книжка, где жизнь играет роль писца...».

Тенденциозная интерпретация его лирики и, в частности, этого стихотворения характерна не только для его современников, но и для наших современников, которые видят в позднем творчестве Вяземского запоздалую истовую религиозность, приписывают ему стихи типа «Научи меня молиться, добрый ангел, научи...», ищут лексико-статистическим способом ключевое слово и это оказывается «бог». Конечно, все видят в поэтических строках прежде всего то, что хотят видеть, но нельзя «ключевые слова» рассматривать вне контекста или по умолчанию иметь в виду одно-единственное значение лексемы. Например, в саркастическом стихотворении «Русский бог» (Вяземский 1982: 1,182) речь явно не идет о «верховой всемогущей сущности, управляющей миром» и даже не о «предмете поклонения»:

Нужно ль вам истолкованье,  
Что такое русский бог?  
Вот его вам начертанье,  
Сколько я заметить мог.

Бог голодных, бог холодных,  
Нищих вдоль и поперек,  
Бог имений недоходных,  
Вот он, вот он русский бог.

Бог метелей, бог ухабов,  
Бог мучительных дорог,  
Станций — тараканьих штабов,  
Вот он, вот он русский бог.

Бог грудей и жоп отвислых,  
Бог лаптей и пухлых ног,  
Горьких лиц и сливок кислых,  
Вот он, вот он русский бог... и т.д.

– только в этом стихотворении слово *бог* встречается 26 раз, напротив, стихотворение «Любить. Молиться. Петь», которое действительно выражает искреннюю веру, не содержит этой лексемы. И если обозначить ключевые слова поэзии Вяземского, то это семантический ряд *уныние-тоска-хандра-отчаянье* и все оттенки *мрака*, что с точки зрения христианина является смертным грехом.

У высокообразованного человека, воспитанного в традициях Просвещения, выросшего на романтической волне национального воодушевления, не может быть простых и однозначных отношений с Богом. После всех потерь в своей долгой жизни, полной разочарований, он не может быть восторженным и благодарным, чувствуя себя наказанным и обманутым. Бог награждается недобрыми эпитетами, к нему Вяземский обращается, как заключенный к тюремщику или палачу, с большим количеством вопрошаний, а не молений:

Все сверстники мои давно уж на покое,  
И младшие давно сошли уж на покой:  
Зачем же я один несу ярмо земное,  
*Забывтый каторжник на каторге земной?*  
Не я ли искупил ценой страданий многих  
Всё, чем пред промыслом я быть виновным мог?  
Иль только для меня своих законов строгих  
Не властен отменить *злопамятливый бог?* (1872)  
(Вяземский 1982: 362)

Хандря, страдая и мучаясь, поэт задает себе все те вопросы, которые принято обычно задавать духовнику, и во время своих мучительных бессонниц обдумывал ответы на них, составляя свой катехизис, давая собственные ответы, в которых нет ни смирения, ни покорности:

Свой катехизис сплошь прилежно изуча,  
Вы бога знаете по книгам и преданьям,  
А я узнал его по собственным страданиям  
И, где отца искал, там встретил *палача*.  
Всё доброе во мне, чем жизнь сносна была,  
Болезнью лютою всё промысл уничтожил,  
А *тщательно развил, усилил и умножил*  
*Он всё порочное и все зачатки зла.*  
*Жизнь едкой горечью проникнута до дна,*  
*Нет к ближнему любви, нет кротости в помине,*  
*И душу мрачную буревают ныне*  
*Одно отчаянье и ненависть одна.*

Вот чем я промыслом на старость награжден,  
Вот в чем явил свою премудрость он и благодать:  
*Он жизнь мою продлил, чтоб жизнь была мне в тягость,  
Чтоб проклял я тот день, в который я рожден.*  
(Вяземский 1982: 1,362)

Рациональный, думающий, гордый человек не ищет спасения и поправок, при этом он обращается за медицинской помощью, не позволяя себе разочаровываться во врачах после утраты детей. Он пьет хлорал, который мало помогает, «чтоб усладить себя покоем и сном, хоть взятым напрокат» он мучится от бессонницы ночью и от усталости днем, друзья опасаются за его рассудок. «В противоречивую психологическую вязь стихов Вяземского 1860--1870-х годов вплетается еще одно звено. Он не просто не верит в загробные утешения, но он их не хочет. Через многие стихи проходит необычный мотив воли к полному уничтожению, к небытию...» (Гинзбург 1986: 50).

В минуты просветления Вяземский ведет свой печальный дневник, документируя в цикле «Хандра с проблесками», называя его своим «последним исчадием», фиксируя болезненные состояния, размышляя о смерти, как об облегчении только в случае, если не будет загробной жизни и возможных в ней продолжений страданий:

Благодарю! С меня довольно!  
Так надоел мне первый том,  
Что мне зараней думать больно,  
Что вновь засяду на втором.

Он завидует цветку, который «с приближением зимы ... спокойно умирает», его разум по-прежнему не сдается: «Ум не скудеет размышленьем, Но воли нет, но дух упал. Разумным и пытливым взором Я на борьбу свою гляжу... Своих страданий раб послушный, Не спорю с ними...». Он признается себе в ужасных вещах: «Я ненавижу всех здоровых, Счастливых ненавижу я», «Хочу не знать, что я живу» – десять обращений к хандре (Вяземский 1982: 1,368).

Именно в этих стихотворениях депрессивного диалога самая гармоничная форма, они самые «доходчивые» и трогательные. Сам Вяземский осознавал, что в его творчестве первична мысль, а не красота выражения или рифмы, многие его стихотворения характеризуются тяжелым слогом, многословием, тяжеловесностью: «Державин рвется в стих, а втащится Херасков». Но стихи об унынии он часто не сразу записывал, долго обдумывая, он действительно «лелеял свою хандру». И поэтому его «тоскливая лирика», «унылый романтизм» прошли сквозь века и достучались до сердец современных читателей, тех, которые также

обладают страдающей душой, мятущимся разумом, желанием справиться с депрессией в этом мире, полном несправедливостей и утрат. Выдающимся примером «возвращения» мрачной романтики Вяземского является использование ее в фильме Эльдара Рязанова «О бедном гусаре замолвите слово» (1981): положенные на музыку Андреем Петровым, с огромным чувством были спеты «Хандра» (Сагальский), «Я пережил и многое, и многих» (Гафт), «Я пью за здоровье немногих» (Миронов). И эти песни за тридцать лет были много раз перепеты, пользователи интернета ставят их в качестве звукового сопровождения к своим роликам с грустными воспоминаниями жизни. Интерес к творчеству Вяземского возник благодаря именно этим удивительным чертам: посмотреть в лицо своей депрессии, осознать свое уныние:

*Лукавый рок его обчел:  
Родился рано он и поздно,  
Жизнь одиночную прошел  
Он с современной жизнью розно...  
...Бедняк не вовремя рожден,  
Не вовремя он жил и умер;  
И в лотерее жизни он  
Попал на проигрышный номер.*  
(Вяземский 1982: 1,366)

Признать поражение в борьбе с жизнью, принять свою сумрачную сторону личности – и с «альми черные розы вплести в свой застольный венок» – под силу только незаурядному человеку и безнадежному романтику.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

**Вяземский 1982:** Вяземский П.А. *Сочинения в двух томах*. М.: Худ. лит-ра, 1982.

**Вяземский 1986:** Вяземский П.А. *Стихотворения*. Л.: Сов. Писатель, 1986.

**Вяземский 1984:** Вяземский П.А. *Эстетика и литературная критика*. М.: Искусство, 1984.

**Гинзбург 1986:** Лидия Гинзбург. *П.А. Вяземский*: Вяземский П.А. *Стихотворения*. Л.: Сов. Писатель, 1986. 544 с. – с. 5-50

**Пушкин 1974:** Пушкин А.С. *Собрание сочинений в десяти томах*. М.: Худ. лит-ра, 1974.

## IA BURDULI

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

Georgian National University

### Imitation of the Romantic Codes in Postmodern Texts

Due to Patrick Süskind's works, it is obvious that he is not a contemporary serial writer and the used by him for displaying the life could be realised as answer to *Hoffman's line* of an artificial-semantic picture. The ambivalent approach by Süskind towards elite and massive cultures is reached through ironical intersexuality. Great moral conclusions, appealing on introvert character in order to show up in society, as well as a foreigner – *blue bird* leading to interest in society place Patrick Süskind under suspicious.

**Key words:** fantastic element, ironic discourse

## ია ბურდული

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

### რომანტიკული კოდების იმიტირება პოსტმოდერნისტულ ტექსტში

ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი წერდა: „რაც ადამიანებს პირნავარდნილი ფანტაზია ჰგონიათ, ნამდვილად ზოგჯერ ნაღდი სინამდვილის ნატეხია.“ (კაკაბაძე 1988: 61).

ნეორომანტიკული ტენდენციები თანამედროვე პოსტმოდერნისტული ლიტერატურის მთავარ ასპექტს წარმოადგენს.

ნეორომანტიკულის გააზრებისათვის აუცილებელია რომანტიზმის, როგორც მხატვრული კულტურის პარადიგმული განხილვა, რომანტიზმის იმ ნიშნების წამოწევა, რაც დამახასიათებელია ნეორომანტიზმისათვის და რაც „ნეორომანტიზმის“ როგორც ტერმინის, გახსნას გულისხმობს.

რომანტიზმი დაუპირისპირდა მანამდე გაბატონებულ სისტემურ აზროვნებას და გამოხატა ადამიანის „მე“-სა და სამყაროს შორის უნივერსალურად აგებული სრულიად ახალი ურთიერთმიმართება. მისი

სპეციფიკა განპირობებული იყო ეპოქის გარდამავალი ხასიათით. ნაწილობრივ ამით აიხსნება რომანტიკოსთა „ესთეტიზმი“, მათი ლტოლვა ხელოვნების ენისაკენ, რადგან ამ ენას, მათი აზრით, ყველაზე უფრო ადეკვატურად და ნაყოფიერად შეეძლო ახალი რეალობის შექმნა.

„ეს ის მომენტი, რომელიც აახლოებს რომანტიზმს ყველა გარდამავალ ეპოქასთან. შესაბამისად, ნეორომანტიზმიც XIX და XX საუკუნის მიჯნაზე აღმოცენდა. პოსტმოდერნიზმი, როგორც თანამედროვე ხედვა, თავის სიღრმისეული არსითა და გამომსახველობით, პოლიტიკურ-სოციალური პროცესებით განსაკუთრებულად ითვალისწინებს XX საუკუნის ბოლო პერიოდს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მსგავსი დამოკიდებულება განმანათლებლობასა და რომანტიზმს შორის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის მიწურულის პოლიტიკურ პროცესებსა და საფრანგეთის რევოლუციაზე რეაქციას წარმოადგენდა. ეს იყო დანაკარგის შეგრძნება, მაგრამ ზოგიერთისთვის დანაკარგი იყო თავად რევოლუცია. სხვებისთვის კი ტრაგედია რევოლუციის სახეცვლილება იყო – ზნეობრივი დაცემა, მისთვის დაღვრილი სისხლის მდინარეები. დანაკარგის წინააღმდეგობრივი, განსხვავებული შეგრძნების მიუხედავად, საგულისხმოა რომანტიკოსთა დამოკიდებულება დანაკარგისადმი და, აქედან გამომდინარე, რომანტიზმის, როგორც მთლიანობის, დუალისტური ხასიათი; “აზროვნების ბუნება”. შელინგის განმარტებით, ეს ბუნებისა და თავისუფლების სინთეზია, ამიტომ ხელოვნების ნაწარმოების გამოკვეთილად დამახასიათებელ თვისებად რომანტიკულის შემცველი არაცნობიერის უსასრულობა უნდა მივიჩნიოთ. „რომანტიკული სიტუაცია“ დროის უსაზღვროებას გულისხმობს – „ყველაფერი რაც იყო, უკვე გავიდა, ყველაფერი, რაც იქნება, არ დამდგარა“ (მიუსე 1958: 101, 120).

ტექნიკური ენა, ტექნიკური პროგრესი, როგორც საფრთხე, სწორედ რომანტიკოსებმა იწინასწარმეტყველეს. ტექნიკური პროგრესით აღფრთოვანებული ადრეული მოდერნიზმისათვის რომანტიზმთან შედარებით, რენესანსი და საერთოდ გვიანდელი შუა საუკუნეების საკარნავალო გროტესკი უფრო მიმზიდველი იყო, რადგან, ძირითადად, ეს უკანასკნელი არსებითი, ჩვეულებრივი რელიგიურ-ესთეტიკური ნორმებიდან მკაფიო გადახრას წარმოადგენდა. მასში განსაკუთრებულად იყო ხაზგასმული მატერიალურ-სხეულებრივი მომენტი, აქედან გამომდინარე, რომანტიზმისაგან განსხვავებით, მოდერნიზმი მთელი თავისი კლოუნადით სწორხაზოვანად მოჩანს.

რომანტიკული გროტესკს კი უფრო კამერული ხასიათი ჰქონდა. ის უფრო განცალკავებულად განცდილ კარნავალისმაგვარ სიმარტოვის მძაფრ შეგრძნებას წარმოადგენდა, სამყაროს კოსმოგენური გამ-

თლიანების ფონზე. ეს კი პოსტმოდერნისტულ მხატვრულ გამომსახველობაში ერთ-ერთი მთავარი ირონიული კოდი და იტერტექსტუალური ელემენტია.

გერმანელი თანამედროვე მწერლის პარტრიკ ზიუსკინდის პოსტმოდერნისტულ ტექსტში სამყაროს კოსმოგენური მთლიანობის შეგრძნების მიღწევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს სწორედ რომანტიკულის ირონიული იმიტირება თამაშობს.

მწერლის მთავარი “გმირი” ჟან ბატისიტ გრენუი რომანში “სუნამო” საზოგადოების აუტსაიდერია, ინდივიდუალური, გამორჩეული განდევგილია, ანუ გენიოსი ცხოვრობს ფანტაზიაში, წარმოსახულ სამყაროში, მაგრამ მისი აუტსაიდერობა აუტიზმში გადადის. უსუნობის გამო, გრენუის ადამიანები ან უარყოფენ, ან მისდამი ზიზღს განიცდიან. მის სახეში ირონიზდება რომანტიკოსი პოეტი, რომელსაც ვერ ამჩნევს ადამიანთა ჩვეულებრივი მასა, ხოლო ყოფით, პრაქტიკულ ადამიანებში იგი გაუცნობიერებელ ზიზღს და ირონიას იწვევს, უბრალო, კეთილ ადამიანებში კი შიშს.

მთაში შვიდწლიანი განდევგელობისას გრენუი შეიცნობს საკუთარ ეგზისტენციურობას – ეს არის აბსურდამდე დაყვანილი, მხატვრის აპოლიტიკური არსებობის ალგორითა და მისი ამორალურობა-ზემორალურობის ირონიული იმიტირება, რასაც ინტერტექსტუალურად ნოვალისის ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგერული რომანტიკოსი ყარიბის მსვლელობა ეხმიანება. გრენუი უარყოფის, დაცინვის მიუხედავად გრძნობდა, რომ მაღალი მიზნისთვის იყო შექმნილი.

ზიუსკინდი, ამ დისკურსის არაჩვეულებრივად პაროდირებული გამომსახველობით, წინ წამოწევს სწორედ იმ არსებით გარდასახვას – სიცილის სანყისის თავისებურ აღქმას, რასაც ახდენდა რომანტიზმი.

რომანტიკულ გროტესკში სიცილი რედუცირდება და იუმორის, ირონიის, სარკაზმის ფორმას იღებს. სწორედ ასეთი კამერულ-რომანტიკულ-კარნავალური განცდა აძლევს წამყვან ინტერტექსტუალურ ტონს ზოგადად პოსტმოდერნისტულ მხატვრულ გამომსახველობას და შესაბამისად ზიუსკინდის ირონიას.

საბოლოოდ გრენუი თავის შედევრს ქმნის, როგორც ნამდვილი პოსტმოდერნისტი. იგი ცოცხალ ქმნილებათაგან და ბუნებიდან ფარულად აღებული მასალით, არა მარტო ინტუიციაზე, არამედ უკვე პროფესიონალურ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ქმნის თავის შედევრებს. მათი შემადგენლობა ინტერტექსტუალურად დამალულია და სხვადასხვა სურნელი ერთმანეთშია გადახლართული. როგორც ლიტერატურული კოდები, ღვთაებრივ სურნელთან გაიგივებაც იმიტირებულია, რაც ზიუსკინდის თვითირონიად იკვეთება.



შეიძლება ითქვას, რომ ამ ექსკურსით მწერალი ყოფის განზოგადების რომანტიკულ გროტესკს მიმართავს.

გრენუი გადის განვითარების რამდენიმე სტადიას – რომანტიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე. მთაში გახიზვნამდე იგი სტილიზებულია მხატვარ-რომანტიკოსად. თავდაპირველად ის აგროვებს და ჩაისუნთქავს, იმახსოვრებს სხვადასხვა სურნელს, თავის წარმოსახვაში მუდმივად ქმნის სურნელთა ახალ-ახალ კომბინაციას. მაგრამ ეს ქმნილებები არანაირ ესთეტიკურ პრინციპს არ ეყრდნობა და მხოლოდ ინტუიტიურია. გრენუი აგროვებს და შლის თავის ფანტაზიის ქმნილებებს „როგორც კუბიკებით მოთამაშე ბავშვი“ – გამომგონებლურად და დესტრუქციულად, განურჩეველი შემოქმედებითი პრინციპით (ზიუსკინდი 2004:46).

ხელოვანი-გრენუი „ვითარდება“ თავის პირველ მსხვერპლთან შეხვედრით, რომელშიც უმაღლეს პრინციპს აღმოაჩენს. ამით რომანტიკულის ცისფერი ყვავილის სიმბოლო ირონიულად იმიტირდება – რის მიხედვითაც უნდა აავგოს შემოქმედმა დანარჩენი არომატები. მსხვერპლის მოკვლით გრენუი საკუთარ თავს გენიოსად შეიცნობს, გაიზარებს თავის უმაღლეს მონოდებას – „მას უნდოდა ამით გამოესახა საკუთარი შინაგანი მე ... რომელიც ყველაზე ხელშესახებად მიაჩნდა, იმასთან შედარებით, რაც კი გარე სამყაროს შეეთავაზებინა მისთვის“ (ზიუსკინდი 2004: 131).

ზიუსკინდი კვლავ იუმორისტული თამაშით, თანდათანობით გადადის ცისფერი ყვავილის ირონიული ინტერტექსტუალობიდან დეკადანსის ბოროტი ყვავილის იმიტირებაზე. როგორც ვერნერ ფრიცენი აღნიშნავს, მთაში გრენუი მიდის როგორც რომანტიკოსი, მაგრამ იქიდან ბრუნდება, როგორც დეკადენტი: „თავის „ჯადოსნურ მთაზე“ ორგინალური შემოქმედი დაბერდა, მხატვარ-დეკადენტად გადაიქცა“ (ფრიცენი 1996: 104, 30 (თარგ. ჩემ.)).

აღორძინება არ შედგა სიკვდილის გავლით, რადგან საკუთარი სულის სიმყრალის წამიერი შეგრძნების გარდა, არ იყო რომანტიკული „მე“, „ზე-მე“ ანუ „über-ich“, რომელიც გარდაიქმნებოდა. საზოგადოებაში დაბრუნებულმა გრენუიმ შარლატან მარკიზთან ყოფნისას შეისწავლა ილუზიის – ადამიანის სუნის შექმნა. გრასში კი პარფიუმერული მეცნიერების ტექნოლოგია – სუნის გამოცალკევების ტექნიკა აითვისა. თავის პირველივე შედეგით გრენუიმ მოინდომა ადამიანების იძულება, რომ მათ შეჰყვარებოდათ იგი, როგორც ღმერთკაცი, რის შედეგადაც დეკადენტის გენია ფიურერის სახედ დეგრადირდა; რადგან მისი ჭეშმარიტი „მე“ – გამორჩეული სულის სიმყრალე, მკვლელობაზე ორიენტირდა, ხოლო ერთიანობისაკენ სწრაფვა ტოტალიტარიზმად

შემობრუნდა. ფრიცენი გრენუის სახეს გებელსის სიტყვებს უკავშირებს: – „გენიოსი ქმნის ახალ სამყაროს“. ჰიტლერის სახალხო გამოსვლების დოკუმენტები ადასტურებენ მასობრივ ექსტაზს, რომელშიც საზოგადოება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვარდებოდა და ფიურერის უსაზღვრო სიყვარულს განიცდიდა (ზიუსკინდი 2004:75).

ბაკქხანალიის სცენის დროს გრენუი, რომელსაც საკუთარი ინდივიდუალობა არ გააჩნდა, „სხვებსაც იძულებულს ხდიდა, რომ დაეკარგათ პიროვნული მეობა, ინდივიდუალური აზროვნების უნარი. იგი ექსტაზით ადამიანებს ველურ ცხოველურ მასად გარდაქმნიდა.

გრენუი-ფიურერის ფორმირებისას ზიუსკინდი ბოლომდე იყენებს რომანტიკული გროტესკის ირონიასა და სარკაზმს. მწერლის პოსტმოდერნისტული დისკურსი თვითონვე ქმნის ასევე თანამედროვე კვლევის საშუალებას, რომ პოსტმოდერნისტულად განზოგადებული გრენუი-ფიურერის თანამედროვე ხატი გაიხსნას წინამორბედ, უკვე მანამდე არსებულ, რომანტიკულ დისკურსში – კერძოდ ჰოფმანის ცნობილ ნაწარმოებში „პატარა ცახესი ცინობერად ნოდებული.“ ზიუსკინდის რომანის განმანათლებლური ფონი ჰოფმანთანაც რომანტიკულ-კარნავალურ გროტესკად აღიქმება, რისი ნამყვანი ფიგურაც გრენუივით მიგდებული პატარა ცახესია, რომელიც სწორედ განმანათლებლურ გარემოში ახერხებს ფერია როზაბელვედერის – „მშვენიერი ვარდის ქალწულის“ სიბრალულის წყალობით შეიძინოს ილუზიის შექმნის უნარი – სხვისი სილამაზე, ჭკუა და სულის მშვენიერება გააყაღოს და საკუთარ ღირსებად მოაჩვენოს საზოგადოებას, რისი საშუალებითაც ის თავადის კარზე მინისტრი ხდება. მას გაქნილობა და ძალაუფლების ნება არ აკლია, რაც ღორმუცელა მახინჯს, გრენუის მსგავსად შველის მიზნის მიღწევაში.

საგულისხმოა, რომ როგორც გრენუის, ასევე ცახესის „გენია“ აღზევებას განმანათლებლურ საზოგადოებაში აღწევს. ლიბერალი მმართველის – დემეტრიუსის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შთამომავლებმა პაფნუტიუსმა და ბარანუფმა გაატარეს დეკრეტი „განმანათლებლობა“. ჰოფმანი დასცინის ფსევდო-განმანათლებლურ მისწრაფებას და ბუფერულ აპელირებას განათლებაზე. გლობალურ სახელმწიფოებრივ გარდაქმნაში უკვე ჩართულია ფერიაც, სასახლეში ქალბატონად ქცეული ბელვედერი (ჰოფმანი 1982: 157-160).

მმართველობამ, მთავრობამ ყველას შესთავაზა პოეზიის „საიდუმლო შხამი“ — ელექსირი, რომელიც გრენუის შედეგად – მომაჯადოებელ სუნამოდ აღიქმება, ფიურერის ექსტაზის იარაღად. ცახესი მართველის თანამდებობას, როგორც გრენუი საკუთარ შემოქმედებით უნარს, ასევე სიყვარულის მოსაპოვებლად, მის დასაპყრობად იყენებს. ერთი

შეხედვით, გრენუის მსგავსი თანდაყოლილი ტალანტი ცახესს არ გააჩნია, მაგრამ საზოგადოებაში ნარმატივის მოპოვებას ორივე ქარიზმის საშუალებით აღწევს.

თავდაპირველად, როგორც ცახესი, ასევე გრენუი პიროვნულ ქარიზმას იძენენ – ცახესი თმის სამი უჩვეულო ღერით, ხოლო გრენუი ადამიანის სუნის შექმნითა და მორგებით, რაც გრენუიმ ცახესისგან განსხვავებით, დიდი შრომისა და გულმოდგინე ძიების შედეგად შეიძინა. მაგრამ ილუზიის შექმნის, გაყალბების უნარი, ასე ვთქვათ, “უცნაური ქარიზმა” როგორც ცინობერში, ასევე გრენუიში თავიდანვეა ჩადებული – როგორც არაადამიანური თვისება – საგნებისა და მოვლენების მხოლოდ ყნოსვით შეგრძნება და აღქმა.

ცინობერი, ერთი შეხედვით, გრენუი-ტკიპასთან შედარებით, სრულიად უსუსურია, მაგრამ გრენუივით უსაზღვროა მისი ძალაუფლების ნება – შენიღბული სადომაზოხისტური ელემენტი, რაც აყალიბებს ფიურერის ქარიზმატულ სახეს. ცახესის სიყალბესა და სიმახინჯეს მხოლოდ ჭეშმარიტად შეყვარებული და ხელოვანი ადამიანები ამჩნევენ, ხოლო გრენუის უსუნობას, მის არაჯანსაღ ბუნებას უბრალო, მაგრამ სათნოებასთან ახლოს მდგომი ადამიანები – ჩვილი ბავშვის მოსიყვარულე ძიძა და რიგითი მღვდელი. ცახესი, გრენუივით ცდილობს სიყვარულის მიტაცებას უსიყვარულოდ, რაც მას ხალხის თვალში კიდევ უფრო გააბრწყინებს და აამაღლებს და რითიც ის ამავედროულად იმ ადამიანთა განადგურებასაც შეძლებს, ვინც მის სიყალბეს ამჩნევს.

ამ პერსონაჟთა სახეში კი, ზიუსკინდის გადასახედიდანაც შეიძლება ნაწარმოების ავტორი ამოვიკითხოთ, რომელიც პაროდის ქმნის საზოგადოების მომწუსხველ შემოქმედ ფიურერზე, რომლის დისკურსში და მის გახსნაში საკუთარ თავსაც მოიაზრებს – გრენუის პარიზში, საკუთარ გარემოში დაბრუნება, მკვლელთა და მანანნალათა შორის განბნევა, ცახესის საკუთარ სიბინძურეში ჩახრჩობის გროტესკად იკითხება.

საკარნავალო გროტესკი, სადღესასწაულო უჭკუობას, სიგიჟეს გულისხმობს, რომელიც შუა საუკუნეებში ოფიციალური „სინამდვილის“ წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო მისი რომანტიკული განცდა, ინდივიდუალური განმარტოება პირქუშ და ტრაგიკულ შეფერილობას იძენდა (ბახტინი 1990: 26,27).

კარნავალური შიში ურჩხულების მიმართ, რომანტიკულ გროტესკში სამყაროს წინაშე შიშად ყალიბდება, რისი ჩანერგვაც მკითხველში მიზანმიმართულად ხდებოდა მისი მძაფრად შეგრძნების მიზნით, რაც „სუნამოში“ სიმყარალისა და გრენუისგან დაუცველობის სინდრომადაა კოდირებული.

გრენუის კარნავალური ნიღბების ცვლა კი ხსნის გროტესკის არსს. ნიღაბი რომანტიკულ გროტესკში პირქუშ ჩრდილად გარდაიქმნება და ხშირად, საშინელ სიცარიელეს წარმოადგენს – „არაფერს“ და ამავდროულად ცხოვრების მრავალნახნაგოვნებას გამოხატავს, რაც ასევე ინტერპრეტირებულია ლამის გროტესკში – ჰოფმანის „ლამის ამბებში“.

ეს განცდა ზიუსკინდთან გრენუის ლამეულ მკვლევლობებშია კოდირებული. რომანტიკული გროტესკის – ილუზიის ინტერტექსტუალობის გარდა, ზიუსკინდი იყენებს ციტატების ჰომოგენიზაციის ტექნიკას – სხვადასხვა ტექსტის ელემენტებს – სუნამოების კომპოზიციის ტექნიკის მიხედვით.

ამრიგად, „სუნამო“ თანამედროვე ლიტერატურისთვის დამახასიათებელ „ჰოფმანის ხაზს“ მიჰყვება. მაგრამ „სუნამო“ არა ციტატების კონგლომერატია, არამედ დიალოგური თამაშია ლიტერატურულ ტრადიციებთან და მკითხველთან. ასეთი გამომსახველობა ამართლებს რაიანის მოსაზრებას, რომ პოსტმოდერნისტული ტექსტი გამომდინარეობს უნიკალური სიტუაციიდან, რომელშიც ეს ტექსტი ყალიბდება – პაროდიასა და დაცინვას შორის (რაიანი 1991: 92).

„სუნამოც“ როგორც პოსტმოდერნისტული რომანი რომანტიკულის ინტერტექსტუალობით, ასევე პაროდიასა და დაცინვას შორის არსებობს, ისევე როგორც გრენუია ადამიანთა სამყაროსა და ბუნებას შორის. იგი განეკუთვნება ერთსაც და მეორესაც.

რომანტიკული გროტესკის პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაციით ზიუსკინდი აყალიბებს ციკლიზაციის, სამყაროს განზოგადებული პარადიგმის ქრონოტოპულ სახეს.

პატრიკ ზიუსკინდის მოღვაწეობიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იგი არ არის თანამედროვე „სერიული“ მწერალი და ყოფის წარმოჩენისას მის მიერ გამოყენებული ფანტასტიკური ელემენტის მატარებელი ლიტერატურული ტენდენციები „ჰოფმანის ხაზის“ ანტიუტოპიურ მხატვრულ-სემანტიკურ გამომსახველობას ეხმიანება.

პატრიკ ზიუსკინდთან ელიტარულ და მასობრივ კულტურებთან ამბივალენტური დამოკიდებულება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ირონიული ინტერტექსტუალობით არის მიღწეული.

„დიდი მორალური დასკვნები“, ინტრავერტულობაზე აპელირება, საზოგადოებაში საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით, უცხო – „ლურჯი ფრინველი“, რაც საზოგადოების გაცხოველებულ ინტერესს ინვესტს, ეჭვს ბადებს პატრიკ ზიუსკინდში. ძალოვანთა თუ მასმედიის მიერ მთელი ხალხის სახელით განცხადებული პოპულისტური ფრაზებით, „უჩვეულოსა და სიახლის“ გაიდეალების წარმოჩენით, მწერალი იდეალებით იმედგაცრუებული ყოველდღიურობის ირონიულ დისკურსს ქმნის აგრეთვე თავის მცირე ტექსტებშიც.

## დამონეშპანი:

**ბახტინი 1990:** Бахтин М. Творчество Франсуа Рабле и народная культура Средневековья и ренессанса. 2-е изд. Москва: Х удож. лит., 1990.

**დე მუსე 1958:** Де Мюссе А. “Исповедь сына века . Москва: 1958.

**ზისკინდი 2004:** Süskind P. Das Parfum. Die Geschichte eines Morders. Zürich: Diogenes V., 2004.

**კაკაბაძე 1988:** კაკაბაძე ნ. თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე). თბილისი: უნივერსიტეტი, 1988.

**რაიანი 1991:** Ryan J., Pastiche und Postmoderne. Patrick Süskinds Roman das Parfum/ Spätmoderne und Postmoderne. Frankfurt a. M.: Herausgegeben von P.M. Lützel, Fischer, 1991.

**ფრიცენი 1996:** Frizen W. Patrick Süskind. Das Parfum: Interpretation München: Oldenbourg, 1996.

**ჰოფმანი 1982 (1800,1802):** Hoffman E.T.A., Klein Zaches genannt Zinnober. (1800, 1802). Berlin – Weimar: Werke in drei Bänden, Bibliothek Deutscher Klassiker Aufbau – Verlag, 1982.

## NUGESHA GAGNIDZE

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **The Perception of Nikoloz Baratashvili’s “Merani” in Giwi Margvelaschvili’s Novel “Muzal”**

Nikoloz Baratashvili’s “Merani“ plays a very important role in Giwi Margvelaschvili’s novel “Muzal”. By rewriting the primary text the writer offers a new reality, the reality where there is nothing perfect.

Merani’s romantic escape from the universe is transformed into Gilles Deleuze’s device, according to which the writer draws the lines in the novel to show that the literary characters run away from their own texts.

The writer doesn’t answer the question if Muzal’s running has the end. He just draws lines and hopes if all lines cross the points which he puts, his novel and the character will be able to shift into the better readable conditions.

**Key words:** Merani, Muzal, Themis, Thomino, Postmodernism.

## ნუგეზა გაბნიკა

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ რეცეფცია გივი მარგველაშვილის „მუცალი“

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ და ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ არსებითი ნაწარმოებებია ქართველი გერმანულენოვანი მწერალისგვივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული რომანისათვის „მუცალი.“ მათზე ახალი ტექსტის „გადანერითა“ და მხატვრულ სახეთა დეფორმაციის გზით მწერალმა შემოგვთავაზა ახალი ესთეტიკური რეალობა – რეალობა, რომელშიც იდეალური არაფერია. პალიმფსესტის პრინციპით შექმნილ ამ ნაწარმოებში ძველი ტექსტების მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის ჩანაფიქრის გაგებისათვის.

გივი მარგველაშვილმა „მუცალი“ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებში დაწერა, ამდენად, იგი წინ უსწრებს გერმანულენოვან ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმის აღმავლობის პერიოდს (მე-20 საუკუნის 80-იანი წლები). ისევე როგორც ზოგადად პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, ზღაპრულ-მითოლოგიური და ფუტურისტულად შემოსილი ეს პარაბოლური რომანიც წარმოდგენილია როგორც ჰეტეროკლიტული ელემენტების კოლაჟი ყოველგვარი ჰარმონიის გარეშე. მასში კლასიკური ტექსტის ხელახალი წაკითხვა დეკონსტრუქციის გზით ხდება. თხრობის პაროდული მანერითა და ორმაგი კოდირების მეშვეობით ავტორი მოგვითხრობს საკუთარ ამბავს. იშლება ზღვარი ტრაგიკულსა და კომიკურს შორის. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება კრიზისულ ეპოქაში კულტურული ფასეულობათა დევალვაცია და როგორ იქცევა ისინი ყიდვა-გაყიდვის საგნად. ციტირება თუ სტილური დეტალების გამოყენება ნაწარმოებში ზოგჯერ სერიოზულია, ზოგჯერ – ირონიული. გამომდინარე აღიშნულიდან, ტექსტის არ გააჩნია მყარი სტრუქტურა. გივი მარგველაშვილი უარს ამბობს ლინეარული და ქრონოლოგიური თხრობის მანერაზე და იყენებს თხრობის ფრაგმენტულ ტექნიკას, თავად საკუთარი ტექსტი მიღმა დამალული. ისევე როგორც ეპოქისათვის, მისთვისაც მთავარი თემაა საკუთარი იდენტობის ძიება, წარსულისა და წინაპართა მიერ განვლილი გზის შეფასება.

\* გივი მარგველაშვილის *მუცალი* 1991 წელს გერმანიის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა გამომცემლობამ „ინსელ ფერლაგმა“ („Insel Verlag“) გამოსცა გერმანულ ენაზე. იგი გერმანულადან თარგმნა მაია ბადრიძემ და დაიბეჭდა გამომცემლობაში „დიოგენე“ 2001 წელს.

ქართველი ემიგრანტების ტიტე მარგველაშვილისა და მარიამ ხეჩინაშვილის შვილი გივი მარგველაშვილი 1927 წლის 14 დეკემბერს დაიბადა ბერლინში. მამამისმა უმაღლესი განათლება გერმანიაში მიიღო და ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა. ამავდროულად, იგი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ტიტე მარგველაშვილი მეუღლესთან და 7 წლის ქალიშვილთან ერთად მიემგზავრება ბერლინში, სადაც როგორც ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ლექციებს კითხულობს ფილოსოფიასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში, პარალელურად ეწევა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. გივი ოთხი წლის იყო, როცა მისმა დედამ თავი მოიკლა. ბავშვის აღზრდა გერმანელ ძიძებს მამამ მიანდო. მოსწავლეობის პერიოდში იგი დადიოდა ბერლინში ფიხტეს, მოლტკესა და ბისმარკის გიმნაზიებში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თანაუგრძნობდა ნაცინალ-სოციალისტური დიქტატურისა და ჰიტლერის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ახალგაზრდებს. ომის შემდეგ გივი მარგველაშვილის ოჯახი ბერლინის ბრიტანულ სექტორში აღმოჩნდა. 1946 წლის 6 თებერვალს მამა-შვილი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა (КГБ) დაატყვევა და მოტყუებით გადაიყვანა ბერლინის საოკუპაციო ზონაში. მამა ჯერ მოსკოვში წაიყვანეს, ხოლო 1946 წლის 15 ივლისს თბილისში ჩამოაფრინეს და ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ დახვრიტეს. გივი მარგველაშვილი 1946 წლის თებერვლიდან 1947 წლის შემოდგომამდე დაკავებული იყო საბჭოთა კომენდატურასა და ზაქსენჰაუზენის ბანაკში. 1947 წლის შემოდგომაზე ის გადაიყვანეს საქართველოში და ნათესავებთან დააბინავეს. გივი მარგველაშვილის და ლიზი რამდენიმე ქართველ ემიგრანტთან ერთად გერმანიიდან ამერიკაში გაიქცა, იქედან კი ბუენოს-აირესში წავიდა, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. მხოლოდ 48 წლიანი განშორების შემდეგ, 1994 წელს, მოახერხა მან ბუენოს-აირესიდან ბერლინში ჩასვლა და ძმის მონახულება.

გივი მარგველაშვილს აეკრძალა დასავლეთ ბერლინში დაბრუნება. ამდენად, იგი იძულებული გახდა ეცხოვრა, ესწავლა და ემუშავა თბილისში. წერა მან 50-იანი წლებიდან დაიწყო. იცოდა, რომ სოციალისტურ საქართველოში მის გერმანულენოვან ნაშრომებს გამოქვეყნების შანსი არ ჰქონდა. ტოტალიტარული სისტემებისა და ადამიანთა სისასტიკეზე ღრმად დაფიქრებულმა, საუკეთესო გამოსავალი იპოვა – რეალობიდან წიგნის სამყაროში გადასახლდა და თავი წიგნის ყდებს შეაფარა, იქ განაგრძო ცხოვრება და შექმნა მხატვრული რეალობა, რო-

მელიც არც ემიგრანტული ლიტერატურის ჩარჩოში თავსდება და არც კლასიკური გერმანული ლიტერატურის ტრადიციებს აგრძელებს ზედმინვენით. უსამშობლო მწერლის შემოქმედება არა ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობითაა ნასაზრდოები. მარგველაშვილის იდენტობა ქართულ-გერმანულია, რაც კარგად ჩანს მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი, რომანში „მუცალი“. მასში მწერალი საკუთარ თავს განიხილავს როგორც ტექსტის სამყაროს ნაწილს. მისი სამშობლო ნიგნების სამყაროა. რომანის მუცალი პირველ თავსაც „ნიგნის პერსონაჟის მძიმე ხვედრი („Ein hartes Buchpersonschicksal“) ჰქვია. ხოლო თავად ნიგნის თემა სისხლიანია, რადგან მის მთავარ პერსონაჟს ნაწარმოების დასაწყისშივე კლავენ და მის სიკვდილს მუდამ მხოლოდ ის პერსონაჟი დასტირის, რომელიც კლავს.

ქართული თემისა და მხატვრული სახეების შემოტანით „მუცალში“ გვიც მარგველაშვილმა განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა გერმანულენოვან პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში. რომანში მწერალი პოსტმოდერნისტული მანერით მოგვითხრობს, თუ როგორ დაიპყრეს ხევსურეთი თხის მწყემსებმა. აქედან გამომდინარე ხევსურეთში შემოვიდა თხის თემა, თუმცა აქ ძირითადი თემაა ცხვარი (ქრისტიანობის სიმბოლო). ამ საზარელი ამბის გამო შეკრებილი მუცალი, ალუდა ქეთელაური და სხვები ფიქრობენ, როგორ დააღწიონ თავი ამ საშინელ თემას.

ვაჟა-ფშაველას პოემაში „ალუდა ქეთელაური“ გავლებულ ხაზს მარგველაშვილი ადიდებს და აძლიერებს ქისტი მუცალის ხაზით (მარგველაშვილი 1991: 5). მკვდრეთით აღმსდგარი მუცალი შეეკვრება ალუდა ქეთელაურს, „რათა ერთად მოიფიქრონ, როგორ გაიქცნენ თემიდან, ვერაგი თხის მწყემსების მიერ თავხედურად დაპყრობილი ხევსურული საზოგადოებიდან და მიაღწიონ დედამიწის პოლიტიკურ დასავლეთ ნაწილში დასახლებულ და, ამდენად, პრინციპულად თავისუფალ ქისტებთან“ (მარგველაშვილი 1991: 6).

„მუცალი“ ერთდროულად წარმოგვიდგენს ავტორის პირად თავდასავალსა და მწერლის სამშობლოს ისტორიას 1921 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვიდან 80-იან წლებამდე. ნაწარმოების პარალელური სივრცეები – ფიქტიური „ნიგნის სამყარო“ და „რეალური სამყარო“ – გვიჩვენებენ საკუთარი თემიდან გაქცეული გმირისა და მისი სამშობლოს ბედს. აქედან გამომდინარე, „მუცალში“ თამამად შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი პლასტის გამოყოფა: ავტობიოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური. ესპლასტები ერთმანეთშია შერწყმული და იმდენად კარგადაა შემოსილი მხტვრული ქსოვილით, ზოგჯერ მკითხველს უძნელდება რომანის სიღრმე-



ში ჩამალული აზრის გაგება, რაშიც მათ „მუცალის“ ქართულენოვანი ვერსიის წინასიტყვაობა ეხმარება. იგი პასუხს სცემს მკითხველსა და მკვლევარებს იმ შეკითხვებზე, რომლებიც მათ აუცილებლად დაებადებათ ნაწარმოების კითხვისას. მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ მისი რომანის მთავარი აზრი მდგომარეობს ჟილ დელიოზის ძირითად პრინციპში, რომლის თანახმად, ავტორი თავის ნაშრომში წერტილებს არ სვამს, არამედ ხაზებს ავლებს, რაც კი იმას გულისხმობს, რომ ლიტერატურული გმირები საკუთარ ტექსტებში კი არ „იმარხებიან“, არამედ ისინი ტექსტებიდანაც კი გარბიან! ხოლო გაქცევას შიშსა და თავის დაძვრენასთან არაფერი ესაქმება. გაქცევა ამ შემთხვევაში ონტოლოგიური ცნებაა. მწერლის აზრით, „ადამიანი, შესაძლოა, მეტრძოლი იყოს გაქცევის დროსაც“ (მარგველაშვილი 1991: 5). ამის ნათელი მაგალითია ქართველი რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც თავისი უსაზღვრო რბოლა, ავბედითი წუთისოფელისაგან თავის დაღწევის თავდაუზოგავი მცდელობა, არაჩვეულებრივად გამოხატა ლექსში ლ „მერანი“ (1842). პოეტის ლირიკულ მეს უგზო-უკვლოდ მიაფრენს ერთგული მერანი, რომელმაც მას უსწრაფესად უნდა გარდაატაროს კლდენი და ღრენი, ლუნდა „შეუმოკლოს ლსავალი დღენი“. ბარათაშვილი ისწრაფვის „თვალბედით შავ ყორანს“ – დაუნდობელ წუთისოფელს – არ დამორჩილდეს. თუმცა ამ მძიმე გზაზე ტანჯავს ფიქრი მამულზე, მშობლებზე, მეგობრებსა და სატრფოზე. „სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო“ – ამის გაცნობიერება და აღიარება იოლი როდია მისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როცა მხოლოდ ვარსკვლავნი, თანამავალნი, დარჩენია გულის მესაიდუმლედ. მისი „შავად მღელვარი ფიქრები“ კი მხოლოდ მერანს შეუძლია ნიავს გაატანოს. არა აქვს პოეტს იმედი, რომ თავის მამულში, „წინაპართ საფლავებს შორის“ დაიმარხება, ვერც სატრფო დაიტირებს და არც „mwuxris cremli“ daecema. magram imedovnebs, rom misi „ganwirulis sulis kveTeba“ cudad ar Caivlis da meranis mier Telili gza SemdgomSi moZmes gzis siZneles gauadvilebs. baraTaSvilic ar svams wertils. meranic sakuTar teqstSi rodi imarxeba. igi ganagrZobs arsebobas da დიდ იმპულსს აძლევს ყოველ მოკვდავს – ქმედებას ყოველთვის აქვს აზრი. თუმცა მარგველაშვილი ბარათაშვილისეული მერანის უსასრულო რბოლას სხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებს „მუცალში“.

გივი მარგველაშვილი რომანის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მისთვის თემა და თემი ერთი და იგივეა. ამ შემთხვევაში მწერალი პოსტმოდერნისტიკით სიტყვით როდი კეკლუცობს. მისი აზრით, ქათველმა ხალხმა 1921 წელს თავისი მთავარი თემა დაკარგა, თემმა კი სახე იცვ-

ალა. ახალი თემის წესებით, ისევე როგორც ზოგადად თემის წესებით, ცხოვრება მწერლისთვის შეუძლებელია.

მარგველაშვილის რომანის მთხრობელი ვაჟა-ფშაველას „ალუ-და ქეთელაურის“ პერსონაჟი ქისტი მუცალია, რომელიც „წყეულმა ცხენმა“ ხევსურებთან გააქროლა და მტერს ჩაუგდო ხელში. ასე აღ-მოჩნდა მუცალი სასტიკ თემში და წაერთვა სიცოცხლეცა და ყველა უფლებაც, ამავდროულად დაკარგა საკუთარი თემაც.

მარგველაშვილი წერს ქისტების განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ ცხენებისადმი. ცხენის ქურდობაც კი ღირსეულ საქმედაა მიჩნეული. ამდენად, ალუდა მონანილეობს ყაჩაღურ ლაშქრობებშიც, საიდანაც დიდი ნადავლით – ჩალისფერი, ლურჯა და შავრა ცხენებით ყოველთვის უვნებელი ბრუნდება, სანამ ალუდა ქეთელაურის შავრა ცხენს – მერანს მოჰკრავს თვალს. ასე ჩნდება „მუცალში“ მერანი, უმშვენიერესი და საოცარი ცხენი, რომელსაც ტყვიაც კი არ ეკარება და ვერც ერთი ქისტი მის მოხელთებას ვერ ახერხებს. მრავალი პოეტი, ქისტი და ხევსური, უმღერის მას და მოგვითხრობს ლეგენდებს მასზე. ლექსებმა კიდევ უფრო სანატრელი გახადა მუცალისათვის მერანი. ყველაზე მეტად კი მას მისი „ბედკრული მფლობელის“ სტრიქონები ახსოვს: „მირბის, მიმაფრენს, უგზო უკვლოდ ჩემი მერანი“. ამგვარად შემოდის მარგველაშვილის რომანში ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური სტრიქონები. „თვალბედითი შავი ყორანი“ „რამისა და მხედრის მღევარი კი არა, მისი თანმხლები, მისი ერთგვარი დამატება (ანუ ნანამატი), მისი მოკავშირეა. შემდეგ კი ყორანი მდელითა შორის ტრიალ მინდორზე ჩამოაგდებს (გათელს)? და ჩხავილით დაასამარებს.“ (მარგველაშვილი 1991: 27). აქვე მწერალი ფრინველისა და ცხენის მსგავსი ენობრივი აღმნიშვნელისა და მათ შორს კავშირის შესახებ მიუთითებს (მერანი-ყორანი). მერანის ფატალური ბუნების გამომხატველია სტრიქონი: „გასნი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი“. გივი მარგველაშვილმა შესანიშნავად იცის, რას ნიშნავს უგზოუკვლობა და უსამშობლობა, რაც მის რომანში ხევსურულ თემსა და მერანის ბრმად დაუფლების სურვილს უკავშირდება. ეს ის ადგილია, სადაც მუცალი შებილწული და მარჯვენამოკვეთილი გვამია, ეს ის ადგილია, სადაც მისი კეთილი მოქიშპე ალუ დედაბუდიანად აიყარა, რადგან საკუთარი სასტიკი თემი სულს უხუთავდა. სწორედ აქ შეუძლია მას სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა არა ახალ, არამედ ძველ თემში, რათა ალუმ კვლავ მოკლას და მარჯვენა მოკვეთოს. ეს ლ „მარადიული სიკვდილის როკვის მოედანია“, რომლის მონაცვლეობას მწერალი მის მიერ გამოგონილი თამაშით – თომინოთი (დომინოს ნაირსახეობა) ახერხებს. ვინც თამაშის წესებში კარგად გაერკვევა, ყველას შეუძლია მოგება.

უგზოუკვლობისა და უსამშობლობის ტრაგიზმის გარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის მესამე სტრიქონი მარგველაშვილისათვის თავგზის არევის მიზეზთაგანაცაა. მისი მბრძანებლური ტონი მწერალს აბსოლუტურ უდაბურებაში მოხვედრასა და იქ დაღუპვას ამცნობს, მსხვერპლს კი უნაგირისაკენ უბიძგებს. მბრძანებლური ტონი, ამავედროულად ლოცვის ხასიათს იქენს „და მისი წარმოთქმით ადამიანი მერანით ქროლვის სურვილს ამჟღავნებს“ (მარგველაშვილი 1991: 28). მუცალი დარდობს, რომ მერანზე ხევსურული ლექსის (ანუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის) მხოლოდ პირველი სამი სტრიქონი ჰქონდა გაგონილი, დანარჩენ ნაწილებს შემდეგ გაეცნო, როცა „ხევსურული თემის უმომავლო ტყვედ იქცა“.

„რაა მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა; ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა, სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მინა სამშობლო.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ცნობილი სტრიქონები განსაკუთრებით ახლობელია გივი მარგველაშვილისათვის. „სწორედ სამშობლოს, თანატოლებს, მშობლებს, მათთან ტკბილ ყოფას (საბედნიეროდ, სატრფო ჯერ არ მყავდა) მომწყვიტა მერანმა. მერანის ზურგს მოვექეცი და ყოველივე წარსულად იქცა: მთები, ქისტები, ნათესავები. ამ ფატალური წუთიდან თემის მსხვერპლი გავხდი, სადაც უბადრუკი, მეორეხარისხოვანი როლიდა მერგო“ (მარგველაშვილი 1991: 28). ამ სიტყვებში მკითხველი უმალ ამოიკითხავს 19 წლის ახალგაზრდა კაცის ტკივილს, რომელიც ნაციონალ-სოციალიზმის დიქტატურაგამოვლილი, ჯერ ზაქსენჰაუზენის ტყვეთა ბანაკში არმოჩნდა, შემდეგ კი სამშობლოში, რომლის არც ენა ესმოდა და არც აქაური თემის ცხოვრების პრინციპები. „მუცალში“ მარგველაშვილი ლექსის იმ ადგილზე მიუთითებს, რომელიც მის ძირითად იდეა ამხელს. „იგულისხმება ყველა ის მხედარი, ვინც ჩემს შემდგომ მერანის, ანდა მისი მსგავსი ჯაგლავის ჭენებას შეძლებს, ანდა უჭენებია კიდევ, და ამ გზით უფრო ლმობიერ (უკეთეს) თემში მოხვდება – თუ ეს ასე იქნება, გულწრფელად გავიხარებ“ (მარგველაშვილი 1991: 28). მაგრამ მარგველაშვილს ბარათაშვილის ლსტრიქონები, რომლებშიც ავტორი იმედოვნებს, რომ მერანის მიერ თელილი გზა მოძმეს ცხოვრებას გაუიოლებს, ცარიელ სიტყვებად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ ვერაგი წუთისოფელი მის შემდგომ მოძმესაც იგივეს, ანდა უარესს, უქადის. ასევე შეუძლებლად მიაჩნია მას უგზოუკვლოდ ჭენებით გზის გათელვა და ამიტომ არც პოემას ენდობა და არც იმ ურჩხულს, ლ„რომელიც პოემას თავის სადიდებლად გაუხდია“.

ალუდას ნაქები ცხენის მოსატაცებლად წასულ მუცალს, ბარათაშვილის ლექსი ნაწყვეტ-ნაწყვეტ უტრიალებს თავში, მას ხომ სინამდვილესთან პირდაპირი მიმართება გააჩნია. დიდი უბედურება მაშინ დატრიალდა, როცა შეპყრობილმა შავმა მერანმა მხედარიქისტეთისაკენ კი არა, ჭიხვინით ხევსურეთისაკენ გააქანა. უკან ყვავი მოსჩხაოდა ზვავივით მქროლავს. საშინელ სინამდვილედ ექცა მუცალს ლექსი, რომელსაც მანამდე უაზროდ ბუტბუტებდა.

მოგვიანებით მწერალი გადაწყვეტს თომინოში მერანის აღმნიშვნელი შემოიყვანოს დათამაში სწორედ მერანით დაიწყოს. თემატურად უკავშირდება ერთმანეთს მერანი და ყვავი. კონტრასტისათვის კი ავტორს ნაწარმოებში შემოჰყავს პოზიტიური წყვილი: ლურჯა ცხენი და მტრედი. თომინოდან გასვლის მსურველთაშორის იმ მიზეზით რჩება, თუ თეთრი მერანისათვის მხოლოდ ყვავი ეყოლება, ხოლო თეთრი მტრედისათვის – შავი მერანი. თეთრი მერანი თხის მწემსებმა არ უნდა შეამჩნიონ. ლურჯა ცხენი და მტრედი ჯერ კიდევ არ არიან თემის მუდმივი ბინადარნი. ისინი ძალზე სწრაფად ჩნდებიან და ქრებიან. მათი მეშვეობით მუცალი დროდადრო მალულად ქისტეტშიც იპარება. მაგრამ როგორც კი მკითხველი ხელში აიღებს „ალუდა ქეთელაურს“, მუცალიც სასწრაფოდ ბრუნდება თემში, რათა თემატურად მოიკლას. ეს მუცალის საოცნებო და სახიფათო გასვლებია, რადგან მას თხის მწყემსები დარაჯობენ. გაღეშილ ხევსურებს იგი სწორედ თეთრი მერანისა და თეთრი მტრედის გამოჩენით აღწევს თავს. მაგრამ ეს თავდაღწევა დროებითია. რთულია ავებედით სამყაროსთან ჭიდილი – თეთრ ცხენს მოფრენილი მუცალი უმონწყალოდ დაენარცხება მიწაზე.

ბარათაშვილის „მერანის“ ოპტიმისტური პათოსით აღზრდილ მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს შავი მერანი, რომელმაც მარგველაშვილის რომანში მუცალი მოიტაცა. მან ამსცენით სუკის მიერ ადამიანის მძევლად აყვანა წარმოადგინა და პირადი და საზოგადოებრივი დიდი ოსტატობით წარმოაჩინა. „ხევსურულ თემში შავი მერანით (ავებედითი შავი ყორანის თანხლებით) ქისტე მუცალის მოტაცება სუკის მიერ მოწყობილ ადამიანის მძევლად აყვანის ასახვაა, რომელმაც მე და მამაჩემი 1946 წლის ზაფხულზე გვიმსხვერპლა“ (მარგველაშვილი 1991: 7). ასევე შთამბეჭდავია მარგველაშვილისეული კონტრაპუნქტული ცნებები: თეთრი მერანი და მშვიდობის თეთრი მტრედი, რომლებიც მუცალს თანადგომას უწევენ. თეთრ მტრედად მარგველაშვილთან ბარათაშვილისეული შავი ყორანი გარდაიქმნება, ხოლო ფერის არმქონე მერანი – თეთრ მერანად.

მარგველაშვილის „მუცალში“ არსებითია ცნება „თომინო“, რომელიც სამ ცნებას აერთიანებს: დომინო, თემა და თემი. „თომინო მთე-

ლი რიგი მოვლენებისაგან შედგება“. იგი მუცალის მიერ სრულქმნილი თამაშია. ვაჟა-ფშაველას პოემის მარგველაშვილისეულ „განვრცობილ და მოდერნიზებულ ვერსიაში მოქმედ პერსონაჟთა ამსახველი ქვები მაგიდაზე თავშესაქცევი კომბინაციური მეთოდით ლაგდება. თამაშის სიახლე კი ქვების დასახელების შემოღებაა: „შავი მერანი“, „ყორანი“, „თეთრი მერანი“, და „თეთრი მტრედი“. პირველი ორი ქვით შეიძლება დაჩქარდეს მოთამაშე პერსონაჟთა განსაკუთრებით კი მუცალის, თემატური განსაცდელი. ბოლო ორი ქვა ამ განსაცდელს ანელებს, ანდა სულაც მის ბლოკირებას ახდენს. თომინოს დომინოს პრინციპით თამაშობენ, ანუ ქვები განაპირა ქვებზე ლაგდება“ (მარგველაშვილი 1991: 7-8). მარგველაშვილის წიგნის თემა თემის მცხოვრებთათვის მხოლოდ თავშესაქცევია, მას გასართობი ფუნქცია აქვს. თომინო „თემურ-თემატური“ განსაცდელისაგან გაქცევას, ანუ გაქცევის ხაზს წარმოადგენს, სადაც ის რჩება მოგებული, ვისაც საუკეთესო ქვები მოუვა.

მწერალი პასუხს არ სცემს შეკითხვას, ექნება თუ არა დასასრული მუცალის გაქცევას. ის ავლებს ხაზებს და იმედოვნებს, რომ თუ მისი გაქცევის ხაზი ყველა იმ წერტილს შემოუვლის, რომელიც მას შეიძლება დაესვას, მაშინ მისი რომანი და გმირი პრინციპულად უკეთეს, წასაკითხად და საცხოვრებლად ვარგის პირობებში შექმნებენ გადანაცვლებას (მარგველაშვილი 1991: 9). მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული ტექსტი მიმართულია სინამდვილის გახსნისა და გამოაშკარავებისაკენ, რასაც იგი ახდენს ხელოვნების ტრადიციული არსის რღვევის მეშვეობით. ამავდროულად მკითხველი იძულებულია, აღიქვას შემოქმედებითი პროდუქტის ყოველი ელემენტი, ფრაგმენტი, მთლიანობას მოკლებული ნაწილები.

ამრიგად, ბარათაშვილისეული მერანი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა იმ მრავალრიცხოვან სახე-სიმბოლოთაშორის, რომელთაც გივი მარგველაშვილი „მუცალში“ წარმოგვიდგენს. იგი ახლობელია გერმანულენოვანი ქართველი მწერლისათვის. ისიც ბარათაშვილივით გაურბის „თვალბედით შავ ყორანს“, განუწყვეტლივ მოძმეთა და მამულის ძიებაშია. მიუხედავად უამრავი განსაცდელისა, ოპტიმისტია და ელის უკეთეს დროს, როცა მკითხველი მის ნაწარმოებებში ავტორის გულნადებს ზუსტად გაიგებს და გაითავისებს, როცა ადამიანები არ დაკარგავენ ან იპოვიან საკუთარ თემას და არ გაიმეორებენ დაშვებულ უმძიმეს შეცდომებს.

## დამონეგანი:

**გაფრინდაშვილი, სიმონიშვილი, აფციაური:** გაფრინდაშვილი, ნ., სიმონიშვილი, მ., აფციაური, ნ.: *„გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექტების დეკონსტრუქციის პრობლემა“*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“, მეათე ნომერი. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/10/95>

**გრუბი 2010:** Grub, T. F. Bareis, J. Alexander/Grub, „Ich bin eine Buchperson“: Zur Funktion metafiktionaler Schreibstrategien bei Giwi Margwelaschwili. In: Thomas Frank (Hrsg.): *Metafiktion. Analysen zur deutschsprachigen Literatur*. Kulturkatalog Kadmos Berlin 2010, S. 35-61.

**კარტოზია 2016:** კარტოზია, ა., „თამაში და შემოქმედება როგორც ხსნა. გივი მარგველაშვილის პროზა“. ნიგნში: კარტოზია, ა., ჩიტაური, ნ., შამანაძე, შ., პოპიაშვილი, ნ, მოდებაძე, ი., გაგოშაშვილი, ნ., *„ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელები“*, თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი 2016, გვ. 212-220.

**მარგველაშვილი 1991:** Margwelaschwili, G., „Muzal. Ein georgischer Roman“. Frankfurt am Main: Insel Verlag 1991.

**მარგველაშვილი 2001:** მარგველაშვილი გ. *„მუცალი. ქართული რომანი“*. გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“ 2011.

## KETEVAN GARDAPKHADZE

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### Friedrich Hölderlin about Empedocles

Empedocles, made legendary already in his lifetime, whose death was likewise wrapped in mystery, became a subject of interest for the German romantic poet Friedrich Hölderlin, whose tragedy, *The Death of Empedocles*, conveys his attitude towards philosophy and antiquity.

The article discusses Hölderlin's interpretation of Empedocles' life and death, the extent to which the German poet follows Empedocles' biographer Diogenes Laertios, the poet's new vision of figures mentioned by the Greek author (Panthea, Pyndar, etc.), and his new accents that fashioned a character appealing to his contemporary world: a philosopher, priest, physician, politician, orator (called the father of rhetoric by Aristotle), whose name is perpetuated thanks to

his revolutionary ideas (hiscosmogenictheory of four elements driven by love and hatred and spontaneous origination frequently associated with natural selection) and hisbold striving for self-deification.

**Key words:** Hölderlin, Empedocles.

## ქეთევან გარდაფსაკი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ჰოლდერინი ემპედოკლესის შესახებ

XVIII ს-ის და XIX ს-ის პირველი ნახევრის ლიტერატურული პროცესების განმსზღვრელი და მთავარი ფაქტორი იყო საფრანგეთის რევოლუცია. მიუხედავად ყველა იმ განსხვავებისა, რომლებიც არსებობდა რომანტიკოსებსა და განმანათლებლებს შორის, გერმანიაში რომანტიკოსები (ვარმინსკი 1987:209)ისე მწვავედ არ დაპირისპირებიან განმანათლებლებს, როგორც ეს მოხდა, მაგ., საფრანგეთში. პირიქით, გერმანელმა რომანტიკოსებმა მთლიანად გაიზიარეს გოეთეს, შილერის ესთეტიკური პოზიცია. გერმანულ რომანტიზმს კავშირი ჰქონდა გვიანი პერიოდის განმანათლებლობასთან და სწორედ მასთან სინქრონიზაციაში ჩამოყალიბდა (ჟირმუნსკი 1996: 232). ამ ნიშნებს ატარებს ცნობილი გერმანელი მწერლის, ფრიდრიხ ჰოლდერლინის (1770-1843 წწ.), შემოქმედება. იგი თავისი არსით იყო რომანტიკოსი, მაგრამ ბოლომდე არ იყო დაკავშირებული გერმანულ რომანტიკულ სკოლასთან, პირველ რიგში, იმის გამო, რომ რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, აღფრთოვანდა რა ერთხელ საფრანგეთის რევოლუციის იდეებით, ბოლომდე ერთგული დარჩა, თუმცა რევოლუციის შემდეგ დატრიალებულმა მოვლენებმა მის შემოქმედებაში იმედგაცრუების ელემენტური ინტონაციები შეიტანა (ბერტო 1970: 187). 30-იანი წლების მისი შემოქმედება – პათეტიკური ჰიმნები საფრანგეთის რევოლუციური იდეებით საზრდოობს. როგორც მისი ჰიმნები, ისე მთელი მისი პოეზია ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს, რაც აიხსნება სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებით მისი გატაცებით – ანტიკურობით, სპინოზათი, შელინგით, ჰეგელით(ონოფი 2011: 7). თიუზინგენის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მისი მეზობლები სწორედ ჰეგელი და შელინგი იყვნენ, რომლებთანაც მომავალშიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აგრძელებდა იგი მიმოწერას. ქრისტიან ონოფი წერდა: „Because of his small philosophical output, it is important to indicate in what way Hölderlin’s ideas have influenced his

contemporaries and later thinkers. It was Hölderlin whose ideas showed Hegel that he could not continue to work on the applications of philosophy to politics without first addressing certain theoretical issues. In 1801, this led Hegel to move to Jena where he was to write the Phenomenology of Spirit.... Schelling's early work amounts to a development of Hölderlin's concept of Being in terms of a notion of a prior identity of thought and object in his Philosophy of Identity.”

1794-1795 წლებში, იენაში ცხოვრებისას ჰოლდერლინი ესწრებოდა იენის უნივერსიტეტში იოჰან ფიხტეს ლექციებს. სწორედ აქ, რომანტიკული მოძრაობის ცენტრში ეცნობა იგი ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლებს, აქ შეხვდა ნოვალისს. ფილოსოფიით გატაცება ჰოლდერლინის შემოქმედებაში ინდივიდუალურ, ყველასგან განსხვავებულ რომანტიკულ უტოპიად იქცევა, რომელიც დასაბამს აძლევს მის შემოქმედებაში ელინურ მორალურ-ეთიკურ, სოციალურ იდეალს და იქმნება სრულიად განსხვავებული ლიტერატურა, რომლის შესახებაც უკვე 1864 წელს, ჰოლდერლინის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ ტიუბინგენის უნივერსიტეტში ზიგმუნდ ტოიფელი მოხსენებაში „გერმანული პოეზია მოკიდებული გოეთე-შილერიდან“ იტყვის: „ფრიდრიხ ჰოლდერლინი რომანტიკოსებთან ერთად უნდა განვიხილოთ. არა მათ შორის, რადგანაც ის მათგან არსებითად განსხვავდება. ჰოლდერლინი, საერთოდ, ცალკე დგას გერმანული ლიტერატურის მთელ ისტორიაში. მართალია, მას შილერთან აერთიანებს ტონალობა, სულის მაღალი ფრენა, რაც ალბათ შილერისგანვე აქვს ნამემკვიდრევი, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დავაყენოთ ვინმეს გვერდით. უფრო მეტიც, მასში არის რაღაც სრულიად ახალი, ის, რაც არც აქამდე ყოფილა შესაძლებელი და ალბათ არც აღარასდროს იქნება“ (გელაშვილი 2010: 7). მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, ფრიდრიხ ჰოლდერლინი და მისი შემოქმედება დავიწყებას მალევე მიეცა და მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინა ხელახლა მსოფლიომ მისი ლიტერატურა. ეს მოხდა 1909 წელს, როდესაც ფრიდრიხ ჰელინგრათი (1888-1916 წწ.) 1909 წელს შტუტგარტის ბიბლიოთეკაში წააწყდა პინდაროსის ჰიმნების ჰოლდერლინისეულ თარგმანებს. მან ამ თარგმანებს ასლები გადაუგზავნა თავის მეგობრებს, რომელთა საშუალებითაც ისინი მოხვდა შტეფან გეორგეს ხელში, რომელსაც ეკუთვნის ამ თარგმანების პირველი გამოცემა ლიტერატურულ ჟურნალში „ხელოვნების ფურცლები“. სენსაციურმა აღმოჩენამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, რასაც 1910 წელს მისი წიგნად დაბეჭდვა მოჰყვა. ჰელინგრათის სადისერტაციო ნაშრომიც ჰოლდერლინის პინდაროსის თარგმანებს მიეძღვნა. დავიწყებული პოეტი ახალ დიდებას იძენს. გერმანული სიმბოლიზმის მამა მას საკუთარ სულიერ წინამორბედად აცხადებს (ბენი 1962: 162).



პლატონ ქიქოძე საგანგებოდ განიხილავს საკითხს, „რას ნიშნავს მხატვრული რეალიზმი საქართველოს თანამედროვე პირობებში“ (ქიქოძე 1927: 101) და აღნიშნავს, რომ რეალისტი პროლეტარული მწერალი კმაყოფილი უნდა იყოს არსებულით, მაგრამ იქვე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ „პროლეტარული მწერალი არ შეიძლება იყოს და არც არის მხოლოდ რეალისტი. მასში უნდა ცხოვრობდეს, უნდა ვითარდებოდეს რომანტიზმისა და პრაქტიკული იდეალიზმის ზოგიერთი დადებითი მხარეები“ (ქიქოძე 1927: 102). ქიქოძე საკმაოდ ზუსტად გამოყოფს რომანტიზმის ესთეტიკის ზოგიერთ მახასიათებელს და ხაზს უსვამს, რომ პროლეტარული მწერლისათვის „რა თქმა უნდა, მიუღებელია ძველი რომანტიკოსების ბურჟუაზიული ეგოიზმი, არა მუდმივობა და მუდმივი რყევა, პესიმიზმი და მისტიციზმი. მაგრამ „ოცნება“ დამყარებული მეცნიერულ მიხნევებზე და სინამდვილეზე, პრაქტიკული იდეალიზმი, გატაცება ჯანსაღი პროლეტარული, რეალური და არა უტოპიური იდეებით, ჯანსაღი კრიტიკა თანამედროვეობისა მომავლის სახელით – ყოველივე ეს უნდა ახასიათებდეს ქართველ პროლეტარულ მწერლებს“ (ქიქოძე 1927: 105). მოხმობილი ამონარიდიდან კარგად ჩანს, როგორ ინტერპრეტირდება და იდეოლოგიზებულ გააზრებას იძენს ლიტერატურის თეორიული საკითხები. ამგვარი შეხედულებები ხშირად თავისთავად განსაზღვრავდა ლიტერატურული დისკურსის

ხასიათს, რაშიც იოლად დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ კლასიკოს მწერლებთან დამოკიდებულებას XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ბუნებრივია, რომ ბარათაშვილის შემოქმედება ნოყიერ ნიადაგად იქცა ეპოქის „სიდიადის“ წარმოსაჩენად. „ბარათაშვილიანას“ ციკლიც ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა. ამ კონტექსტში შექმნილ მხატვრულ ტექსტებში კარგად ჩანს, როგორ აისახება 1920-ანი წლების პოეზიაში ქიქოძისეული „რომანტიული რეალიზმი“, რომელსაც უნდა შეარიგოს „ნდომა“, იდეა და სინამდვილე, რადგან, მისი აზრით, სწორედ პროლეტარულ საზოგადოებაში არ ენიშნაღმდეგება ერთმანეთს საზოგადოებრივი იდეალი და რეალობა (ქიქოძე 1927: 107).

სიმონ ჩიქოვანს, რომელიც „ცდილობს დაამტკიცოს („მიძღვნა ნ. ბარათაშვილს“), რომ მის ძარღვებში ნ. ბარათაშვილის სისხლი ჩქეფს“ (ქიქოძე 1927: 237), პლატონ ქიქოძე „უახლეს დეკადენტად“ მიიჩნევს. მისთვის მიუღებელია, რომ ჩიქოვანის პოეზიაში „ნ. ბარათაშვილის პესიმისტური და ტრაგიკული მოტივები“ აირეკლება, „ნივთების ცეკვის“ მაგივრად კი ბარათაშვილის ტირილი ისმის (ქიქოძე 1927: 237-238). სწორედ იდეოლოგიური თვალსაზრისითაა მისთვის მიუღებელი ამ ორპოეტს შორის რამე სახის ლიტერატურული მიმართების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ქიქოძეს კარგად აქვს გააზრებული ბარათაშვილის მწერლური ავტორიტეტი.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში ბარათაშვილის ძლიერი გამოძახილი მხედველობიდან არ გამორჩენია პროლეტარული კრიტიკის კიდევ ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს – ბენიტო ბუაჩიძეს, რომელმაც პოეტს მიუძღვნა საგანგებო წერილი – „საბჭოთა ინტელიგენციის გზა“. კრიტიკოსი ჩიქოვანის „ორკესტრულლექსალობას“ „ბურჟუაზიულ კონკურენციად“, „წინაპრებთან, მამებთან ბრძოლად“ თვლის (ბუაჩიძე 1934: 245). ბუაჩიძის აზრით, „ჩიქოვანი თავისი შემოქმედების მეორე საფეხურზე უკვე ცდილობს თავი დააღწიოს ძველი განწყობილების რკალს და თვითმიზნურ ესთეტიკას“ (ბუაჩიძე 1934: 246), თუმცა, მისი აზრით, წარსულის ტრადიციის დაძლევა ვერ ახერხებს, რისგამოვლინებადაც ჩიქოვანი შემოქმედებაში „ბარათაშვილიანას ტალღას“ თვლის. „პოეტს ურბანელი და მემამბოხე ეგონა თავისი თავი და ერთბაშად განიმსჭვალა ბარათაშვილისადმი კერპთაყვანისმცემლობის გრძნობებით. ის შეაწუხა ბარათაშვილის დიდებამ და გადასწყვიტა მისი დასრულება“, -წერს კრიტიკოსი (ბუაჩიძე 1934: 247) და იქვე აღნიშნავს, რომ „ამ სწრაფვაში დამორჩილების ელემენტები მეტი იყო, ვიდრე დაძლევის“ (ბუაჩიძე 1934: 247), რაც, თავის მხრივ, ძალზე საყურადღებო დეტალია, საგულისხმო მოსაზრებაა, თუმცა საბოლოოდ ბუაჩიძე მაინც

იდეოლოგიურ კალაპოტში წარმართავს მსჯელობას. 1930 წლით დათარიღებულ ამ პატარა ოპუსში ავტორი იღრუბლებს დღევანდელი ძველი პოეზიის ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლასა და ახალი სტილის შექმნის მცდელობას.

საბჭოთა იდეოლოგიის ქრესტომატიული მოთხოვნა – საბჭოთა პოეტი მუდმივად აღფრთოვანებული იყოს თავისი დროით – თვალსაჩინოდ ჩანს ბენიტო ბუაჩიდის სხვა შეხედულებებშიც, მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილთან დაკავშირებულ ჩანაწერებშიც, კერძოდ: ის თვლის, რომ კლასიკოსებისაგან ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი, მაგრამ მიუღებელია, „როდესაც ვაკელს ბარათაშვილის პოემის რიტმთან, ნყობასთან, ლექსიკონთან ერთად გადმოაქვს მისი განწყობილება და იდეოლოგია, ეს დიდი და დაუშვებელი შეცდომაა“ (ბუაჩიძე 1934: 351). ამ თვალსაზრისით, ბუაჩიდისთვის სამაგალითოდ რჩება ალიო მამაშვილის „მე და ბარათაშვილი“. ეს მსჯელობა ეპოქის საერთო სულისკვეთებას მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს. აღნიშნულიდან ნათელია, რომ ბარათაშვილი გამოკვეთილი შემოქმედებითი ფიგურაა, ავტორიტეტია, მაგრამ ძველი ეპოქის მწერლობის წარმომადგენელია, რომლის პოეზიის განწყობილებანი და პოეტიკური თავისებურებები ახალმა დრომ სამუდამოდ უნდა დატოვოს გასულ საუკუნეში. ამგვარი ნარატივი პროლეტარული კრიტიკული დისკურსის უმთავრესი თეზაა.

ქართული რომატიზმის მწვერვალად აღიარებული ბარათაშვილის პიროვნული თუ თემატური პლასტები შემოქმედებით იმპულსს აძლევს და განსხვავებულად ტრანსფორმირდება XX საუკუნის საკმაოდ ცნობილი პოეტის მხატვრულ ტექსტებში. სიმონ ჩიქოვანის თითქმის ყველა კრებული, თუ არ ჩავთვლით „ორკესტრული ლექსალობის“ ციკლს, იწყება ტექსტით – „ნიკოლოზ ბარათაშვილთან გასაუბრება“, რომელშიც ავტორი ბარათაშვილის მემკვიდრედ აცხადებს თავს, თვლის, რომ იდეოლოგიურად ასრულებს მის გზას, რადგან მიიჩნევს, რომ ბარათაშვილის დროინდელი საქართველოს წყლულები მოშუშებულია („და საქართველოს ფეხზე ადგომით/ ჩემში შენს წყლულებს მიესალმება“) (ჩიქოვანი 1975: 63), ხოლო, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ბარათაშვილი მის დიდ წინამორბედად რჩება. „ვპოვე ტაძარის“ ავტორი „მშვილდია“, ჩიქოვანი კი ამ მშვილდის „ისარი“. ამ მეტაფორულ სახეებთან ერთად ნაწარმოებში არაერთი იოლად ამოსაცნობი ალუზიაა (ჩინარი, სუმბული, მთაწმინდა, მტკვარი, შავი ყორანი, სიძნელე გზისა გამიადვილე, შემოლამება ...), მაგრამ, ამის მიუხედავად, ლექსის საზოგადოებრივი და სტრუქტურული ღერძი მერანია. ახალი დროის მხედარი კი „სამერნოდ ხედნის უდამლო კვიცებს“ (ჩიქოვანი 1975: 64). ტექსტის



ამგვარი განვითარების ლოგიკური დასარულია შემდეგი სტრიქონები: „და რომ მე არ ვარ შენი მემკვიდრე, / შთამომავლობას ვინ დაუმტკიცებს“ (ჩიქოვანი 1975: 64). ნათელია ამ რიტორიკული კითხვის პასუხიც. აღსანიშნავია, რომ ლექსის პირველი ვარიანტი 1925 წლით თარიღდება და მასში კიდევ უფრო მძაფრად და მკაფიოდაა გამოხატული ყველა ის უმთავრესი თეზა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ისევე, როგორც „გასაუბრების“ შემთხვევაში, 1930-იან წლებში გამოქვეყნებულ სხვა, ახალ თუ გადამუშავებულ, ნაწარმოებებში, ამ თვალსაზრისით, პრინციპულად არაფერი იცვლება. ჩიქოვანი ბარათაშვილს მოიაზრებს, როგორც წინამორბედს, საკუთარ თავს კიალიქვამს მის შთამომავლად, თავადაც სხვის წინამორბედად რომ უნდა იქცეს („ნიკოლოზ ბარათაშვილის სავანეში“). ტექსტში ბარათაშვილის პოეტური სახეები აღუზიარდება კვლავ. ჩინარი, საყურე, სული ობოლი, არაგვი ქმნის ლექსის სააზროვნო სივრცეს, ამასთან, ერთ-ერთ მთავარ კონცეპტად ისევ რჩება შავი მერანი, რომელთან ერთად იკვეთებამულაზანზარის ველზე მყოფი მხედრის მხატვრული სახე (ჩიქოვანი 1975: 197). ამით მერანი უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ შავ ტაიჭს (ეს თვალსაზრისი საინტერესოდაა დასაბუთებული ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ესეში). ჩიქოვანის აზრით, ბარათაშვილის მხედარი იგივე ავთანდილია: „მულაზანზარზე ჩანს ავთანდილი და შენს ვარსკვლავებს ესაუბრება“ (ჩიქოვანი 1975: 198). საბოლოოდ ყოველივე საბჭოთა ეპოქის სულისკვეთებასთან უნისონით სრულდება. ლექსის მიხედვით, ბარათაშვილის ავთანდილივით დაუდგრომელმა და მშფოთვარე სულმა მშვიდი განსასვენებელი საბჭოთა საქართველოში იპოვა და არამთანმინდაზე: „შენი სამშობლო მკვდრეთით ამდგარა, / შვებით ჭიხვინებს შენი მერანი“ (ჩიქოვანი 1975: 199). მოჭიხვინე მერანი ჩნდება ამ ნაწარმოებიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, 1950-იანი წლების ბოლოს, დაწერილ ლექსშიც – „შემოღამება მამადავითზე“, რომელიც, ასევე, აგებულია ბარათაშვილის პოეზიისა და ცხოვრების მოტივებზე. მისი ფინალი – „მწუხრში ჭიხვინებს ქართლის მერანი/ და ჩრდილოეთის ვარსკვლავს გაჰყურებს“ (ჩიქოვანი 1975: 200) კვლავ იდეოლოგიური შინაარსით ტვირთავს სატრფიალო ხასითის ლექსს. სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს, XX საუკუნის პოეტისაგრესიული დამოკიდებულება ბარათაშვილისადმი თანდათან როგორიცვლება მონივნებით, აღიარებითა და მასთან ერთად დამკვიდრების სურვილით: „ჩვენ მიზეზი ვართ, ჩემო მერანო, დიდხანს დავრჩებით კიდევ ცოცხალი“ („მიმართავა მერანს“), – მიმართავს პოეტი მერანს (ჩიქოვანი 1975: 253-255), რომლის მხედრადაც უნდა თავი იხილოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარათაშვილის

მერანი ქართულ კულტურაში ერთ-ერთ გამოკვეთილი და მყარი სიმბოლო-კონცეპტია, ის სხვა აზრობრივ კონოტაციასაც შეიძენს, მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი კვლევის საგანი.

გვინდა დავუბრუნდეთ 1926 წელს დაწერილ ერთ საგულისხმო ლექსს – „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“, რომელშიც ჩიქოვანი საკმაოდ მომთხვინველი ჩანს საკუთართავის მიმართ. „ასე თუ ივლი ეკლიან გზით დაღონებულნი, / შენ ვერასოდეს ვერ მიაღწევ ბარათაშვილთან“ (ჩიქოვანი 1975: 245), – ამბობს პოეტი და შემდგომ კიდევ უფრო შორს მიდის – „ხომ შეიძლება, დაიღუპოს ბარათაშვილიც/ და დაიკვნესოს ჩიქოვანმა ცივ აკვანიდან“ (ჩიქოვანი 1975: 246). ეს სტრიქონები სხვა არაფერია, თუ არა სურვილი, როგორც შემოქმედმა, გადააჭარბოს წინამორბედს, დაჩრდილოს მისიავტორიტეტი. აქ საყურადღებოა ერთი დეტალიც: ჩიქოვანისათვის ეს უწყვეტი, მუდმივი პროცესია და, ამდენად, მისი სამომავლო ხვედრიცაა: „სადღაც გზაზე დანებს ლესავენ/ და ეგებ მომკლან მე ჩემმავე მონაფეებმა“ (ჩიქოვანი 1975: 246). სამწუხაროდ, ლექსის შინაარსობრივ სიღრმეს საკმაოდ ავიწროებს საბჭოთა იდეოლოგიური კონტექსტი: „ძველ ჩიქოვანის დავანგრიე გულის ფიცარი/ და დროის დროშა სიხარულით ავაფრიალე“, – ამბობს ის (ჩიქოვანი 1975: 246). უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანისათვის ზოგადად დამახასიათებელია ქართული ლიტერატურის კლასიკოსების მემკვიდრედ თავის აღქმა. ასე მაგალითად, 1940 წლით დათარიღებულ ერთ უსათაურო ლექსში ის პირდაპირ აცხადებს – „გურამიშვილის და ვაჟას ფერი/ მათი მომდევნო მე ვარ მესამე“ (ჩიქოვანი 1975: 205). მართალია, დასასრულს ამ პოზიციას რამდენადმე არბილებს – „მეთე ვარ თუ მე ვარ მესამე“ (ჩიქოვანი 1975: 205), მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, რომ შემოქმედებისკიბეზე ჩიქოვანს საკუთარი პოეზია მიაჩნია აუცილებელ საფეხურად, რომელიც სხვის დასაყრდენად იქცევა.

აროლდ ბლუმის გავლენის თეორიის (გავლენის შიშის) მიხედვით, „ლიტერატურა თავისი შინაგანი ბუნებით ანტაგონისტურია (წინააღმდეგობრივია), რაც ვლინდება იმით, რომ ყოველი ავტორი თავის წინამორბედ შემოქმედს ეჯიბრება და ებრძვის“ (ტაბუცაძე 2008: 241). შესაძლებელია სიმონ ჩიქოვანთან ეს ქიშპი ქვეცნობიერად არსებობდა კიდევ, რაც თავის დროზე ბენიტო ზუაჩიძემ შეამჩნია. ხელოვნების განვითარებისათვის აუცილებელ ამ ორგანულ მოვლენას სიმონ ჩიქოვანის შემთხვევაში, ვფიქრობ, სუბიექტურთან ერთად ორი მეტ-ნაკლებად ობიექტური ფაქტორი ახლავს. ერთი – ფუტურიზმის ესთეტიკით, მეორე კი ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიით არის განპირობებული. საბოლოოდ, ეს შემოქმედებითი ანტაგონიზმი ძლიერ იდეოლოგიურ კალაპოტში მოექცადა მთელი ეპოქისათვის გახდა ზოგადად

დამახასიათებელი. „შედარებით სუსტ ტალანტს წინაპრის მხოლოდ იდეალიზების უნარი აქვს, მაშინროცა მდიდარი წარმოსახვის მქონე შემოქმედი მთლიანად ათვისებს წინამორბედ პოეტს. ამრიგად პოეზიის ისტორიის გმირი ძლიერი პოეტია, რომელიც ოდენ შემოქმედებითი გადარჩენისათვის კი არ არის მუდმივ კვებებაში წინაპრებთან, არამედ სიკვდილისთვისაც მზადაა, სწორედ ამ თავისი ძალმოსილებისა გამო, რადგან სესხებისა და წინაპართა პოეტური ათვისების უამს მუდამ გამთანგავი შიშის წინაშე დგას (ტაბუცაძე 2008: 242-243). სიმონ ჩიქოვანიც წინაპარი პოეტის მხატვრული სახეებით ოპერირებს, მაგრამ ახალ პოეტურ შესაძლებლობებს კიარ ხსნის, ახალი ეპოქის უპირატესობას გვიმტკიცებს, თანაც, განიცდის, როგორი იქნება მისი ადგილი ახალი დროის ლიტერატურის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით, ჩიქოვანი შეიძლება მივიჩნიოთ სუსტი ტალანტად, რომელიც საბოლოოდ წინაპრის იდეალიზაციას სჯერდება მხოლოდ. ყოველი დიდი ხელოვანი ცდილობს საკუთარი ხელნერის პოვნასა და ინდივიდუალიზმის დამკვიდრებას სწორედ წინამორბედების ათვისებითა და გაღრმავებით, „მას სურს თავისი უპირატესობის ჩვენება და წარმოჩენა, სწაღია მისი – როგორც მხატვრის – მოკვლა და ამას იგი სჩადის კიდევ წინამორბედი პოეტის ტექსტების ქვეცნობიერად თუ გამიზნულად უსწორო წაკითხვითა და მათი საკუთარ მანერაზე გადაწერით“ (ტაბუცაძე 2008: 244), რაც ახალ შემოქმედებით პროცესს უქმნის ნოყიერ ნიადაგს. ჩიქოვანი უღრმავდება ბარათაშვილს, საგანგებოდ სწავლობს მას, მაგრამ „ქიში წინაპართან“ ისევ და ისევ მისი იდეალიზაციით სრულდება, რისი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი უდავოდ ისიცაა, რომ იგი არ მიმდინარეობს მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობების მქონე პოეტებს შორის (ამ თვალსაზრისით, გაცილებით საგულისხმოა ბარათაშვილისა და გალაკტიონის ხაზი, თუნდაც „მერანისა“ და „ლურჯა ცხენების“ ურთიერთ-მიმართების საკითხი).

აშკარაა, რომ ქართველ ფუტურისტთა ერთ-ერთი თავკაცი განუწყვეტლივ უბრუნდება ბარათაშვილის თემას, 1930-იან წლებში უკვე არსებულის ახალ ვარიანტებს აქვეყნებს, ამასთან, მის ლექსებში მუდმივად აღუზირდება რომანტიკოსი პოეტის მნიშვნელოვანი სახეკონცეპტები. მოგვიანებით წერს თავის ცნობილ „განჯის დღიურს“ (ჩიქოვანი 1965: 7-27), რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული ბარათაშვილის სულიერი დრამა, შექმნილია აზრობრივად და ემოციურად დატვირთული მხატვრული ტექსტითიქმის იმავე, მისსივე ლექსებში ადრე გამოყენებული, აღუზიებით. შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ ჩიქოვანს დანერლი აქვს ბარათაშვილის პოეზიის შესახებ ერთ-ერთი თავისი საუკეთესო კრიტიკული წერილი. ოპუსი (1936-45) დიდ ემო-

ციურ მუხტს ატარებს, მაგრამ, ამავე დროს, რაციონალურად განსჯის ბარათაშვილის შემოქმედების უმთავრეს პოსტულატებს, გამოყოფს უმთავრეს თემატურ რკალებს, იძიებს პოეტის ხელნერის განმაპირობებელ ზოგად, ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს, განსაზღვრავს ტრადიციულსა და ინოვაციურს მის ნაწარმოებებში. ამ თემებზე საუბრისას მნიშვნელოვანია, რომ ჩიქოვანი-კრიტიკოსი არ იფარგლება მხოლოდ ქართული მწერლობით და საკმაოდ მასშტაბურად ხედავს ამა თუ იმ საკითხს. ვფიქრობ, საყურადღებოა, რომ ბარათაშვილის პირად სულიერ მდგომარეობას მთელი ერისათვის ტიპურად მიიჩნევს, რითაც ხაზს უსვამს ერის ბუნებრივი მისწრაფებებისა და რეალური ვითარების აცდენას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამაზე აქცენტირებას ახდენს იდეოლოგიური თვალსაზრისით კიდევ უფრო არამეამბოხე შემოქმედი საკუთარივე პოეზიისაგან განსხვავებით. საბოლოოდ, სიმონ ჩიქოვანი ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდებს ანთოლოგიურ პოეტს. „ყოველი პოეტური აზრი სიტყვის ისეთი ეკონომიითა და სიზუსტით იქმნებოდა მისი კალმით, რომ ახალი ლექსის კლასიკური ნიმუშების ჩამოყალიბება უსათუოდ „მერანის“ ავტორს მიეკუთვნება. ბარათაშვილის პოეზია ღრმად დაფიქრებული ქართული სულის უბადლო აღსარებაა“ (ჩიქოვანი 1963: 172-173), - წერს ის თავისი კრიტიკული ოპუსის დასასრულს. ბარათაშვილის პოეზიის ჩიქოვანისეული კრიტიკული რეცეფცია, ფაქტობრივად, ნარატივია მისივე პოეტური ფორმით გადმოცემული შეხედულებებისა, ოღონდ ის აბსოლუტურად თავისუფალია ორი შემოქმედს შორის თუნდაც ფარულად არსებული რამე ტიპის დაპირისპირებისაგან.

ცხადია, რომ სიმონ ჩიქოვანის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას გასდევს ბარათაშვილის პიროვნულ თუ პოეტურ ხატებზე აგებული სახეები, რომლებიც მისი შემოქმედების სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებულ აზრობრივ შრეებს მოიცავს. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, უდავოა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი შთამბეჭდავი პოეტური ხატია, რომლის რეპრეზენტაციის თავისებურებები, ეპოქის კონტექსტით დატვირთული თუ პოეტიკურ საფუძველზე აგებული, ნათლად აჩვენებს ამ ორი თავისი ხელნერითა და ესთეტიკით აბსოლუტურად განსხვავებული შემოქმედის ძლიერ შინაგან კავშირს.

## **დამონებიანი:**

**ბუაჩიძე 1934:** ბუაჩიძე ბ. *თანამედროვე ქართული მწერლობის გზები*. ტფილი-სი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1934.

**ტაბუცაძე 2008:** ტაბუცაძე ს. „გავლენის თეორია“. წიგნში: *ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოლოგიური კონცეფციები და მიმდინ-*

არეობები. რედ-ები: თ. დოიაშვილი, ი. რატიანი. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2008.

**ქიქოძე 1927:** ქიქოძე პლ. *ლიტერატურული საქართველო*. ტფილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1927.

**ჩიქოვანი 1963:** ჩიქოვანი ს. *რჩეული წერილები*. თბილისი, გამ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963.

**ჩიქოვანი 1965:** ჩიქოვანი ს. *თხზულებანი*. ტ. II. თბილისი, გამ.: „საბჭოთასაქართველო“ ხელოვნება, 1965.

**ჩიქოვანი 1975:** ჩიქოვანი ს. *თხზულებანი* ოთხ ტომად. ტ. I. თბილისი, გამ.: „მერანი“, 1975.

## GAGA LOMIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### What did Baratashvili Enjoy Read?

Besides social and political issues, the formation of a human being as a social construct is greatly influenced by esthetical thoughts. In Western literary theory, there is a tendency to explore what books a certain author read. It seems a trustworthy source to analyze influences and works of a particular writer. As Yuri Lotman puts it, “Women’s home libraries in 18<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> centuries influenced the people of 1812 and the generation of Decembrists. Representatives of the 19<sup>th</sup> century Russian culture were shaped by the books read by their mothers, living in 1820s.” (Yuri Lotman. *Conversations about Russian Culture*). In this respect, we are interested to inquire what Nikoloz Baratashvili, a Georgian romantic poet, read. It seems to be one of the significant methods clarifying some of the key moments in Baratashvili’s poetic legacy.

In Baratashvili’s time, a demonstration of parental despotism was not considered as a deviation from the norm. Here we can think of Lessing’s thoughts. Lessing wrote that if during a maturing process children are occasionally exposed to punishments, later when they reach the age of intellectual maturity, they instantly realize all the good that the strict discipline gave them. Such methods were questioned by leftist intellectuals who considered that mental development is impossible with restrictions on individual liberties. For Nikoloz Baratashvili this harsh strategy of upbringing seems unacceptable. We know from his biography that in his early years, in 1841, he translated ‘Julius of Tarent’, a dramatic tragedy by Johann Anton Leisewitz. It seems to be a proof of the poet’s libertarian posi-

tion on upbringing issues. At some point, the drama greatly influenced Friedrich Schiller when he wrote his famous 'Robbers'. Actually, this tragedy had been an inspiration to Russian romantic poets too. Fichte wrote that the subdued nature of a person comes to the foreground and destroys everything on its path. Human nature takes out its anger on everything that subdues it. All this is quite close to the Freudian anthropological model. This was probably the reason why Baratashvili, being subdued by his despotic father at home, showed his potential first in the school and among his peers and friends and then at parties held in Tbilisi. Probably, his unsteady character was also due to this: everyone shunned mischievous, restless, emotional, and sharp-tongued Baratashvili.

In his poem *Mysterious Voice*, there are lines, where Baratashvili mentions the notion of "voice of strict conscience imposes on" him. "Since then a certain voice puts in the shade / The intentions and longings of which I'm made!.. / This strange voice I hear— Could it be, / The voice my strict conscience imposes on me?" If we consider his behavior in the context of these lines and take into account analytical psychology, it will become clear what was the cause of his changeable character and it will also become obvious that the 'voice of conscience' is the same as super ego, where temptation and taboo are opposed to each other.

Here one can think of Goethe's poem 'King of Elves' ('Erlkoenig'). Goethe's 'King of Elves' starts with the following phrase: "Wer reitet so spät durch Nacht und Wind? (Who rides so late through the windy night?)". The first line of the poem by Nikoloz Baratashvili is as follows: "Whose voice is this, of wondrous dereliction?" There is no doubt that there is a coincidence between these two poems, not in poetic vocabulary, but in terms of concepts. Erlkonig by Goethe is a precursor of a transition to Romanticism and the position of the Father bears signs of rationalism characteristic of the Enlightenment, as he seemingly explains his son's mysterious questions by referring to natural events, obviously counterposing Rationalism and Romanticism, reason and imagination, sensitiveness. It is noteworthy that in both poems, what cannot be explained by rationalism characteristic of the Enlightenment is presented by means of sounds – voice. It is a poem that according to the laws of Romanticism, obviously shows mysticism, the desire to cognize the world by means of esoteric knowledge, and the sentiment of facing this world alone on the one hand and on the other, is linked to the stage of human development, when humans start cognizing and recollect the past – their childhood – as paradise ("As soon as I saw the light of day, / I left my birthplace and went away. / The locale where time went in splendid grace / Among youth's peers and friends: I left that place."). In this poem, we encounter lines, where Baratashvili mentions the notion of 'voice of conscience': "Since then a certain

voice puts in the shade / The intentions and longings of which I'm made!.. / This strange voice I hear— Could it be, / The voice my strict conscience imposes on me?" It will also become clear that the 'voice of conscience' is the same as super ego. Like the positions of the Erlkonig and the Father in Erlkonig, it is temptation and taboo that are opposed, which brings us to the complex of castration on the one hand and to super ego on the other. Exactly this leads to the complex of castration on the one hand and to super ego on the other. Such an aspiration towards freedom was manifested in Baratashvili's inclination to passing the time and, at the same time, in poetry as an arena for the implementation of his subdued fantasies, because in Romanticism, subdued fantasies become visible as phantoms. Erlkonig is the same as the child's father, a different feature of the father existing in the child's imagination. He is its projection.

It is necessary to mention that the following lines from this autobiographical poem are very much influenced by Tatiana's letter from Pushkin's 'Eugene Onegin': "Are you my angel, my guardian guide? / Or a tempting devil, from which to hide? / Whoever you are, tell me what lies in store. / What do you hold for me, at my life's core? / When shall I know your mystery there? / When in this life shall I get my share?" In 'Eugene Onegin' we read: "Come you? As guardian angel good, / Or tempter in some wily mood? / O speak, and set my doubts at rest! / What if all this should prove at best/ The empty dream, more light than froth, / Of a heart simple and untried?" Even semantically, these lines are almost identical, especially in Georgian version of Pushkin's poem, translated by Futurist poet Grigol Tsetskhladze. But the most important thing is that Pushkin's lines mentioned above implies Jean Jacques Rousseau's 'Julie or the new Heloise' and Samuel Richardson's 'Pamela' (the image of the 'guardian angel' is connected to Grandison from Samuel Richardson's novel 'The History of Sir Charles Grandison', while the image of the tempter is linked to the character of Lovelace from Richardson's novel 'Clarissa'). But Pushkin and Baratashvili go their own ways: Pushkin talks about the romantic attitude from the 18<sup>th</sup> century woman's point of view – 'preference of feelings over thinking', as Yuri Lotman says. In Baratashvili's case, this attitude brings him together with Byron's approach to existential questions. This is a dim allusion to the motive that was particularly widespread in the literature of that time – a meeting with Lucifer like in Faust by Goethe and Cain by Byron. It has been noted that humans always aspire to understand the reality that is beyond their feelings, trying to reach the world beyond the world of events. This world beyond feelings is, at the same time, their own ego and the desire to go deep into it.

This motif becomes more visible in Baratashvili's 'Merani', where overcoming 'the bounds that fate decreed' means to go beyond the givenness marked

with social, political and other factors. All this is connected with the problem of potentiality in Romanticism thought. Humans have certain potential from the very beginning, but conditions around them need to support them in using the potentials. Crossing the line of restrictions means to be a standard-bearer. Exactly these kinds of personalities were thinkers, artists as well as politicians in the age of Romanticism. And their self-sacrifice for a certain idea turns into the norm for successive generations, like the norms of human rights defense. They proved that crossing the line of limitations is possible, and it brings on many changes in social life. Thus, going 'beyond the fate' means to move from the world of conventionality to the realm of timelessness.

Total self-sacrifice and commitment to the idea of freedom pair 'Merani' with Adam Mickiewicz's 'Pharis' as well as Byron's poetry, especially his 'Euthanasia': "No band of friends or heirs be there, / To weep, or wish, the coming blow: / No maiden, with dishevelled hair, / To feel, or feign, decorous woe." Cf. Baratashvili's lines: "Instead of tears of love, I will be mourned by every morning dew, / I won't hear my family crying, just a griffon caw or two!"

A link could be discovered between the lines of Baratashvili's 'Chinar' and Gerard de Nerval's 'Golden Lines' in terms of belief in sentience of every creature. Nikoloz Baratashvili writes: "Among the ageless and the soulless, I trust there is a secret tongue, / In a language more alive is the song in which they're sung!" (Baratashvili). Gerard de Nerval puts: "All is sentient! Has power over your being." Both poems presumably have the same source: Pythagoras's expression being the epigraph of de Nerval's poem: 'Well, then! All is sentient!' as well as Empedocle's words: 'all things have intelligence and a share of thought.'

Among Baratashvili's influences, the name of Solomon Dodashvili, his teacher, philosopher, journalist, historian, grammarian, belletrist and enlightener, should be mentioned. In one of Baratashvili's letters to his friend Mikheil Tumanishvili, the poet mentions Astra. In Georgian literary criticism the word was understood as a metaphor for the poet's sweetheart/paramour Delphina Labielle, a French maid, who moved to Georgia. They say that it was the title of his lost poem dedicated to his lover. But if we take into account the poet's admiration for his teacher Solomon Dodashvili (who obviously was connected to progressive, Masonic circles of Russia), the word Astra (Star Maiden) should be understood as the reference to Astrea, a masonic order established in St. Petersburg in 1770s. This assumption is strengthened by the context of the letter. Baratashvili writes: "Astra. Brilliant! But it seems it won't succeed. This invisible Astra is a secret of the poet. He wrote it neither for you nor for the society; he wrote it for Her only. She understands it and is happy with it. We know only the meaning of the word 'Astra': it comes from French 'Astre', which in Georgian means, my friend,



Morning Star.” These words made some critics think that Astra could be a concrete person. But if we take into consideration the poetics and hermetic features of masonic poetry, and recall ‘Love’ by F. Dmitriev-Mamonov, or ‘Dear’ by I. Bogdanovic, influenced by Lafontaine’s ‘The Loves of Cupid and Psyche’, it would immediately become clear that the poetry was filled with hermetic symbols, which could not be reduced to conventional allegories referring to a woman. The symbol of Astrea became ultimately popular in Russian masonry and the grand lodge in Russia bore its name. The original myth was about the Goddess of Justice also called Astrea, insulted by human injustice, who left the Earth. Her return will mark a return to the ideal world. The symbolism of Astrea, obviously concealed from profanes (Cf. Baratashvili’s words: ‘He wrote it neither for you nor for the society.’), was especially popular with the Russian poets of 18<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> centuries. The hero of this poetry is ‘a man in general’, trying to understand the truth and to improve, to educate himself, to find in himself higher inner strengths and feelings. Hence, the recurring allegory of a traveler, wanderer, going through trials and understanding of the world to the absolute truth. One might recall lines from Baratashvili’s untitled poem ‘The morning star rose in the east’: “The morning star rose in the east, as the sun, it was bright / And cleaned the clouds from the sky with just a little light. /With the threat of thunder gone, my petty heart did not wait / To lighten and shed all its blackened thoughts of dark fate! / You appeared to me then, who lights my life – Is that so?” / Will you send out a ray of relief to my heart — let me know / Will you waken again the pains in my heart I have muted /And bring back the lost days of rapture to which you are suited? / If so, come and lighten, cover me with your miracle light, / And make again my dreadful sky clean and bright!”

The first lodge of Astrea was established in St. Petersburg, in 1775 and was closed in 1776. In 1815 the most influential lodge of ‘Astrea’ was founded again in St. Petersburg on the model of the Grand Lodge of England and along with other secret organizations was officially dismissed in 1822.

## KAKHABER LORIA

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### Neoromanticism in Vasil Barnov's Creative Activity

In spite of the fact that Vasil Barnov's prose has always attracted the attention of literary critics it cannot be stated that all the significant aspects of great Georgian writer's literary legacy have been fully addressed. It is also to be mentioned that during certain period of XX century there used to be a fair tendency of applying the term realism to Barnov as novelist which mostly resulted in simplified understanding of his such complicated and multicoloured creative activity. There does not exist a common perception of his works and his literary style even today. Therefore, any post-soviet reinterpretation of his prose being free of any ideological clichés are to be welcomed.

**Key words:** Neoromanticism; Modernism; Symbolism; Modern Georgian literature; European literature.

## კახაბერ ლორია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნეორომანტიზმი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში

მიუხედავად იმისა, რომ ვასილ ბარნოვის პროზა ყოველთვის იზიდავდა ლიტერატურათმცოდნეთა ფართო წრეებს, არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დიდი ქართველი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველა ასპექტი ამომწურავადაა შესწავლილი. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის გარკვეულ პერიოდში ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში არსებობდა ბარნოვის ცალსახად (ან უპირატესად მაინც) რეალისტ მწერლად წარმოჩენის საკმაოდ დაუფარავი ტენდენცია, რაც ზოგჯერ ძალაუწებურად იწვევდა ცნობილი პროზაიკოსის უაღრესად რთული და მრავალფეროვანი შემოქმედების ხელოვნურად გამარტივებულ წაკითხვას. ბარნოვის შემოქმედების თაობაზე და მის კუთვნილებაზე ამა თუ იმ ლიტერატურული სკოლისა თუ მიმართულებისადმი ერთიანი აზრი არც ახლა არსებობს, თუმცა, იმავდროულად, უთუოდ მისასაღებელია ბარნოვის პროზის რეინტერპრეტირების პოსტ-საბჭოთა პერიოდში გამოვლენილი, ან უკვე წინასწარი

იდეოლოგიური კლიშეებიდან თავისუფალი, ყოველი მცდელობა.

რეინტერპრეტირების ჭრილში უნდა იყოს განხილული ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართება ნეორომანტიზმთანაც, მიმართულებასთან რომელმაც ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს იჩინა თავი და რომელიც, თუ კიტა აბაშიძის ცნობილ ფორმულირებას გავიზიარებთ, „რეალიზმისა და რომანტიზმის საუკეთესო თვისებების შემრჩევა“. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთათვის ნეორომანტიზმი მაინც რჩება არცთუ მთლად მკაფიო ლიტერატურატმცოდნეობით და კულტუროლოგიურ ტერმინად და მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასაც შესაძლოა წავანყდეო, იგი უთუოდ გულისხმობს კლასიკური რომანტიზმის ერთგვარ განახლებას, მის რეტროს, მასთან ერთგვარ უკან დაბრუნებას, თუმცა, იმავდროულად, უკვე სულ სხვა ქრონოლოგიურ, ისტორიულ-კულტურულ და, თუნდაც, ფსიქოლოგიურ კონტექსტში. ვასილ ბარნოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია როგორც კლასიკური, ისე განახლებული რომანტიზმისათვის ესოდენ საგულისხმო არაერთი ნიშანი. მათ შორისაა ისტორიული წარსულისადმი გამძაფრებული ინტერესი და ამ წარსულში ჰეროიკული განზომილების შეტანა, ან თუნდაც მოძიება-აღმოჩენა. მწერალი შეგნებულად მიმართავს ენის სტილიზირებას და არქაიზებას, იყენებს ძველ სალიტერატურო ენასთან მაქსიმალურად მიმსგავსებულ ფორმებს. ბარნოვის ნაწარმოებებში სრულიად აშკარაა ღრმა მისტიკური შრეები, რომლითაც საზრდოობს მისი ფილოსოფიური შეხედულებები. სიყვარულის თემა, უფრო ზუსტად კი ამ თემის კლასიკური და განახლებული რომანტიზმისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ინტერპრეტირება, შეიძლება ითქვას, ბარნოვის შემოქმედების ქვაკუთხედი. სიყვარული გვევლინება არამარტო სულიერად ამამაღლებელ ძალად, არამედ მართლაც რომ დაუოკებელ სტიქიად, ირაციონალურ ფენომენად, რომლის წინაშე ყველა და ყველაფერი უძლურია...

კიტა აბაშიძის აზრით, ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ნეორომანტიზმის ელემენტები უკვე ილიას ნაწარმოებებში ჩანს, “ხოლო განმტკიცება და დამკვიდრება ნეორომანტიზმისა, სრულიად ახალ საფუძველზედ მისი აღმოცენება ყაზბეგს ეკუთვნის, რომელმაც დიდებულად შეასრულა როლი ახალი მიმართულების შემომღებისა.” (აბაშიძე 1970: 2). როგორც ცნობილია, კიტა აბაშიძემ მეოცე საუკუნის დასაწყისში მოგვცა წინა ასწლეულის ქართული მწერლობის მეცნიერულად სისტემატიზირების ძალიან საინტერესო მცდელობა ფრანგი ლიტერატორის ბრიუნეტეის თეორიაზე დაყრდნობით. თავის მხრივ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ნეორომანტიზმის და სხვა იმდროინდელი ევროპული სკოლებისა თუ მიმართულებების აღ-

მოჩენა ამ უნიჭიერეს ქართველ ლიტერატორს უფრო შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისადმი განაწყობდა: „თუ დაუკვირდებით ჩვენის ლიტერატურის მსვლელობას, ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას: იქაც საუკუნე რომანტიზმით დაიწყო, საუკუნის ნახევარში რეალიზმი გამეფდა, რომელიც 1870-იან წლებში ნატურალიზმად გადაგვარდა; ხოლო საუკუნის დამლევს გამეფდა ნეო-რომანტიზმი და სიმბოლიზმი. ეს ფაქტი გვიმტკიცებს მეორე ლიტერატურულ კანონს, რომელიც გვამცნო იმავე ბრიუნეტიერმა ერთ-ერთ თავის წერილში: არსებობს საერთო “ევროპის ლიტერატურა”, ამ ლიტერატურის ესა თუ ის საერთო მიმართულება, ხოლო სხვადასხვა ერის, ქვეყნის ლიტერატურა ამ საერთო ლიტერატურის და მისი საერთო მიმართულების კერძო, თავისებური გამომსახველიაო. ამა თუ იმ ხანაში ერთი და იგივე სტილი, ერთი და იგივე იდეალი ასულდგმულებს მთლად მთელის ევროპის ლიტერატურას, და, კერძოდ, ამ ევროპის ლიტერატურის შემადგენელ წევრებსაო. მაგ., რომანტიზმი არსებობდა ევროპაში XIX საუკუნის დამდეგში, იგი იყო ერთიანად” ევროპული ლიტერატურის” მიმართულების გამომსახველი. ხოლო ამავე მიმართულების თავისებურად გამომსახველი იყო ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და თვით ჩვენი ქართული ლიტერატურაც. ამ კანონს ექვემდებარება მთლად ჩვენი ლიტერატურა XIX საუკუნისა.” (აბაშიძე 1970: 6)

მიუხედავად იმისა, რომ კიტა აბაშიძის შეხედულებები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ყველა ზემოხსენებული სკოლისა და მიმართულების არსებობის თაობაზე საყოველთაოდ მაინც არაა გაზიარებული, მთავარი აქ ქართული ლიტერატურის როგორც “ევროპული ლიტერატურის” ორგანული და განუყოფელი ნაწილის მოაზრებაა. და თუ ვინმეს, ვინც ქართულ ლიტერატურას ევროპული ლიტერატურის ნაწილად მიიჩნევს, ეჭვი ეპარება ამა თუ იმ ევროპული მიმდინარეობის ქართულ სინამდვილეში უკვე მეცხრამეტე საუკუნეშივე გამოვლენაში, მისთვის იგივე მოულოდნელი ნამდვილად აღარ უნდა იყოს მეოცე საუკუნის დასაწყისსა და პირველ ნახევარში მაინც.

ტერმინი ნეორომანტიზმი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს წარმოიშვა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ნეორომანტიზმს ზოგიერთი მკვლევარი (მაგ. ვლადიმერ ლუკოვი მონოგრაფიაში “ფრანგული ნეორომანტიზმი”, 2009 წ.) განიხილავს არამარტო როგორც გარკვეულ ლიტერატურულ მიმდინარეობას, არამე და სევე როგორც ფართო და მრავალფეროვან, ძირითადად ანტიპოზიტივისტურ, მხატვრულ-ლიტერატურულ მოძრაობას, რომელმაც ზურგი აქცია რეალიზმს (და, რა თქმა უნდა, ნატურალიზმს) და ხშირ

შემთხვევაში უკიდურესად დაუპირისპირდა კიდევ მას. ნეორომანტიზმის ამ ძალზე საყურადღებო, ფართომასშტაბური გაგების მიხედვით ხსენებულ ლიტერატურულ მოძრაობაში შეიძლება ასევე მოიხსენიებოდეს სიმბოლისტური, იმპრესიონისტული და სხვა ტენდენციები. ასე, მაგალითად, ფრანგულ ნეორომანტიზმზე საუბრისას ვლ. ლუკოვი აღნიშნავს: “ნეორომანტიკული მოძრაობის პანორამამ აჩვენა იდეათა, სახეთა, ფორმათა მრავალფეროვნება, შეერთება საპირისპირო პრინციპებისა, სხვადასხვა მხატვრული სისტემებისა (სიმბოლიზმი, ესთეტიზმი, იმპრესიონიზმი და ა.შ.), წამოწევა სხვადასხვა პერსონალური მოდელებისა (ვერლენის, რემბოს, მალარმეს, დე კოსტერის, ვერჰარნის, მეტერლინკის, ჰიუისმანსის, კლოდელის, ვერნის, როლანის და სხვათა)” (ლუკოვი 2009: 97). იმავედროულად მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს, რომ “ნეორომანტიზმი არაა ერთგვაროვანი: ყოველ ქვეყანაში, სადაც ის დამკვიდრდა, მან სპეციფიკური ნიშნები შეიძინა” (ლუკოვი 2009: 95). ანუ ნეორომანტიზმს, მრავალი თვალსაზრისით, თავისი სხვადასხვა გამოვლინება აქვს. ვფიქრობ, რომ ყოველივე ზემოხსენებული უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ქართულ ნეორომანტიზმზე ვსაუბრობთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიტა აბაშიძის აზრით, ნეორომანტიზმი „რეალიზმისა და რომანტიზმის საუკეთესო თვისებების შემრჩევა“. ეს ფორმულირება, ვფიქრობ, საუკეთესოდ მიესადაგება ალექსანდრე ყაზბეგის პროზას. უფრო მეტიც, იგი თითქოსდა საგანგებოდ მორგებულიც კია “ხევის ბეთჰოვენის” შემოქმედებაზე, რომელიც მიაჩნია კიდევ კიტა აბაშიძეს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ნეორომანტიზმის ყველაზე წარმატებულ გამოვლინებად. “მხოლოდ მისი დიდის ნიჭის ბრალია, რომ უდროოდ დროის რომანტიზმი დაამკვიდრა ლიტერატურაში და მოსაწონიც გახადა. ამაში ხელს უწყობდა მას ისიც, რომ ფსიქოლოგიური ელემენტი შეიტანა მოთხრობაში და ამით თანამედროვე მოთხოვნილება და გემო დაამკვიდრა...” - წერს კ. აბაშიძე ყაზბეგის შესახებ. ცოტა მოგვიანებით კი შენიშნავს: “ყაზბეგი დიდს დაკვირვების ნიჭს იჩენს სინამდვილისას და ამ მხრით იგი რეალისტ მწერალთა საუკეთესო მანერასაც ითვისებს: მას გასაოცარის გამჭრიახობითა აქვს გათვალისწინებული და დასურათებული უცხო ძალის შეჭრა საერო ცხოვრებაში – ორი ძალის სასტიკი და შეურეგებელი ბრძოლა, რომელიც ინვესს ერთის მხრისგან ბარბაროსულ მოქმედებას, ხოლო მეორეს მხრისგან გმირულ თავგანწირულებით აღსავსე წინააღმდეგობას“ (აბაშიძე 1970: 144).

მართლაც, ყაზბეგთან, გარკვეული თვალსაზრისით, რეალისტური ტენდენცია იმდენად თვალისმომჭრელია, რომ არაერთ მკვლევარს

უადვილებს მცდელობას, თავი აარიდოს ლიტერატურათმცოდნეობით სიღრმეებში შესვლას ყაზბეგის შემოქმედების ანალიზისას და მწერალი მაინც მეცხრამეტე საუკუნის ქართული ტრადიციული რეალისტური სკოლის (თუნდაც ოდნავ დაგვიანებულ) წარმომადგენლად გამოაცხადოს. არადა, კიტა აბაშიძის შეხედულებას რომ თავი დავანებოთ, ცნობილია, რომ კონსტანტინე გამსახურდია ალექსანდრე ყაზბეგს მსოფლიო მნიშვნელობის ნეორომანტიკოსისა და მოდერნისტის- კნუტ ჰამსუნის გვერდით განიხილავდა, რაც კარგად ჩანს მის შესანიშნავ ესსეში- “ეტიუდი კნუტ ჰამსუნის”. აქ, ჰამსუნის შემოქმედებასთან მიმართებაში, კ. გამსახურდია საუბრობს სიყვარულის ფენომენზე ალექსანდრე ყაზბეგთან. გარდა ამისა, შესანიშნავი ქართველი ლიტერატორის- მიხეილ კვესელავას წერილში („მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში“, საუნჯე. 1/1980). კნუტ ჰამსუნის შესახებ ისიცაა დადასტურებული, რომ კერძო საუბრისას იგივე კ. გამსახურდია კნუტ ჰამსუნს ნორვეგიელ სანდრო ყაზბეგად მოიხსენებდა, ცხადია არა ამ უკანასკნელის რეალისტური სკოლისადმი “კუთვნილების” გამო. ასე, რომ ნეორომანტიზმი (თუ მოდერნიზმიც არა) და ყაზბეგი ერთ სიბრტყეში მხოლოდ კიტა აბაშიძეს როდი დაუნახავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნეორომანტიზმის დამამკვიდრებლად კიტა აბაშიძე თავის “ეტიუდების” წინასიტყვაობაში, ყაზბეგის თხზულებების გვერდით, ვაჟა-ფშაველას თხზულებებსაც ასახელებს, თუმცა იქვე მომენტალურად იხსენიებს ვაჟას “ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმის მეთაურად” (აბაშიძე 1970: 6).

ჩემი აზრით, ქართულ ლიტერატურაში ვასილ ბარნოვი პირდაპირ თუ არაპირდაპირ სწორედაც რომ ალექსანდრე ყაზბეგის (და, გარკვეულწილად ასევე ვაჟა-ფშაველას) ზემოხსენებულ ხაზს აგრძელებს. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ შესანიშნავი ქართველი მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის ოთარ ჩხეიძის მოსაზრება ვაჟასა და ბარნოვის შესახებ, რომელიც, ვფიქრობ, ასევე წარმატებით შეიძლება გავრცელდეს ყაზბეგის შემოქმედებაზეც: „[ვაჟას და ბარნოვს] ისეთი მკაცრი იერიში არ მიუტანიათ კლასიკური რეალიზმის წინააღმდეგა, ხელი არ ახლეს კომპოზიციასა, [...] მაგრამ განერიდნენ ტიპიზაციას ხასიათებისა და აღადგინეს გმირული ხასიათი, ძლიერი ხასიათი, ძლიერი პიროვნება, შეურყეველი ბუნების პიროვნება აღადგინეს“ (ჩხეიძე 1986: 302). ჩემი გადასახედიდან, აქ სწორედ მსოფლიო რომანტიზმისათვის აგრერიგად უეჭველი იმ მახასიათებლებისაღდგენა-განახლებაზეა საუბარი, რომელთა ერთგვარი მიჩქმალვა ან, როგორც მინიმუმ, მეორეხარისხოვან პლანზე გადატანა საზოგადო ნიშანია კლასიკური რეალიზმისა. ხსენებული ტენდენცია კი ტიპიურ ხასიათებზე უარის თქმისა და მათ მაგივრად ლიტერატურაში ჰეროიკული განზომილების

შემოტანა-დაბრუნებისა ასევე უეჭველად მეტყველებს ნეორომანტიზმის შემოსვლასა და დამკვიდრებაზე ქართულ მწერლობაში.

ვასილ ბარნოვთან ჰეროიზმი უშუალოდაა გადაჯვავებული წარსულის მხატვრულ გააზრებასთან. ძნელია არ დაეთანხმო ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომლის აზრითაც “ვ. ბარნოვის შემოქმედებითი ღვანლი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში წარსულის ამსახველმა ნაწარმოებებმა განსაზღვრეს. მიუხედავად იმისა, რომ მას არც თავისი დროის ეპოქალური სინამდვილის მხატვრული წარმოსახვისათვის აუვლია გვერდი, იგი უწინარესად მაინც გარდასული დროების მხატვარია.” (ნიკოლეიშვილი 2002: 26). მართლაც, ვასილ ბარნოვის ის ნაწარმოებები, რომელთა გარეშეც დღეს უკვე წარმოუდგენელია ქართული პროზა, მჭიდრო კავშირშია ისტორიულ თემატიკასთან. საქართველოს წარსულის უმნიშვნელოვანეს ქარტეხილებთან. სერგი ჭილაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, “ვ. ბარნოვი ცოცხალი მხატვარი იყო ჩვენი წარსულისა, მსგავსად ქართლის ცხოვრების მემატიანეებისა, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა, მიჰყვებოდა ერის ისტორიას დასაბამიდან ჩვენს ეპოქამდე” (ჭილაია 1972: 157). მაგრამ ისტორიაში ბარნოვს თითქმის ყოველთვის იზიდავს სწორედ ის ხსენებული „გმირული ხასიათი, ძლიერი ხასიათი, ძლიერი პიროვნება“. დიდი ქართველი მწერლისთვის თვითმიზანს სულაც არ წარმოადგენს წარსულის ფაქტებისა თუ მოვლენების მხოლოდ გაცოცხლება და თანაც მისი ზედმიწევნითი ემპირიული სიზუსტით, არამედ მას ამ ფაქტებისა თუ მოვლენების ჰეროიკულ და ტრაგიკულ პრიზმაში დანახვა იზიდავს. ამ მხრივ, მისი დამოკიდებულება და ინტერესი ისტორიისა თუ ისტორიული ფიგურების მიმართ მკვეთრად (ნეო)რომანტიკულია. იმავდროულად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბარნოვის ისტორიული პროზა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეროვნული თვითშეგნების აღზრდასა და შემდგომ განმტკიცებას ემსახურება. გამომდინარე თუნდაც ამ უაღრესად კეთილშობილური მიზნიდან, წარსულის (ერთგვარი) იდეალიზირების რომანტიკული ტენდენციაც საკმაოდ ბუნებრივი და დამახასიათებელია ბარნოვის შემოქმედებისათვის.

ბარნოვის ისტორიული პროზა, იმავდროულად, უაღრესად ფილოსოფიური პროზაა და, ჩემი აზრით, ეს არის მისი უეჭველი და ძალზე დასაფასებელი ღირსება. უნდა აუცილებლად დავეთანხმოთ ვიოლეტა ცისკარიძეს, რომ ეს ფილოსოფიური ხასიათი არის ამოსავალი წერტილი ბარნოვის შემოქმედების გასაგებად: “სხვანაირად ბარნოვის გაგება შეუძლებელია [...] ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები, ისე როგორც მისი მთელი მხატვრული შემოქმედება, ერთ მიზანს ემსახურება: წარმოადგინოს კეთილსა და ბოროტს შორის საბედისწერო ბრძოლა

საუკუნეთა მანძილზე და დაასაბუთოს კეთილის მორალური ტრიუმფი. [...] ამ ტენდენციის გახსნას ძირითადად ემსახურება ორი მოვლენა, ორი უდიდესი ადამიანური სიკეთე – სიყვარული ვინრო გაგებით, ე.ი. სიყვარული ქალ-ვაჟს შორის და სიყვარული ფართო გაგებით – სამშობლოს სიყვარული. ორივე შემთხვევაში სიყვარული, როგორც სიკეთე, როგორც ღვთაებრივი ძალა წინ აღუდგება ყოველივე ბოროტს.” (ცისკარიძე 1972: 233-234).

მიუხედავად იმისა, რომ ბარნოვის გმირები კონკრეტულ თხზულებებში“ ერთი, სავსებით კონკრეტიზებული ბოროტების მსხვერპლნი თუ მის წინააღმდეგ მებრძოლნი არიან”, მწერალი არცთუ იშვიათად ცდილობს ბოროტების ცნების განზოგადებას და, შესაბამისად, ხატავს “ზოგადად ტანჯული” პიროვნების სახესაც (ცისკარიძე 1972: 152). მიხაკო, შესანიშნავი მოთხრობიდან “ტკბილი დუდუკი”, ჩემი აზრითაც, უდავოდ ამგვარი, საერთო-ადამიანური ხასიათის სევდის მატარებელი პერსონაჟია. ვიოლეტა ცისკარიძეს ლიტერატურათმცოდნის მომადლებული ალლოთი აქვს შემჩნეული თუ როგორ ეთხოვება დათიკო მიხაკოს: “მის განუსაზღვრელ ტანჯვას ვეამბორე, იმ გამოუთქმელ მსოფლიო სევდას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი არსი და რომელიც უღმობელის ძლიერებით საცნაურქმნილიყო ან ბედშავი მეგობრის გულში.” მაგრამ მიხაკოს ეს სევდა, “მსოფლიო სევდა”, “განუსაზღვრელი ტანჯვა”, ჩემი გადასახედიდან, იმავდროულად (ნეო) რომანტიკოსების შემოქმედებისათვის აგრერიგად ნაცნობი და დამახასიათებელი ფენომენია, რომელზეც ყურადღების გამახვილება ლიტერატურულ პროცესში ბარნოვის ადგილის განსაზღვრას მნიშვნელოვნად გააადვილებს.

რაც შეეხება სიყვარულს, მას, საზოგადოდ, ვასილ ბარნოვთან ღრმა მისტიკური გაგება ახასიათებს. სრულიად ცალსახაა, რომ სიყვარული მწერლისთვის ამ ცხოვრებაში ღვთაებრივი სანყისის უტყუარ გამოვლინებას წარმოადგენს. ბარნოვის აზრით, “ნათელი ღმერთი თავის მოქმედებაში სიყვარულია უსაზღვრო, უძლეველი და სამარადისო”. ამ სიტყვებში ძნელი არაა ამოიკითხო სიყვარულის ტრადიციული ქრისტიანული გაგება. რაც შეეხება სიყვარულს ქალსა და კაცს შორის, ის ბარნოვთან“ არამარტო ამალლებისა და სრულქმნის, არამედ, მარადიულობასთან ზიარების საშუალებააა [...]” (გომართელი 1997: 76). ამირან გომართელს მიაჩნია, რომ ბარნოვთან ჭეშმარიტი ღვთაებრიობის მიღწევა, იგივე ღვთის ხატების აღდგენა მაშინ ხდება, როდესაც ერთმანეთისთვის შექმნილი, ე.წ. “მოცალე” სულები ხვდებიან ერთმანეთს. მკვლევარის აზრით, ბარნოვი რომანში “დედოფალი ბიზანტიისა” სწორედ ამგვარ მოცალეობაზე საუბრობს: “მიჯნურნი მთლიან



ერთარსებას წარმოადგენენ ქვეყანად ჩენამდინ. იყოფიან განკაცების უამს ქალად და ვაჟად. ცხოვრებაში იგი ორი ნახევარი ეძებს ერთმანეთს [...]” (ბარნოვი 1963: 183).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უკვე აღარაა გასაკვირი, რომ დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებაში ორი “მოცალე” ნახევარის ერთმანეთისადმი ლტოლვას ვნების განსაკუთრებული სიმძაფრე ახასიათებს. სწორედ ამით აიხსნება ის, რაც, მეტნაკლებად, უკვე ადრევე აღვნიშნე: სიყვარული ბარნოვთან, ისე როგორც საზოგადოდ რომანტიკოსებთან და ნეორომატიკოსებთან, გვევლინება არამარტო სულიერად ამამაღლებელ ძალად, არამედ მართლაც რომ სრულიად უმართავ, დაუოკებელ სტიქიად, ჭეშმარიტად ირაციონალურ მოვლენად, ფენომენად რომლის წინაშე ყველა და ყველაფერი უძლურია. “სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?... ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს? შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს, და ბუღბულსა რად ეზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!” – ჯერ კიდევ როდის ბრძანა ქართული კლასიკური რომანტიზმის ერთ-ერთმა მშვენიერმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ. ეს ამონარიდი პოეტის შესანიშნავი ლექსიდან აქ შემთხვევით არ მომიტანია. ჩემი აზრით, ბარნოვთან ამკარაა სიყვარულის თემის კლასიკური და განახლებული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ნაკითხვა, რითაც ახალ და უახლეს ქართულ ლიტერატურაში ბარნოვის შემოქმედება, ჩემი გადასახედიდან, ყველაზე უფრო ალექსანდრე ყაზბეგის პროზას ენათესავება.

ვასილ ბარნოვის მიხედვით, სიყვარულზე უარის თქმა, მასთან დაპირისპირება ან შეყვარებული წყვილებისათვის მათი ბედნიერების გზაზე რაიმე ფორმით წინააღმდეგობის შექმნა დიდი და გარდაუვალი კატასტროფის წინაპირობაა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბარნოვის პროზის შინაგანი ლოგიკიდან და მწერლის ფილოსოფიიდან გამომდინარე, ასეთი ქმედება ღვთის ნების წინააღმდეგ ნასვლას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ამგვარ ქმედებას ერთგვარი ჯაჭვური განვითარებაც შეიძლება ახასიათებდეს და ახალი ბოროტების საწყისად იქცეს. ასე, მაგალითად, შესანიშნავ რომანში “ტრფობა ნამებული” გრიგოლის მიერ თებრონიას (და, კაცმა რომ თქვას, ასევე საკუთარი) გრძნობის უარყოფა, არამხოლოდ თებრონიას გაბოროტებასა და სხვისი ბედნიერებისადმი გაუცნობიერებელ მოშურნეობას იწვევს. სიყვარულის უარყოფის ეს ფაქტი შემდგომში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ხდება მონაზონი ქალის მხრიდან ამოტისა და შუქიას ამაღლებული, წრფელი სიყვარულისადმი დაპირისპირების წინაპირობად. ყოველივე კი შემზარავი ტრაგედიით მთავრდება, რომლის ბოლოსაც დამარცხებ-

ულთა შორის (ყოველ შემთხვევაში მორალური თვალსაზრისით დამარცხებულითა შორის მაინც) გრიგოლი და თებრონიაც უნდა მოვიაზროთ.

სხვათაშორის, ვასილ ბარნოვი უაღრესად თამამ პოზიციებზე დგას, როდესაც საქმე “ნაკურთხ სიყვარულს” ეხება. “ტრფობა ნამებულში” ცალსახადაა ნათქვამი, რომ შუქიასა და აშოტის ურთიერთობა არაა სიძვა, არამედ ნაკურთხია ღვთისაგან, ვინაიდან, ყველაფრისა და მიუხედავად, მათ შორის ქმშარიტი სიყვარულია, სიყვარული კი ბარნოვთან ღვთაებრივის გამოვლინებაა. საგულისხმოა, რომ ამას არამარტო ნარატორი და მკითხველი აღიქვამს ასე, არამედ ამ აზრზე დგება აშოტის მოძღვარიც, რომელიც კარგად იცნობს საქმის გარემოებას. (და თან ეს ყოველივე მაშინ, როდესაც მეფეს ჯვარდანერილი მეუღლე და თავისი ოჯახი ყავს). მაგრამ, მწერლის მხრიდან საკითხისადმი ეს თავისთავად მართლაც რომ თამამი დამოკიდებულება, რომელიც დღევანდელი მკითხველისათვის შეიძლება უკვე მთლად ისე უცნაურადაც აღარ აღიქმებოდეს, უფრო რადიკალური აზრის სახითაა ჩამოყალიბებული ბარნოვის მეორე უბრწყინვალეს რომანში – “მიმქრალი შარავანდედი”. თხზულების მიხედვით, როგორც მკითხველისთვის ცნობილია, ლევანისა და თინათინის ჯვარდანერილ ურთიერთობაში სიყვარულს ადგილი მაინც არ აქვს (ერთს ლეკის ქალი ლეილ-ყიზი ეყვარება მთელი ცხოვრება, მეორეს გურული თავადი- ნოშრევანი). შესაბამისად, ბარნოვისათვის მათი ქორწინება არც ღვთისგან ნაკურთხია: კახეთის მეფე-დედოფლის თუნდაც ჯვარდანერილი ურთიერთობა, სინამდვილეში, მხოლოდ სიძვაა და სხვა არაფერი. “ნაცვლად მნიკვლთაგან განწმენდილი საიდუმლო კავშირისა, ქალ-ვაჟთ შერჩათ ხელში მხოლოდ სიძვა ხორციელი, ხრწნადი, წარმავალი,” – წერს ვასილ ბარნოვი. თუმცა, ნაწარმოების დასასრულს მწერალი რომანის მთავარ გმირს- თინათინს მაინც ვერ იმეტებს ეშმას გზისათვის და ამისათვის თავისი ფილოსოფიური არსენალიდან ისევ სიყვარულთან დაკავშირებულ არგუმენტაციას იშველიებს: “იტანჯა ფრიად, განიცადა ძალი სიყვარულისა და აღსდგა მასში ხატება ღვთისა!”.

სიყვარული და მშვენიერება ბარნოვთან მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საუბრობს რა ბარნოვის ფილოსოფიური ხასიათის მოთხრობაზე “ძვირფასი თვალი”, ვიოლეტა ცისკარიძე აღნიშნავს: “[ბარნოვთან] მშვენიერება ღვთაებრივი წარმოშობისაა. იგი “ღვთის სახის ანარეკლია”. მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს ამქვეყნიური, მატერიალური სახითაც წარმოგვიდგეს” (ცისკარიძე 1972: 135). და მართლაც, ბარნოვისთვის, ბარათაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, “მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსილი, რომლით ნათდება ყოვლი გრძნობა გული და სული.” უნდა სრულიად დავეთანხმოთ ვ. ცისკარიძეს, რომ

სიყვარული და მშვენიერება ბარნოვთან ერთმანეთს უკავშირდება არა მიზეზ-შედეგობრივად, არამედ როგორც ერთი სანყისის ორი გამოვლინება (ცისკარიძე 1972: 135-136), რასაც რომანიდან “არმაზის მსხვერვეა” მკვლავრის მიერ მოხმობილი ციტატაც კარგად ადასტურებს: “სიყვარული სიმშვენიერეა და თვით ღმერთია ის სიყვარული. სილამაზე ზეციური და ქვეყნიური ორივე ერთი სიყვარულია”.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წრე (წევრები იყვნენ: გიორგი ერისთავი, მ. თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, კონსტ. მამაცაშვილი, გრ. რჩეულიშვილი, ზაქ. ფალავანდიშვილი, ლუკა ისარლოშვილი, ალ. ჩიქოვანი, დავით მაჩაბელი...) აქტიურად იყო ჩართული მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში. პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი გადმოგვცემს: „ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ამხანაგები ნიკოლოზ ბარათაშვილთან“ (მამაცოვი 1881:3). ბარათაშვილს თავისი თანამოაზრეები ხშირად დაჰყავდა თურმე მანანა ორბელიანის

სალონში და ლიტერატურული წრის კრებებსაც მასთან აწყობდა. დიმიტრი ყიფიანი იგონებს, რომ, მ. ორბელიანის მზრუნველი დამოკიდებულების გამო, წრის წევრებმა მადლობის ნიშნად სპეციალურად შედგენილი ალმანახი მიუძღვნეს სალონის მასპინძელს (ყიფიანი 1940: 411). განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისადმი დიდი ინტერესი, რომელიც ნ. ბარათაშვილის წრეში გაღვივდა. მათ გადაწყვიტეს საქართველოს „რიგიანი ისტორიის დანერა. ამ ისტორიის ერთი ნაწილი დაუწერია ნ. ბარათაშვილს. ეს ნაწილი დაკარგულია“ (ლეონიძე 1940: 413).

საგულისხმოა, რომ ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ წრეში, რომელიც, ლუკა ისარლოშვილის მოგონების მიხედვით, მაშინ მანანა ორბელიანის სახლში იყო შეკრებილი, ჩაეყარა საფუძველი ქართული ჟურნალისა და თეატრის დაარსების აზრს, რომელიც პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ განხორციელდა.

1841 წლის 28 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას, გრ. ორბელიანს, გორში ატყობინებდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა: Ромео и Джулиета, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე Юлии Таретский, ტრადედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე განსაჯე, იტირეს“ (ბარათაშვილი 1945: 79).

1774 წელს გერმანელმა მწერალმა და იურისტმა იოჰან ანტონ ლაიზევიცმა (Johann Anton Leisewitz) დანერა და ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“ (Julius von Tarent), რომლის რუსული თარგმანი 1840 წელს დაიბეჭდა ო. სენკოვსკის ჟურნალში „Библиотека для чтения“ (ტ. 43, უცხოეთის მწერლების განყოფილება, გვ. 1-66). როგორც ჩანს, ბარათაშვილი მოიხიბლა ლაიზევიცის ტრაგედიით და გადაწყვიტა, თავადაც ეთარგმნა. მისი თარგმანი, სამწუხაროდ, დაკარგულია. ინფორმაცია მხოლოდ ამ წერილიდან შემოგვრჩა, მაგრამ, როგორც თვითონ წერს: „მე ძალიან მომეწონა“. რახან ასეა, ის ნამდვილად დაინტერესა ტრაგედიაში ლაიზევიცის მიერ შემოთავაზებულმა სულის შემძვრელმა ამბავმა.

მოქმედება ხდება მე-15 საუკუნის ბოლოს იტალიაში. ტარენტის სამთავროს ხელისუფალს ორი ვაჟი ჰყავდა – იულიუსი და გვიდო. იულიუსი მეოცნებე მელანქოლიკი იყო, უყვარდა წიგნის კითხვა, ფიქრი... მას ადრე ეწვია სიყვარული, თავდავიწყებთ შეუყვარდა სულით და ხორციტ მშვენიერი ბლანკა. ბლანკასაც წვაგდა მისი ტრფობის ალი, მაგრამ ამ სიყვარულს ბედნიერება არ ეწერა. გვიდოს ბლანკა მოეწონა და

ძა ძმას გადაედო სიყვარულის გზაზე. სამთავროს მთავარმა ბლანკა მონასტერში გაგზავნა და იულიუსს ახალი საცოლე შეუწერია, მომხიბვლელი ცეცილია... მაგრამ იულიუსის გულში ანთებულმა ბლანკას სიყვარულმა შეუძლებელი შეაძლებინა მიჯნურს – მონასტერში მიიჭრა და ტარენტიდან გაქცევაზე დაითანხმა. ეს შეიტყო გვიდომ, იულიუსმა თავი შეაკლა თავის ძმასა და სიყვარულში მეტოქეს. უმოწყალოდ მოკლული შვილის სარეცელთან ტარენტის მთავარმა სასტიკი განაჩენი გამოუტანა თავის უმცროსს შვილს – გულში ჩაიკრა და მახვილით განგმირა გვიდო.

„იულიუს ტარენტელი“ ბარათაშვილმა თარგმნა მაშინ, როცა თეატრი, ფაქტობრივად, არ არსებობდა, თანაც თარგმნა სცენისთვის განკუთვნილი ნაწარმოები. გარდა ამისა, ქართულ ენაზე არ არსებობდა ბექდური გამოცემები, მასასადამე, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ვერ იქნებოდა. რაც ყველაზე მთავარია, თავისი თარგმანი პოეტმა ლიტერატურულ სალონში წაიკითხა – მაშინ ის სალონი ნამდვილად გადაიქცეოდა თეატრალურ სალონად, რადგანაც დრამატურგიული ნაწარმოების, მით უფრო ტრაგედიის, სხვათათვის წაკითხვა მოითხოვს დიდ შინაგან სულიერ ძალას, ხასიათების წარმოჩენის შესაძლებლობას, ინტონაციის, პაუზის, განწყობილებათა დინამიკურ ცვალებადობას – ღიმილს, გაბრაზებას, ოპონირებას, ყველაფერს, რათა შეძლო მსმენელ-მაცურებლის თვალწინ გააცოცხლო ის, რასაც კითხულობ, სანახაობად აქციო ტრაგედია, მოქმედებად – სიტყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილის არტისტიზმს უნდა მიენეროს ის შედეგი, რომელიც კითხვის პროცესში დამდგარა: განათლებულმა ქალებმა იტირეს! თავადაც შეაფასა საკუთარი თარგმანი და მას „კარგი“ უწოდა. სხვათა შორის, ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ, გიორგი ნადირაძემ, ზუსტად იმ ყურნალიდან თარგმნა ლაიზევიცის ტრაგედია, რომელშიც მას გაეცნო ბარათაშვილი. გამომცემლობა „საბლიტგამმა“ 1958 წელს გამოსცა ეს თარგმანი. გიორგი ნადირაძესვე ეკუთვნის ამ ტრაგედიის განხილვა და, რაც მთავარია, პარალელები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობასთან (ვრცლად იხ. ნადირაძე 1958: 3-20).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ხშირად კითხულობდა შეკრებებზე თავის ლექსებს. მართალია, ამ პერიოდში კრიტიკული აზრი სუბიექტური იყო, რადგან არ არსებობდა ბექდური გამოცემა, რომელიც ერთდროულად ასახავდა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსა და მათს შეფასება-კრიტიკას. თუმცა, დიმიტრი ყიფიანი იგინებს, რომ ბარათაშვილის „მოსასკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი)... ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა, აქ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც



თითოეული გამოსთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას ან უფრო რელიეფურად გამოთქმას“ (ყიფიანი 1940: 410).

რომანტიკოსები ხელოვნების დარგებიდან ყველაზე მაღლა მუსიკას აყენებდნენ. რომანტიზმი მუსიკის კულტის ეპოქაა. სწორედ, მუსიკა იყო ბარათაშვილის ძლიერი გატაცება. მისი ოჯახი მდიდარი ყოფილა მუსიკალური ინსტრუმენტებით: დაირა, დიპლიპიტო, ჭიანური, თარი, სანთური. „ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძალიან უყვარდა“ – იგონებს პოეტის უმცროსი და ბარბარე ვეზირიშვილი. განსხვავებულ ცნობას გვანვდის იონა მეუნარგია, რომელიც ასე ხატავს პოეტის პორტრეტს: „არც ერთი ქორწილი, ღამისთევა, ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველთ საზოგადოებაში, საცა ის არა ყოფილიყო თავ-მომღებნად და შემაქცევრად. ყმანვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლეკურე, მეწონგურე, მეთარე (გრ. რობაქიძისთვის ინსპირაციის წყარო, „თარის ხმა“ ლექციიდან ბარათაშვილზე, დაბეჭდილი ჟურნ. „ფასკუნჯში“, 1, 1919, გვ. 13 – ს.მ.), ქალაღდის გატაცებით მოთამაშე, ყველგან მიმსწრობი, ყველგან შინაური კაცი, ბარათაშვილი შეიქნა საზოგადოების საყვარელ კაცად. საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწევოდა ის, ამბები, ჭორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა“ (მეუნარგია 1945: 27).

პირველი მოცეკვავე იყო საკუთრივ ლეკურისა (მამაცოვი 1881: 3). იონა მეუნარგია წერდა: „სასწავლებელს ჰყავდა „ტანცების“ მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანც-კლასი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი აღდანოვი, რომელიც, სხვათა შორის, ლეკურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი მოლეკურე“ (მეუნარგია 1954: 195). დიმიტრი ყიფიანიც საგანგებოდ გამოყოფს მის ცეკვის ნიჭს და წერს, რომ იყო „შესანიშნავი მოცეკვავე ლეკურისა, რასაც იგი აზრით ჰმოსავდა“ (ყიფიანი 1940: 411). როგორც ვარაუდობენ, სამსახიობო ნათლობა ბარათაშვილს სკოლაში უნდა მიეღო: „ბარათაშვილი სასახიობო კონცერტებში არა მარტო მონაწილეობდა, არამედ მონაფეობის ხანიდან მეთაურობდა სახიობას, იცავდა და ქომაგობდა მას. როდესაც მონაფეთა კონცერტს ზოგი აბრკოლებდა და ზოგიც დასცინოდა, ბარათაშვილს მათ სამხილებლად ლექსი-სატირა დაუნერია, რომელიც ასე იწყებოდა: „კონცერტებში დაგვპატიჟეს, დაგვათვლევინეს ქულები“ (ჯანელიძე 1968: 6).

როგორც ცნობილია, გიორგი ერისთავმა ბარათაშვილი თავის კომედია-პოემა „შეშლილში“ (დანერილია 1838 წ.) ტატოს სახელით მო-

ქმედ პირად გამოიყვანა. ფინალურ სცენაში ზალაში სხედან ქალები და კაცები, ლოტოს თამაშობენ. ამ დროს ქაქანიტ შემოვარდება ტატო. ამ პერსონაჟში დახატულია სწორედ ის ხასიათი, რომლის შესახებაც იონა მეუნარგია წერდა – ჭორების სიყვარული. გიორგი ერისთავიც ასე გვიხასიათებს:

„აი, გიახლათ ჩვენი მეჭორე.  
აბა, რა იცი, გვითხარი სწორე“.  
(ერისთავი 1936: 117)

ოლონდ, „შეშლილში“ მის ნათქვამს არავინ ენდობა.

გ. ერისთავის კომედია „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაიაში“ (დანერ-ილია 1840 წ.) პოეტ ბეგლარის პროტოტიპიც ბარათაშვილია (მდრ. ჯანელიძე 1968: 7-8). ბეგლარი რომანტიკული გმირია, დაფიქრებული, სევდიანი, წუთისოფლის ამაოებასა და წარმავლობაზე ჩაფიქრებული:

გარნალა ვაი, მე ღვთისა ქმნილი,  
ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული,  
ვკვირვობ, რად მომცა გონება, ნება,  
თუ რომ სიკვდილით სულ დასრულდება  
ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი“ (ერისთავი 1936: 148).

პიესის მიხედვით ბეგლარი თავდავიწყებით შეყვარებული პოეტია. მის მონოლოგებსა თუ რეპლიკებში იგრძნობა ბარათაშვილის პოეზიის გავლენა, მისი ლექსიკა აშკარად მიგვანიშნებს სულით ობოლ ტატოზე: „წარვედ, მაცდურო, უგუნურო“... ან „ჩემო სულისა აღმამფოთო და ჩემო ბედო“. ასე გამოიყენა გიორგი ერისთავმა თავის ორ კომედიაში ბარათაშვილის ხასიათი, ასე აქცია იგი თავისი პერსონაჟების პროტოტიპად. ეს ფაქტი იმთავითვე მიუთითებს იმას, თუ რა გავლენა ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილს იმ „მოსაწყენ დროში“, რამდენად სახასიათო და ყურადსაღები იყო მისი პიროვნება რომანტიკულ ეპოქაში. „როგორც სკოლაში, ისე ცხოვრებაში ბარათაშვილი დარჩა მოუსვენარი, ცელქი, დამცინველი“ – გაიხსენებს მოგვიანებით იონა მეუნარგია (მეუნარგია 1945: 31); დიმიტრი ყიფიანი კი ასე შეაფასებს: „მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ართობდა იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას“ (ყიფიანი 1940: 410).

თვისებები, რომელთაც ჩამოთვლიდნენ ბარათაშვილის თანამედროვენი, უთუოდ მოითხოვდა გარდასახვის, შინაგანი არტისტიზმის, თამაშის ხელოვნების ნიჭს. პოეტის პლასტიკა (ქორეოგრაფიული შესაძლებლობანი), მუსიკისადმი სწრაფვა, იუმორის გამახვილებული გრძნობა, ინტრიგათა ხლართვის ხელოვნება, მეტყველი საუბრის მანე-

რა, ხასიათების შექმნის, სხვისი გართობის უნარი მიუთითებს იმას, რომ ის იყო განუხორციელებელი მსახიობი, განცდისა და გარდასახვის ნიჭით დაჯილდოებული, და ეს ყოველივე ქმნიდა მისი ხასიათის კონტურებს, თეატრალურ ხელოვნებასთან მის ბუნებრივ თანაზიარობას. არ არსებობდა შესატყვისი ასპარეზი, არ გვექონდა თეატრი, თორემ ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული სცენის თვითნაბადი ტალანტი იქნებოდა.

მე-19 საუკუნის ქართული რომანტიკული თეატრი ამზადებდა პროფესიული თეატრის განახლების საფუძვლებს. შემთხვევით არ უნოდეს ამ ეტაპს თეატრის „გაევროპიელების“ სამზადისი. კოტე მარჯანიშვილმა თავის „ქართული თეატრის საკითხებში“ ასეთი აზრი გამოთქვა: „ყველაზე დიდმნიშვნელოვანია თეატრის ორიგინალობისათვის ძიება იმ გზებისა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი თეატრი მისი გაევროპიელების დრომდე (1850 წლის 2 იანვრამდე – ს.მ.)“ (მარჯანიშვილი 1924: 199). გიორგი ლეონიძეც ბარათაშვილის ევროპულ მსოფლმხედველობაზე მიუთითებდა: „ბარათაშვილი და მისი წრე იყო მებრძოლი ქართული მწერლობის ევროპეიზაციისათვის და ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ლიტერატურულმა წრემ, რომელსაც მეთაურობდა ბარათაშვილი, პირველმა დააყენა შექსპირის საკითხი ქართულ მწერლობაში“ (ლეონიძე 1940: 413).

## **დამოწმებანი:**

**ბარათაშვილი 1945:** ბარათაშვილი ნ., *თხზულებანი (ლექსები და წერილები)*, წინასიტყვაობის ავტორი გ. ლეონიძე, საიუბილეო გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1945 1945.

**ერისთავი 1936:** ერისთავი გ., *თხზულებანი* (შალვა რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით). ტფილისი: გამომცემლობა „ფედერაცია“, 1936.

**ისარლოვი 1940:** ისარლოვი ლ., (იგივე ლუკა ისარლიშვილი) *მოგონება*. კრებული „ლიტერატურის მატთანე“, 1-2, 1940.

**კოლუაშვილი 2016:** კოლუაშვილი მ., „საკითხავი დრამის“ რეცეფციის საკითხისათვის მე-19 საუკუნის დასავლეთევროპული დრამის თეორიაში. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, 6, 2016.

**ლეონიძე 1940:** ლეონიძე გ., *ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო*. ლიტერატურის მატთანე, ნიგნი 1-2, თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1940.

**ლოტმანი 2013:** ლოტმანი ი., *წრეები და საზოგადოებები*, თარგმანი გ. მარჯანიშვილისა, განთავსებულია 2013 წლიდან, მისამართი: [http://mardjiani.blogspot.com/2013/02/blog-post\\_15.html](http://mardjiani.blogspot.com/2013/02/blog-post_15.html)

**მამაცოვი 1881:** მამაცოვი კ., „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. გაზ. „დროება“, № 206, 1881.

**მარჯანიშვილი 1924:** მარჯანიშვილი კ., *ქართული თეატრის საკითხები*. ჟურნ. „კავკასიონი“, № 1-2, 1924.

**მეუნარგია 1954:** მეუნარგია ი., *ქართველი მწერლები*, ტ. 1, თბილისი: გამომცემლობა „საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1954.

**მეუნარგია 1945:** მეუნარგია ი., *ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა*. თბილისი: გამომცემლობა „საქ. სახ. ტექ. გამომცემლობა“, 1945.

**ნადირაძე 1958:** ნადირაძე გ., *იოჰან ლაიბევიცის „იულიუს ტარენტელი“*, თარგმანი გიორგი ნადირაძისა. თბილისი: გამომცემლობა „საბლიტგამი“, 1958.

**რობაქიძე 1919:** რობაქიძე გრ., „თარის ხმა“ *ლექციიდგან ბარათაშვილზედ*. ჟურნ. „ფასკუნჯი“, № 1, 1919.

**ციფიანი 1940:** ციფიანი დ., *მოგონება ბარათაშვილზე ნიგნში „ლიტერატურის მატთანე“*, ნიგნი 1-2, თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1940.

**ჯანელიძე 1968:** ჯანელიძე დ., ნიკოლოზ ბარათაშვილი და თეატრი. ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, № 3, 1968.

## KETEVAN NADAREISHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### ***The Golden Fleece of Grillparzer in the Context of the Writer's Literary and Aesthetic Outlooks***

Franz Grillparzer never considered his works to belong to any particular school of a literature. Though he openly declared his dislike towards the theorizing of romanticism, his works show close affinities with the spiritual disposition of his epoch, when the romantic world perception reached its height.

The article aims to study Grillparzer's *The Golden Fleece* in the context of the writer's attitude towards romanticism and classicism by analyzing the following issues: a) the degree of determinism and free will in the personages of the play; b) the cornerstone of Grillparzer's interpretation of the myth - West-East opposition; c) the symbolic consideration of the golden fleece.

**Key words:** Romanticism, Medea, Golden Fleece.

## ქეთევან ნადარეიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### გრილპარცერის ტრილოგია „ოქროს საწმისი“ მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ჭრილში

დიდი ავსტრიელი მწერლის ფრანც გრილპარცერის ლიტერატურულ-ესთეტიკური მსოფლხედვა, ის, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნებოდა მისი შემოქმედება, საუკუნეზე მეტია ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენს – განსაკუთრებით საკამათო გახდა კლასიციზმსა და რომანტიზმთან მწერლის მიმართების საკითხი. აჯამებდა რა სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა გავლენას გრილპარცერის შემოქმედებაზე, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი პირველი გამომცემელი ავგუსტ ზაუერი აღნიშნავდა, რომ მწერლის ლიტერატურულ განვითარებაზე სამმა ფაქტორმა იქონია გადამწყვეტი გავლენა – ვენის სახალხო თეატრმა, გერმანულმა კლასიციზმმა და რომანტიზმმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის თეორიულ შეხედულებათა მიმართ დრამატურგი ღიად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას (ზაუერი 1887 I:32). XX საუკუნის დასაწყისში ერჰარდიც წერდა მწერლის შემოქმედებაზე რომანტიზმის გავლენის თაობაზე და ჩამოთვლიდა იმ მახასიათებლებს, რომლებიც გრილპარცერს რომანტიკოსებთან საზიარო ჰქონდა: ეს იყო გულისა და გრძნობებისადმი გრილპარცერის რწმენა; ტანჯვის პოეზიის წყაროდ, პოეზიის შთამაგონებლად გააზრება; მწერლის აქცენტი სიმშვიდის – კვიეტიზმის ფენომენზე, როგორც შემოქმედების საფუძველზე; და გრილპარცერის პიესების ლეიტმოტივი – ცხოვრებისგან განდგომა (ერჰარდი 1910). რომანტიკოსების სახასიათო პესიმისტური განწყობა – ცხოვრების უფსკრულად განხილვა, ერჰარდის კვალდაკვალ, ბერიგერის აზრითაც, დამახასიათებელი იყო გრილპარცერისთვის მისი შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში. მკვლევარის მიხედვით, სიმშვიდის მწერლისეული იდეალი გრილპარცერის შემოქმედებაში მკვეთრად უპირისპირდებოდა ცხოვრების ყოველდღიურ ქაოსს, რაც, საერთო აღიარებით, საზოგადოდ რომანტიზმისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ ტოპოსს წარმოადგენს (ბერიგერი 1928). გრილპარცერის ლიტერატურული მემკვიდრეობის სტრუქტურის მკვლევარი ზაიდლერიც ასევე მოიაზრებდა ორი სამყაროს კონფლიქტს გრილპარცერის მსოფლხედვის მთავარ ასპექტად. ეს ორი სამყარო კი იყო პოეზიის და ცხოვრების, მოქმედებისა და მჭვრეტელობითი განსჯას,

ღვთაებრივი და ადამიანური სამყაროები (ზაიდლერი 1970). სხვები თვლიდნენ, რომ გრილპარცერი არცერთ კონკრეტულ ლიტერატურულ სკოლას არ ეკუთვნოდა. რაიხის აზრით, მის ნაწარმოებებში იდეალისტური შინაარსი რეალისტურ ფორმაშია წარმოდგენილი (რაიჰი 1894). თუმცა, უნდა ითქვას, რომ არსებობდა სრულიად განსხვავებული შეხედულებაც ცხოვრებისადმი მწერლის დამოკიდებულების შესახებ. ასე მაგალითად, ბაკმანის მიხედვით, გრილპარცერი არ გახლდათ განმარტოებით მცხოვრები ადამიანი, არამედ თავისი პერიოდისთვის საკმაოდ აქტიური მოღვაწე იყო ლიბერალური იდეებით და გარკვეული გაგებით რევოლუციონერადაც შეიძლება მოვიაზროთ (ბეკმანი ... 1909-1948, Abl. I, Bd. 3).

თავად გრილპარცერი თავის შემოქმედებას მთლიანობაში არცერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებდა. როგორც ის გარკვევით წერდა, მისი ესთეტიკური შტუდიები არ უკავშირდებოდა რომელიმე კონკრეტულ ლიტერატურულ სკოლას, რადგან მისთვის პოეზიის ცალკე აღებული რომელიმე სკოლა არ გახლდათ ერთი მთლიანობა. მისთვის პოეზია იყო ერთი – კლასიკური და რომანტიკული იყო არა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სისტემები, არამედ ურთიერთშემავსებელი პრინციპები, რომლებიც ყველა ჭემმარიტ პოეზიაში გაერთიანებულად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. „დისკუსია კლასიკური თუ რომანტიული პოეზიის უპირატესობის შესახებ“, აღნიშნავს ის იუმორით, „ჩემთვის ნააგავს იმას, მასპინძელს რომ ეკითხა სტუმრისთვის, თუ რას ამჯობინებდა – ჭამას თუ დაღევას. გონიერი პიროვნება აუცილებლად უპასუხებდა: „ორივეს“. რომანტიკული და კლასიკური პრინციპები ბუნების აღქმისა და ინტერპრეტირების მხოლოდ საშუალებას წარმოადგენდა. მათ შორის განსხვავება, გრილპარცერის მიხედვით, მდგომარეობდა იმაში, რომ რომანტიკული ხელოვნება მიზნად ისახავდა გრძნობების მეშვეობით ეფექტის მიღწევას და არ აქცევდა ყურადღებას, თუ როგორ მიიღწეოდა ეს ეფექტი. „საინტერესო, გონებამახვილური, მნიშვნელოვანი, დიახ – თავად მახინჯიც – ყველაფერი დასაშვებია, სანამ მოთხოვნილი ეფექტი არ იქნება მიღწეული. კლასიკური ხელოვნება კი მიზნად ისახავდა მხოლოდ მშვენიერის შექმნას, ესე იგი ამალლებას იმ გრძნობისა, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ მნიშვნელობაზე (საზრისზე) განხორციელებული სრულყოფის შთაბეჭდილებით“ (ზაუერი 1892 XV: 67). ერთი, მთლიანი პოეზიის არარსებობის თაობაზე გრილპარცერის ეს შეხედულება მთლიანად შესაბამისობაში იყო რომანტიკოსთა შეხედულებასთან.

ვილიამსონის აზრით, გრილპარცერის მიმართება კლასიციზმსა და რომანტიზმთან სავსებით თანხმობაშია მწერლისეულ განაცხადთან,

რომლის მიხედვითაც ის არ აპირებდა თავი რომელიმე ერთი სკოლის დოგმებისთვის მიეკუთვნებინა. მწერალი, ერთი მხრივ, აკრიტიკებდა რომანტიკოსთა ექსტრავაგანტობას, თუმცა არც კლასიციზმის თვალდახუჭული მოტრფიალე გახლდათ. ცნობილია, რომ მას არ მოსწონდა არც ესკილეს დრამებისთვის დამახასიათებელი გრძელი სადილოგო პარტიები და არც ევრიპიდეს პიესების კომპოზიციური არასრულყოფილება. თუმც იგი უფრო მკაცრად აკრიტიკებდა გერმანულ რომანტიკულ სკოლას. „როგორ“ არის ისეთივე აუცილებელი ხელოვნებაში როგორც „რა“, წერდა დრამატურგი (ზაუერი 1892 XVI: 38). სწორედ ამიტომ, ვილიამსონის მიხედვით, შექსპირისა და ლოპე დე ვეგას მიერ აღწერილი ცხოვრებითა და სინამდვილით მოხიბლული გრილპარცერი ფორმის თვალსაზრისით მოდელებად XVIII საუკუნის ფრანგი კლასიციზტების ნაწარმოებებს მიიჩნევდა. შესაბამისად, გამოხატავდა უკმაყოფილებას იმ არასრულყოფილი ფორმის მიმართ, რომელსაც იგი რომანტიკოსებთან ხედავდა. იგი ილაშქრებდა ასევე პოეზიისა და რიტორიკის აღრევის წინააღმდეგ, მიუღებლად მიაჩნდა ერთსა და იმავე ნაწარმოებში პოეტური და პროზაული ფორმების არსებობა და ა.შ. (ვილიამსონი 1910: 4). და მაინც, ამ კრიტიკული შეფასებების მიუხედავად, გრილპარცერს ბევრი საერთო ჰქონდა რომანტიკოსებთან. ვილიამსონი გარკვეულად აჯამებს ზემოთ მოყვანილი შეხედულებებს რომანტიზმთან გრილპარცერის მიმართების თობაზე და წერს, რომ რომანტიკოსთა მსოფლხედვასთან მწერალს აკავშირებდა: მარტოსულობა; მისი უუნარობა პოეტის ცხოვრება ყოველდღიურ ყოფასთან მიესადაგებინა; მისი შემოქმედებისათვის სახასიათო განხეთქილება ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის, რაც მწერლის ზემგრძნობიარე ბუნებით იყო გამოწვეული. ეს გახლდათ ის ფაქტორები, რომლებიც XVIII ს-ის კლასიკოს მწერლებს ან არ უგრძნიათ, ან რომელთა დაძლევა მათ შეძლეს (ვილიამსონი 1910: 5). ამდენად, როგორც ვხედავთ, გრილპარცერისთვის დამახასიათებელი იყო ის მარტოსულობა და განცალკევებული ყოფისკენ მისწრაფება, რომელიც მის თანამედროვე ხელოვანთა განწყობას ასახავდა. ამიტომაც მისწრაფვოდა იგი დაულაღავედ იმგვარი პიროვნულობისაკენ, რომელსაც შეეძლო ჰარმონიაში მოეყვანა კონფლიქტური ემოციები პოეტისა და ჩვეულებრივი მოკვდავისა, ხელოვანისა და მოხელისა და შეექმნა კლასიკური ანტიკურობისა და XVIII ს-ის კლასიციზმის კარგად დაბალანსებული იდეალი.

მწერალი „განუსაზღვრელ ძლიერ სწრაფვას“ თავისი დროების წინა-თვისებად მიიჩნევდა და მას „რომანტიკულ სწრაფვად“ ახასიათებდა, რამეთუ ეს არ იყო მიზანმიმართული სწრაფვა. გრილპარცერს არ მოსწონდა ეს არამიზანმიმართულობა და მაინც, ვერ ახერხებდა თავი

დაელწია ამისთვის. რომანტიკოსთა შეხედულებას ეხმიანებოდა გრილპარცერის დაბეჯითებული განაცხადი, რომ პოეტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ემოციური და წარმოსახვითი უნარები და რომ მას აუცილებლად სჭირდება „furor poeticus“ (შტაინი 1955: 35).

მიუხედავად იმისა, რომ გრილპარცერმა ამ კუთხით მოგვიანებით ბევრი რამ განსხვავებულად გაიაზრა, მისი რწმენა პოეზიის ემოციურ შემადგენლებზე არასოდეს შეცვლილა. ბუნებრივია, მარტო გრძნობა არ იყო მისი ესთეტიკისათვის არსებითი. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, თუ გრძნობისადმი მისი დიდი პატივისცემა ჰქმნიდა ხიდს მასა და რომანტიკოსებს შორის, გონებას, ფენომენს, რომელიც კლასიკურ ტრადიციას მიემართება, იგი იყენებდა როგორც საშენ მასალას გრძნობათა გასაძლიერებლად (შტაინი 1955: 38).

ხელოვანსა და შემოქმედებით პროცესზე გრილპარცერის შეხედულებანი, ერთი მხრივ, ნააგავდა რომანტიკოსთა ხედვას, მეორე მხრივ, განსხვავებოდა მათგან. დიახ, მას მიაჩნდა პოეტი რაღაც საოცრებად და პოეზია რაღაც ღვთაებრივად, თუმცა იგი უარს ამბობდა, რომ პოეტისთვის საბოლოოს შემეცნების შესაძლებლობა მიენიჭებინა, იმ საბოლოოს შემეცნებისა, რომელშიც შეღწევა ადამიანის ძალმოსილების მიღმა იყო. ისიც რომანტიკოსთა მსგავსად მიიჩნევდა, რომ განსჯა ნაკლებად უნდა ჩაერთო მწერალს წერის პროცესში, რომ ეს იქნებოდა საუკეთესო, თუმც ეს რომანტიკული პროცესი მისთვის მხოლოდ მაშინ იყო მისაღები, როცა მიღწეული შედეგები გამგებიანობისა და ფორმის კლასიკური სტანდარტისთვის მისადაგებული იქნებოდა.

პოეზიისა და პოეტის გრილპარცერისეული განსაზღვრა ცხადყოფს მწერლის მჭიდრო კავშირს თავისი დროის სულიერ ატმოსფეროსთან, დროისა, როდესაც რომანტიკულმა განწყობამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. და მაინც, ის განსხვავებოდა ამ მიმდინარეობისგან მნიშვნელოვან დეტალებში. ასე მაგალითად, მწერლისთვის დამახასიათებელი კონფლიქტი ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის (ყველაზე სრულად წარმოდგენილი „სააფოში“) წარმოადგენდა რომანტიკულ დაპირისპირებას ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით – გრილპარცერის რწმენით, და ეს იყო კლასიციზმის კონცეფცია, ხელოვნება, კონკრეტულად კი დრამა, იყო ილუზია და არა რეალობა. ამდენად, ის წინააღმდეგი იყო, რომ ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის საზღვრები მოშლილიყო (შტაინი 1995: 42). რომანტიკოსებთან გარკვეული კავშირის მანიშნებელია ასევე პოეტის სურვილი გაექცეს თანადროულ მოვლენებს და შთაგონების წყაროდ წარსული გაიხადოს. როგორც ჩანს, მწერალს ეს სჭირდებოდა, რათა საზღვრებში მოექცია თავისი დაუოკებელი ემო-



ცია, ყოფილიყო უფრო ობიექტური და მასალის დამუშავებისას უფრო მეტი ყურადღება ფორმისთვის მიექცია.

კაუფმანის აზრით, „საპფოდან“ მოყოლებული გრილპარცერი უფრო და უფრო მეტად ექვემდებარებოდა გაცნობიერებულ რეაქციას კლასიკური იდეალიზმის მიმართ. ეგზისტენციალურ ბაზისს და მის თითქმის დეტერმინისტულ გავლენას მედეას, იასონის, კუნთ-გუნდესა და სხვა პერსონაჟების მორალურ ქმედებებზე მკვლევარი გრილპარცერის იდეალიზმიდან განსვლის გამოხატულებად მიიჩნევს. ამასთან, როგორც ჩანს, გრილპარცერი იძულებული ხდება დაუთმოს თანდათანობით მასში მომძლავრებულ რწმენას იმისა, რომ ადამიანი ვერ ამაღლდება თავისი კონკრეტული ეგზისტენციალური ბაზი-სიდან და ვერ გადავა იდეალურობის დამოუკიდებელ ყოფიერებაში (კაუფმანი 1936: 361).

განსაკუთრებით საყურადღებოა გიზელა შტაინის შეხედულება გრილპარცერის ტრაგედიებში მოქმედი პერსონაჟების ხასიათების თაობაზე. მის პერსონაჟებს უფრო მეტად თან დაჰყვება აუცილებლობის გამარჯვება, ვიდრე მორალური თავისუფლება, ეს კი მწერალს XIX საუკუნის ლიტერატურასთან აახლოვებს (შტაინი 1955: 51). უნდა აღინიშნოს ის განმსაზღვრელი როლი, რომელსაც გარემო და მემკვიდრეობა თამაშობდა გრილპარცერის დრამებში (რაიპი 1909: 25, 100, 173). თუმც, ისევ და ისევ გასათვალისწინებელია XVIII საუკუნის კლასიკური მემკვიდრეობის გავლენა მის შემოქმედებაზე. სწორედ ეს კლასიკური მემკვიდრეობა ზღუდავდა მწერლის დეტერმინისტულ შეხედულებებს და თავისუფალი ნების მისეულ უარყოფას.

თავის ცნობილ ტრილოგიაში „ოქროს სანმისი“, რომელიც გრილპარცერმა ვენის სახალხო თეატრის დაკვეთით დაწერა და 1820 წელს დაასრულა, ჩვენ ვხვდებით თითქმის ყველა იმ ზემოგანხილულ მახასიათებელს, რომლებიც მწერალს რომანტიკულ მსოფლხედვასთან ჰქონდა საერთო.

მისი შემოქმედების შემსწავლელნი აღნიშნავენ, რომ გრილპარცერს მეტი აღარასოდეს დაუწერია ისეთი გიჟმაჟი ვნებით აღსავსეს, როგორიც წარმართავდა მას ტრილოგიის პირველ ნაწილზე მუშაობისას. მისმა საბედისწერო სიყვარულმა თავისი ბიძაშვილის ცოლის მიმართ ერთგვარი გამოძახილი ჰპოვა იასონისა და მედეას რომანის გადმოცემაში. ამას დაერთო დედამისის თვითმკვლევლობით გამოწვეული სულიერი აშლილობა, რამაც გააწყვეტინა კიდეც ტრილოგიაზე მუშაობა. მხოლოდ იტალიაში მოგზაურობამ დაუბრუნა მას სიმშვიდე. გრილპარცერმა გარკვეული დრო დაუთმო დაკვირვებას და განჭვრეტას, გამოსცადა აქტიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული რისკები და

მთელი ეს გამოცდილება გარკვეულწილად განაზოგადა კიდევ ამ ტრილოგიაში.

„ოქროს სანმისი“ გრილპარცერის ყველაზე პესიმისტურ ნაწარმოებადაა აღიარებული. ლეში ამ ტრილოგიას დრამატურგის ყველაზე მელანქოლიურ ნაწარმოებად განიხილავს. მასში ცხოვრება ნიშნავს ტანჯვას და ადამიანური ნებელობა წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როცა ის განიზრახავს ბოროტს. ეს არის პიესის ის მახასიათებელი, რომელიც მას აახლოებს შოპენჰაუერის იდეებთან. ლეშის მიხედვით, პიესაში მოვლენები მოქმედებაში მოდიან ოქროს სანმისის დემონური ძალაუფლების მეშვეობით, რაც ბედისწერის ტრანსცენდენტალურ ძალას გულისხმობს (ლეში 1913: 43).

პესიმისტური განწყობის ყველაზე მძაფრ გამოხატულებად ნაწარმოების ბოლოს იასონისადმი მედეას სიტყვები არის მიჩნეული:

„აბა, ამქვეყნად, მამ რაღაა კეთილდღეობა,  
თუ არ აჩრდილი, მოჩვენება და მოლანდება“.  
(„მედეა“, 2366-77)

თუ ამას დავუმატებთ მთელი ტრილოგიის მანძილზე ადამიანის სისუსტისა და უგუნურობის მწერლისეულ წარმოჩენას, ძნელი იქნება მოვიძიოთ კლასიკური ოპტიმიზმისა და სიცოცხლის მტკიცებულების უფრო სრული უარყოფა. მთელი ტრილოგიის მანძილზე ხაზი ესმება იმას, რომ ადამიანს არ ძალუძს უბედურების ატანა. ამის სრულიად საპირისპირო ტენდენციას ვხედავთ შილერის კლასიკურ ტრაგედიებში (როი 1978: 144). ჩვეულებრივ, კლასიციზმს მიაჩნდა, რომ დანაშაულის და ბოროტმოქმედების დაძლევა ადამიანებს შეუძლიათ. სწორედ ეს რწმენა წარმართავს გოეთეს პიესა „იფიგენიას“ მოქმედებას და ესაა XVIII ს-ის კლასიციისტი მწერლებისა და გრილპარცერის მრწამსის ერთ-ერთი უმთავრესი განმასხვავებელი.

ტრილოგიამდე წარმოდგენილი პიესის „წინაპარი ქალისაგან“ განსხვავებით, რომელიც ბედისწერის ტრაგედიად იყო მიჩნეული, მწერალი შეეცადა, „ოქროს სანმისში“ ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭებინა სანმისისათვის, როგორც ბედისწერის აღმნიშნელი ობიექტისათვის და უფრო მეტი ყურადღება მოქმედ გმირებზე გადაეტანა. ამ პიესაში, როის აზრით, დანაშაული ადამიანის ბრალია, თუმცა თავად პერსონაჟები ზოგჯერ საკუთარ თავს ღმერთების ნების განმახორციელებლად მოიაზრებენ, როგორც ეს ხდება ფრიქსოსის, აიეტისა და იასონის შემთხვევაში (როი 1978: 144).

რაიჰის მიხედვით, პიესაში ადამიანთა ნება დეტერმინირებული არ არის. ოქროს სანმისი არაა დემონული ძალა, არამედ ეს ძალა ძვეს იმ

პერსონაჟებში, რომლებიც მის მოპოვებას ესწრაფვიან. თავად ადამიანები და არა სხვა გარეშე ძალა, ინვევენ და იტყვენ თავს უბედურებასა და დაცემას და არავითარი საჭიროება არაა იმისა, რომ ყოველივე ეს ბედისწერას დავაბრალოთ. ამგვარი განაცხადის მიუხედავად, რეიჰის რწმენით, ტრილოგია სამყაროს ტრაგიკულ ბუნებას უსვამს ხაზს (რაიჰი 1894: 64).

ამ მოსაზრების სანინალმდეგო ხაზს ატარებდა ლეში, რომელიც ტრილოგიაში დეტერმინირებისა და ბედისწერის ძალას არსებითად მიიჩნევდა. ტრაგედიაში მოვლენები ოქროს სანმისში დაუნჯებული დემონური ძალით მოდიოდნენ მოქმედებაში, თვლიდა მეცნიერი (ლეში 1913: 43). როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდი სწორედ ეს თვალსაზრისი – პიესაში ტრანსცენდენტური ძალის დომინირების თვალსაზრისი – იყო გამეფებული. ასე მაგალითად, მიუნშის მიხედვით, ტრაგედია წარმოგვიდგენს არა მხოლოდ ხელოვანის, არამედ საერთოდ ადამიანურ ბედისწერას. ის გვიჩვენებს ყოველგვარი მისწრაფების უაზრობას, ადამიანური არსებობის ტრაგედიას, რომელსაც ტანჯავს განხეთქილებები და შეურიგებელი კონფლიქტები. მისი ბუნების საუკეთესო მხარეების სანინალმდეგოდ, მედეას წარმართავს სიყვარული იასონისადმი. ამასთან ტრაგედია დაატყდება თავს უდანაშაულო პერსონაჟებს, როგორებიც არიან აბსირტოსი და კრეუსა (მუნში 1931: 31-34).

შტიფელი თვლიდა, რომ ტრილოგია წარმოადგენს ადამიანურობის ტრაგედიას, რომელიც ვერ იღებს პასუხს ღმერთის მისეულ ძიებაში, ესაა სიცოცხლის ტრაგედია, მთელი სამყაროს ტრაგედია. მწერლის ასეთ პესიმისტური ფილოსოფიის მიზეზს მკვლევარი გრილპარცერის ავტობიოგრაფიულ დეტალებში ხედავს. თავად დრამატურგის ხასიათში ეძიებს შტიფელი კონფლიქტს იდეალსა და რეალობას შორის, ვნებასა და სიყვარულის შეუძლებლობას შორის. მაშინ როცა იასონის პერსონაჟი ავლენს გრილპარცერის, როგორც ადამიანის, შიგნით მიმდინარე კონფლიქტს, ხელოვანის ტრაგედია გაშუქებულია მედეას პერსონაჟში, რომელიც ღამეული და დღის სამყაროებს შორისაა გახლეჩილი (შტიფელი 1959: 37).

შემდგომში მკვლევარებმა ტრილოგიის პერსონაჟებში უფრო მეტად თავისუფალი ნების გამოვლენა დაინახეს. შაუმის მტკიცებით, გრილპარცერის პერსონაჟებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორ იმოქმედონ და რომ პიესაში არ დგას ბედისწერის საკითხი, როგორც ეს ძველად მიაჩნდათ. თუმცა, ამასთან ერთად ის აღნიშნავდა იმასაც, რომ „ოქროს სანმისში“ პერსონაჟების მხრიდან თავისუფლების მოპოვების ყველა მცდელობა ფუჭია. ასევე მეცნიერი მიიჩნევდა, რომ გრილპარცერი ვერ ხედავდა ბუნების კანონებისგან ადამიანის დამოუკიდე-

ბლობის შესაძლებლობას (შაუმი 1964). მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრილოგიის პერსონაჟების დეტერმინულობის/ თავისუფალი ნების ამგვარი შეფასება ამ პერიოდშიც არ იყო პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტა, რასაც მოწმობს მაკინისის 1980 წელს გამოქვეყნებული სტატია, რომლის მიხედვითაც გრილპარცერის ფსიქოლოგიური ხედვა და მიზეზ-შედეგობრივი პროცესის დეტერმინისტული გაცნობიერება მას აახლოებს თავის უფრო რადიკალურ თანამედროვეებთან (მაკინისი 1980).

და ბოლოს, ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მასალის გრილპარცერისეულ დამუშავებას მითოლოგიის უკანასკნელი რუდიმენტისა და ტრაგედიის ზეადამიანური კონცეფციის უარყოფად განიხილავდა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, გრილპარცერი წერდა ბურჟუაზიულ დრამას ქორწინების შესახებ და აქედან გამომდინარე „ოქროს სანმისს“ ბევრი საერთო დაეძებნება არატრაგიკული დრამის დურენმატისეული კონცეფციასთან (ბანე 1992). ბუნებრივია, ამგვარი ჰიპოთეზა იმთავითვე გამორიცხავს ბედისწერის ან რაიმე დეტერმინირებული ძალის არსებობას ტრაგედიაში.

ტრაგედიის პერსონაჟების დეტერმინირებულობასა თუ მათი თავისუფალი ნების საკითხს უკავშირდება ისიც, თუ როგორ არის გააზრებული ტრილოგიაში ოქროს სანმისი. იყო სანმისი პიესაში ბედისწერის აღმნიშვნელი ობიექტი, თუ არა? იყო ის სიმბოლო და თუ იყო – რისი? პასუხები ამ რთულ და საკამათო საკითხზე ძალზე ბევრია და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო. ბუნებრივია, სანმისი არ შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ ბედისწერის აღმნიშვნელი ობიექტის პრიზმაში. რაიჰის აზრით, რომელიც უპირატესობას პიესაში ადამიანის თავისუფალ ნებელობას ანიჭებდა, დემონური ძალა სანმისში კი არ იყო, არამედ იმ პიროვნებებში, რომლებიც ეძიებდნენ და ლამობდნენ მის ხელში ჩაგდებას. ამავე შეხედულებას იზიარებს როიც, რომლის აზრითაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მწერალი ცდილობდა, ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭებინა სანმისისთვის, როგორც ბედის განმაპირობებელი ფენომენისთვის და უფრო მეტი ყურადღება ხასიათებზე გადაეტანა (რო 1978). სანმისში არაფერია ზებუნებრივი. მიუხედავად ამისა, ადამიანები მასში თავიანთი ბედნიერებისა თუ უბედურების გასაღებს ხედავენ. ფაქტობრივად კი სანმისს არავითარი ფასი არ აქვს. წყევლა, რომელსაც სანმისს მიაწერენ, სინამდვილეში ადამიანთა ხელშია და მას ადამიანური მოქმედებით უნდა მოეღოს ბოლო. მაგრამ ეს არ ხდება ამ ტრილოგიაში, რადგან ადამიანები არიან დამნაშავენი თავიანთ საქციელში, ისინი არ მიჰყვებიან გულის კარნახს. სანმისის დამარხვა, როგორც ამას მედეა აკეთებს, შეუძლებელია. არავის, და არც მედეას,

არ შეუძლია დამარხოს წარსული და იცხოვროს ანმეოსთვის („მედეა“, 610). გავიხსენოთ, როგორ ეუბნება მედეას მოახლე გორა, რომ შეუძლებელია ადამიანმა განწყვიტოს ძაფები წარსულთან („მედეა“, 109-110).

შტიფელის მიხედვით, სანმისი არის ის, რაც ყველას მალულად სურს, მაგრამ რისი მფლობელიც ვერასდროს იქნება. ის არის სიმბოლო აკრძალულის, სიმბოლო ღმერთის მიერ დადგენილი საზღვრისა ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის; მისი მოპარვა იასონის მიერ ტრილოგიაში იმგვარადაა ჩასმული ხეებისა და გველების სახეობრიობაში, რომ, შტიფელის აზრით, პირველი ადამიანის ცოდვაში ჩავარდნის ხატს მოგვაგონებს (შტიფელი 1959).

იეტს მიაჩნია, რომ სანმისი თან კი არ სდევს მოვლენებს, არამედ მათ პროვოცირებს, და ეს ცხადია დასაწყისიდან – ფრიქსოსი ხომ ასე ღვთაებრივი ხილვის საპასუხოდ მოიქცა. ეს სამი პიესაც ერთმანეთთან წყევლის თემით არის დაკავშირებული (იეტსი 1972). ვფიქრობთ, რომ გრილპარცერს სანმისი ამქვეყნიური სახელისა და დიდების სიმბოლოდ აქვს გააზრებული, თუმცა მას ორბუნებრიობა ახასიათებს – ის იძლევა ძალაუფლებას და გამარჯვებას, მაგრამ მასში წყევლაცაა დაუნჯებელი. ყველა მისი მფლობელი განადგურებულია – ფიზიკურად ან მორალურად. ფრიქსოსი იპარავს სანმისს და აიეტი კლავს ფრიქსოსს, შემდეგ თავად აიეტიც იღუპება. იასონი, შემდეგ პელიასი და მედეა მოიპოვებენ მას, კრეონი ცდილობს სანმისის ხელში ჩაგდებას – საბოლოოდ ყველა განადგურებულია. ისინი იმიტომ არიან განადგურებულნი, რომ არცერთი მათგანის ქმედება არ ეფუძნება სამართლიანობას, ზნეობას, სიკეთეს. ბოროტ ქმედებას კი მოაქვს უბედურება, განადგურება და ეს, თავის მხრივ, წარმოადგენს მიზეზს შემდგომი დანაშაულებისა (ველსი 1968: 51). თავად გრილპარცერის თქმით, იგი მიზნად ისახავდა სანმისი ყოფილიყო „ein sinnliches Zeichen des ungerechten Gutes, eine Art Niebelungenhort“ (ველსი 1968: 50).

რომანტიზმისა და კლასიციზმის ურთიერთმიმართებას ტრილოგიაში გარკვეულწილად პიესის მთავარი თემა – ბარბაროსისა და ბერძენის დაპირისპირება ეხმიანება. იასონისა და მედეას ტრაგედია ხომ უპირველესად სწორედ ამ ორი სამყაროს შეუთავსებლობაში ძევს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი არ გვიხატავს მედეას ბარბაროსისთვის დამახასიათებელი თვისებებით, მას არც მამის ანგარიანობა ახასიათებს და არც მოღალატეობრივი ბუნება. თუმცა მედეას არ შეუძლია ბერძენის მსგავსი გახდეს, რაც არ უნდა სურდეს. მისი მუქი თვალები იასონს საბერძნეთში მუდამ აგონებს იმ გველშაპს, რომელიც კოლხეთში სანმისს იცავდა და იგი აღიარებს კრეონთან: „მხოლოდ ძრწოლვით ვუნოდებ მას ჩემს ცოლს“ („მედეა“ I, 475). თავად გრილპარცერის

სიტყვებით, ტრილოგიის პირველ ორ პიესაში იგი მიზნად ისახავდა ეს პიესები გაეხადა „ისეთი ბარბაროსული და რომანტიკული... რამდენადაც შესაძლებელი იყო, ზუსტად კოლხეთსა და საბერძნეთს შორის სხვაობაზე ხაზის გასასმელად, განსხვავებაზე, რომელზედაც ყველაფერი დანარჩენი დადის“. და კვლავ ავტორის სიტყვები: „რომანტიზმისა და კლასიციზმის შერევისას მე ბრმად კი არ ვბაძვდი შექსპირს, არამედ ჩემს ხელთ იყო კოლხეთსა და საბერძნეთს შორის განსხვავება, რომელიც ამ ნაწარმოებში ტრაგიკოსის მთავარი სათქმელი გახლავთ“ (ზაუერი ... 1909-1948, Abt. I, Bd. 16).

სწორედ ამ კონტრასტის შექმნას ემსახურება ისიც, რომ გრილპარცერი იყენებს თავისუფალ ლექსს, როდესაც მოქმედება კოლხეთში ხდება და იამბს, როდესაც ამბავი საბერძნეთში ვითარდება, მსგავსად იმის, როგორადაც განსხვავებულად ლაპარაკობენ ამ ორ ქვეყანაში.

იმის მაგალითს, თუ რას ნიშნავდა გრილპარცერისთვის „რომანტიკულობა“ პიესა „არგონავტების“ ფინალური სცენის აღწერა გვიჩვენებს. იასონი და მედეა გამოქვაბულში დგანან, უკან კლდეში დიდი კარიბჭეა. როცა ბერძენი გმირი მას მახვილს დასცემს, კარიბჭე იღება და გამოჩნდება შიდა ვინრო ხვრელი, რომელიც იშვიათად არის განათებული. კიდევ უფრო სიღრმეში ჩანს ხე და მასზე მბრწყინავი ოქროს სანმისი ჰკიდია. ხესა და სანმისს ეხვევა გველი, რომელიც კარიბჭის გაღების დროს სიმწვანეში ჩაფლულ სხეულს წამოწევს და წინ იყურება. ველის მიხედვით, მთელი ეს ეპიზოდი, ანუ იასონის მიერ სანმისის მოტაცება მხოლოდ საკუთრივ მოქმედებისთვის არაა მნიშვნელოვანი. მას სხვა დატვირთვაც აქვს. იგი წარმოგვიდგენს იმ შიშს, იმ ჰორორს, რომელსაც ყველა ბერძენი გრძნობდა ბარბაროსული მაგიის მიმართ. გველის მზერამ კი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იასონზე და ყოველთვის ახსენებდა თავისი მუქთვალეობა ცოლის ბარბაროსობას (ველსი 1968: 50).

რომანტიზმის ესთეტიკასთან გრილპარცერის მიმართებას უკავშირდება „ოქროს სანმისი“ პერსონაჟების წარმოდგენის ანალიზიც. გრილპარცერის მიერ ტრილოგიის მოქმედი გმირების ინსტინქტების, გრძნობების წინა პლანზე წამოწევა გონიერების საპირისპიროდ, მათ სულში მიმდინარე ბრძოლის დახატვა, პერსონაჟების მიერ საკუთარი თავის ბედისწერის მსხვერპლად მოაზრება და ა.შ. ეხმიანება რომანტიკოსთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს. ზემოთ ჩამოთვლილი სწორედ რომ რომანტიკოსი მწერლების სახასიათო ხერხებია თავიანთი გმირების სახეების გამოძერწვისას. თუმცა ეს საკმაოდ ვრცელი საკითხია და საგანგებო დამუშავებას მოითხოვს.

ჩვენ შევეცადეთ გრილპარცერის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ჩრილში განგვეხილა ტრილოგია „ოქროს სანმისი“. კერძოდ, შევისწავლეთ რამდენად დეტერმინირებული თუ თავისუფალი იყო ამ პიესის პერსონაჟთა მოქმედება, მათი ნება, რა ფუნქცია ჰქონდა ოქროს სანმისს – იყო ის ბედისწერის ხატი თუ მას სხვა სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა. განვიხილეთ ასევე პიესის ძირითადი თემა – ელინისა და ბარბაროსის დაპირისპირება, რომელსაც თავად გრილპარცერი, მისივე განაცხადით, კლასიციზმისა და რომანტიზმის ურთიერმიმართების გამომხატველად მოიაზრებდა. კვლევამ ცხადყო, რომ ზემოჩამოთვლილი პრობლემების გააზრებისას მწერალი ამკარად ახლო მიმართებას ავლენდა რომანტიკოსთა მსოფლხედვასთან და ესთეტიკურ მრწამსთან. ამგვარი ანალიზი, თავის მხრივ, საგულისხმო წვლილს შეიტანს რომანტიზმის მსოფლალქმის ჩრილში არგონავტიკის მითოსოს ინტერპრეტაციის შესწავლის საქმეში.

#### **დამონეებანი:**

**ბანე 1992:** Bandet, J. “Mythologie et Ehedrama dans Das golden Vließ”. *Etudes Germaniques*, vol. 47.1: avril-juin 1992: 191-200

**ბერიგერი 1928:** Beriger, L. Grillparzers Persönlichkeit in seinem Werk, Zürich/Leipzig: 1928.

**ეპრპარდი 1910:** Ehrhard, A. Franz Grillparzer: Sein Leben und seine Werke. München: Beck'sche Verlagsbuchhandlung, 1910

**ველსი 1968:** Wells, G. The Plays of Grillparzer, Oxford: 1968

**ვილიამსონი 1910:** Williamson, E. Grillparzer's Attitude towards Romantism. Chicago: Chicago Press, 1910

**ზაიდლერი 1970:** Seidler, H. Studien zu Grillparzers und Stifter. Böhlau: 1970

**ზაუერი 1887, I:** Sauer, A. hrsg. Grillparzers sämtliche Werke. Vierte Ausgabe in sechzehn Bänden. Stuttgart, Cotta: 1887

**ზაუერი 1892, XV:** Sauer, A. hrsg. Grillparzers sämtliche Werke. Fünfte Ausgabe in zwanzig Bänden. Bd. XV

**ზაუერი ... 1909-1948:** Backmann Sauer, A., Backmann, R. hrsg. Sämtliche Werke. Historisch-kritische 1909-1948: Abt. I, Bd.3 Gesamtausgabe. Im Auftrag der Stadt Wien hrsg. von August Sauer, fortgeführt von Reinhold Backmann, 42 Bd., Abt. I, Bd. 3. Wien: 1909-1948.

**იეტსი 1972:** Yates, W. A Critical Introduction. Cambridge: 1972

**კაუფმანი 1936:** Kaufmann, F. W. “Grillparzer's Relation to Classical Idealism”. *Modern Language Notes*. vol. 51, 6 (1936): 359-363

**ლესი 1913:** Lesch, H. “Der tragische Gehalt in Grillparzers Drama: “Das goldene Vlies”. Jahrbuch Der Grillparzer. Glossy, K. hrsg. Wien: Carl Konegen, 1913

**მაკინისი 1980:** McInnes, E. „Psychological Insight and Moral Awareness in Grillparzer's „Das goldene Vliess“. *MLR* 75 (1980): 575-582

**მუნში 1931:** Münsch, I. Die Tragik in Drama und Persönlichkeit Franz Grillparzers. Berlin: 1931

**რაიპი 1894:** Reich, E. Grillparzers Dramen, Dresden: Kessinger Publishing, 1894

**რაიპი 1909:** Reich, E. Grillparzers Dramen, Dresden: 1909

**როი 1978:** Roe, I. *Grillparzer's Adoption and Adaptation of the Philosophy and Vocabulary of Weimar Classicism*, PhD. Diss. Durham University, 1978

**შაუმი 1964:** Schaum, K. Gesetz und Verwandlung in Grillparzers „Goldenem Vließ“, *DVjs.* 8 (1964): 388–423.

**შტაინი 1955:** Stein, G. The Inspiration Motif in the Works of Franz Grillparzer. The Hague: 1955

**შტიფელი 1959:** Stiefel R. Grillparzer “Goldenes Vließ”: ein dichterisches Bekenntnis, Bern: Francke, 1959

## **MAIA NINIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Moses and Aaron of the 19-th Ccentury Georgian Literature**

Textual investigation of Nikoloz Baratashvili’s early publications reveals a great number of printing mistakes, editorial and censorship interventions. This may be one of the reasons why his contemporaries could not recognize his great talent and only the next generation did. Akaki Tsereteli, describing emotional bonds between Nikoloz Baratashvili and Ilia Chavchavadze, compares them with Biblical Moses and Aaron. God told Moses: “he shall speak for you to the people; and he will be as a mouth for you”. This comparison points at different missions of Baratashvili and Chavchavadze.

**Key words:** textual scholarship, variant readings, neostemmatics, Nikoloz Baratashvili



## მანია ნინიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის მოსე და აარონი

დიდი ხელოვანები გავლენას ახდენენ თანადროულ კულტურაზე და განსაზღვრავენ მის ვექტორებს, მაგრამ არა ყოველთვის. თუ შემოქმედი ამავე დროს პიროვნულადაც ძლიერი და ქარიზმატული არ არის, საზოგადოებაზე ასეთ ზემოქმედებას ვერ ახდენს. ნიკოლოზ ბარათაშვილის აღიარება მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. 1852 წელს გიორგი ერისთავმა ახალდაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა პოეტის ოთხი ლექსი (ბარათაშვილი 1852: 11-12) და დაურთო მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი, რომელშიც ბარათაშვილს მიმართავს ასეთი სიტყვებით: „რაც მიგვეფარე, ცას შევცქერი, რა დღე ბნელდებას“, „ყოვლის კეთილით აღსავსეო“, „ობლად დაგვეყარე“ (ერისთავი 1852: 13) და სხვ. 1858 წელს განახლებულ „ცისკარში“ ივანე კერესელიძემ გამოაქვეყნა პოეტის სამი ლექსი (ბარათაშვილი 1858ა: 113-119) და პოემა „ბედი ქართლისა“ (ბარათაშვილი 1858ბ: 1-14), რომლებსაც დადებითი შეფასება მიეცა „ცისკრის“ ერთი წლის პროდუქციის მიმოხილვაში. ნიკოლოზ ბერძნიშვილი გაზეთ „Кавказ“-ში წერდა, ბარათაშვილის გამორჩეულ ნიჭსა და შესაძლებლობებზე და მას ბაირონის სკოლის მიმდევარს უწოდებდა (ბერძნიშვილი 1859: 230). მიუხედავად ამ ერთეული პუბლიკაციებისა და გამომხაურებებისა, დიდ რომანტიკოსს თავისი შესაფერი ადგილი ქართულ მწერლობაში მხოლოდ შემდგომმა თაობამ დაუმკვიდრა.

1864 წელს კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოსცა კრებული „ჩონგური“, რომელშიც სხვა პოეტების თხზულებებთან ერთად, დაბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა და 9 ლექსი: „ბედი ქართლისა“, „თუალები“, „მადლი შენს გამჩენს ლამაზო ქალო...“, „პეპელა“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო...“ „ფიქრი მტკურის პირზე“ „ჩანგურს“, „ჩემს მერანს“ და „ჩვილი“ (ბარათაშვილი 1864: 25, 38, 47, 74, 75, 82, 104, 154, 155). აქვე იყო გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის 11 ლექსი და ნაწყვეტი პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (ჭავჭავაძე 1864: 24, 33, 35, 40, 68, 80, 82, 83, 96, 112, 119, 129). მომდევნო წელს სტატიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ აკაკი წერეთელმა ამ კრებულის მთავარ ღირსებად სწორედ ამ ორი ავტორის – ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის თხზულებათა

გამოქვეყნება მიიჩნია. წერილში აკაკი იყენებს პუბლიცისტურ ხერხს, ჰიპოთეტური ოპონენტის სახელით ეკამათება საკუთარ თავს ილია ჭავჭავაძის ბარათაშვილის გვერდით დაყენების გამო და დაბეჯითებით პასუხობს, რომ ისინი ნამდვილად არიან ერთ ტახტზე ჯდომის ღირსნი, რადგან ერთნაირი დამსახურება აქვთ ჩვენი ლიტერატურის წინაშე. აკაკის აზრით, ერთის უმეორისოთ გაგება ძნელია, რადგან „ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“ (წერეთელი 1865: 6-21). შემდეგ განხილულია მათი ლექსები, გამოკვეთილია, რა აქვთ საერთო და ნაჩვენებია, რატომ უწოდა მათ მოსე და აარონი.

ბარათაშვილის „მერანის“ განხილვისას აკაკი განმარტავს, რა იგულისხმება იმ შავ ყორანში, რომელიც სულს უშფოთებდა პოეტს. ეს იყო ის უგუნური ყოფა, რომელშიც ჩაფლული იყო საქართველო. სწორედ ამას გაექცა პოეტი, ამან მიატოვებინა ტოლ-მეგობრები და დაანყებინა ფიქრი მომავალ თაობებზე, რომლებიც მის გაკვალულ გზას დაადგებოდნენ. ბარათაშვილს ვერავინ მიუხვდა, რა სტკიოდა, რა ანუხებდა. აკაკის თქმით, ეს ყველაფერი დიდხანს დარჩა ჩვენთვის დაფარულად და გაუგებრათ, მაგრამ „ამ სიკოტრის ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე... შეუდგა ბარათაშვილის კვალს და, რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამათ, ტირილით დაუნყო ხალხს შეჩვილა: აი, რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო“ (წერეთელი 1865: 16-17). აკაკის ეს წერილი, ბარათაშვილის სიდიადის აღიარებასთან ერთად, არის სამოციანელთა შემოქმედებითი პრინციპების დეკლარირება – ბულბულივით დამატკობელი, მაგრამ აზრს მოკლებული სტვენიდან „ჭკვიანი აზრების“ მხატვრულად გამოხატვაზე გადასვლა, რასაც, აკაკის აზრით, ჯერ კიდევ ბარათაშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

როგორც ვიცით, როდესაც ღმერთი მოსეს ღვთის სიტყვის საქად-აგებლად აგზავნიდა, იგი შეყოყმანდა, რადგან მეტყველება არ უვარგოდა („ჴმანუღილ და ენამძიმე ვარ მე“), მაგრამ უფალმა ანუგეშა, რომ აარონი დაეხმარებოდა („მისცნე მას სიტყუანი ჩემნი პირსა მისსა და მე აღვალო პირი შენი და პირი მისი და გასწაო თქუენ, რად ჰყოთ“ (გამოს. 4. 10-16). ამიტომ აარონს მოსეს „ბაგეებს“ უწოდებდნენ. აკაკიმ ბარათაშვილისა და ილიას შედარებით მოსესთან და აარონთან ორ ფაქტს გაუსვა ხაზი, რომ მათი მიზანი და სათქმელი ერთი იყო და რომ ბარათაშვილის ნააზრევის მკითხველამდე მიტანას ილიამ შეუნყო ხელი. რაში გამოიხატებოდა ეს ხელშეწყობა? დავინყოთ იმით, რომ ილიამ ავტოგრაფების ნაკითხვისთანავე უცებ იცნო და აღიარა ბარათაშვილი. როდის და როგორ მოხდა ეს?

კოხტა აფხაზის მოგონების მიხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებულები ილია ჭავჭავაძემ ცარსკოე სელოში ეკატ-

ერინე ჭავჭავაძესთან სტუმრობისას ნახა და მისმა თხზულებებმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ, მოგონების მიხედვით, იგი „მთელი კვირა ბოდავდა ბარათაშვილით“ (ლიტერატურული 1935: 564). ეს რვეულები, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიკარგა, 1887 წელს კი ისინი პეტერბურგელი ბუკინისტისგან გამოისყიდა ექვთიმე თაყაიშვილმა და ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ერთში არის ლექსები, მეორეში კი პოემა „ბედი ქართლისა“. პავლე ინგოროყვას აზრით, ილიას ჩასვლა ცარსკოე სელოში უნდა მომხდარიყო 1858 წლის ზაფხულში, მაგრამ ცნობილ მეცნიერს მხედველობიდან გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – კოხტა აფხაზი მოგონებაში ორჯერ იმეორებს, რომ ეკატერინესთან ცარსკოე სელოში ის და ილია პავლოვსკიდან ჩავიდნენ: „ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს“, „ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით“ (ლიტერატურული 1935: 564-565). საქმე ის არის, რომ 1858 წლის ზაფხულში ილია არდადეგებს პეტერბურგთან მდებარე მეორე აგარაკზე – ტიარლევოში ატარებდა და იმ ზაფხულს დაწერილ ლექსებზე ყველგან ტიარლევოა მითითებული. 1859 წელს კი მწერალი ჯანმრთელობის პრობლემების გამო მთელს ზაფხულს საქართველოში იყო. შესაბამისად, ეკატერინე ჭავჭავაძესთან სტუმრობა ცალსახად უნდა მომხდარიყო 1860 და არა 1858 წლის ზაფხულში. თან ბარათაშვილისადმი მიძღვნილ პირველსავე ლექსს, რომლის დასრულებული ვარიანტიც 1860 წლის 19 ივლისით არის დათარიღებული, აშკარად ეტყობა, რომ ახალმიღებულ შთაბეჭდილებებზეა შექმნილი: „როს წარვიკითხე მისი ლექსები / ვერარა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..“

ილიას მიერ თავის ლექსებზე მიწერილი თარიღებიდან და დაწერის ადგილებიდან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1860 წლის 11 ივნისს იგი უკვე პავლოვსკში იყო. იხ. მინანერი ლექსზე „მწუხარება“. მაგრამ ეს არის დროის ზედა ზღვარი და ვერ გამოვრიცხავთ, რომ თვის პირველ რიცხვებშიც იქ ყოფილიყო. შესაბამისად, ბარათაშვილის კრებულების ნახვა მას ივნისის დასაწყისში თუ არა, 11 რიცხვისთვის მაინც შეეძლო. თუ გავითვალისწინებთ მის საოცარ აღფრთოვანებას და მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ვფიქრობთ, რომ აუცილებლად იზრუნებდა ბარათაშვილის მანამდე გამოუქვეყნებელი ლექსების, პირველ რიგში კი „მერანის“ პუბლიკაციაზე (ცნობილია, რომ კირილე ლორთქიფანიძეს მოგვიანებით სწორედ მან გაუგზავნა გამოსაქვეყნებლად ბარათაშვილის „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ და პირადი წერილები). მიუხედავად იმისა, რომ იმ კრებულში, რომელიც ილიამ ეკატერინე ჭავჭავაძესთან ნახა, ბარათაშვილის 21 ლექსი იყო, კოხტა აფხაზი როდესაც ილიას შთაბეჭდილებებზე წერს, მათგან სახ-

ელდებით გამოყოფს მხოლოდ „მერანს“ და პოემას „ბედი ქართლისა“. „მერანით“ ილიას აღფრთოვანება ბუნებრივია, რადგან იმ დროს იგი ჯერ არ იყო გამოქვეყნებული და ნაკითხული არ ექნებოდა, მაგრამ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რატომ იყო ილიასათვის უცხო „ბედი ქართლისა“, რომელიც 1858 წლის „ცისკრის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნდა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

არის თუ არა უბრალო დამთხვევა, რომ ბარათაშვილის ლექსი სათაურით „ჩემს მერანს“ პირველად სწორედ 1860 წლის ივნისის „ცისკარში“ დაიბეჭდა. აქვს თუ არა ამ ფაქტს რაიმე კავშირი ამ ტექსტით ილიას აღფრთოვანებასთან ამავე თვის დასაწყისში? მას ხომ არ უზრუნია ლექსის გამოქვეყნებაზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, შეიძლებოდა თუ არა, რომ ივნისის შუა რიცხვებამდე ეკატერინესეული რვეული ან მისგან გადმონერილი ასლი გამოგზავნილიყო რუსეთიდან საქართველოში და მოსწრებულყო „ცისკრის“ ივნისის ნომერში გამოქვეყნება. ჟურნალი ხშირად გამოდიოდა დაგვიანებით, მაგრამ ამ ნომერზე ცენზურის ნებართვად მითითებულია 1860 წლის 10 მაისი. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, არის თუ არა გამორიცხული, რომ ნომერს რომელიმე ლექსი მერე დამატებოდა. ამასთან დაკავშირებით გვაქვს ერთი საინტერესო მაგალითი. ილიას თარგმანის „ჩიტი“ იმ ვარიანტს, რომელიც ასევე ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, ავტოგრაფში თარიღად აწერია 1856 წლის 17 ნოემბერი, „ცისკრის“ იმ ნომერს კი, სადაც ის დაიბეჭდა ცენზურის ნებართვის დროდ მითითებული აქვს 1856 წლის 12 სექტემბერი (ჭავჭავაძე 1857: 7). როგორც ვხედავთ, ისეთი შემთხვევები, როცა ჟურნალს ცენზურის ნებართვის გაცემის შემდეგაც ემატებოდა ტექსტები, სახეუა. ვერ ვიტყვით, ეს საცენზურო კომიტეტთან ცალკე შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა თუ მისთვის გვერდის ავლით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. შესაბამისად, თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ 1860 წლის ივნისის შუა რიცხვების შემდეგ საქართველოში გამოგზავნილი ტექსტი „ცისკრის“ ივნისისავე ნომერში მოხვედრილიყო.

რა თქმა უნდა, ეს მსჯელობა მხოლოდ ვარაუდის უფლებას გვაძლევს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევა უფრო სარწმუნოდაც შეიძლება თანამედროვე ნეოსტემატური მეთოდის გამოყენებით – ვარიანტულ სხვაობათა შედარებითი ანალიზით. ვგულისხმობთ „მერანის“ „ცისკრისეული“ პუბლიკაციის შედარებას ყველა ავტოგრაფულ წყაროსთან, ვარიანტების ანალიზს და გარკვევას, თუ რომელთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს. ეს დასკვნა თავისთავად დაგვეხმარება იმის განსაზღვრაში ხელნაწერი კრებულების მფლობელთაგან რომელმა იზრუნა ამ ტექსტის გამოქვეყნებაზე. დღესდღეობით ჩვენამდე მოღწეულია და

საცავებში ინახება ნიკოლოზ ბარათაშვილის ხუთი ხელნაწერი რვეული: ბარბარე ერისთავის ( 1115), ბარბარე ვეზირიშვილის ( 2033), ეკატერინე ჭავჭავაძის ( 2516), მაიკო ორბელიანის ( 2701) და ალექსანდრე საგინაშვილისეული ( 2484).

„ცისკარში“ გამოქვეყნებული ლექსების შედარებამ ავტოგრაფულ წყაროებთან გამოავლინა ძალიან ბევრი ისეთი ნაკითხვა, რომელიც არცერთ ხელნაწერში არ გვხვდება. ცისკრის რედაქტორი – ივანე კერესელიძე ცნობილი რომ ყოფილიყო გამოსაცემი ტექსტებისადმი კორექტული დამოკიდებულებით, შეიძლებოდა ამის საფუძველზე გვეფიქრა, რომ თითოეული ტექსტის გამოქვეყნებისას მას ხელთ ჩვენთვის უცნობი წყაროები ჰქონდა, რომლებშიც სწორედ ისეთი ნაკითხვები იყო, როგორც „ცისკარში“ გამოქვეყნდა, მაგრამ ივანე კერესელიძე ცნობილი იყო სხვათა ტექსტებისადმი ზედმეტად თავისუფალი მიდგომით. მაგალითად, აკაკი წერეთელს ისე დაუმახინჯა რამდენიმე ტექსტი, რომ პოეტი კარგახანს აღარაფერს უგზავნიდა დასაბეჭდად. მას შეეძლო შეეცვალა არა მხოლოდ ორთოგრაფია და ლექსიკა, არამედ ლექსის იდეური მხარეც კი, მაგალითად, იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ტექსტი მის სადიდებლად ექცია. გავიხსენოთ, მაგალითად აკაკის ლექსები „ნავი“, „ქართლის სალამი“ და სხვ. შესაბამისად, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ „ცისკრის“ მთელი რიგი ვარიანტული ნაკითხვები არცერთი წყაროსას არ ემთხვევა, ვერ ვიტყვით, რომ არსებობდა ასეთი ნაკითხვების შემცველი ჩვენთვის უცნობი ავტოგრაფები, მით უფრო, რომ ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერების ნაირნაკითხვები უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია.

„ცისკრის“ ვარიანტულ ნაკითხვათა დიდი რაოდენობისა და მათ ავტენტურობასთან დაკავშირებით გაჩენილი ეჭვების გამო, „მერანის“ პუბლიკაციის შედარება ავტოგრაფებთან ვერ გამოკვეთდა, რომელი მათგანით შეიძლებოდა ესარგებლა „ცისკრის“ რედაქტორს. ამიტომ, ჩვეულებრივი ნეოსტემატური მეთოდისგან განსხვავებით შევიმუშავეთ კვლევის ახალი სტრატეგია ჯერ განვსაზღვრეთ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ავტოგრაფები და უკვე შემდეგლა დავადგინეთ მათ შორის არსებული ნაირნაკითხვებიდან რომელი ავლენს სიახლოვეს „ცისკრის“ პუბლიკაციასთან. ეს გზა მიზნის მისაღწევად უფრო მოკლედ აღმოჩნდა და ეფექტურიც.

ტექსტი, რომელიც „ცისკარში“ დაიბეჭდა სათაურით „ჩემს მერანს“ შემორჩენილია ოთხი ავტოგრაფის სახით. იგი დაცულია ბარბარე ერისთავისეულ კრებულში სათაურით „თავგანწირული მხედარი“ და უსათაუროდ – ეკატერინე ჭავჭავაძისეულში, ბარბარე ვეზირიშვილისეულში და გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილ პირად წერილში. ამ

ხელნაწერთა ერთმანეთთან შედარებამ გამოავლინა მათ შორის არსებული შემდეგი სხვაობები: გრიგოლისეულში, რომელიც უფრო ადრეული ჩანს, ერთგან „მფრინავო“ს ნაცვლად წერია „მერანო“, „ნუცა დამეცეს“ ნაცვლად „ნუ დამეცემის“, „ეს განწირული სულის კვეთება“-ს ნაცვლად კი „ჩემის სულისა ესე კვეთება“. ამ ვარიანტული ნაკითხვებიდან არცერთი არ ემთხვევა „ცისკრისეულს“. შესაბამისად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პუბლიკაციას ეს წყარო არ დასდებია საფუძვლად.

როგორც გრიგოლის, ისე ბარბარე ერისთავისეულ კრებულში ერთგან არის სიტყვა „მუნ“ „იქ“-ის ნაცვლად და არც ეს ნაკითხვა ემთხვევა „ცისკრისეულს“. შესაბამისად, ბარბარე ერისთავისეული ავტოგრაფის წყარობაც გამოირიცხა. დაგვრჩა ორი ავტოგრაფი ბარბარე ვეზირიშვილისეული და ეკატერინე ჭავჭავაძისეული და, ამასთანავე, კიდევ ერთი ვარიანტული ნაკითხვა, რომელმაც ჩვენს საკვლევ საკითხს ნათელი მოჰფინა. ერთსა და იმავე ადგილას ვეზირიშვილისეულ ხელნაწერში იკითხება „სულის კუჭთება“, ეკატერინესეულში კი „სულის კვეთება“ და „ცისკრისეულს“ ემთხვევა ეს უკანასკნელი. პირიქით რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ უმარცვლო უჭ კერესელიძემ ჩასვა „ვე“-ს ნაცვლად, როგორც ეს არაერთგან გაუკეთებია (მხოლოდ „ბედი ქართლისას“ პუბლიკაციაში 52 ასეთი შემთხვევა გვაქვს), მაგრამ მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ ლოგიკურად გამორიცხულია, „ცისკრის“ რედაქტორს ხელთ პოეტის დის – ბარბარე ბარათაშვილ-ვეზირიშვილისეული ხელნაწერი ჰქონოდა ვარიანტით „კუჭთება“ და ამ სიტყვის დაწერილობაში უჭ შეეცვალა „ვე“-თი. შესაბამისად, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ ბარათაშვილის „მერანის“ პუბლიკაციაზე ეზრუნა ეკატერინე ჭავჭავაძეს და თუ ეს ასეა, ეს მოხდებოდა ილიას რჩევით. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ილიას მონაწილეობა მიელო ლექსის გადაწერასა და გამოგზავნაშიც. შემდგომმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ იგივე შეიძლება ითქვას სხვა ლექსებზეც. 1860 წლის ივნისიდან წლის ბოლომდე „ცისკრის“ ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ბარათაშვილის თითო ლექსი მინაწერით „თ. ნიკოლაოზ ბარათოვის ლექსებთაგან“ და მათ სტემატურ ანალიზს უმრავლეს შემთხვევაში ეკატერინე ჭავჭავაძისეულ კრებულთან მივყავართ.

რატომ გაიცნო და აღიარა ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილი მხოლოდ ავტოგრაფული კრებულების ნაკითხვის შემდეგ, თუკი 1852 და 1858 წლებში „ცისკარში“ უკვე იყო გამოქვეყნებული მისი შვიდი ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცდა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა...“), „...სულო ბოროტო“, „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, „გალობა სიტურფისა“ (შევიშრობ ცრემლსა...)“ და „ჩვილი“ და პოემა

„ბედი ქართლისა“? ილია გიმნაზიის წლებიდანვე უსაზღვროდ იყო დაინტერესებული ქართული ლიტერატურით, მუდამ ამ სფეროსთან დაკავშირებულ წრეებში ტრიალებდა და ლოგიკურად გამორიცხულია, რომ იმ დროს გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან ჟურნალში დაბეჭდილ მხატვრულ ნაწერებს არ გასცნობოდა. სხვა საკითხია, შეძლებდა თუ არა მკითხველი მხოლოდ ამ პუბლიკაციებით ბარათაშვილის პოეტური ნიჭისა და ნააზრევის შეფასებას. ამ საკითხის გასარკვევად ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ მწერლის ზემოხსენებული რვა ტექსტის „ცისკრისეული“ პუბლიკაციების ვარიანტული სხვაობები ამავე ტექსტების ავტორგრაფებთან შედარებით და შემდეგი სურათი მივიღეთ.

პოემიდან „ბედი ქართლისა“ ცენზურას სხვადასხვა ადგილებიდან ამოღებული აქვს 59 ტაეპი და მათ ნაცვლად ჩასმულია მრავალწერტილები. ეს არის ძირითადად სოლომონ მსაჯულის და მისი ცოლის – სოფიოს სიტყვები. თხზულებაში ნაშლილია ყოველგვარი პოლემიკის და მეფის გადაწყვეტილების სისწორეში დაეჭვების კვალი. ამის გამო ფაქტობრივად არ არსებობს სიუჟეტური კვანძი, დაკარგულია მთელი დრამატიზმი და იდეური ჩანაფიქრი. ორგან გაბმული ტექსტიდან პირდაპირ არის ამოღებული სიტყვა „თავისუფლება“, რაც აზრს დაუსრულებელს და გაუგებარს ხდის. გარდა ეროვნულ-პატრიოტულისა, ტექსტში ზოგიერთი ადგილი შეცვლილი ან ამოღებულია რელიგიური ცენზურის გამოც. მაგალითად, მრავალწერტილით არის ჩანაცვლებული ვრცელი ეპიზოდი, სადაც ავტორის გარკვეული უკმაყოფილება ჩანს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ღვთის ნებით ერთი ადამიანი კამათლის გაგორებასავით მარტივად წყვეტს მთელი ერის ბედს და მის სიტყვას ემორჩილებიან ყველანი სულელნიც და ბრძენნიც. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ცენზურამ ან რედაქტორმა პოემის ფრაზის: „ჰოი, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად / ნულარ განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად“ აზრი, მცირედმორწმუნეობად ან მკრეხელობად მიიჩნიეს და შეცვალეს ასე: „ში ღმერთო! ვმადლობ შენს სამართალსა, / ჰგავს ღირსად შევხვდი ამა სასჯელსა“.

გარდა იმისა, რომ პოემიდან საცენზურო კომიტეტის, თუ ჟურნალის თვითცენზურის, მიზეზით ამოღებულია უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ამ თხზულებამიც და „ცისკარში“ დაბეჭდილ ბარათაშვილისეულ სხვა ლექსებშიც ბევრია რედაქტორის ჩარევით და ასოთამწყობის მიერ დაშვებული შეცდომით გამოწვეული ცვლილებებიც. ჩვენ ისინი კატეგორიულად დაყვავით.

**ცვლილებების სიტყვათა მართლწერაში:** ასოთშეერთება „ვე“-ს ნაცვლად ჩასმულია „უწ“, „ვე“-ს ნაცვლად – „უ“ და „ხ“-ს ნაცვლად – „ვ“, ზმნებიდან ამოღებულია მესამე ობიექტური პირის ნიშანი „ჰ“ და სხვ.

მთლიანობაში ბარათაშვილის 1852 და 1858 წლებში გამოქვეყნებულ 8 ტექსტში გვაქვს ასამდე ასეთი ცვლილება.

**ტექსტში შეტანილი ამა თუ იმ სახის ცვლილებით გამოწვეულია აზრის შეცვლა ან გაზუნდოვანება:** იმის გამო, რომ ტექსტში „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, ავტოგრაფებისაგან განსხვავებით, აღარ არის დაკონკრეტებული, რომელ ბრძოლას და მეზობლებს ეძღვნება იგი, ლექსის ბოლოს მორე პირისადმი მიმართვა – „გიკურთხებენ“, რომელშიც ამ ბრძოლის მონაწილეები და მეთაური იგულისხმებოდა გადატანილია პირველი პირის მრავლობითში და განზოგადებულია – „გიკურთხებენ“. ამავე ტექსტში სიტყვის „სომხითი“, რომელიც გულისხმობს საქართველოს გარკვეულ ტერიტორიას, ნაცვლად წერია „სომხეთი“, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნის სახელი, რაც, ბუნებრივია, აზრს ცვლის. ლექსში „სულო ბოროტო“ და პოემაში „ბედი ქართლისა“ სიტყვის „მახვრალი“ (ნაღვლიანი) ნაცვლად წერია „მაშვრალი“ (დაღლილი). ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ ფრაზაში „გრძნობა, ესთ სანუკველი“, სადაც „ესთ“ ნიშნავს „ესრეთ“, „ესოდენ“, „ცისკარში“ წერია „ერთ“, რაც აზრს გაურკვეველს ხდის. ლექსში „გალობა სიტურფისა“ რადიკალურ აზრობრივ ცვლილებას იწვევს ფრაზის „ვით არ ვადიდო“ შეცვლა ნაკითხით „ვითარ ვადიდო“, ასევე „ნიჭი“-ს შეცვლა ამ სიტყვის მხოლობითის ფორმით – „ნიჭი“, რადგან საუბარია ღვთიურ ნიჭებზე – უფლის ტალანტებზე. ლექსში „ჩემს მერანს“ ტაეპში „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“ ნაცვლად „გულისა“ წერია „სულისა“, რითაც სათქმელი სხვაგვარ ინტერპრეტაციას იღებს. აქვე სხვა ტაეპში „და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ სიტყვის „ჰუნე“ (ცხენი, რაში) ნაცვლად წერია „ლონე“, რაც არც კონტექსტს შეეფერება და აზრსაც აბსოლუტურად აზუნდოვანებს.

პოემაში „ბედი ქართლისა“ ქართლის იმჟამინდელ „ყოფაცხოვრება“-ზე საუბრისას ეს სიტყვა შეცვლილია „კეთილ ცხოვრებით“, მეფის „გულის ნადილზე“ საუბრისას ეს სიტყვა შეცვლილია „სულის ნადილით“. იქ, სადაც ნახსენებია რუსებთან „მტკიცე კავშირი – სარწმუნოება“, ავტოგრაფში ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან ტირით არის გამოყოფილი, რაც მიუთითებს, რომ ეს კავშირი სწორედ სარწმუნოებასთან არის ასოცირებული, „ცისკარში“ კი ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან მძიმით არის გამოყოფილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთობის საფუძველი ცალკე მტკიცე კავშირია და ცალკე სარწმუნოება. ფრაზები, სადაც ავტორი ქართველებს მეორე პირში მიმართავს, „ცისკარში“ გადმოტანილია პირველი პირის მრავლობითში: გაქეთ ] გუაქ უს, გააგონებ ] გაგვაგონებ და სხვ.



ბარათაშვილის ზოგიერთ ავტოგრაფში, რომლებითაც ისარგებლა „ცისკრის“ რედაქციამ, ძახილის ნიშანს ვერტიკალური ხაზის ზედა ბოლო მარცხნივ აქვს ჩამოზრდილი, რის გამოც, ასოთამწყობებს, როგორც ჩანს, ლექსების „ჩემი ლოცვა“ და „სულო ბოროტო“ ბოლო ტაქტებში იგი კითხვის ნიშანი ეგონათ და ტექსტები ასე აანწყევს: „მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად?“ „ვად მას, ვისაცა მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი?“ ლექსში „ბულბული ვარდზედ“ პუნქტუაციის შეცვლით აბსურდული რამ იკითხება: ფრაზაში „გალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული“ ავტოგრაფებში მძიმე არის სიტყვის „ჰაერში“ შემდეგ, ცისკარში კი გადატანილია სიტყვის „ჰყვეს“ შემდეგ, რის შედეგადაც გამოდის ასე: „ჰაერში განაღვიძეს ბულბული“, თითქოს ბულბული მძინარე დაფრინავდა. პოემამი „ბედი ქართლისა“ ფრაზაში „ვით კაცსა ლიტონს“ სიტყვა „კაცსა“ შეცვლილია სიტყვით „ბატონს“, რითაც ფრაზა „ლიტონი კაცი“ დაკარგულია და აზრი გაბუნდოვანებულია. ერეკლე მეფეზე საუბრისას ფრაზაში „ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი“ ბოლო ორი სიტყვა შეცვლილია ასე – „ერთთანა მკვდარი“, რითაც აზრი დაკარგულია. ფრაზა „დუმილი ჰსუფევს“ შეცვლილია უაზრო ფრაზით „დუმილსა ჰხედავს“, იქ, სადაც საუბარია, რომ ალამაჰმად-ხანი ქალაქს დასჯერდა და „სხვით არ აღივსო მან სანყაული“, ბოლო სიტყვის ნაცვლად „ცისკარში“ „სასნაული“ წერია, რაც აზრის გაბუნდოვანებას იწვევს.

„ცისკრისეულ“ ზოგიერთ პუბლიკაციაში ხელნაწერის არასწორად ამოკითხვის თუ ტექსტის აწყობისას დაშვებული შეცდომის გამო გვხვდება არარსებული სიტყვები: ლექსში „სულო ბოროტო“ სიტყვის „მსახვრალი“ (მომჯადოებელი, მომსპობი, გამანადგურებელი) ნაცვლად წერია „მასვრალი“. ლექსში „ბულბული ვარდზედ“ ვარდთან დაკავშირებით „ფურცვნილის“ (ფურცელდაყრილის) ნაცვლად წერია „ფურცვნილი“, „შევფრფინვიდი“-ს (აღტაცებით ვუცქერდი) ნაცვლად – „შევფრვინვიდი“, ფრაზაში „მსტვინავი ლმობის ხმითა“ – „მსტვინვალობისა“, „მოუკვდას“ ნაცვლად – „მოუკოდა“, ფრაზაში „მივალალებენ (ხმამალალი დამიტვინებენ) სეავნი მყივარნი“ – „მივავალებენ“, ტაქტში „მეგობართა, ნათესავთ მოკლებული“ – „მოკლებული“ და ფრაზაში: „არ გიცვნი სოფელი მომღერალი!“ – „მომღერალი“. სხვადასხვა ადგილას „ნუ თუ“-ს ნაცვლად გვხვდება „თუ ნუ“ და „რად“-ის ნაცვლად – „რდა“. თუ კონტექსტის დახმარებით მკითხველი ხვდება, რომ ეს მექანიკური შეცდომებია, მათი უარყოფითი შედეგი შემოიფარგლება იმით, რომ ლექსის ამ ადგილის გასაგებად მკითხველს გარკვეული ძალისხმევა სჭირდება და იკარგება პოეზიის უშუალო ზემოქმედების ესთეტიკური ეფექტი, მაგრამ არ არის გამორიცხული მოვლენათა უფრო

რთული განვითარებაც. არა მხოლოდ მკითხველმა, სპეციალისტმაც კი შეიძლება იფიქროს, რომ არა არარსებულ, არამედ მისთვის უცნობ რალაც ახალ სიტყვასთან აქვს საქმე.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ლექსის – „მეც შავს თვალებს“ პუბლიკაცია ამავე „ცისკარში“. ავტოგრაფისეულ ფრაზაში „ვით ქარიშხალში აღმშფოთნი ზღვანი“, „აღმშფოთნის“ ნაცვლად წერია „ავ-ფთონი“ (ჭავჭავაძე 1859: 157) და დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ასეთი სიტყვა და იგი ტექსტში ავტორის მიერ იქნა შეტანილი, თუ არა (კუსრაშვილი 1984: 106-118; ნულისკირი 1986: 132-145; მხარგრძელი 1987 კვაჭანტირაძე 1987; 203-211;). საყურადღებოა, რომ ლექსის ამავე, „ცისკრისეულ“ წყაროში სხვა პარადოქსული ნაკითხვებიცაა, მაგ. „განგინევს“ ნაცვლად „განგინვეს“ და „მისის ნაპერწკლით“ ნაცვლად „ძირის ნაპერწკლით“. „ავ-ფთონთან“ დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებებიდან შედარებით მისაღებია ლექსის ამ ადგილას „ფრთონა“ (ლელვა, რხევა) სიტყვიდან წარმოებული რალაც ფორმის არსებობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმდროინდელ ცისკარში ყოველი 10-დან ერთი სიტყვა მაინც შეცდომით ეწერა, რატომ ვართ დარწმუნებულები, რომ აქ, თუნდაც სიტყვა „ფრთონა“-დან წარმოებული ფორმა აუცილებლად „ავ-ფთონი“ იქნებოდა. „ცისკრის“ ლაფსუსების სტატისტიკა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ილია ჭავჭავაძის მიერ გამოგონებული იმ ახალი სიტყვებისა, რომლებიც ცხოვრებაში ერთზე მეტად არ გამოუყენებია. როცა გვაქვს ლექსის ამ ადგილის ავტოგრაფისეული ვარიანტი „აღმშფოთნი“, ვფიქრობთ, არავითარი აუცილებლობა არ არის, რომ აკადემიურ გამოცემაში ასეთი საეჭვო და საკამათო სიტყვა ჩავწეროთ მის ნაცვლად.

**ამა თუ იმ სახის ცვლილებით დარღვეულია ლექსის მხატვრული მხარე:** ფრაზაში „გარდაიარე კლდენი და ღრენი“ სიტყვიდან „გარდაიარე“ პირველი „რ“ ამოღებულია, რითაც სუსტდება ტაქტის ალიტერაცია. შეცვლილია ავტორისეული სარიტმო სიტყვები: „ვითა საკმეველს“ // „ჩემსა სალოცველს“ ჟურნალში შეცვლილია შემდეგნაირად: „ვითა საკმელსა“ // „ჩემს სალოცველსა“. ლექსში „ჩვილი“ სარიტმო სიტყვა „დაგხარის“ შეცვლილია სიტყვით „გიდარის“. ტაქტში „მირბის, მიმფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“ სიტყვის „უკვლოდ“ ნაცვლად წერია „უკულოთა“, რითაც რიტმი ირღვევა – 14-ის ნაცვლად გვაქვს 15 მარცვალი. აქვე ფრაზაში „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება“ ნაწილაკის „არა“ ნაცვლად წერია „არ“, რითაც ასევე ირღვევა რიტმი – 20 მარცვლის ნაცვლად გვაქვს – 19. ფრაზაში „წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა“ პირველ

მუხლში გვაქვს მხოლოდ „წყეულმც დღე“, რის გამოც ტაეპში 14 მარცვლის ნაცვლად არის 8 და დარღვეულია რიტმი. ტაეპებში: „მხოლოდ კავშირი ესრეთთ(ა) სულთა ჰშობს სიყვარულსა“, „რომ(ე)ლით ნათლდება ყოვ(ე)ლი გრძნობა, გული და სული“ ორივეგან უნდა იყოს 14 მარცვალი, მაგრამ პირველში არის 15 და მეორეში – 16 (ფრჩხილებში ჩასმული ხმოვნები ზედმეტია). ფრაზაში „ხმა ნალარისა, ხმა ეს ბრძოლისა“ შინაგანი რითმა და რიტმი დარღვეულია იმით, რომ ბოლო ორი სიტყვა შეცვლილია შემდეგნაირად: „ესე ბრძოლის“ და სარიტმო სიტყვების „ბრძოლისა // ქართლისა“ ნაცვლად არის „ბრძოლის // ქართლის“. სარიტმო სიტყვებიდან „გულის-თქმას // სიტყვას“ პირველი ჩანაცვლებულია ფორმით „გულის-თქმათა“ და მოსაზღვრე რითმა დარღვეულია.

ყველა ეს ცვლილება მთლიანობაში რომ გავიაზროთ, არ გავიკვირდება, რომ ესოდენ შელახულ და შერყვნილ ტექსტებს ისეთი დიდი შთაბეჭდილება ვერ მოეხდინა მკითხველზე, როგორსაც ბარათაშვილი იმსახურებდა. საზოგადოების მხრიდან ბარათაშვილის შემოქმედების აღქმისთვის საჭირო მზაობის ნაკლებობასთან ერთად, ვფიქრობთ, პუბლიკაციათა ამ ხარვეზებმაც განაპირობა მისი აღიარების დაგვიანება. ჟურნალ „ცისკარს“ თავისი საგამომცემლო პოლიტიკა ჰქონდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ვერ შეცვლიდა, მაგრამ, როგორც კი მან საკუთარი ჟურნალი გამოსცა და მისმა თაობამ პოეზიის კრებულების შედგენა დაიწყო, მათ განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ბარათაშვილის ტექსტების ზუსტად ისეთი სახით გამოქვეყნებაზე, როგორც ავტოგრაფებში იკითხებოდა. კირილე ლორთქიფანიძისთვის გაგზავნილ ბარათში ილია წერს: „გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად და შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს, მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია“ (ჭავჭავაძე 2012: 37).

გარდა იმისა, რომ ილიამ დაიწყო ზრუნვა ბარათაშვილის ტექსტების ავთენტური სახით პუბლიკაციაზე, მან სწორი ლიტერატურულ-კრიტიკული შეფასება მისცა მის შემოქმედებას. 1861 წელს თავის პირველსავე პუბლიცისტურ ნერილში „ორიოდე სიტყვა...“ ილიამ ბარათაშვილი რუსთველის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის გვერდით დააყენა. დაახლოებით ამავე პერიოდში ევროპეიზმთან ქართველი მწერლების მიმართებასთან დაკავშირებით რვეულში ჩაინიშნა შემდეგი აზრები: „დავით გურამიშვილი, რომელმაც ჰსცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ

ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაც ვეროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“ (ჭავჭავაძე 1991: 592). იმ ეტაპზე ქართული ლიტერატურის ვრცელი ანალიზის დაწერა ილიამ ველარ მოახერხა, მაგრამ გააგრძელა 1892 წელს „ივერიის“ რამდენიმე ნომერში უსათაუროდ გამოქვეყნებულ მეთაურებში, რომლებიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ამ ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევის ერთი თავი ნიკოლოზ ბარათაშვილს ეძღვნება.

მასში ილია განმარტავს, რომ ბარათაშვილის შემოქმედებაში, მისი თანამედროვე სხვა ქართველი პოეტებისაგან განსხვავებით, უფრო საყოველთაო, საკაცობრიო ტკივილებზეა საუბარი, ვიდრე პირადულზე, „მისი ვერმიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა...“ მისი ტკივილები იმ აზრგაღვიძებული ადამიანის ტკივილებია, რომელსაც ჭეშმარიტების მაძიებელი გონება მოსვენებას არ აძლევს. ილია წერს: „...ეს სულისკვეთება განა ზოგადკაცობრიული არ არის? მაშ, არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი ყოფილა ზოგადკაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუა დღემუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმაც სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენს პოეტი?“ „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენ გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაანაფა“ (ჭავჭავაძე 1991: 541-542).

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის შეფასება ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მისიასთან დაკავშირებით აბსოლუტურად ზუსტი იყო, მაგრამ კვლევამ კიდევ ერთ რამეში დაგვარწმუნა, რომ მწერლის თხზულებათა სწორად აღქმისა და ღირსეულად დაფასებისათვის უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ავთენ-ტურ პუბლიკაციას.

## დამონებიანი:

**ბარათაშვილი 1852:** ბარათაშვილი ნ., *ლექსები*, „ცისკარი“, 1852, 4.

**ბარათაშვილი 1858 ა:** ბარათაშვილი ნ., *ლექსები*, „ცისკარი“, 1858, 2.

**ბარათაშვილი 1858 ბ:** ბარათაშვილი ნ., *ბედი ქართლისა*, „ცისკარი“, 1858, 9.

**ბარათაშვილი 1864:** ბარათაშვილი ნ., *ლექსები*, *ბედი ქართლისა*, „ჩონგური“, 1864.

**ბერძნიშვილი 1858:** Бердзенов Н., *Белый обзор 12 книжек* журнала `Заря» с января по декабрь 1858 г., “Кавказ”, 1859, #43.

**ერისთავი 1852:** ერისთავი გ., თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ, „ცისკარი“, 1852, 4.

**კუსრაშვილი 1984:** კუსრაშვილი რ., ილიას პოეტურ თხზულებათა ტექსტების დასაზუსტებლად, „კრიტიკა“, 1984, 3.

**კვაჭანტირაძე 1987:** კვაჭანტირაძე თ., „ავ-ფთონი“ ანუ ავად მღელვარი, 1.

**ლიტერატურული 1935:** ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნ. 1, 1935.

**მხარგრძელი 1987:** მხარგრძელი ს., რას ნიშნავს ილიასეული „ავ-ფთონი“ ანუ ავად მღელვარი, „კრიტიკა“ 1987 1.

**ჭავჭავაძე 1857:** ჭავჭავაძე ი., ჩიტი, „ცისკარი“, 1857, 1.

**ჭავჭავაძე 1859:** ჭავჭავაძე ი., მეც შავს თვალებს, „ცისკარი“, 1859, 3.

**ჭავჭავაძე 1864:** ჭავჭავაძე ი., ლექსები, რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, „ჩონგური“, 1864.

**ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 5, 1991.

**ჭავჭავაძე 2012:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 17, 2012.

**ნერეთელი 1865:** ნერეთელი ა., რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, „ცისკარი“, 1865, 9.

**წულეისკირი 1986:** წულეისკირი ნ., „ავ-ფთონი“ და „ანასუნი“, „კრიტიკა“, 1986, 5.

## TAMAR PAICHADZE

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### For the Reception of Romanticism in Georgian Symbolic Discourse

The Georgian symbolist school itself was informationally presented as a variation of European school and absolutely identical to it by means of essence. This must also be considered as the cause of accusations by totalitarian ideology to modernists: that they were absolutely identical and imitated each other. Even general overview shows that despite their identical ideological-methodological choice the Georgian symbolist group members still were different from each other by creative status.

It is a fact that we must look for the origins of those extraordinary features in Georgian classic literature; naturally, the question if Georgian modernists had an ancestor in Georgian national artistic environment takes us to romanticism... The Georgian symbolists' answer was ambiguous at that time and is the same today from literature critics.

**Key words:** Romanticism, Georgian symbolist, Nikoloz BarataSvili.

## თამარ პაიჭაძე

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### რომანტიზმის რეცეფციისათვის ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში

თანამედროვე კვლევებში არსებობს კითხვები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა გავლენა რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას შემდგომი პერიოდის (ეტაპის) ხელოვნებაზე და რამდენად ფართო იყო ამ გავლენათა სივრცე. როგორც ცნობილია, კულტუროლოგიურ კვლევებში სიმბოლიზმი „ნეორომანტიზმადაც“ მოიხსენება. ამ შემთხვევაში მუშაობს მისი ისტორიული და მეთოდოლოგიური მიმართება ევროპული რომანტიკული სკოლების ტრადიციებთან. საფრანგეთსა და რუსეთში ე.წ. „პირველი თაობის სიმბოლისტების“ მხატვრული დისკურსი (ჟან მორეასი, მორის მეტერლინკი, სტეფანე მალარმე პოლ ვერლენი, ვიარისლავ ივანოვი ფეოდორ სოლოგუბი, ნიკოლოზ გუმილოვი, აფანასი ფეტი) ცალსახად გადიოდა რომანტიკულ და სიმბოლისტურ შეხედულებათა ზღვარზე. სიმბოლისტური წარმოსახვის მრავალმრიანი ბუნება და „ჩაუკეტავი მნიშვნელობანი“ დაფუძნებული მითოლოგიურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ წარმოდგენებზე, ზერეალურობასა თუ არსით მიუღწევადობაზე, ამ გავლენისა თუ პარალელის გაცნობიერების საშუალებას ერთმნიშვნელოვნად იძლეოდა.

ამ თვალსაზრისით არც ქართული სიმბოლისტური სკოლა გამონაკლისი, იმდენად, რამდენადაც ის მოტივირებული იყო, როგორც ევროპულის ვარიაცია და არსითაც აბსოლუტურად იდენტური. აქედან უნდა ვეძებოთ ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ მოდერნისტთა მიმართ არსებული ყბადაღებული ბრალდებების სათავეც: რომ ისინი იყვნენ აბსოლუტურად მსგავსნი და ერთმანეთის მიმბაძველნი. თუმცა, თუნდაც ზოგადი გადახედვით საცნაურია, რომ მიუხედავად მათი იდენტური მსოფლმხედველობრივ – მეთოდოლოგიური არჩევანისა,

ქართული სიმბოლისტური ჯგუფის წევრები შემოქმედებითი სტატუსით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ფაქტია, ამ არაორდინალურობის სათავე ქართულ კლასიკურ მწერლობაში რომ უნდა ვეძიოთ, კითხვას – ჰყავდათ თუ არა ქართველ მოდერნისტებს ნაციონალურ შემოქმედებით გარემოში წინაპარი, ბუნებრივია პირველყოფლისა რომანტიზმამდე მივყავართ... და აქ პასუხი არაერთგვაროვანი იყო მაშინაც, ქართველი სიმბოლისტებისაგან, და ასეთივეა დღესაც, სალიტერატურო კრიტიკისაგან.

თუმცა საქართველოში ეს დამოკიდებულება განსხვავებულია: იმდენად რამდენადაც სიმბოლიზმი არსით ქართული მოვლენა არ იყო და ქართული რომანტიკული სკოლისგანაც საუკუნოვანი დისტანცია აშორებდა, მათი კავშირი უფრო ისტორიული მეხსიერების დონეზე უნდა მოვიაზროთ. ქართველი სიმბოლისტები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებით მსოფლმხედველობაში დასაყრდენს ნაკლებად აცნობიერებდნენ, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ეს შემოქმედებითი პროცესი ფრიად იმპულსური და უკვალო აღმოჩნდა ქართული კულტურული შემეცნებისათვის.

ამ განცხადებათა კვალობაზე პროცესი უფრო ფართო და ანალიტიკურ მიმოხილვას საჭიერებს, მითუმეტეს რომ მისი ისტორიული ქრონოლოგია და ტენდენციები ლიტერატურის ისტორიის მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება და ჯერ კიდევ რომანტიზმის დამკვიდრებამდე ქართულ ლიტერატურაში/კულტურაში ჩამოყალიბებულ ცნობილ ტენდენციაზე მიუთითებს – ეს არის ქართული საზოგადოების ნაწილის სწრაფვა კათოლიკური ევროპისაკენ, რაც განპირობებული იყო პროტესტით იმდროინდელი სპარსოფილური პოლიტიკის და აქედან გამომდინარე, ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგ, აფართოვებდა დასავლური გავლენის არეალს და ქმნიდა ევროპულ კულტურასთან მეტი დაახლოების შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში და რუსეთში, მოსკოვში ცხოვრების პერიოდი; ასევე დავით გურამიშვილის ცხოვრების პრუსიული და უკრაინული ეტაპები. ამ ლიტერატორთა განსაკუთრებული როლი კავკასიური კულტურის ისტორიაში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განსაზღვრული: მათ არა მხოლოდ დაიცვეს საკუთარი კულტუროლოგიური პრინციპები, არამედ, ხელი შეუწყვეს შემდგომი კულტურული ორიენტაციის ჩამოყალიბებას საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ ეპოქაში; მოახდინეს რა ევროპეისტული აზროვნების რეკონსტრუქცია საქართველოში აღმოსავლური კულტურული მოდელისადმი განწყობილ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეს შესთავაზეს ევროპული ნეოკლასიკური

კულტურის ტენდენციები; მათი მხატვრული ტექსტები იქცნენ არა მარტო კულტურულ-სამეცნიერო, გეოგრაფიულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ-ჟანრულ გამოწვევად, არამედ – ინტელექტუალურ ორიენტირად მათივე თანამედროვე კულტურაში. მეტიც, მათ დასაბამი მისცეს ინტერკულტურული კომუნიკაციების ლიტერატურულ ტრადიციას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარეს უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ახალ შემოქმედებით ნარატივს, რომელმაც შემდგომ ეპოქებშიც ჰპოვა გამოხატულება, რაც ამ მწერალთა მიერ ორგანიზებული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პარადიგმის კონცეპტუალური და სტრატეგიული მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ამ ტენდენციათა ლოგიკური გაგრძელება იყო ის „ევროპული სხივი“, რომელიც ქართულ ლიტერატურაში დაფუძნებულ ახალ მეთოდოლოგიას შემოჰყვა, იგულისხმება XIX საუკუნის დასაწყისის რომანტიკული სკოლა, რომელსაც რამდენიმე მიმდევარი ჰყავდა და პოეტურ სახისმეტყველებაში იჩინა თავი. მისი მხატვრული ნიადაგი ნაციონალურ კლასიკურ მწერლობაში უნდა ვეძიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომსალიტერატურო კრიტიკაში არსებობს ასევე რეტროსპექტული და წარმოსახვითი ბმა რომანტიკული და სიმბოლისტური მწერლობის ისტორიიდან: ორივე მიმდინარეობისათვის მაცნედ თუ სიმბოლოდ იქცა გიმნაზისტთა გამოცემები, ხელნაწერი ჟურნალები: თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ გამოცემული „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ „ЦветокТифлисскойгимназии“ (1835) და საქართველოში სიმბოლისტური მოძრაობის წინაეტაპად სახელდებული ქუთაისელ გიმნაზისტთა ასევე ხელნაწერი გაზეთი „კოლხეთის ისრები“ („СтрелыКолхиды“). თუმცა სამეცნიერო რეგლამენტაციისა და მოვლნათა მსოფლმხედველობრივი იდენტურობის დასასაბუთებლად ეს ფაქტები არგუმენტები არ არის.

საქართველოში რომანტიზმს არაერთგვაროვნად აღიქვამდნენ თავად ქართველი სიმბოლისტები, ისინი თვლიდნენ რომ რომანტიზმმა ქართული პოეზია აღმოსავლურ ტკბილხმოვან ნირვანას „გამოარიდა“. თუმცა ეს პროცესი განსაკუთრებით პირველ ეტაპზე სპონტანური იყო, იმდენად რამდენადაც ქართული რომანტიკული სკოლის პირველი წარმომადგენლები ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი არ იყვნენ არსით რომანტიკოსები; მათი შემოქმედება ძირითადად წინაეტაპის ლიტერატურულ (აღმოსავლურ) მოდელზეა დაფუძნებული და რომანტიკული ტენდენციების მხოლოდ მატარებელია.

ცნობილი ფაქტია, ქართული რომანტიკული სკოლის ყველაზე რაფინირებული მხატვრული დისკურსი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში იკვეთება, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეო-



ბა იმ დროის საზოგადოებისათვის მხოლოდ ნაწილობრივ, ფრაგმენტულად იყო ცნობილი; ის ბიუროკრატიულ სამუშაოს ეწეოდა ქვეყნიდან მოშორებულ რეგიონში, სადაც მას, როგორც შემოქმედს არავინ იცნობდა და შემოქმედებითი შესაძლებლობების აღმავლობის ხანაში სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა... მისი შემოქმედების რეზონანსიც არ ყოფილა ფართო, ის ლიტერატურულ ისტორიას და მეხსიერებას მოგვიანებით მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით დაუბრუნდა. აქედან გამომდინარე, მას როგორც გარკვეული, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მწერალს თავისი პერიოდის ლიტერატურულ პროცესზე გავლენა ნაკლებად ექნებოდა.

ამითაიხსნება ქართველი სიმბოლისტების არაერთგვეროვანი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი, – მისი მხოლოდ ზოგიერთი ლექსი მიიღეს, ხოლო ზოგადად ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ბარათაშვილს აღიარებდნენ.

„ქართული ლექსი ან პოეტი მიაღწევს მეოცე საუკუნის ნახევრამდის? „ბარათაშვილის “მერანი უკვე დაიღალა ორმოცდაათი წლის ჭენებით ახლა ის ბებერია, ტყავამხმარი“ – წერდა პაოლო იაშვილი (იაშვილი 1922).

ამგვარი პოზიცია ნაწილია იმ ცნობილი კრიტიკული ნაკადისა, რაც ზოგადად ქართული სიმბოლისური ორდენის წევრთა მიერ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურული სახელებისა და სახეების შესახებ არსებობდა.

თუმცა ამ დამოკიდებულებათა კონტრარგუმენტები ისევედაისევე სიმბოლისტების შეხედულებებში ცნობიერდება ერთ-ერთი პირველი ვალერიან გაფრინდაშვილი იყო, რომელმაც ბარათაშვილის „მერანი“ ლიტერატურულ და მხატვრულ-მსოფლმხედველობით შედევრად აღიარა, „მერანი“ და არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“ ავტორმა ერთი კატეგორიის ლექსებად შერაცხა. „აქ დიონისი დღესასწაულობს თავის გამარჯვებას „სალ გონებაზე“ და შეუჩერებლად მიექანება ნირვანისკენ“ (ვ. გაფრინდაშვილი). ამ წერილით ავტორმა ნიკოლოზ ბარათაშვილი ევროპული ორიენტაციის, ინტელექტუალური მხატვრული ხელწერის ოსტატად წარმოუდგინა, რომელსაც თანამედროვე მხატვრულ დისკურსზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. ვალერიან გაფრინდაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილს „ქართული პოეზიის ჰამლეტი“ უწოდა: „მისი ლექსები დანიის პრინცის მონოლოგებია და ის თვითონ ჰამლეტის ნიღაბში მღერის თავის ლექსებს და წარმოთქვამს სახელგანთქმულ „ყოფნა არყოფნას“ (ვ. გაფრინდაშვილი).

ავტორი ზოგადად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკულ პოეზიას ევროპული ლიტერატურული სკოლებისა და პარადიგმების ჭრილში განიხილავს: „ლექსში „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილმა შექმნა პოეზია დენდიზმისა და ვერლენის აჩრდილების“ (ვ. გაფრინდაშვილი). ვალერიან გაფრინდაშვილმა პოეტის მხატვრული სივრცის საზღვრები დაუახლოვა არა მხოლოდ მსოფლიო პოეზიას, არამედ ფერწერასაც, „პოეტი ვრუბელისებურ სერაფიმივით დგას მთანმინდაზე და იქიდან გადაჰყურებს თავის სიცოცხლეს. კიდევ ერთი ნუთი და იგი, როგორც ვრუბელის დემონი, გადავარდება ნაპრალში და დაიხრჩობა დაისის დამაბრმავებელ ალში“. „თუ ფრანგმა პოეტმა ლაფორგმა მიანდო თავისი გულის ჩივილები და საყვედურები პროვინციალურ მთვარეს, ბარათაშვილმა გაუზიარა თავისი ტანჯვა ერთ პირქუშ ვარსკვლავს, რომელიც დღემდე ანათებს ჩვენთვის და ინვის თავისი გაყინული სხივებით“. „არ არის სხვა დიალოგი უფრო საკვირველი თავისი ინტიმით, როგორც სიმბოლური დაიალოგი „მწირისა და სუმბულის“. ეს ორი ჭიანურის დუეტია, რომელნიც სტირიან წყლიადში და უპასუხებენ ერთმანეთს უფრო ნაზი ვედრებით, ვიდრე სიტყვები მეტერლინიკის დებისა“

„ასე ახდენს „გავლენას“ ბარათაშვილის „მერნის“ ჩვენეულ აღქმასა და ინტერპრეტაციაზე არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“. ორივე პოეტი წერდა ტრადიციისა და თანამედროვეობის საოცარი შეგრძნებით: ისინი წერდნენ არა მარტო როგორც თავიანთი დროის შვილები, არამედ იმ ძალისხმევით, როგორც ელიოტი იტყოდა, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა, ჰომეროსიდან და შემდგომ, ერთდროულად არსებობდა მათს წარმოსახვაში. მარადიულისა და დროებითის შერწყმა გამოარჩევს ორივე პოეტს არტურ რემბოს ლექსის ლირიკული გმირი „გაგიჟებული“ ხომალდია, რომელიც ოკეანეთა დაუსაზღვრავ სივრცეებში მიქრის, რათა თავი დააღწიოს ევროპის „შემოსაზღვრულ“ ნავსადგურებს“ (ვ. გაფრინდაშვილი).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვანლზე ხაზგასმით მიუთითებდა გალაკტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ 1919 წელს ესეში “ძვირფასი საფლავები”: „როდესაც იგი მთანმინდაზე ადიოდა – მისი სული ჰგავდა მთვარეს, რომელიც თანდათან ფითრდებოდა. იმან გაიარა თავისი მარტოობის გზა, გაიარა მოწყენილს, შელამებულ დროს, როდესაც ბედნიერებას სძინავდა და სცხოვრობდნენ მხოლოდ აჩრდილები, ჭოტები და ცოდვები. ბარათაშვილმა, როგორც ყველა ბუნებით დაბადებულმა მგოსნებმა, იმ თავითვე დაიმონა ფორმის სიძნელე, და გახდა ბატონი თავისი სტილისა, რომელსაც შემდეგ, დროთსვლასთან ერთად ასწორებდა და აშალაშინებდა“. (6) აქვე უნდა აღინიშნოს, ცნობილი ფაქტის შესახებ რომ ზოგადად ქართული ლიტერატურის კლასიკოსების მიმართ გალ-

აკტიონ ტაბიძეს კრიტიკული დამოკიდებულება არასდროს ჰქონია, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული ნხატვრული შემეცნების ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლად მიაჩნდა და მის გავლენას შემოქმედების ორივე (მოდერნისტულ და კლასიკურ) ეტაპზე განიცდიდა.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლის წევრთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზისას. სიმბოლისტების შემოქმედების ყველაზე აქტიურ ეტაპზე 1915-1925 წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილთან და სხვა ქართველ რომანტიკოსებთან მხატვრული თუ ფორმალური ნათესაობა ნაკლებად სახიერდება,

თუკი საქართველოში სიმბოლისტური მსოფლალქმის ლიტერატურულ პრეამბულაზე უნდა მივუთითოთ, უფრო მოკლე ქრონოლოგია ჩანს გასავლელი – სულ ორიოდე ათწლეული, ვაჟა-ფშაველას და ვასილ ბარნოვის შემოქმედებით ბიოგრაფიებთან მისაახლებლად, რადგან მოდერნისტული აზროვნების სილუეტები მათ შემოქმედებით დისკურსებში ცალსახად იკვეთება.

ამასთან ერთად, ინტერკულტურული გავლენანიც აშკარაა, ქართველი სიმბოლისტებისათვის მსოფლიო რომანტიკული სკოლების შემოქმედნი და მათი მხატვრული სახე-სიმბოლოები უფრო ახლობელი გახდა, რაც თუნდაც დუალისტური ფილოსოფიის ინტერპრეტაციაში, ტრანსცენდენტალიზმისა და სულიერი მოუწყობლობის კულტივაციის ქართულ თეორიებსა და ბოლოს სიმბოლური აზროვნების ერთ მთავარ მხატვრულ სახეში – ქალის მშვენიერების, სიყვარულის მსოფლალქმში ცნაურდება (მაგ. შექსპირის ოფელია, ბაირონის მერი, როდენის ოფელია).

სიმბოლისტების აზრით, XIX საუკუნეში. ევროპამუპრეცედენტო ტექნოლოგიურ პროგრესს მიაღწია, მეცნიერებამ ადამიანებს გარესამყაროს შეცნობის საშუალება მიანიჭა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს სამეცნიერო რეალობა ვერ ავსებდა იმ სულიერ და მენტალურ სიცარიელეს, რომელიც ადამიანთა შემეცნებაში არსებობდა. ზღვარდადებული, ზედაპირული პოზიტივისტური იდეები სამყაროზე დადასტურებულ იქნა მნიშვნელოვანი აღმოჩენებით, რამაც დაამსხვრია მატერიალისტური მოძღვრებანი, შეირყა რწმენა მექანიკის კანონების აბსოლუტურობის შესახებ. გადაისინჯა განსაზღვრული „ერთმნიშვნელოვანი კანონზომიერებანი“: სამყარო აღმოჩნდა არა მხოლოდ უცნობი, არამედ შეუცნობელი. შეცდომათა გაცნობიერება, არსებული ცოდნის უკმარისობის შეგრძნებამ, გამოიწვია ახალი გზების ძიებისა და შეუცნობლის შეცნობის სურვილი. ერთ ასეთი გზას – გზას შემოქმედებითი განდობისა – წარმოადგენდა რომანტიზმი, სამეცნიერო მსოფლმხედველობა დაფუძნდა ახალ ღირებულებებზე და აქედან

გამომდინარე, შემოქმედებითი ცნობიერება შესაძლებელია დამყარდეს ზეცნობიერ შეხედულებებზე, ახალ, სუფთა საწყისზე. „ღმერთში არის თავგამოდებული ნუხილი ადამიანზე, ღმერთში არის ტრაგიკული უკმარობა, რომელიც შეიცვება ადამიანის შობით“ – ნერდა ნიკოლოზ ბერდიევი (გ. ტაბიძე).

შესაბამისად, ქართველი სიმბოლისტებისათვის ახლობელი იყო რომანტიკული შეხედულებანი ფილოსოფიასა და ესთეტიკზე უძველესი (პლატონის) მსოფლმხედველობრივი ტრაქტატებიდან მოყოლებული – თანამედროვე სისტემებით გაგრძელებული (არტურ შოპენჰაუერის, ვლადიმერ სოლოვიოვის, ფრიდრიხ ნიცშეს, ანრი ბერგსონის შეხედულებათა კვალობაზე). სამყაროს შეცნობის ტრადიციულ იდეებს რომანტიზმმა შემოქმედებით პროცესში სამყაროს ჩამოყალიბების იდეა შეაგება.

ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედებითი თავისუფლება, განდგომა წინასწარწავლი ფორმულირებებისაგან, მისწრაფება ყოველივე ახლისა და არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი... ის ასევე ნიშნავს იდეალიზმს, სოციალური მნიშვნელობის ფაქტებისადმი უყურადღებობას, ანტინატურალიზმს, მისწრაფებას ხორცი შეასხას მხოლოდ იმას, რაც არსებითი და მნიშვნელოვანია. “ – ნერდა რემი დე გურმონი (გურმონი 1913: 47).

სიმბოლიზმის წინარე პერიოდი დაკავშირებული იყო. კრიზისთან, რომელმაც ევროპას XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადაუარა, ახლო წარსულის ღირებულებათა გადაფასება ვინრო მატერიალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბუნტითა და დიდი რელიგიურ თუ ფილოსოფიურ ძიებათა თავისუფლებით გამოიხატა.

XIX და XX საუკუნეთა გასაყარი აბსოლუტური ღირებულებების, უღრმესი მენტალური გარდასახვისა თუ შთაბეჭდილებებისძიების ხანად იქცა.ამ განცდებიდან გამომდინარე სიმბოლისტური მოძრაობა უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა ურთიერთობის აღდგენის პრინციპს დანარჩენ სამყაროსთან, რაც რომანტიკული თეორიების შემოქმედებით გადამუშავებაში გამოიხატებოდა. სიმბოლისტური ესთეტიკა ღრმავდებოდა წარმოდგენებში „ზღვარსმიღმა სამყაროზე“, სიკვდილის მომხიბვლელობაზე (ოსკარ უაილდის „სალომეა“, ვალერი ბრიუსოვის „ცეცხლოვანი ანგელოზი“), სამყაროს დუალისტურ აღქმაზე (კენტავრი, ქალთევზა, ქალი-გველი) ორი სამყაროს არსებობის რეალობაზე, მათ ზღვარზე... ამგვარი ე.წ. „პარნასული“ ფსიქოლოგია“ და “გრძნობიერი ფორმები“ რომანტიკული მსოფლმხედველობიდან იმთავითვე იქცა სიმბოლისტური იდეების ინსპირაციად ხისტი მხატვრული კონვენციების წინააღმდეგ.

სიმბოლიზმს შეუძლია გაითავისოს სხვადასხვა ფორმები. როგორც ნესი, ეს არის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს „სხვას“, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით, რომელიც ღრმა და მნიშვნელოვანია.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ სიმბოლო, როგორც მხატვრული ხერხი არ არის სიმბოლიზმის შემოტანილი ხელოვნებაში, მას ბევრად უფრო გრძელი ისტორია აქვს და პირიქით, მას დაეფუძნა სიმბოლიზმი რისი მაგალითებიც ლიტერატურაში არაერთგზის გვხვდება. სიმბოლოს პრინციპული განსხვავება მხატვრული სახიდან – მისი მრავალმნიშვნელოვნებაა. სიმბოლური სახის დეკოდირება შეუძლებელია განსჯაზე – ლოგიკაზე „მიძალებით“, ის ღრმაა და არ წარმოადგენს ცნების საბოლოო ინტერპრეტაციას.

„გაორება სიმბოლოში იწყება რომანტიული წარმოდგენებიდან ორსახოვნებაზე, ყოფიერების ორი სივრცის ურთიერთგადაკვეთაზე“ (ბელი 2011:78). მაგალითისათვის არაერთი ნიმუშის მოტანა შეიძლება რომანტიკული მწერლობიდან, სადაც ცალსახად შეიძლება გავაცნობიერთ სიმბოლისტური თვალთახედვაც.

შეიძლება ითქვას რომ, ჟაკის ცნობილი მონოლოგი უილიამ შექსპირის პიესიდან „თუ თქვენ ის მოგწონთ“, სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს:

“მთელი მსოფლიო თეატრია

და იქ ყველანი მამაკაცებიცა და ქალებიც მსახიობები არიან;

ყოველ მათგანს გამოსვლისა და გასვლის დრო აქვს,

და ყოველი მათგანი არაერთ როლს თამაშობს “. (შექსპირი)

აღნიშნული სტროფები გასიმბოლურებაა ფაქტისა, რომ ქალი და მამაკაცი განსხვავებულ როლებს ასრულებენ ცხოვრებაში. “სცენა” აქ სიმბოლოა სამყაროსი, ხოლო მსახიობისა და მოთამაშისთვის – ყოფის ასპარეზი.

უილიამ ბლეიკი ლექსში: „აჰ მზესუმზირავ“ წერს:

“აჰ, მზესუმზირავ, დალილო დროით,

რომელიც აღიქვამ მზის ნაბიჯებს;

ვექებ მას შემდეგ, ტკბილ, ოქროს მხარეში,

სადაც, მგზავრი დაივანებს ... “ (ბლეიკი 1794)

ბლეიკის ამ მხატვრულ ნარატივში მზესუმზირა, აღქმულია, როგორც სიმბოლო ადამიანისა და “მზის” ურთიერთკავშირისა, თანაცხოვრებისა და სამარადისო კავშირისა.

სიმბოლური თვალსაზრისით განიხილება თითქმის ყოველი პერსონაჟი და მოვლენა ემილი ბრონტეს რომანში „ქარიშხლიანი უღელტეხილი“:

“ჩემი სიყვარული – როგორც ფოთლები ტყეში. მე კარგად ვიცი, დრო შეცვლის ჩემს შეყვარებულს, ისევე როგორც ცვლის ხეებს ზამთარი. ჩემი სიყვარული ჰგავს მარადიულ ქვებს, რომელიც წყაროა ნაკლებადშესამჩნევი, მაგრამ აუცილებელი აღფრთოვანებისა “ (ბრონტე 2013: 239).

სარა ტისდელი ლექსში „ველური კალები“ წერს:

“გაზაფხულზე შევეკითხე გვირილებს  
ნუთუ ეს სამყარო ტყუილია?  
ამ პატარა და ჭკვიანმა გვირილებმა  
ხომ ყველაფერი იციან...  
ახლა მინდვრები ყავისფერია და უნაყოფო,  
შემოდგომის მწარე ქარი ქრის  
და სულელმა კალებმა  
არაფერი იციან” (ტესდელი).

აქ „გაზაფხული“ და „გვირილები“ სიყმანვილის სიმბოლოებია, „უნაყოფობა“ და „ყავისფერი“ ახალგაზრდობიდან სიბერისაკენ სვლას მიანიშნებს. ხოლო „მწარე შემოდგომა“ სიკვდილის მოლოდინის სიმბოლური აღქმაა.

სიმბოლოს ფუნქცია ამგვარად იქნა განსაზღვრული სიმბოლიზმის თეორეტიკოსის ფიოდორ სოლოგუბის მიერ: „სიმბოლო – „ფანჯარაა უსასრულობაში. აზრობრივ ფორმაციათა ეს მოძრაობა და თამაში წარმოქმნის შეუცნობლობას, სიმბოლოს საიდუმლოს. თუ გამოსახულება გამოსახავს ერთგვაროვან მოვლენას, სიმბოლო იტევს მთელ რიგს მხატვრულ, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო, სხვადასხვამიმართულებრივი ღირებულებებისას“ (14).

ამდენად, საფუძვლებრივად სიმბოლიზმი უერთდებოდა სამყაროს პლატონურ და ქრისტიანული კონცეფციებს, ამასთან ითავისებდა სამყაროს რომანტიული წარმოსახვის მეთოდებს და ატარებს რომანტიზმის გენეტიკური კოდს. „ბუნების სურათები, ადამიანის ქმედებანი, ჩვენი ცხოვრების ფენომენი და მოვლენები მნიშვნელოვანია სიმბოლისტური ხელოვნებისათვის, არა როგორც თავად ასეთი, არამედ როგორც მხოლოდ დაუკავშირებელი გამოხატულება პირველადი იდეისა, რომელიც მიუთითებს ჩვენთან საიდუმლო მსგავსებაზე“ – წერდა ჟან მორეასი. (15)

ამ რეალობათა გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, სიმბოლისტები პატივს სცემდნენ, ითვალისწინებდნენ რომანტიკულ ხანას როგორც ახალი ლიტერატურის გზის დასაწყისს, ეს დამოკიდებულება თუ ტენდენცია ქართულ მწერლობაშიც იკვეთება, თუმცა ქართული

სიმბოლისტური სკოლა მსოფლმხედველობრივ და შემოქმედებით კავშირებს მსოფლიო (ევროპულ) რომანტიზმთან, მათ წარმომადგენლებთან და თეორიებთან უფრო ხედავდა.

### **დამონებიანი:**

**იაშვილი 1922:** იაშვილი პ. “პოეტი საქართველოში“. გაზ. “ბახტრიონი“. № 1 1922.

**გაფრინდაშვილი:** გაფრინდაშვილი ვ. “ბარათაშვილი” <https://burusi.wordpress.com/2011/05/28/baratashvili-2/>

**ტაბიძე:** ტაბიძე გ. „ძვირფასი სავლავები“ <http://www.galaktion.ge/?page=Article&year=1919&p=1&id=4050>

**ბერდიაევი 1984:** Бердяев Н. „*Философия творчества, культуры искусства*“. Т. 2. М.: Искусство, 1994.

**გურმონი 1913:** Гурмон Рю. «*Книга Масок*», Санкт-Петербург 1913.

**ბელი 2012:** Белый А. Собрание сочинений. Арабески. Книга статей. Луг зеленый. Изд.: Республика, Москва 2012.

**შექსპირი:** Shakespeare, W. «As You Like It»: [http://lib.ru/SHAKESPEARE/ENGL/asyoulike\\_en.tx](http://lib.ru/SHAKESPEARE/ENGL/asyoulike_en.tx)

**ბლეიკი 1794:** BLAKE W. „Ah, Sun-flower“, <http://www.poetryfoundation.org/poem/172905>

**ბრონტე 2013:** ბრონტე ე. „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, თბილისი 2013. ციტირება: Bronte, E. «Wuthering Heights», Paperback, Fourth Edition, W. W. Norton & Company, 2002.

**ტესდეილი:** The Collected Poems of Sara Teasdale Published 1996 by Buccaneer Books. <http://allpoetry.com/Wild-Asters>

**სოლოგუბი 2002:** Сологуб. К. Осимболизме // СологубФ. К. Собр. соч.: В 6 т. Т. 6. М., 2002.

**მორესი 1886:** «Le Symbolisme », in: Le Figaro, 18 septembre, 1886 <http://www.berlol.net/chrono/chr1886a.htm>

**NATIA SIKHARULIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Trace of Nikoloz Baratashvili's Lyrics in Galaktion Tabidze's Neoromantic Texts**

Galaktion Tabidze's early works were linked with Nikoloz Baratashvili's lyrics at the beginning of the 20<sup>th</sup> century.

The work analyzes Galaktion Tabidze's two verses ("Elegy" and "I remember") which are most often brought by researchers as samples of Baratashvili's influence on Galaktion.

Comparison of the verses of two poets, makes it clear that Galaktion's relation with N. Baratashvili's works goes beyond the bounds of direct influence and, despite the genetic connection, conceptually new interpretation of material is made by different poetic consciousness.

**Key words:** Galaktion Tabidze, Nikoloz Baratashvili.

### **ნათია სიხარულიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის კვალი გალაკტიონ ტაბიძის ნეორომანტიკულ ტექსტებში**

გალაკტიონ ტაბიძის ადრეული შემოქმედება მეოცე საუკუნის დასაწყისშივე დაუკავშირეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკას. პოეტის ლექსების პირველი წიგნისათვის (1914) წამძღვარებულ წერილში „სევდის მგოსანი“ ივანე გომართელი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ გალაკტიონი „ბარათაშვილს გამოეხმაურა და თვისი მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა“ (გომართელი 1914: XI).

აზრი ორი პოეტის შემოქმედებითი სიახლოვის თაობაზე გასული საუკუნის 10-იანი წლების არაერთ სხვა წერილშიცაა გამოთქმული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს იყო საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი ავტორი, მაგალითად, მიხეილ აბრამიშვილი, უფრო განსხვავებების პოვნასა და ახსნას ცდილობდა.



გალაკტიონის მიმართება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასთან დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. ამ საკითხზე სხვადასხვა დროს წერდნენ სიმონ ხუნდაძე, აკაკი განერელია, შალვა რადიანი, ბესარიონ ჟღენტი, სერგი ჭილაია, რევაზ თვარაძე, აკაკი ხინთიბიძე და სხვები. საბოლოოდ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ გალაკტიონ ტაბიძეზე ყველაზე დიდი გავლენა ნ. ბარათაშვილის პოეზიამ მოახდინა, ის იყო მისი შთაგონების წყარო (ჭილაია 1951: 45).

ნ. ბარათაშვილთან გ. ტაბიძის მიმართების საკითხი უშუალოდ უკავშირდება პოეტის ადრეული ლირიკის გააზრებისა და შეფასების პრობლემას.

არსებობს ორი, ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი: ტრადიციული შეხედულებით, 1908-1914 წლები გალაკტიონისათვის ლიტერატურული შეგირდობის ხანაა (ასათიანი 1967: 111), მისი ლირიკა XIX საუკუნის პოეზიის ინერციას ექვემდებარება და სტილური სიჭრელითაა აღბეჭდილი (ჩხენკელი 1972: 13).

განსხვავებული თვალსაზრისის თანახმად, გალაკტიონის ადრეული ლირიკა პოეტის შემოქმედების განსაკუთრებული ეტაპია: თავისი პირველი ნიგნის მიხედვით გალაკტიონი გარკვეული მსოფლალქმისა და სტილის დასრულებული პოეტია (დოიაშვილი 1984: 77). შესაბამისად – 1908-1914 წლების შემოქმედება სათავეა, ბუნებრივი გზაა „არტისტული ყვავილებისკენ“ (დოიაშვილი 2004: 319).

უმეტესობა იმ მკვლევართაგან, ვინც გალაკტიონის შეგირდობაზე მსჯელობს, როგორც წესი, ცალკეული სტრიქონების დამოწმებით შემოიფარგლება – ახალგაზრდა პოეტის რომელიმე ფრაზის სიახლოვის აღმოჩენით წინარე ავტორთა შემოქმედებასთან. ასე მაგალითად, ცნობილი გალაკტიონოლოგი რევაზ თვარაძე იმონმებს ფრაზას გალაკტიონის ლექსიდან „ხოშილი“ („ეხლაც კი მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში/ ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი...“) და აღნიშნავს, რომ ეს სტრიქონები პირდაპირი რემინისცენციაა ბარათაშვილის ფრაზისა „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“... ამ შეხმინების და ამგვარი შემთხვევების საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ეს მსგავსება გალაკტიონის შეგირდობას ცხადყოფს (თვარაძე 2001: 117).

ერთი, რომ რემინისცენცია გარკვეული ფუნქციის მხატვრული ხერხია და არა უბრალო დუბლირება, რის გამოც, მხოლოდ ამ ნიშნით შეგირდობის მტკიცებაა გაძნელებული; მეორეც: გასათვალისწინებელია, ბარათაშვილი, თავის მხრივ, რუსთაველს რომ ეყრდნობა:

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის,  
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის...“  
(რუსთაველი 1991: 172)

საგულისხმოა გურამ ასათიანის მიგნებული პარალელი ბაირონთანაც:

“Со снежными горами он дружил,  
Со звездами и со всемирным духом  
Беседы вел! Старался он постичь,  
Участь, вникая, магию их тайны,  
Была ему открыта книга ночи...”  
(ასათიანი 1975: 209)

სრულიად ცხადია, რომ რუსთაველსა და ბაირონთან მსგავსება-სიახლოვის გამო ბარათაშვილის „მერანი“ შეგირდობის ნიმუშად არავის მიუჩნევია. ეს იმიტომ, რომ ერთია გენეტიკური კავშირი, მაგრამ გავლენა-შეგირდობაზე მსჯელობისათვის მთავარია ფუნქციური იდენტობის დადგენა.

„ხომლის“ შექმნისას გალაკტიონი, შესაძლოა, ამ სამი ტექსტიდან ნებისმიერთ იყო შთაგონებული, მაგრამ, ფიქრობთ, არსებითი ის არის, ვარსკვლავებთან საიდუმლოს განდობის/საუბრის პერიფერიული მოტივი პოეტმა თავისი ლექსის მთავარ თემად რომ აქცია.

თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევის – „გზა „არტისტული ყვავილებისკენ“ მეორე ნაწილი – „ტრადიცია და ნოვაცია“ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეთმობა. მკვლევარი განიხილავს გ. ტაბიძის ადრეულ ნაწარმოებებს და საყურადღებო ახსნას უძებნის იმ მსგავსებას, რაც გალაკტიონის ამა თუ იმ ფრაზას წინამორბედ პოეტთა, მათ შორის ნ. ბარათაშვილის, ტექსტებთან აკავშირებს. კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე იგი დაასკვნის: „საერთოდ, გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში თითქმის ყველა თემა ტრანსფორმირებულია ახალი ცნობიერების მიერ (ხაზი ჩემია – ნ. ს.) და ამ აზრით იგი ახალი შინაარსით აღბეჭდილი პოეზიაა (დოიაშვილი 2005: 492).

ჩვენს წერილში გაანალიზებულია გ. ტაბიძის ის ორი ნაწარმოები, რომლებსაც ნ. ბარათაშვილთან გალაკტიონის მიმართებაზე მსჯელობისას ყველაზე ხშირად იმონებენ, როგორც გავლენის ნიმუშებს, თუმცა, ფიქრობთ, ამ მხრივ ბევრი რამ არის ხელახლა გასააზრებელი და დასაზუსტებელი.

„ელეგია“ და „სულო ბოროტო“

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ გალაკტიონ ტაბიძის „ელეგია“ (1914) ნიკოლოზ ბარა-

თაშვილის „სულო ბოროტოს“ გავლენით არის დაწერილი. ამ ფაქტზე ჯერ კიდევ 1914 წელს გაამახვილა ყურადღება ვ. ყიფიანმა, რომელმაც ჟურნალის „ცხოვრება და მეცნიერება“ ფურცლებზე აღნიშნა: „ტაბიძეს ნ. ბარათაშვილის გავლენა ეტყობაო“ და ნიმუშად ერთადერთი ლექსი – „ელეგია“ დაასახელა (ყიფიანი 1914: 11). მოგვიანებით შ. რადიანი წერდა: „ამ ორი ლექსის შინაარსი, სიტყვიერი მასალა და პოეტური განცდა თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან“ (რადიანი 1940: 92). უფრო კონკრეტულია აკაკი ხინთიბიძე, რომლის აზრით გალაკტიონთან ცხადად იგრძნობა „სულო ბოროტოს“ სტილისტური თავისებურებანი, მეტრი და რიტმი (ხინთიბიძე 1962: 4).

თუ ამ ნაწარმოებებს, როგორც ამტკიცებენ, აქვს ერთნაირი შინაარსი, პოეტური განცდა, სიტყვიერი მასალა, სტილისტური თავისებურებანი, მეტრი და რიტმი, მაშინ ჭაბუკ გალაკტიონს მართლაც ეპიგონური ლექსი დაუწერია.

ვცადოთ საკითხში გარკვევა ტექსტებზე კონკრეტული დაკვირვების, შედარებითი ანალიზის გზით.

გალაკტიონის „ელეგიის“ გაცნობისთანავე ნამდვილად რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტოსთან“. ორივე პოეტი ბოროტ სანყის მიმართავს და ბრალდებაც მსგავსია: წინამორბედი „ყმანვილის ბრმა სარწმუნოების“, „სულის მშვიდობის“ მოკვდინებასა და გაქრობაში ადანაშაულებს ბოროტ სულს, შთამომავალი კი ბოროტ დროს „სიყმანვილის წრფელი სიამის“ დამსხვრევასა და „ყვავილოვანი“ ახალგაზრდობის მონამვლას აბრალებს.

„ელეგიაში“ არის ბარათაშვილის ლექსში დადასტურებული არქაული ლექსიკური ერთეულები: მარქვი, წარიღე. „სულო ბოროტოდან“ მომდინარეობს უმნიშვნელოვანესი შემფასებლობითი ეპითეტი ბოროტი („დროო ბოროტო“). ნ. ბარათაშვილის სხვა ლექსს („ფიქრნი მტკვრის პირას“) გვახსენებს შესიტყვება „ცისა დასავალს“. შესაძლებელი ჩანს საუბარი სალექსო საზომთა იგივეობაზეც, თუმცა ბარათაშვილის თოთხმეტმარცვლადი (5/4/5) გალაკტიონთან გრაფიკულად მოდერნიზებულია (9 და 5).

მსგავსებასთან ერთად საანალიზო ლექსებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. უპირველესი და უმთავრესი განსხვავება პოეტურ განწყობილებაშია. „სულო ბოროტოს“ განსჯით-ზეანეულ ინტონაციას გალაკტიონის ელეგიაში ინტიმურ-ლირიკული ხმოვანება ენაცვლება, რაც ლექსის სათაურშივეა მინიშნებული. თავიდანვე აშკარაა, რომ მსგავსი ინტენციის, მაგრამ განსხვავებული სულიერი წყობის ორი შემოქმედი გვესაუბრება.

ხუთსტროფიანი „სულო ბოროტო“ მთლიანად მიმართვაზეა აგებული, ერთთემიანია და კომპოზიციურად მონოლითური. გალაკტიონთან მიმართვის ინტონაცია მხოლოდ ერთ მონაკვეთშია, მთლიანად ნაწარმოები კი ბუნების თემასაც იერთებს. „ელეგია“ ასე იწყება:

„წვიმის წვეთები დასცურავენ  
ფანჯრის მინებზე,  
ქარი ვედრებით კარებთან დგას: —  
„გამიღეთ კარი!“  
რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის  
მზიანი ჩრდილი,  
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,  
ჩემი სიზმარი!“ (ტაბიძე 1966: 168)

ამგვარი დასაწყისი უცხოა ნ. ბარათაშვილის ლექსისათვის. აქ სრულიად განსხვავებული პოეტის მთრთოლვარე ხმა ისმის.

ამ ფონზე შემოდის „ელეგიაში“ „სულო ბოროტოსთან“ თანაზიარი ე.წ. მიმართვის პასაჟი, რომლის გამო ჭაბუკი გალაკტიონის ეპიგონობაზე საუბრობენ:

„დროო წყეულო, სად წარიღე  
ჩემი ფიქრები!  
დროო ბოროტო, სად დამარხე  
ოცნება წყნარი?  
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა,  
რომ მოგენამლა  
ყვავილოვანი სიყმაწვილე  
და ჩემი ქნარი?“ (ტაბიძე 1966: 169)

შეუძლებელია, ბარათაშვილისა და გალაკტიონის ლექსებს შორის არ დავინახოთ ლექსიკური, სტილისტური, ინტონაციური მსგავსება, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებაც არსებობს. აქ იგულისხმება არა მარტო „ბოროტი სულის“ დაკონკრეტება „ბოროტ დროდ“ და მისი მეტაფორიზაცია გესლიანი, მაცდური გველის სახეში, რაც საერთოდ არაა „სულო ბოროტოში“, არამედ უმთავრესი – ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი პოეტური ცნობიერება. ბარათაშვილი, კლასიკური რომანტიზმის წარმომადგენელი, მიუხედავად უკიდურესი იმედგაცრუებისა, ბოლომდე არ კარგავს ბედისწერასთან დაპირისპირების პათოსს, უნივერსალურ მასშტაბს, გალაკტიონის ლექსიდან კი დამარცხებული, ყოფით რეალობასთან შერიგებული ლირიკული სუბიექტი

გვესაუბრება, რომელიც ელევგიური ხმოვანებით მოთქვამს ოცნებათა დამარხვაზე, მონამულ სიყმანვილესა და ქნარზე – პოეზიაზე.

მართალია, თავად ავტორი არც ერთხელ არ ახსენებს სახელ მედეას, მაგრამ, ეჭვს არ იწვევს, რომ შურისმაძიებელი ქალის სახის შექმნისას ის ნიმუშად ევრიპიდეს მედეას (ქალის ყველაზე პოპულარული სახე შემდგომდროინდელ ლიტერატურაში) მიმართავს. ამას კი მდიდარი ანტიკური აღუზიები და ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული სახეების (ტაციტუსი, სვეტონიუსი, ტიბერიუსი, მესალინა, აგრიპინა, კეისარი, ნერონი, მირა, ოიდიპოსი, გორგონა და ა.შ.) უხვად მოხმობა და ზოგადად რომანტიკოსების ინტერესი ანტიკურობისადმი მაფიქრებინებს.

ევრიპიდეს “მედეას” შინაარსი ყველასთვის, მით უფრო ჩვენთვის, აიას ქვეყნისა და მეფე აიეტის შთამოვლებისათვის, კარგადაა ცნობილი. არგონავტების თქმულება ჩვენი ქვეყნის ლოგოა, რომლითაც ჩვენ ძვ. წ. II ათასწლეულში მსოფლიო ცივილიზებულ რუქაზე მოვი-აზრებით. მედეას, ბარბაროსს, გრძნეულს, სიყვრულისთვის სამშობ-ლოს გამწირველ, მამის მოლალატეს, ძმის მკვლელს ქმარი საკუთარი და თითქოსდა შვილების უკეთესი მომავლისთვის კორინთოს მეფის ასულს ანაცვალებს და მასზე აპირებს დაქორწინებას. როგორც ცნობილია, შურისმაძიებელი მედეა კლავს მეტოქეს და შვილებს და ასე ანადგურებს ქმარის იმედს და მომავალს. “მხოლოდ საზარელი შურისძიება თუ დაუცხრობს ვნე-ბის მწველ სახმილს” – ამბობს ძიძა მედეაზე (ევრიპიდე 1996: 160). თავად მედეა კი, რომელმაც გაიგო ქმ-რის ღალატის შესახებ ასე აპირებს სამაგიერო გადაუხადოს მოლალატე ქმარს: “საამკარაოდ ხელთ ვიპყრობ მახვილს, ჯიქურ მივეჭრები ჩემს დამღუპველთ, და ან მოვკლავ, ან შევაკვდები. ვფიცავ ჰეკატეს, ჩემს სათაყვანებელ ღვთაებას, ჩემს მწეს და მეოხს, სახლ-კარის და კერიის მფარველს, რომ მტერს ჩემზე არ გავაცინებ! ძვირად დავუსვამ მათ ამ ქორწინილს და ჩემს განდევნას! მაშ, წინ, მედეა, ნულარ დაზოგავ ნურც შენს გრძნეულ ხელოვნებას, ნურც ხერხს და ღონეს. დაე, აღსრულდეს საქმე საზარი! დადგა ჟამი შურისგებისა!.. ვაი, სირცხვილო, ვაი, ამ ჩემს დღეს და მოსწრებას! ნუთუ დაუშვებ, რომ სიზიფეს წყეულმა მოდგამ ამ ქორწინების წყალობით მწარედ დასცინოს ჰელიოსის თესლს და ნაშიერს? მაგრამ რას ვამბობ? თუ ბუნებამ ჩვენ, ქალები, იმგვარად შეგვქმნა, რომ სიკეთის ქმნის არ მოგვცა ნიჭი, სამაგიეროდ სიავეში არ გვყავს ბადალი” (ევრიპიდე 1996: 391-402).

შვილების მოკვლისას ასე ამხნევებს თავის თავს: “შენ კი არ შედრკე, უბედურო, სიმტკიცე გმართებს!.. ვაიმე, ვაი, რას სწადი, გულო? ვის იმ-

\* აქ უნდა გავიხსენო რომანტიზმის ესთეტიზის გამომხატველი ფრიდრიხ ნიცშეს ერთ-ერთი გამონათქვამი ქა-ლებზე: კაცი უნდა ერიდოს ქალს, რომელსაც უყვარს, რადგან ამ შემთხვევაში ის ნებისმიერ მსხვერპლს გაიღებს.



მედეა ნეტართა კუნძულზე აქილევსისი ცოლი გახდა (აპოლონიოს როდოსელი 1954: IV, 811).

ქმარზე შურისმაძიებელი ქალია ასევე ყიულ ამადეი ბარზე დ'ორევილის მოთხრობის "ქალის შურისძიების" მთავარი მოქმედი პირი ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონე. მაგრამ მას ევრიპიდეს მედეასგან განსხვავებული მოტივაცია და შურისძიების განსხვავებული გზას აქვს არჩეული.

ვიდრე ამ განსხვავებაზე ვისაუბრებდი, მე მგონია, ეს მოთხრობა ბევრისთვის არ იქნება ცნობილი, რადგან ბარზე დ'ორევილს თანამედროვეებიც კი მას "უფრო სახელგანთქმულს, ვიდრე ცნობილს" უწოდებდნენ და ამიტომ მოკლედ ამ მოთხრობის შინაარსს გადმოვცემ: ერთი ცხოვრებაში ბევრის მნახველი ახალგაზრდა კაცი ღამით პარიზში გაედევნა მეძავს, რომელიც მისთვის ადრე საოცნებო (როგორც ყველაფერი მიუღწეველი) ქალს მიაჩნდა. სასიყვარულო თავდავინყების შემდეგ ქალმა დაინტერესება რომ შეატყო მისი პიროვნებით, მოუთხრო თავისი ისტორია, რომლითაც არცერთი სხვა კლიენტი ადრე არ დაინტერესებულა (არადა შურისგებით ანთებულ ქალს მთელი მსოფლიოსთვის უნდოდა ამის მოყოლა, რათა უფრო მეტად დაესხა თავზე ლაფი და უფრო მეტად ეძია შური ქმარზე).

ეს ქალი აღმოჩნდა ესპანეთის ყველაზე ცნობილი, მეფეზე უფრო კეთილშობილი, მდიდარი გვარის, სამგზის ჰერცოგის, ოთხგზის მარკიზის, ხუთგზის გრაფის, რამდენიმეგზის გრანდის, ოქროს სანმისის ორდენის კავალერის უამაყესი ცისფერსისხლიანი არკოს დე სიერრა ლეონე, რომელიც მეფის წინაშეც კი არ იხდოდა ქუდს (რომანტიზმისათვის დამახასიათებელი გამორჩეული გმირი, სხვა ადამიანებს აღმატებული, ნაციონალური "ეგზოტიკით" უზვად გაჯერებული), მეუღლე. თავად ქალიც არანაკლები დიდებული და ამაყი იტალიური გვარის უკანასკნელი შთამომავალია, რომელთა ქორწინებით დაინტერესებული იყო ორივე გვარი, მაგრამ ამ კავშირში გძნობა არ იყო გარეული. ჰერცოგინიას გრძნობა გაელვოდა მას შემდეგ რაც მათ დიდებულ სასახლეს მეუღლის ბიძაშვილი ეწვია და მიხვდა, რომ გული აქვს და "უგრძნობი ქალი, როგორც სასახლის დიდებული სურათები" (ორევილი 2010: 208) ვულკანად იქცა. ღრმად რელიგიურმა, ტრადიციების დამცველმა ქალმა კი ჯერ, ვიდრე მეუღლის ბიძაშვილი შეუყვარდებოდა, მეუღლეს სთხოვა, პორტუგალიელი ესტებანი, რომელსაც მისადმი სიყვარული შეამჩნია, შინიდან დაეთხოვა, მაგრამ უამაყესმა ქმარმა ისევე, როგორც ჰერცოგმა გიზმა გაფრთხილებაზე, რომ ჰენრი III მას მოკლავდა, უპასუხა: "ვერ გაბედავსო". "ეს იყო ბედის უგულვებლყოფა, რომელმაც აღსრულებით იძია შურია" (ორევილი 2010: 208),

მიუხედავად მათი ასაკისა, ოცი წლის ყმანვილების სიყვარული, როგორც რომანტიზმისთვის იყო დამახასიათებელი, იყო “მგზნებარე და უბინო, რომანტიული, თითქმის იდეალური, მისტიკური” (ორევილი 2010: 209). მათ ერთხელაც არ უკოცნიათ ერთმანეთისთვის: “ჩვენი გულები ისე ამაღლებულად სცემდა მკერდში და ჩვენ ვცხოვრობდით ნათელი და მაღალი გრძნობების ატმოსფეროში და შორს ვიყავით ქვენა სურვილებისგან და ვულგარული სიყვარულის ვნებიანობისაგან, ჩვენ ვლივლივებდით უღრუბლო ცის სილაჟვარდეთში” (ორევილი 2010: 209). „ანგელოზებს რომ სიყვარული შეძლებოდათ, მათ ისევე ეყვარებოდათ, როგორც ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი”. “ჩვენ იმდენად შევერწყეთ ერთმანეთს, რომ დიდ დროს ვატარებდით ასე, ვისხედით ხელჩაკიდებულები და ერთმანეთს თვალებში ვუცქერდით... მხოლოდ ჩვენ ვიყავით ამ ქვეყანაზე და იმდენად ბედნიერად ვგრძნობდით თავს, რომ მეტი არაფერი გვინდოდა.” “ვისხენებ ღვთაებრივ სიხარულს უმანკო სიყვარულისას, რომლითაც ჩვენ ვსულდგმულობდით დაკარგულები, აღტაცებულები და ისეთი მიაბიტიები ამ სიყვარულის უბინოებაში”. “მას უყვარდა ჩემი სული თავად მის გამო”, “ის იყო იმ იშვიათ საყვარელთაგან, რომელთაც უნდათ საყვარელი ქალი დიდებული იყოს”, “მას ერჩინა გაეგო, რომ მე დიდებული საქციელი ჩავიდინე, ვიდრე ჩემთან ბაგეშეერთებულს ეცეკვა” (ორევილი 2010: 210) ა ა.შ. და ა.შ., ასეთი მოზღვავებული გრძნობებითა და ემოციებითაა საცხე შურისმაძიებელი ქალის გული.

რომანტიკოსებისათვის ჩვეული განსაკუთრებული ყურადღებით ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი ნაჩვენებია ყმანვილთა გრძნობები ერთმანეთისადმი, ბუნებრივია, კიდევ უფრო ფართო სპექტრით, ვიდრე ეს ევრიპიდე ფსიქოლოგთან, “ფილოსოფოსთან სცენაზე” (როგორც მას უწოდებდნენ) მედეას ვნებათაღელვავა გადმოცემული.

ტრადიციული ღირებულებების დამცველმა ჰერცოგმა არ აპატია, რომ მათ გაბედეს ერთმანეთის შეყვარება, “სიამაყის ეჭვიანობით” შეპყრობილი თავს დაესხა შეყვარებულებს, რომლებიც არასდროს იმალებოდნენ, ზანგებით, რომლებმაც ლასო წამოაცვეს და ჰერცოგინიას კალთაში ჩაუგორეს ესტებანის მოკვეთილი თავი; მერე გული ამოაგლიჯეს და ძაღლებს მიუგდეს. ჰერცოგინია ემუდარებოდა, რომ გული მისთვის დაეტოვებინათ, რომ მას შეეჭამა იგი, ისევე როგორც წმინდა ნანილებს ეზიარებოდნენ მორწმუნეები, ესტებანი ხომ მისთვის ღმერთი იყო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. აი მიზეზი ჟიულ ამადეი ბარბე დ'ორევილის ჰერსონაჟის ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონეს შურისძიებისა.

ჰერცოგინიას რომ მოეკლა ამპარტავნად უშიშარი, მამაცი ჰერცოგი ერთი დარტყმით, ძალიან მარტივი, სწრაფი და მოწყალე იქნებოდა

და ცოლმა გადანყვიტა ჰერცოგის სისუსტეზე – თავმოყვარეობასა და ღირსებაზე – მიეტანა იერიში. ცოლი შეეცადა მეძავეობით შეერცხვინა მისი სახელი, რითაც ყველაზე მეტად მოწონდა თავი მის ავადმყოფურად პატივმოყვარე მეუღლეს. თავად ჰერცოგინიას კი, უძლურს წინააღმდეგობა გაენია მეუღლისათვის, სამყაროს წინაშე მარტო დარჩენილს, მარტოსულს, პერსონალური ამბოხისა და პროტესტის ნიშნად ხუთფრანკიანი (ამ საქმისათვის ყველაზე დაბალი ნიხრი) საქმიანობით (გასამრჯელოდ მიღებულ ოქროს უკან აბრუნებს) სურს უკურნებელი ავადმყოფობით დაავადდეს, ცოცხლად დაღპეს, რათა თავისი სხეულით, თავისი სულით, როსკიპობის სიბინძურით, რომელიც ნექტრად ეჩვენება, “ჯოჯოხეთის სიმალლით” ქმრის დიდებული საგვარეულო სახელი შებღალოს და ასე იძიოს შური – შეურაცხყოფით მოჭრას თავი.

კლიენტების მისაღები იაფფასიანი ოთახის გაჩირაღდნებულ კარებზე და საკუთარ საფლავზეც (ანდერძით დაიბარა) ეწერა “ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონე, მეძავეი.” ასე უნდოდა საქვეყნოდ შეერცხვინა თავმომწონე, სახელზე გადაგებული დიდგვაროვანი მეუღლე და მისი ბრწყინვალე, დიდებული გვარი.

ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონე, როგორც რომანტიკული გმირი, სულიერ ზღვარზეა, მისი გრძნობები გამწვავებულია, მის ინდივიდუალობას იტალიურ-ესპანური მგზნებარება, დაუცხრომელი შურისძიების სურვილი განსაზღვრავს. სიყვარული რომ სიძულველზე უფრო საშიში, ტრაგიკული და დამანგრეველია, ეს მედეასა (ქმრის იმედის განადგურება და შვილების მოკვლა) და ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონე (ქმრის შეურაცხყოფა და თვითგანადგურება) სახეებში კარგად ჩანს.

ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონე თავისი საყვარელი ესტეზანის სახეს გულში ატარებს, საძულველი მეუღლის სახე კი სამაჯურზე აქვს აღბეჭდილი და ყოველი დაცემისას, დაუძლეველის დაძლევისას (ვერ ეგუება სიბინძურეს) მისი შეხედვა შურიძიების სურვილს უძლიერებს.

შესაბამისად, ევრიპიდეს შურისმაძიებელი მედეას სახე რომანტიზმისთვის დამახსიათებელი ტრაგიკულად მარტოსული, სიყვარულისთვის თავგანწირულ მემბოხე, სიკვდილის გამარჯვებად გარდამქნელი ჰერცოგინია დ'არკოს დე სიერრა ლეონეს სახედ იქცევა ფრანგი რომატიკოსის ყიულ ამადეი ბარბე დ'ორევილის მოთხრობაში “ქალის შურისძიება”.

## **დამონებიანი:**

**აპოლოდოროსი 1803:** Apoppodori Atheniensis Bibliothecae, Gottingae, Typis Henrici Dieterich, 1803

**აპოლონიოს როდოსელი 1954:** Apollonii Rhodii, Argonautica. Oxonii, E Typographeo Clarendoniano, 1954

**ევრიპიდე 1996:** ევრიპიდე. *მედეა*, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, ლოგოსი, 1996

**ვოლოშინი 1988:** Волошин М., Барбэ д'Ореви́льи, Ли́ки творчества, Л., Наука, 1988, с. 34-53

**ორევილი 2010:** Ореви́льи Ж. Ли́ки дьявола М.: Книжный Клуб Книгобек, 2010

**პლუტარქოსი 1908:** Plutarchi Vitae Parallelae, Vol. I., Lipsiae, Typis B. G. Teubneri, 1908

**ფრენზელი 1976:** Frenzel E., Stoffe der Weltliteratur, ein Lexicon Dichtungsgeschichtlicher Langschnitte, Alferd Kroner verlag, Stuttgart, 1976

**ჰაითი 1962:** Hight G., The classical Tradition Greek and Roman Influences on western Literature, Oxford University Press, London, Oxford, New York, 1962

## **EKA CHKHEIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Aesthetics of the Romanticism and the Face Symbol of Raven**

The main theorists of the romanticism linked the art with the creativity of Christian symbolic ideas; Raising the art and creativity, play and dream, fantasy and irony to the highest level (almost expressing the God or God's will) by the romantics was the most serious approach that had not been witnessed by the world before; the soul of transcendental slapstick reveals the total freedom of the artist in his works, creativity and it could be said that the very tendencies are peculiar for the American romantic writer Edgar Alan Poe, his works are distinguished by originality and his verse "Raven" was one of the most popular from this point of view.

**Key words:** romanticism, Raven, Edgar Alan Poe, Baratashvili, "Merani".

## ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### რომანტიზმის ესთეტიკა და ყორანის სახე-სიმბოლო

რომანტიზმის ესთეტიკა თავისებური რეაქცია იყო კლასიციზმსა და, განსაკუთრებით, განმანათლებლობაზე, რომელმაც, რომანტიკოსთა აზრით, ხელოვნებას მისთვის უცხო – უტილიტარული და სოციალური – ფუნქცია მიანიჭა. რომანტიზმის მთავარმა თეორეტიკოსებმა ხელოვნებას შემოქმედებითად დაუკავშირეს შემოქმედებისა და სიმბოლიზმის ქრისტიანული იდეები, ნეოპლატონიკოსთა ესთეტიკის ემანაცია და გარე რეალობა გაიაზრეს, როგორც ხელოვნების ნიმუში, აბსოლუტის გამოვლინების თავისებური აქტი. აბსოლუტის თავისებური გამოვლინება ბუნებაში მხატვრის (შემოქმედის) საშუალებით ხელოვნებაში ტრანსფორმირდება. რომანტიკოსები ესწრაფვიან წაშალონ ზღვარი სიცოცხლეს, ფილოსოფიას, რელიგიას და ხელოვნებას შორის, რომელშიც თავად ყოფიერების პარადიგმას ხედავენ. პერსი ბიში შელი ამტკიცებს, რომ პოეზიას ადამიანი მიჰყავს ღვთაებრივ სიბრძნემდე.

ხელოვნებისა და თავად შემოქმედის აქამდე არნახულ (ლამის ღმერთის ან მისი ნების გამოხატველის) სიმაღლემდე აყვანით რომანტიკოსები უკიდურესი სერიოზულობით ეკიდებოდნენ ისეთ, ერთი შეხედვით, ხელოვნების არასერიოზულ ფორმებს, როგორებიცაა თამაში, ოცნება, ფანტაზია, ირონია. „ტრანსცენდენტული ბუფონადის“ სული ააშკარავებს ხელოვანის სრულ თავისუფლებას თავისი შემოქმედების მასალაზეც, საკუთარ თავზეც და მთელ სამყაროზეც. ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ რომანტიზმის ესთეტიკის ამგვარი თავისებურებებით აიხსნება ცნობილი ამერიკელი რომანტიკოსის ედგარ პოს შემოქმედების გამორჩეულობა და ორიგინალურობა. ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მის ლექსს „ყორანი“.

ამ ლექსის შექმნის შესახებ თავად ავტორი წერდა: „მშვენიერება ერთადერთი კანონიერი სფეროა ლექსისა... მჯერა, რომ სიამოვნება, რაც მაშინვე ყველაზე მძაფრია, ყველაზე ამაღლებული და ყველაზე წმინდა, მშვენიერების ჭვრეტისას აღიძვრის. მართლაც, როცა ადამიანები მშვენიერებაზე საუბრობენ, გულისხმობენ არა გარკვეულ თვისებას, როგორც ჰგონიათ, არამედ შთაბეჭდილებას – მოკლედ, ისინი გულისხმობენ იმ მძაფრსა და წმინდა აღმაფრენას სულისას, – არა გონებისა ან გულისა, – რის შესახებაც მოგახსენეთ და რასაც „მშვე-

ნიერების“ ჭვრეტა ბადებს. ამრიგად, მე მივიჩნევ მშვენიერებას ლექსის სფეროდ უბრალოდ იმიტომ, – ეს არის ნათელი წესი ხელოვნებისა, – რომ ზემოქმედება უშუალო მიზეზიდან უნდა გამომდინარეობდეს – რომ მიზანს საუკეთესო შეხამებით უნდა მივაღწიოთ; ისეთი სუსტი აზროვნებისა არავინ ყოფილა, უარი ეთქვა, რომ აღნიშნულ თავისებურ აღმაფრენას ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ო ლ ა დ ლექსი აღწევს, ამგვარად, თუკი მიზანი – ჭეშმარიტება ან ინტელექტუალური კმაყოფილება, ანდა მიზანი – ვნება ან მღელვარება გულისა, ასე თუ ისე პოეზიაშიც მიიღწევა, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა პროზაში, ფაქტია, რომ ჭეშმარიტება სიცხადეს თხოულობს და ვნება – უ ბ რ ა ლ ო ე ბ ა ს (ამას ნამდვილად მგზნებარე გამოგებს), რაც სრულიად საპირისპიროა იმ მშვენიერებისა, ისევ და ისევ ვიმეორებ, მღელვარე თუ ნეტარი აღმაფრენა რომ არის სულისა. ყოველივე აქ თქმულიდან, ცხადია, გამომდინარეობს, რომ ვნება ან, თუნდაც ჭეშმარიტება არ შეიძლება წარმოგვიდგეს ლექსში – რადგან მათ უნდა აგვიხსნან ან გამოჰკვეთონ საერთო შთაბეჭდილება ისე, როგორც დისონანსმა მუსიკაში, კონტრასტის მეშვეობით – მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვანი ყოველთვის მოახერხებს, ჯერ ერთი, გარკვეული ინტონაცია მიანიჭოს მათ, და მეორეც, რამდენადაც კი შესაძლებელია შებუროს მშვენიერება, რაც ლექსის ძირეული ბუნებაა“ (პო 2011: 158-159).

ედგარ პოს ეს ლექსი ქართულად პირველად ვაჟა-ფშაველამ თარგმანა ათმარცვლიანი ლექსით (მაშინ, როდესაც ორიგინალი თექვსმეტმარცვლიანით არის შესრულებული):

„ჩემმავე ბოდვამ გამომაფხიზლა  
და გამამხნევა, შემმატა ძალი.  
ათრთოლებულის წარმოვთქვი ხმითა:  
„ვინა ხარ მანდა? მოხვედი სითა?  
გთხოვთ მომიტევოთ, რომ გაცდევინეთ,  
ამ სიცივეში მანდ გათევენებთ.  
კარის კაკუნი სუსტად მომესმა,  
რომ ის მეგონა მე უბრალო ხმა.  
ჩავთვალე იგი მოჩვენებადა,  
ქარბუქისაგან მონაბერ ხმადა“.  
ავდეგ, მაშინვე გავაღე კარი,  
არეს ეფარა ზენარი შავი.  
შემომღმუოდა თავ-პირში ქარი:  
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“  
(პო 2011: 9)



ყორანი, როგორც მხატვრული სახე-სიმბოლო, ქართულ რომანტიკულ პოეზიაშიც გვხვდება, ოღონდ ყოველგვარი გადაჭარბების თავიდან ასაცილებლად ჯერ ის უნდა განისაზღვროს, რამდენად განსხვავდება ქართული რომანტიზმი ევროპულისაგან.

ქართული რომანტიზმისადმი მიძღვნილ თავის გამოკვლევაში კახა კაციტაძე წერდა: „ქართველი რომანტიკოსები სწორედ იმიტომ შეიძლება ჩაითვალოს ამ ლიტერატურული მიმართულებების წარმომადგენლებად, რომ მათ მიზნად დაისახეს ადამიანის არსში წვდომა. რომანტიკული მსოფლხილვა ამ შემთხვევაში იმით გამოიხატა, რომ მათ ისეთი საკუთარი სულიერი სინამდვილე წარმოსახეს და წინა პლანზე გამოიტანეს, რომელსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აღმოაჩნდა“ (კაციტაძე 2012: 25).

ამ აზრის ნათელსაყოფად გამოდგება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანიც“, რომელიც ავტორის უალრესად მდიდარი და თავისებური შინაგანი სამყაროს გამოსახვასთან ერთად საზოგადოებრივი განწყობილების საუკეთესო გამომხატველადაც იქცა – ამ ლექსის ილია ორბელიანისადმი მიძღვნის გამო იგი ავტორის თანამედროვე საზოგადოებამ ლამის ეროვნული გმირობის ჰიმნად აღიქვა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შემდეგ კ. კაციტაძე განაგრძობს: „ჩვენი რომანტიკოსების განცდათა ფონზე აისახა ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ყოფა და ეროვნული ფსიქიკური წყობა; მათ სცადეს ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების თავისებურებების გამოვლინება. სწორედ ესაა იმის პირობა, რომ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება განსხვავდება და გამოირჩევა სხვა ერების მწერალთა შემოქმედებისაგან და მას თავისი საკუთარი კოლორიტი აქვს. სიცოცხლის არსი და მიზანი, სიყვარულის უძლეველობა, ბუნების მომხიბვლელობა, ბედთან შებმა – აი ეს და ამ რიგის საკითხები, რომლებიც აინტერესებდათ ქართველ რომანტიკოსებს. ამ ნიშნით ისინი უახლოვდებიან რომანტიზმს, ეს თემები და პრობლემემატიკა აერთიანებს მათ იმ ფარგლებში, რომლებიც მსოფლიო რომანტიზმს საზღვრავს; შესაბამისად იმდროინდელი საქართველოს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა, ქვეყნის გაერთიანების ისტორიისა და არსებული ლიტერატურული ტრადიციებისა, ქართველ რომანტიკოსებს ისეთი თავისებურებანი ახასიათებთ, რომელნიც მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც ჩვენი ლიტერატურის განვითარების ერთი საფეხურის გამოხატულება, არამედ როგორც ერთი სახეობაც რომანტიზმისა საზოგადოდ“ (კაციტაძე 2012: 25).

მკვლევარის აზრი რომ გავაგრძელოთ, ქართული რომანტიზმი, როგორც რომანტიზმის ერთი სახეობის თავისებურებად სწორედ საზოგა-

დობრივი ცხოვრების გამოხატვის სურვილი უნდა ჩაითვალოს. აქ არასდროს განსაზღვრავდა პოეტურ ღირსებებს ნაწარმოების ფორმის დახვეწის, მისი ჭკრეტისა და ამ გზით მიღებული ტკბობის ხარისხი. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს „მერანის“ ცნობილი სტროფი მთელი იმდროინდელი საზოგადოების სწრაფვისა თუ ცხოვრებისეული პოზიციის გამოხატულებად (მაშინ, როდესაც სინამდვილეში იგი სწორედ ავტორის უაღრესად კერძო, პიროვნულ სათქმელს გამოხატავდა):

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილოს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

(ბარათაშვილი 1968: 121)

უაღრესად საინტერესოა, რომ ამ, ერთ ეპოქაში დაწერილ ორ ლექსს („ყორანსა“ და „მერანს“) ერთი ძალზე თავისებური მხატვრული სახე აკავშირებს – ყორანი, რომელიც (მიუხედავად ცხადი განსხვავებებისა) მაინც შეიძლება ბედისწერის სახე-სიმბოლოდაც გავიაზროთ.

ედგარ პოს ლექსში ყორანი თითქოს დიდი მხატვრის მიერ შექმნილი, მუქი ფერებით შესრულებული ფერწერული ტილოა, დიდი ოსტატობით დახატული:

„გამოვხსენი დარაბები და უეცრად თავი, ფრთები.  
ყორნის შავიზუნბულა ფრთები ჩენს სარკმელში გამოჩნდა.  
შემოვიდა ნელის რხევით ის ყორანი ძველისძველი,  
შემოვიდა ჩემთან ბნელით, არც იკადრა საღმის თქმა,  
ისე დაჯდა კარის თავთან, ვერც გავიგე მისი ხმა,  
ყორანი და არვინ სხვა“. (პო 2011: 125)

ყორანი მითოსის ფართოდ გავრცელებული პერსონაჟია. ის დაკავშირებულია ცასთანაც, მიწასთანაც, მიწისქვეშეთანაც, წყალთანაც და მზესთანაც. როგორც ლეშიჭამია შავი ფერის ფრინველი, ყორანი ხთონურ სამყაროსთან, სიკვდილთან და სისხლიან ბრძოლასთან ასოცირდება. საყოველთაოდ გავრცელებული რწმენით, სეავ-ყორნები, ლემისმჭამელი ფრინველები, ბრძოლის ველზე დახოცილ მეომრებს (კაი ყმებს) თვალებს კორტნიან. მაგალითისთვის შეიძლება დავიმოწმოთ:

„– სად მიხვალ, შავო ყორანო, სად მიგქონ შავნი მხარნია?  
– დედისერთაი მამკვდარა, უნდა დავთხარნე თვალნია!..“

(ალიბეგაშვილი 1992: 95)

სხვა შემთხვევაშიც ყორნები გარდაცვლილი კაი ყმის თანმხლებლებლად მოიაზრებიან, შავადშემოსილნი, დაუნდობელნი დაძღებიან და „დაითხიფებიან“ მძორ-ლემის ქამით.

„რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნებო, გლოვა არ იცით მკვდარზედა, რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს, ცრემლ არ მაგივათ თვალზედა, შაიმოსებით შავადა, თეთრს არ ჩაიცომთ ტანზედა, გაილექსებით სისხლითა, ილტოზე ნახვალთ წყალზედა“.  
(ალიბეგაშვილი 1992: 94)

როგორც ფრინველი, ის ციურ სამყაროს მიემართება. შესაბამისად გაიაზრება შუამავლად ციურ, მინიერ და ხთონურ სამყაროებს შორის. სპეციფიკური ხმა, რომელიც ადამიანისას ნააგავს, ყორანს ანიჭებს სიბრძნეს, წინასწარმეტყველებას. ამგვარი ან მსგავსი გაგება უნდა ჰქონდეს ყორანის სახე-სიმბოლოს ნ. ბარათაშვილის „მერანშიც“:

„უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!“  
(ბარათაშვილი 1968: 120)

„შავი ყორანი“ პოეტის მიერ დაწყველილი, მისი მტანჯველი ბედისწერა (იგივე „ბოროტი სული“) უნდა იყოს, რომელსაც პოეტი თითქოს თავისებურ ბრძოლას უცხადებს: იგი ცდილობს გასცდეს უღმობელი ბედისწერის მიერ შემოფარგლულ „მოჯადოებულ წრეს“ – მიუღებელი რეალობის მკაცრ საზღვრებს, მაგრამ მის განზრახვას მუდამ ბოროტი ბედისწერა ეღობება წინ. ამიტომაც ლექსში „მერანი“ ავტორი ემოციურად და შთამბეჭდავად გადმოგვცემს ბედისწერასთან სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლას, შეურიგებლობისა და დაუმორჩილებლობის პათოსს. იმისათვის, რომ არ შეეგუოს ბედისწერას, არ დაუმორჩილდეს მას, პოეტი მზადაა, დაკარგოს სამშობლო, ყველა ახლობელი და სადღაც გადაკარგულში, უცხოეთში, დაიღუპოს, მიუსაფარი და ყველასაგან დავინყებულები, დაუტირებელი.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დამიტყროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის. შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შეენილთა ზარით, ღრილით მიწას მომყარის“.  
(ბარათაშვილი 1968: 120)

ეს ტრაგიკული სიტყვები თავისებურ წინასწარმეტყველებად იქცა – პოეტმა თითქოს ინტუიციურად იგრძნო თავისი აღსასრული. უცხოეთში გარდაცვლილი ბარათაშვილი თავისი საზოგადოებისათვის ბოლომდე ნარუმატებელ ადამიანად დარჩა, რომელსაც არც პირად

ცხოვრებაში და არც სამსახურში არ უმართლებდა. თითქოს მართლაც მუდმივად თან სდევდა ბოროტი ბედისწერა, რომელმაც მის ბრწყინვალე ლექსში შავი ყორანის სახე მიიღო.

თავის ცნობილ წერილს „კომპოზიციის ფილოსოფია“ ედგარ ალან პო ამგვარად ამთავრებს: „მკითხველი ყორანს უკვე სიმბოლოდ წარმოიდგენს, მაგრამ უკნასკნელი სტროფის ბოლო სტრიქონამდე მკაფიოდ არ ჩანს მისი განზრახვა მისი მ გ ლ ო ვ ი ა რ ე და და უ ს - რ უ ლ ე ბ ე ლ ი მოგონების სიმბოლოდ გააზრებისა: და ყორანი აღარ მიფრინავს, კვლავ ზის პალადას თეთრ ბიუსტზე, ჩემი ოთახის კარს ზემოთ; და მისი თვალები მოჰგავს დემონის თვალებს, როცა ოცნებობს, და ლამპის შუქი, მის ზურგს უკნიდან რომ იღვრება, მის ჩრდილს იატაკზე აფენს; და ჩემი სულიც ამ ჩრდილიდან ი ა ტ ა კ ზ ე რ ო მ და - ც უ რ ა ვ ს , აღარ წამოდგება აღარასოდეს“ (პო 2011: 167).

მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასა და ედგარ პოს პოეზიას ღრმა მსოფლმხედველობრივი პოზიცია აკავშირებს. პირიქით, მთლიანად ვიზიარებთ კახა კაციტაძის მოსაზრებას: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა ნათლად დაგვანახა, რომ სიხარული მხოლოდ მოქმედებას მოაქვს. ამიტომაცაა, რომ მისი პოეზია მკვდართა და წარმავალთა პოეზია კი არ არის, ცოცხალთა და მომავალთა პოეზიაა, იგი გულხელდაკრეფისაკენ კი არ მოგვინოდებს, არამედ მოქმედების მძლავრ სტიმულს იძლევა. სწორედ ამით განსხვავდება ეს დიდი ქართველი პოეტი ისეთი რომანტიკოსებისაგან, როგორც იყო, მაგალითად, ედგარ პო. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი აზრი ისაა, რომ ცხოვრებისაგან მიყენებული ტანჯვა ამავე ცხოვრებაში მოქმედებითა და ბრძოლით უნდა იქნეს დაძლეული. საკითხისათვის სწორედ ამგვარი მიმართულების მიცემით უპირისპირდება ნიკოლოზ ბარათაშვილი ნოვალისის ტიპის რომანტიკოსებს და ამ სახით ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ დიდ ილიას, – გოეთეს სიტყვები რომ გამოვიყენოთ, – მოქმედება გამოეცხადებინა ადამიანის ნამდვილ ზეიმად“ (კაციტაძე 2012: 28).

რაც შეეხება ედგარ პოს გავლენას არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ მხატვრულ აზროვნებაზე, ამის შესახებ უკვე იმდენი რამ თქმულა, ძნელია ახლის დამატება. მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიხმობთ აკა მორჩილაძის ესეიდან „ჰემერჰედი, ცოტა რამ პოს შესახებ“:

„ყორანი პოს დღევანდელი პასპორტია: ყორნის ფიტული ყველგანაა.

„ყორნის“ გმირი ალბათ ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტია. სავარაუდოდ, ის ისედაც სტუდენტია. ასე ამბობენ მკვლევრები.

იციტ რა? „ყორანის“ ყოველდღე კითხვა ნამეტანი იქნება, მაგრამ ხანდახან, ერთ მძიმე ღამეს, უნდა გადმოიღოთ და ეგება ამ ბალადამ

რალაცეებს უპასუხოს. შევებას ვერ მოგვევით, მაგრამ პასუხებს კი გამოიმეტებს. სიბნელის მხარეს გადახრილნი, სწორედ პოს ჩირაღდნით დაინახავთ, რა არის სიბნელე. ხომ მიგიწევთ ხოლმე გონება სიბნელისკენ? არის ეგეთი რამეები. მაგრამ თქვენი გონება ვერა ხედავს, რა არის იქ. ჰოდა, პო დაგანახვებთ. სიყვარული და უბედურება, ბოროტი და მტვრით დაფარული მაგიური წიგნები, კაკუნი კარზე... მთავარი იქ პოს ხმაა, პოს უბედური, ძლიერი, ფერადი, რალაცნაირად მოლიცლიცე ხმა.

ნევერმორ, ნევერმორ, ნევერმორ“ (მორჩილაძე 2014: 64).

უდავოდ ძნელი იქნება მეორე ხელოვანის დასახელება, რომელმაც ისეთი დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის მხატვრულ აზროვნებაზე, როგორც ედგარ პომ, რომელმაც, გარკვეულწილად, საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ქართულ მოდერნისტულ პოეზიაზეც, მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

## დამონებიანი:

**ალიბეგაშვილი 1992:** ალიბეგაშვილი გ. ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები. თბილისი: „განათლება“, 1992.

**ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**კაციტაძე 2009:** კაციტაძე კ. სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბ.: IV. მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ქართული ენა და ლიტერატურა. ტ. IV. თბილისი: 2009.

**კაციტაძე ... 2012:** კაციტაძე კ. ჯამბურია კ. „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-ფულტურული კონტექსტი“. ქართული რომანტიზმი (ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები). თბილისი: „საარი“, 2012.

**მორჩილაძე 2014:** მორჩილაძე ა. მწერლებსა და წიგნებზე. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2014.

**პო 2011:** პო ედგარ ალან. ყორანი, ერთი შედეგის ოცდაერთი თარგმანი. თბილისი: „ინტელექტი“, 2011.

რომანტიკოსები ცხოვრებასა და შემოქმედებაში  
**Romantic Poets in Life and Work**

---

**ZAZA ABZIANIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**The Nephew and His Uncles**

**(Nikoloz Baratashvili's relationship with Grigol, Zakaria and  
Ilia Orbeliani)**

The object of our present “literary archeology” is Nikoloz Baratashvili’s relationship with the brothers of his mother – Grigol, Zakaria and Ilia Orbeliani. We will try to gain an unbiased access to the logic of the relation between the nephew and the uncles: with the oldest uncle, Grigol – stretching from the humble letters from the period of school to the later didactic admonitions; as for the peer Ilia – from a canceled duel to the dedication of “Merani”; the poet’s relation with the third, medial brother Zakaria, seems to have passed without any dramatic highlights.

Most important, in this sense, is the relationship between Nikoloz Baratashvili and Grigol Orbeliani, for such represents a story not only of closest relatives, but also of two poets, at the same time an ambivalent and dramatic story of a friendship and internal confrontation.

**Key words:** Nikoloz Baratashvili, Grigol Orbeliani, Ilia Orbeliani, Zakaria Orbeliani.

## **ზაზა აბზიანიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **დისშვილი და ბიძანი მისნი (ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანებთან)**

წარსულის მოვლენებისა თუ ეპიზოდების ხელახალი გადაფასების გზაზე შემდგარ მკვლევარს გამაფრთხილებელ ნიშნად აესვენება წარწერა თომას სტერნზ ელიოტის პარადოქსული ფრაზით: „ანმყოფის წარსულს“. ამიტომაც, რომ გარდასულ დროთა და კოლიზიათა წიაღში ინტუიციურად ნაგრძნობი ჭეშმარიტების დამადასტურებელ არგუმენტთა ძიებით გართულნი, შიშით ავხედავთ ხოლმე ამ წარწერას, თავს რომ არ დაგვემხოვს, უნებლიეთ ძირგამოთხრილ რომელიმე ისტორიულ პლასტთან ერთად.

ეს სიფრთხილე გასაგებია, რადგან ჩვენი „ლიტერატურული არქეოლოგიის“ ამჟამინდელი ობიექტი ძალზე დელიკატურია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა დედამისის უმცროს ძმებთან – გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანებთან – დღემდე პასუხგაუცემელი რამდენიმე კითხვით.

შევეცადოთ, მიუყერძოებლად ჩავწვდეთ ამ ურთიერთობათა ლოგიკას: უფროს ბიძასთან, გრიგოლთან – პირველი, გიმნაზისტური, მოკრძალებული წერილებიდან – მენტორულ შეგონებებამდე, ხოლო თანშეზრდილ ილიასთან – არშემდგარი დუელიდან – „მერანის“ მიძღვნამდე; მესამე, შუათანა ბიძასთან – ზაქარიასთან ნიკოლოზის გულითადი ურთიერთობა, როგორც ჩანს, დრამატული „ჩანართების“ გარეშე წარიმართა.

უმცროსი ბიძით დავიწყოთ: „**ილია ორბელიანი (1814-1853)** სწავლობდა ტფილისის გიმნაზიაში. 1834 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში (უნტერ-ოფიცრად). 1845 წელს ებოძა კაპიტნის ხარისხი; 1849 წელს – პოლკოვნიკის; 1852 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი. იბრძოდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში მთიელთა წინააღმდეგ. მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში. 1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა დაღისტნის იმამ შამილს და გამოიხსნა გენ. ადიუტანტმა მ.ზ.არღუთინსკი-დოლოგორუკოვმა. 1853 წელს, გენ. ლეიტ-ის ე.ი.ბებუთოვის (ბებუთაშვილის) ხელქვეით, იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბაშკადიკლართან, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა. დაკრძალულია

ქაშვეთის ეკლესიაში. ილია ორბელიანი დაქორწინებული იყო გიორგი XII-ის ძის, ილია ბატონიშვილის ასულ ბარბარეზე“ (ორბელიანი 1936: 222) – ასე წარუდგინა აკაკი განერელიამ მკითხველს ილია ორბელიანის ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. ბარათაშვილისეული – „თავგანწირული მხედარი“ ოდენ პოეტური მეტაფორა როდია: საარაკო სიმამაცით ცნობილი მისი სახელი ჩაინერა კავკასიური და ოსმალეთთან ომების ისტორიაში. მაგრამ ვერანაირი ნუსხა ვერ აღვინერთ ილია ორბელიანის ანუ „ილიკოს“ (როგორც მას ყველა, დიდი თუ პატარა მიმართავდა) იმ ადამიანურ ხიბლს, რომლითაც ასე მოაჯადოვა თავისი ხელქვეითნი თუ ზემდგომნი (მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვის ჩათვლით, რომელიც ილიას დაქორწინებაზეც კი ზრუნავდა).

კომპოზიტი – „ბიძა-დისშვილი“ ცოტა დამაბნეველია ილია ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობის დასახასიათებლად: ილიკოსა და ტატოს შორის ასაკში დიდი განსხვავება არაა, ისინი ერთად იზრდებიან („დიდედა ხორეშანის“ გარდაცვალების შემდეგ, ეფემიამ დაობლებული უმცროსი ძმა თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად და დედის მაგივრობას უწევდა), გიმნაზიაშიც ერთ კლასში სწავლობენ. ისე რომ, რეალურად, ილიკო ტატოსათვის უფროსი ძმის როლს უფრო ასრულებს, ვინემ ბიძათაგან უმცროსისა.

როგორ უნდა მოახერხო კაცმა, ასეთი ადამიანი ისე გამოიყვანო ნყოფიდან, რომ დუელში გამოგინვიოს და რადგან სასიკვდილოდ არ ემეტები, შენი შეძრწუნება მოინდომოს თავად ამ საბედისწერო რიტუალით. ყველაფერი პირიქით მოხდა: შეძრწუნებული აღმოჩნდა ილიკო, რადგან სროლის ხმაზე ნაქცეული ტატოს დანახვისას, გაიფიქრა, რომ მართლა მოკლა დისშვილი (რაც, აბსოლუტური დარწმუნებით შეიძლება ითქვას, არც განუზრახავს). თუ ცხადლივ წარმოისახავთ მთელ ამ მიზანსცენას – გაოგნებული ილიკოთი, ახარხარებული ბარათაშვილითა და მისი სეკუნდანტი მალალაშვილით, ნამდვილად შეგეცოდებათ ილიკო, რომლის აბუჩად აგდებას ეს გამასხარავებაც მიემატა და კიდევ ერთხელ დააფასებთ მის სულგრძელობას. აქ დროული იქნება ციტატა იონა მუნარგისაგან: „ნ.ბარათაშვილი მეგობრობდა ერთს მალალაშვილს, რომელიც აგრეთვე ენამწარე და დამცინავი იყო. იგი ხშირად აჯავრებდა რალაცაზე ილია ორბელიანს. ამ დაცინვაში ხანდახან ტატოც წაეხმარებოდა ხოლმე მალალაშვილს“ (მუნარგია 1954: 469).

„კომიკურ დუელს“, რომელიც ისტორიკოს შალვა ჩხეტიას ვარაუდით, „1840 წლის ახლო დროით“ შედგა (ჩხეტია 1945: 226), გარკვეული შედეგებიც მოჰყვა: ვფიქრობ, სავსებით სწორი უნდა იყოს იაკობ ბალახაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმად – „ბარათაშვილისა და ილია ორბელიანის დუელის ამბავი გახშირდა და პოეტს წინადადება



მისცეს, ვითომდა ავადმყოფობის მიზეზით, ეთხოვა სამსახურიდან დროებით განთავისუფლება“ (ბალახაშვილი 1967: 234).

ეს, „კარიერას“ რაც შეეხება, მაგრამ იყო მეორე ასპექტიც – გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სამსახურებრივი შეფერხებანი. ვგონებ, მთელმა ამ ისტორიამ რაღაც უხილავი ბზარი მაინც დაამჩნია ტატოს ურთიერთობას სამივე ბიძასთან („კლანის ლალატი“). არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამავე მიზეზით აიხსნება გრიგოლ ორბელიანის ერთგვარი ინერტულობა დისშვილის კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით (რასაც ასე აყვედრის მას ტატო 1843 წლის აგვისტოში მიწერილ წერილში). ცხოვრებისეული ალლოთი უხვად დაჯილდოებულ გრიგოლს არანაირი გარანტია არა აქვს, რომ უცხო გარემოცვაში მისი „პროტეჟე“ კიდევ რომელიმე თავმომწონე ოფიცერს არ მიიყვანს ახლა უკვე ნამდვილ დუელამდე და ისევ სჯობს (ორივესათვის), „ტატომ“ ლევან მელიქიშვილის ან მამუკა ორბელიანის „ფრთებქვეშ“ იმსახუროს. ვინ იფიქრებდა, ეს სამსახური დუელზე საბედისწერო რომ აღმოჩნდებოდა... არა, ნამდვილად იყო რაღაც ბზარი. ისეთი, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი თუ გააქრობს. და სიკვდილმაც არ დააყოვნა... აი, აქ კი, ამ ტრაგიკულ შუქზე მკაფიოდ გამოჩნდა, როგორ ჰყვარებიათ „ენამწარე“ ტატო მის ბიძებს და როგორი ადგილი ეჭირა მათ ცხოვრებაში ბარათაშვილების ოჯახს. გავიხსენოთ ის დაზაფრული, ავისმომასწავებელი ცნობით განადგურებული ადამიანის ხმა, რომელიც მოისმის გრიგოლ ორბელიანის ილიასადმი თემირხანშურიდან 1845 წლის 12 ნოემბერს გაგზავნილ წერილში: „...თავის დღეში არ მოგიწერია – ტატოს ამბავი, ჩემი გულთი საყვარელი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? – უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსათვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირათ მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. ახრ ეს დამალვა რა არის? – თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? – აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავით გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. – თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სინრფოებით და მასუკან – რადგანაც შენთვის დიდი შრომაა – ნუღარ მოიწერები, იყავ შენთვის მშვიდობიანად“ (ორბელიანი 2012b: 22).

29 ნოემბერს, გრიგოლისადმი საპასუხო წერილში გულმოკლული ილია (რომელიც თვითონაც შეუძლოდა) უკვე აღარ უმაღლავს უფროს ძმას თავსდატეხილ უბედურებას: „ამ საწყლების, მელიტონის და იმის ცოლ-შვილის ყურებისათვის ველარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგიჟდები და აღარა მესმის რა. ჩვენი სიცოცხლე, ტატო გარდაიცვალა განჯას“ (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი. საქმე 176).

„ორბელიანთა ოჯახის წევრთ განჯა ახლა სანუკვარ ადგილად მიაჩნდათ. ერთმანეთზე მიყოლებით ისინი ინიშნებიან განჯაში, რომელიც გადაიქცა მათთვის მწუხარების, მაგრამ სანუკვარ ადგილად...“ – ნერდა მიხეილ ხელთუბნელი (ხელთუბნელი 1940: 372). ნიშანდობლივია, რომ უკვე 1845 წლის ბოლოს, გამოჯანმრთელებისთანავე, ილია ორბელიანი მიაველინეს განჯას (უთუოდ, თავისივე თხოვნით), სადაც ტატოს საფლავის მიხედვა უფრო ადარდებს, ვინემ ყაჩაღების დევნა. სამგზავრო ჩანთაში კი ტატოს ლექსების ხელნაწერი კრებული უდევს...

ბარათაშვილის შუათანა ბიძას – **ზაქარია ორბელიანს** (1806-1847) ძმების დაგვარად ზეადმავალი სამხედრო კარიერა ჰქონდა (42 წლისა იგი უკვე პოლკოვნიკია და მხედრული მამაცობისათვის არაერთხელ დაჯილდოებული). უმნიკვლო რეპუტაციის პატრონს ერთადერთი „სისუსტე“ ჰქონდა — სხვისი წერილების კითხვა უყვარდა. მისმა ამგვარმა ცნობისმოყვარეობამ ისე ალაშფოთა მანანა ორბელიანი, რომ, ზაქარიას შიშით, ერთხანს გრიგოლთან მეგობრული მიწერ-მოწერაც კი შეწყვიტა (იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q კოლექციის ბარათების კონა №155 [ბ]). ზაქარია ეტრფოდა ნინო ჭავჭავაძეს (ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა), თუმცა, ნაკლებად გვაროვან, მაგრამ იმვითი ადამიანური თვისებების მქონე ქეთევან ალექსი-მესხიშვილზე დაქორწინდა (ანჩისხატის დეკანოზის — დიმიტრის ასულზე; ეფემია და ზაალ ბარათაშვილების დიდი მცდელობით). ზაქარია 1847 წელს ემსხვერპლა დაღესტანში ქოლერის ეპიდემიას.

დისშვილის სახელი დროდადრო გამოჩნდება ხოლმე ზაქარიას მიმწერაში: 1836 წლის 16 ივნისს: იგი სწერს გრიგოლს კონვოში: „Мелитону всё не здоровиться... Сын его Николай хороший малый... Не знаю, что дальше“ (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი. საქმე № 176), ხოლო ორი კვირის შემდეგ აუწყებს: „ტატო აქ იყო. ჩუმად იჩივლა ხელმწიფესთან არზითა თავის საქმეზედ“ (იგივე წყაროდან). რაზე იჩივლა ბარათაშვილმა ხელმწიფესთან აქაურ ხელისუფალთა გვერდსავლით, დღემდე არ ვიცით. ზაქარიას წერილებში ტატო, საზოგადოდ, ყოველთვის გულთბილად მოიხსენიება, თუ შემთხვევით არ გადააწყდებით ფრაზას, ცოტა რომ გეხამუშებათ და ისევ იმ წყეულ „ბზარს“ რომ შეგახსენებთ: „Поцелуй от меня племянника Тато, мгониа თავგსავით დაძვრება...“ (ზაქარია ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი. 1843 წლის 8 თებერვალი. ხელნაწერთა ეროვნული ფონდის Q კოლექცია. ბარათების კონა № 155 (ბ)).

ბარათაშვილის „ეპისტოლარულ ფონდში“ ზაქარია სამად-სამი წერილის ადრესატია. თუმცა, ერთი წერილის გადაკითხვაც საკმარისია,

რომ ვიგრძნოთ, რაოდენ განდობილი და სათუთი დამოკიდებულება აკავშირებს ბიძასთან დისშვილს: „საყვარელო ძმაო ზაქარია! – სწერს ნიკოლოზი ბიძას თბილისიდან დალესტანში 1844 წ. 15 აპრილს, – რატომ ერთმანეთს წერილებს არ ვწერთ? უნდა გამოგიტყდე, ამ საკითხმა დამაფიქრა. აქსიომაა, რომ შენ მიყვარხარ; წერა რომ არ მეზარება, ამას ამტკიცებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ, რა მიზეზია? ჰო, ბოლოს მივხვდი: დაუდევრობა, საერთოდ ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე... ესეც კი არის რა მოგწერო? შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება პოვა ჩემს სულში, თუმცა ჩვენ ამისთვის სხვადასხვა მიზეზი გვაქვს მე ძალიან ავად ვიყავი; ცოტა დააკლდა ილვისიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქამდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც უცნაური გავლენა მოახდინა, შეიძლება, მთელს ჩემს სიცოცხლეზე. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმადლობით და მშვიდად და მოსვენებით გავატარებდი პატრიარქარულ ცხოვრებას სადა ბუნების ნიაღში, რომელიც ეგზომ დიადი და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში. გამომთელებისას ასეთი მწარე ფიქრებით ვიყავი შეპყრობილი, როდესაც შენი წერილი მივიღე. აი, რატომ თანაგიგრძნობდი შენ! ... შენი წერილის შემდეგ მივიღე გრიგოლის წერილიც. რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუგინდ ავგუსტუსის ტახტი, ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა. ხუმრობა და ხუმრობა. უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის (ბარათაშვილი 2015: 147-149).

გენიშნებათ, როგორი უბოროტო, მაგრამ ორაზროვანი იუმორითაა აქ ნახსენები **გრიგოლ ორბელიანი**. სხვათა შორის, ზუსტად ისევე, როგორც თავის მხრივ, გრიგოლი მოიხსენიებს ტატოს: მაშინაც, როცა ის ზარმაცობს და წერილებს უგვიანებს („ნიპრუა ჩვენი დისწული ხომ არ კადრულობს. Мошеники!“ (ორბელიანი 2012ბ: 196)) და მაშინაც, როცა მრავალსიტყვიან წერილებს უგზავნის: „...ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო თორემ აღარ გაათავებენ...“ (ორბელიანი 2012ა: 148).

ყმანვილი დისშვილისადმი ბიძის ალერსიანად-არასერიოზული მიმართება ინერციით გრძელდება ტატოს დავაჟკაცების შემდეგაც. ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, ზაქარია ჭიჭინაძე (მთანმინდელი) წერდა: „გრიგოლ ორბელიანს ერთობ

ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი: საკეთილშობილო სკოლიდან თითქმის ყოველდღე გრ.ორბელიანთან დადიოდა. დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა გრიგოლ ორბელიანთან“ (მთანმინდელი 1885: 6). სრულიად ბუნებრივია, რომ გრიგოლისათვის განურჩეველი არ იქნებოდა მის თვალწინ გაზრდილი დისშვილის პრობლემები. 1835 წლის ზაფხულში რიგიდან გამოგზავნილ წერილში იგი ეკითხება ზაქარიას: „— რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას სწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს სახელმწიფო კმაყოფაზედ იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. — სამწუხარო, ძალზედ სამწუხარო იქნება, თუკი მისი გონებრივი შესაძლებლობები განუვითარებელი დარჩება. — ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკი უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. — ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს“ (ორბელიანი 2012ა: 83).

დისშვილზე 13 წლით უფროსი, დინჯი გრიგოლისათვის „მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი“ ნიკოლოზი (იონა მეუნარგიას დახასიათებით), უკვე დავაჟუკაცებულიც კი, რჩებოდა იმ „ნიპრუა დისწულად“, რომლისგანაც ბიძამისი რაიმე უცნაურ გამოხდომას უფრო ელოდა, ვინემ გენიალურ ლექსებს. ეს არასერიოზული მიმართება, ვგონებ, ონომასტიკის სფეროს გასცდა. თუმცა, ამაზე შემდგომ...

თავის მხრივ, ტატო „გარდახვენილ ძია გრიგორის“ მოწინებთა და აღფრთოვანებით უძღვნის ლექსს („ძია გ...სთან“), დროდადრო, თავის, შემდგომში უკვე შედეგებად აღიარებულ ლექსებსაც უგზავნის (მის წერილებში ჩართულია „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „სულო ბოროტო“, „საფლავი მეფის ირაკლისა“...) და სულმოუთქმელად ელოდება პოეტიზმის მსჯავრს. კონსტანტინე მამაცაშვილის გადმოცემით, „ყველაზე მეტი ზედ მოქმედება ჰქონდა იმაზედ ბიძას, ჩვენს პოეტს თ. გრიგორ დიმიტრის ძე ორბელიანს“ (მამაცაშვილი 2005: 216).

მრავლისმეტყველია თვით ამ „ეპისტოლარული ეთიკეტის“ ევოლუციაც, რომლის მიხედვითაც მკაფიო წარმოდგენა გვექმნება ბიძა-დისშვილის თანდათანობრივი დამეგობრების ეტაპებზე. რადგან რომანტიკოსი ბიძა-დისშვილის არც ერთ თანამედროვეს არ გასჩენია სურვილი, მოეთხროთ მათ ამბივალენტურ ურთიერთმიმართებაზე, არარსებული ნარატივის მაგივრობა ერთგვარმა „ლიტერატურულმა კოლაჟმა“ უნდა გასწიოს. ძირითადი ფრაგმენტები აქ, რაღა თქმა უნდა, ბარათაშვილის იმ რამდენიმე წერილიდან იქნება ამოკრეფილი, რომელთა ადრესატი მისი უფროსი ბიძა იყო. თავად გრიგოლ ორბელიანის ნიკოლოზისადმი მიწერილი არცერთი ბარათი არ შემორჩენი-

ლა, თუმცა მისი მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა მაინც იძლევა შესაძლებლობას, წარმოვისახოთ, თუ როგორი ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში დისშვილის და რა პრობლემებს უქმნიდა – ცოცხალიც და სიკვდილს შემდგომაც...

ბარათაშვილის 1843 წლის აგვისტოში ბიძამისისათვის გაგზავნილი ის განაწყენებული წერილი გვახსენდება, სადაც ის გრიგოლ ორბელიანს ისეთი ფამილიარობითა და შეუნიღბავი ირონიით მიმართავს, რაც არასოდეს გაუბედავთ მის უმცროს ბიძებს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!

ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა. ჩემთან რომ ფარატინი გამოგეზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მიინდა შენთან ლაპარაკი და, ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება.

საკურველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვებრდებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!

ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მიინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის, ეცადე, რომა რე(ნ)ენკამფთან დამანიშვნირო. ხომ ამ პირობით ნახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის? ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დავიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?...“ (ბარათაშვილი 2015: 115-116).

ვგონებ, საკამათო არაა, რომ ჩვენ თვალწინაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტი არა მხოლოდ ბიძა-დისშვილის ურთიერთობათა გასაგებად, არამედ ბარათაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტის ნათელსაყოფადაც. აქ პირველი ნაწილი (ციტირებული) – შეურაცხყოფილი ადამიანის პათეტიკური მონოლოგია, ხოლო მეორე, ამის

საპირწონედ – თბილი, შინაურული და იუმორწარევი თხრობა „ქალაქურ ამბებზე“. ახლა, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, ჩვენ გაუნელეებელ ინტერესს ინვევს, რამდენად სამართლიანია ტატოს პრეტენზიები ბიძამისისადმი და ხომ არ არის ამ წერილში მინიშნება პოეტის ერთ, უმთავრეს წყენაზე.

ერთხელაც გადავხედოთ 25 წლის ნიკოლოზის მიერ წარმოსახულ დრამატულ სურათს: იგი სულიერი მემკვიდრეა პოეტი ბიძისა, რომელიც უშვილძიროდ „ჰბერდება“ (ამ დროს 38 წლისაა!), მაგრამ ჯიუტად არ უნდა დაიჯეროს, რომ „როდესაც თვითონ დაეცეს“, მისი ლექსები „ერსა შორის“ გაჟღერდება მისგან ჯერაც დაუფასებელი „თავის მემკვიდრის შუამავლობით“. არადა, გრიგოლი მაქსიმალურად უნდა იყოს დაინტერესებული ტატოს წარმატებაში უკვე არა როგორც ბიძა, არამედ, როგორც ლიტერატორი. კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ: ლოგიკურია, რომ „მემკვიდრის“ ამ, მომავალი მისიის გათვალისწინებით – „ღრე-კლდეს გამოყვანა და გაშლილს ადგილზე დგომა“ – ტატოს სამსახურებრივ კარიერაზე ზრუნვასთან ერთად, გულისხმობს მისი ლიტერატურული რეპუტაციის განმტკიცებასაც.

რას აკეთებს ამ დროს გრიგოლი?! ხმას არ იღებს ტატოს ლექსებზე, მე-12 კლასის ფეხმტკიცვან ჩინოვნიკს კი ჰპირდება, რომ გაუშვებს დალესტანში მე-19 ფეხოსანი დივიზიის მეთაურის, გენერალ რენენკამპფის განკარგულებაში. ეს ის პავლე რენენკამპფია, რომელზეც გრიგოლი დისშვილის წერილის მიღებამდე ერთი თვით ადრე თავის მფარველ სარდალს, გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვს მისწერს: „კნიაზო ნუ გამინყრებით, და ეს ვერც სულით და ვერც სხეულით ვერ გამოდგება აქა. მეტად სუსტია ორივეში“ (ორბელიანი 2012ა: 163). ისე რომ, საფიქრებელია, გრიგოლმა იჩქარა ტატოს დაიმედება და მერე, როდესაც ყველა გარემოება აწონ-დანონა, საერთოდ გადაიფიქრა მისი დალესტანში გაშვება; არც ისაა გამორიცხული, რომ მან მაინც მისწერა რენენკამპფს, მაგრამ უარი მიიღო და ეს ველარ გაუმხილა დისშვილს. ასეა თუ ისე, გრიგოლ ორბელიანს ნამდვილად არ ეთქმის საყვედური დისშვილის სამსახურებრივი კარიერისადმი უყურადღებობაში. აი, „ლიტერატურულ რეპუტაციას“ რაც ეხება, აქ რაღაც კითხვის ნიშნები ნამდვილად დაისმის: განა არ არის ყურისმომჭრელი ზემოთ ციტირებულ წერილში ნიკოლოზის გაღიზიანება გრიგოლის იუმორით: **„ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა“**. რა ხდება?! თვითონ, მეგობრულ წრეში გატაცებით ოხუნჯობს თავის ახლობლებზეც (როგორც ვნახეთ, ზოგჯერ – თავშეუკავებლადაც) და შორებლებზეც. რა არის ასეთი უპატივებელი გრიგოლის „ეპისტოლარულ იუმორში“?!

ისე მგონია, რომ ნიკოლოზი, რომელიმე ახლობელთან წერილების თვალთვლებისას (რაც სტუმრად ყოფნისას ტრადიციული რიტუალი იყო ჟურნალ-გაზეთების არარსებობის გამო), გადაწყდა გრიგოლის იუმორით ნათქვამ, მაგრამ აშკარად არაკომპლიმენტურ ეპითეტს თავისი (ან თავისი ლექსების) მისამართით, ეს ნართაულად აგრძნობინა კიდევ გრიგოლს და შემდგომ მისთვის არცერთი თავისი ლექსი აღარ გაუგზავნია. ასე რომ არ იყოს, სრულიად გაუგებარია, რა უნდა აიძულებდეს ახალგაზრდა კაცს, ჭკუას ასწავლიდეს ცხოვრებისაგან გამობრძმედილ ბიძამისს (ამასთანავე, პოეტს), ვის როგორი წერილები მისწეროს?!

და, აქვე, ერთი კითხვა, რომელსაც, როგორც წესი, თვალს არიდებენ ქართული რომანტიზმის მკვლევარნი: როგორ მოხდა, რომ გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც ასე გულმოკლულმა დაიტირა თავისი „ტატო“, მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში ბარათაშვილის პოეზიისადმი მიძღვნილი ერთი სტრიქონიც კი არ გამოუქვეყნებია და პირად მიმონერაშიც სიტყვა არ დაუძრავს დისშვილის მუზაზე?!

ამ უცნაური ფენომენის ამოსახსნელად მთლად დამაჯერებლად არ უღერს ზოგიერთი ჩვენი კოლეგის (ეგგენიძე 1995: 69) მიერ მოხმობილი ერთადერთი არგუმენტი: ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, სიბერეში, გრიგოლ ორბელიანს უარი უთქვამს მისთვის იუბილეს გადახდაზე და განუცხადებია: „თუ მაინცა და მაინც არ იშლიან აგერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილიო“ (მთანმინდელი 1885ბ: 64). ძალზე გონიერი და რამდენადმე დემონსტრაციული პასუხია. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ გრიგოლს, სიტყვაზე, „დავითიანის“ ავტოგრაფი დებოდა უჯრაში 30 წელი და არც გამოქვეყნება მოეწადინებინა მისი, არც ორიოდ სიტყვის წამძღვარება...

და მაინც, რითი აიხსნება გრიგოლ ორბელიანის ეს უცნაური ინერტულობა: უყურადღებო ადამიანია თუ უინიციატივო?! არც ერთი და არც მეორე. გრიგოლ ორბელიანის მთელი ბიოგრაფია ცხადყოფს, როგორი პათოსით აიტაცებდა იგი ამა თუ იმ კეთილისმყოფელ იდეას. ერთ-ერთი ბოლო მაგალითი – მიხეილ საბინინის „საქართველოს სამოთხის“ შესანიშნავი გამოცემა იყო 1882 წელს.

ამიტომაც, ერთადერთი ხინჯი, რაც გულში ჩარჩება ბარათაშვილის გარემოცვის შემყურე მკვლევარს, ესაა პოეტის სიკვდილს შემდგომი მიუსაფრობა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ტატო ყველამ დაიტირა, მაგრამ ახლობელთაგან მის შემოქმედებით მემკვიდრეობას, ძირითადად, ლევან მელიქიშვილმა უპატრონა.

აქ, მართებული იქნება, სწორედ ლევან მელიქიშვილის წერილიდან მოვიხმოთ ერთი ციტატა მიხეილ ხელთუბნელის კომენტარებით:

„ილიკო, აქაც გთხოვე და კიდევაც გთხოვ, სანყალი ტატოს ლექსები რომ გაქვს მანანას ქალისგან წაღებული, გამომიგზავნე, რჩება დაუბეჭდველი და ბედი ქართლისაც შენ გაქვს. ფულებს კი აღარ ვგონებ, ეგენი მაინც გამომიგზავნე“, – სწერდა ის ილია ორბელიანს 1846 წლის 27 ივლისს განჯაში. გრ. ორბელიანსაც ასევე სთხოვდა გაეგზავნა მისთვის, რაც კი ლექსები ჰქონდა ნ. ბარათაშვილისა და დაენერა არა მარტო წინასიტყვაობა თხზულებათა კრებულისათვის, არამედ, ეპიტაფია ძეგლისათვის“ (ხელთუბნელი 1940: 378).

როგორ აფიქრებს და აფორიაქებს ბარათაშვილის ბიოგრაფიის მკვლევარს ეს კითხვა: პოეტმა-ბიძამ მართლაც ვერ დაინახა და ვერც შეაფასა დისშვილის ტალანტი, თუ რალაც თვითშენახვის ინსტინქტმა „დააბრმავა“ და აფიქრებინა, რომ „ტატოს“ გენიის აღიარებთ თავს დაემხობოდა მთელი თავისი პოეტური კარიერა... მარადიული გამოცანა – როგორ და რანამს გვამარცხებენ ჩვენივე დემონები...

რალა თქმა უნდა, შეიძლებოდა ეს მტკივანი კითხვები ამჯერადაც მკვლევართა მომავალი თაობისათვის გადაგვემისამართებინა (როგორც ბევრი სხვა რამ), მაგრამ, როდემდე?!

#### **დამონებანი:**

**ბალახაშვილი 1967:** ბალახაშვილი ი. *ბარათაშვილის ცხოვრება*. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

**ბარათაშვილი 2015:** ბარათაშვილი ნ. *პირადი წერილები* (შემდგენელი მ. ცერცვაძე). თბილისი: „არტანუჯი“, 2015.

**ევგენიძე 1995:** ევგენიძე ი. *გრიგოლ ორბელიანი*. თბ.: გამ-ბა „მერიდიანი“, 1995.

**მამაცაშვილი 2005:** „კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე“. ბარათაშვილი ნ. *თხზულებათა სრული კრებული*. თბილისი: „პეგ“, 2005.

**მეუნარგია 1954:** მეუნარგია ი. *ქართველი მწერლები*. ტ. I. თბილისი: სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამოცემა, 1954.

**მთანმინდელი 1885ა:** მთანმინდელი ზ. (ზ.ჭიჭინაძე). *ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816-1845)*. თბილისი: არსენ კალანდაძის სტამბა, 1885.

**მთანმინდელი 1885ბ:** მთანმინდელი ზ. (ზ.ჭიჭინაძე). *ბესიკი. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე და თ. გრიგოლ ორბელიანი*. თბილისი: 1885.

**ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ. *წერილები*. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1936.

**ორბელიანი 2012ა:** „გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I)“. *XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა*. ტ. II. თბილისი: „საარი“, 2012.



**ორბელიანი 2012ბ:** «გრიგოლ ორბელიანი (ნანილი II)“. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ტ. III. თბილისი: „საარი“, 2012.

**ჩხეცია 1945:** ჩხეცია შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ). ტ. I. თბილისი: სსსრ შინსახკომის საარქივო სამმართველოს გამოცემა, 1945.

**ხელთუბნელი 1940:** ხელთუბნელი მ. უკანასკნელი წელი ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა. ლიტერატურის მატიანე, № 1-2. 1940.

## **IA GRIGALASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **Rebel Poets**

**(According to the works and letters by  
Giacomo Leopardi and Nikoloz Baratashvili)**

Spiritual closeness between Nikoloz Baratashvili and Giacomo Leopardi is obvious. Both poets felt depressed because couldn't get good education. They couldn't manage their own life. They couldn't adapt with the indifference of the society. Their protest is fair: limitation of a personal freedom causes problems in development of the country.

Both poets considered that the transient world is false. It broke their hopes. But they are reformers. Their romantic revolt is contagious. It gives stimulus to the society for the catharsis. Their dream about powerful homeland will come true. The revolt for the better future is still going on.

**Key Words:** Rebel, Homeland, Poet, Emotion, Society.

## **ია გრიგალაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **მეამბოხე პოეტები**

**(ჯაკომო ლეოპარდისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის  
შემოქმედებისა და წერილების მიხედვით)**

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯაკომო ლეოპარდის შემოქმედებაში პირადი უიღბლობითა და სამშობლოს ტრაგიკული ხვედრით გამოწვეული სულიერი ტკივილი მძლავრი პოეტური განცდებითაა ასახული.

ორივე პოეტი ცდილობს გაარღვიოს ჩაკეტილი წრე, ებრძვის არასასურველ რეალობას და ფიქრობს მომავალი თაობებისათვის გზის გაკვალვაზე.

ორივე პოეტის სამშობლო დაპყრობილია, დამონებულია, ხალხი თითქმის შეგუებულია მძიმე ხვედრს და სრულ ინერტულობას ამჟღავნებს არსებული რეალობისადმი, რაც ახალგაზრდა პოეტებს გულს უკლავს.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს იტალია დაიპყრო საფრანგეთმა, მის ჩრდილოეთით კი ავსტრია გაბატონდა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური რეგრესი, მოსახლეობის გადატაცება. 1813-14 წლებში სამხრეთ იტალიასა და მილანში იფეთქა ანტიფრანგულმა აჯანყებებმა, ხოლო 1848-49 წლის რევოლუცია, რომლის მიზანი იყო ავსტრიელთა ბატონობისაგან იტალიის განთავისუფლება, დამარცხდა.

სამშობლოს ბედით შეძრწუნებული ჯაკომო ლეოპარდი კითხულობს: „სად გაქრა ძველთა ძლიერება და გულოვნობა, ამაყი სული და ხმა მყივარი“. ნიკოლოზ ბარათაშვილის სულისკვეთება, რომ მისი თავგანწირული სიკვდილის შემდგომ მის თანამოძმეთ „სავალი გზისა გაუადვილდეს“, ეთანადება ჯაკომო ლეოპარდის სურვილს, რომ მისმა თავდადებამ გამოაფხიზლოს იტალიელები. პოეტს არ ძალუძს მშვიდად უცქიროს ერის დამონების მძიმე სურათს:

„საით წასულან მეციხოვნენი?  
შენი შვილები ვის კარს ტკეპნიან,  
ვისი წყალობის შემყურენი, რისი მთხოვნელნი,  
უფალო, მომეც შენვენა და მე ერთი წავალ,  
დე, გზას მიხშობდეს მოყაყანე ყვავთა ჩხავილი,  
დავიფერფლები, რომ ჩემი სისხლი  
იტალიელთა მკერდში აენთოს  
და გაჩახჩახდეს ნაკვერჩხალივით“.  
(ლეოპარდი 1985: 75)

იტალიელ პოეტს არ ენანება საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანა, პირიქით, ის თავს ვალდებულად თვლის, რომ ასე გულადად მოიქცეს:

„სამშობლოვ ჩემო, შენ მიბოძე სიცოცხლე ესე  
და შემოგწირავ, შემოგწირავ დაუნანებლად.  
(ლეოპარდი 1985: 75)

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ შექმნის ისტორია ცნობილია. ბიძამისის – ილიკო ორბელიანის – დატყვევების ამბავი ძალიან გა-

ნუცდია პოეტს. „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუნებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ ჩემთვის, მეც არ ვიცოდი რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავეწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცა“ (ბარათაშვილი 2012: 74) – წერდა პოეტი ბიძამისს – გრიგოლ ორბელიანს.

ლეკს, რომელიც დასწრებია ილიას დაჭერას, ასეთი ამბავი ჩამოუტანია: „ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმისის ხანი დაჭერილები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებულები. შამილს ოცივესთვის ილიას თვალი ნინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილი ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი, რა უთქვამს ილიკოს შამილისათვის „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალობა! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნას!“ ლეკის მონათხრობის მიხედვით, შამილს მოსწონებია ილიკოს პასუხი და უფიქრია, რომ მას მძევლად დაიტოვებდა, იქნებ რუსებმა შვილში გამიცვალონო. ილიკოს ამგვარ მოქცევას თანამედროვეები და, მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილიც აღუფრთოვანებია. ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ გმირული პათოსითაა სავსე. პოეტი არ ეგუება ხვედრს:

„გასანი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,  
და თუ აქამდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!“

(ბარათაშვილი 2012: 32)

პოეტის თავგანწირვა – დაიმარხოს უპატრონოდ, უცხო მიწაზე, მის გულს არ დაეცეს სატრფოს ცრემლები, დაიღუპოს ბოროტთან ბრძოლაში – ერთ მიზანს ემსახურება: შეძლოს გზა გაუკვალოს თანამოძმეთ:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერინო ჩემო, მაინც დარჩება!“  
რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სავალი გზისა გაუადვილდეს  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი, შავის ბედის ნინ გამოუქროლდეს!“

(ბარათაშვილი 2012: 33)

„ბარათაშვილი ყველაზე მწვავე გულისტკივილით განიცდიდა ქართლის ბედს. ეს იყო მისი მჭმუნვარებისა და დრტვინვის უმთავრესი

საგანი. პოეტის ცრემლებდაყრილ სტრიქონებში ეროვნული სევდაა დაგუბებული” (ნადირაძე 2010: 61). ტატოს ფიქრები მოყვასისა და ზოგადად, სამშობლოს ხვედრს დასტრიალებდა.

ჯაკომო ლეოპარდისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ ნათესაობაზე პირველად გურამ ასათიანმა მიუთითა, შემდეგ ლუიჯი მაგაროტომ მიაქცია ყურადღება. კობა ნურნუშია, თამარ კოშორიძე, ქეთევან ელაშვილი და სხვ. აღნიშნავენ მათ სულიერ მსგავსებას.

მაგაროტო მიიჩნევს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს აქვს საზოგადოებრივი სოლიდარობის არაჩვეულებრივი უნარი, მსხვერპლად შეწირვის განსაკუთრებული ნიჭი, რაც მან გვიჩვენა თავის შედეგში „მერანი“, რომელიც ამავე დროს მისი ანდერძია. „სხვაგვარად, მაგრამ ლეოპარდოზე არანაკლები ტანჯვით აღწევს ბარათაშვილი ლეოპარდის „ჯინესტრას“ მსგავს მეტრძოლ პერსპექტივას, სადაც იგი უპირატესობას ანიჭებს ჰეროიკულ შესტს – ინდივიდუალურ მსხვერპლს. ბარათაშვილი მუდამ საზოგადო თვითდამკვიდრებისა და კაცობრიობის ხსნის სახელით მიისწრაფის იმ მოწოდების შესახვედრად, რომელიც მიმართული იყო ლეოპარდის მიერ სრულიად „კაცთა მოდგმის“ მიმართ. პოეტი წინასწარმეტყველებს, რომ უცხო ქვეყანაში აღესრულება, წინაპართ საფლავებისგან შორს. არც სატრფოს ცრემლები დაიტირებენ. ბედს პასიური რელიგიური თმენით კი არ ემორჩილება, არამედ ინდივიდუალური ამბოხით გარდატეხის უწყვეტ პროცესს მიელტვის. ბარათაშვილთან ჩვენ განსაკუთრებით საინტერესო მსოფლმხედველობრივი განვითარების მოწმენი ვართ. რელიგიური აღზრდიდან გამომდინარე, ლოკალიზებულ სპირიტუალისტურ და ცოტაც მისტიკურ რომანტიზმში იგი გადალახავს ევროპული რომანტიზმის მკაცრ თეორიებს, ლეოპარდის მსგავსად თავშესაფარს არ ეძებს განმანათლებლობის მიერ პროპაგანდირებულ მატერიალისტურ ფილოსოფიაში. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ შეერწყმის მისი განათლება და რელიგიური სინდისი მაპროტესტებელ მოქალაქეობრივ აღმავლობას, სადაც რწმენის ძალა სოციალურ მოვალეობად იქცევა. ბარათაშვილი მოქალაქეობრივ ვნებებს აბსოლუტურად პირველხარისხოვან როლს აკუთვნებს, როგორც ფილოსოფიაში, ისე – პოეზიაში. ბარათაშვილმა განვლო სრული ფილოსოფიური გზა, რომელიც ნიშანდობლივია მუდმივი თეორიული განვითარებით. იგი აღწევს არაჩვეულებრივ პოეტურ შედეგს, რომელიც ეროვნულ საზღვრებს სცდება და რუსთაველიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქართულ პოეზიას ევროპის საუკეთესო პოეტური ტრადიციის გვერდით აყენებს“ (მაგაროტო 1989: 252).

წუთისოფელში უსამართლობა მძლავრობს, რაც ერთნაირად აღელვებს ორივე პოეტს. ისინი თავიანთ ლექსებში სოციალური უთანას-

წორობისა და ძალადობის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჯაკომო ლეოპარდის პროტესტს ინვესს სუსტის დაჩაგვრა ამქვეყნად:

„კეთილთათვის ხომ ეს სიცოცხლე სატუსალოა,  
მზაკვართათვის კი – განცხრომა და დღესასწაული  
და თავისუფალ აზრს მარადის დაშრიტავს ბრმათა  
და დამსმენთა ბოროტი ლიქნა,  
დაიჩაგვრება მარადის სუსტი,  
ლარიბიც ქვე-ქვე ივლის მარადის.  
გინდ ჩრდილოეთში, გინდ სამხრეთში, გინდ ეკვატორზე,  
გინდ პოლუსზე, ყოველივე ჰმორჩილებს ძალას,  
ასე ყოფილა, ასე არის, ასე იქნება!“ (ლეოპარდი 1985: 252).

მიხეილ თუმანიშვილისადმი მიწერილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი მეგობარს უზიარებს იმ განწყობას, რასაც მასში აღძრავს სასაფლაო: „გეტყვი კი, რომ მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგემისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული“ (ბარათაშვილი 2012: 67).

მტკვრის პირას ჩაფიქრებულ ქართველ რომანტიკოს პოეტს სევდა ეუფლება:

„მანც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი?  
ვინ არის იგი ვისთვის გული ერთხელ აღეცოს  
და რაც მიეღოს ერთი ნატვრით, ისი ეკმაროს?“  
(ბარათაშვილი 2012: 13)

წუთისოფელში გამეფებული უსამართლობა ჯაკომო ლეოპარდის ნიჰილისტური განწყობით აღავსებს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში – „ფიქრნი მტკვრის პირას“ – პოეტის ოპტიმისტური განწყობა და მებრძოლი სულისკვეთება ცხადადაა გამოკვეთილი: პიროვნების მიერ ზნეობრივი გზით სვლა, ზრუნვა და აქტიური მოქმედება ქვეყნის გასაძლიერებლად, საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესების უმთავრესი პირობაა:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვია, შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“  
(ბარათაშვილი 2012: 13)

რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში ბუნება მათი ფიქრებისა და განცდების საულო და თვითგამოხატვისათვის იმპულსის მიმცემი უმთავრესი საშუალებაა. „ბუნების მარტოოდენ „გონების თვალთ“ ტკობა და შესაბამისად ტრადიციულმა ტროპულმა „კაზმვამ“ ხანფრ-ძლივი პერიოდის განმავლობაში მხატვრულად „სტატიკური“ გახადა მისი ეზოთერიკული თვალსაზრისით. მხოლოდღა რომანტიზმის წიაღში დაიბრუნა ბუნებამ თავისი იდუმალი შესატყვისობა და შესაბამისად, სრულიად სხვა ჟღერადობა შეიძინა. თავისთავად სახელდებაშივეა გაცხადებული ამ ლიტერატურული მიმდინარეობის დიაპაზონიც – ესაა სწრაფვა უჩვეულობის, იდუმალების თუ სასწაულებრივის შესაცნობად, რაც გამოხატულია „პოეტური სულის ამბოხსა“ და შესაბამისად „რაციონალურ სამყაროსთან“ მარადიულ დაპირისპირებაში მყოფ ირე-ალობის გაშინაარსებაში“ (ელაშვილი 2012: 237).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ბუნებრივად მიაჩნია, რომ წუთისოფელს თითქმის ყველა ემდურება. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდან ცხადია, რომ პოეტი ასკეტის განწყობით უყურებს წუთისოფლის ამაოებას. იგი მაიკოს ამხნევებს, რომ გულგრილად შეხედოს ბედნიერებათა სოფლისათა“. „მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის-სოფლისა. დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გული-სა, აი ჭემმარტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი, და თუ დამიჯერე, იმედი მაქვს, რომ გარგოს!“ (ბარათაშვილი 2012: 78).

ჯაკომო ლეოპარდის ბობოქარი ბუნება ვერ ეგუება სამშობლოს დაქცევას:

„სამშობლოვ ჩემო, შენს დაქცეულ კედლებს გავცქერი,  
სვეტებს და თალებს, ცივ ქანდაკებებს,  
ცისკენ გაშვეტილ კოშკებს ცარიელს.  
დიდება მათი ქარს გაჰყოლია,  
და ყრუდ ქვითინებს გული ჩემი, გული მარტვილი“.  
(ლეოპარდი 1985: 74)

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ ნათელს ჰფენს პოეტის დამოკიდებულებას სამშობლოს თავისუფლების თემისადმი. მოღალატეთა მიზეზით დამარცხდა ქართველობა მტერთან ბრძოლაში:

„და მუხთაღისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!“  
(ბარათაშვილი 2012: 51)

სოლომონის სიტყვებით გაცხადებულია პოეტის პოზიცია:

„სახელმწიფოთა სჯულის ერთობა არარას არგებთ,  
ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს!“  
(ბარათაშვილი 2012: 52)

სიბერის ჟამს შეძლო მტრების დამარცხება მეფე ერეკლემ,

„მაგრამ ამაო იყო ყოველი,  
დიდი ხანია გულს ირაკლისა,  
გარდუნყვეტია ბედი ქართლისა!“  
(ბარათაშვილი 2012: 52)

ჯაკომო ლეოპარდი და ნიკოლოზ ბარათაშვილი „სულის ობ-  
ლობას“, ადამიანთა გულგრილობას, საყვარელი არსებისაგან უგულო  
დამოკიდებულებას არაერთ ლექსსა თუ პირად წერილში აღნიშნავენ  
გულისწუხილით. ეპოქა, რომელშიც დაიბადნენ, ამგვარ სევდიან განწყ-  
ობას ბადებს რომანტიკოს პოეტთა გულებში: „ლირიკოსი პოეტის ყვე-  
ლა ნაწარმოები ეს არის საუბარი საკუთარ თავზე და საკუთარ თავთან,  
უფრო სწორად – საკუთარი სულის მოხილვა. პოეტი საკუთარი სულის  
ყველაზე სათუთ რხევებს ჯერ თავად უგდებს ყურს და შემდგომ სხვას  
ასმენინებს და ამ ხმას ისეთი „გამჭოლობა“ აქვს, რომ ათასი ადამიანის  
სულის შერხევა შეუძლია“ (ყიფიანი 2006: 19).

როცა 1832 წლის შეთქმულებისათვის ემზადებოდნენ, ნიკოლოზ  
ბარათაშვილი 13-15 წლისა იყო, თუმცა, ის თანაუგრძნობდა შეთ-  
ქმულებას და არაერთი ლექსი ჰქონია იმ დროისათვის რუსეთის დამპყ-  
რობლური პოლიტიკის სამხილებლად. ჩხრეკის მოლოდინში ტატოს  
გაუნადგურებია ყველა ხელნაწერი. დასანანი, რომ ჩვენ ხელთ არ  
გვაქვს მისი შემოქმედების დასანწყისი ხანის ნიმუშები. კიდევ უფრო  
დასანანი, რომ ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა ქართველი რო-  
მანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ასევე ახალგაზრდა ასაკში  
გარდაიცვალა იტალიელი რომანტიკოსი პოეტი – ჯაკომო ლეოპარდი.

ორივე პოეტმა შეძლო საზოგადოებისათვის ეთქვა, რომ ზნეობა და  
განათლება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ძალადობის გზით მოპოვებული  
სიმდიდრე და დიდება. მათ საკუთარი შემოქმედების დიდი ნაწილი მი-  
უძღვნეს სამშობლოს თემას, თავისუფლების ძიების პრობლემატურ  
საკითხებს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადამიანის უპირველეს მისიად  
დასახა ქვეყნის მომავლისათვის ზრუნვა და უპირობო მოვალეობად –  
სამშობლოსათვის თავგანწირვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჯაკომო ლეოპარდი მუდამოხე პოეტები  
არიან, ისინი არ ურიგდებიან სამშობლოს მონობას, გულგატეხილობას,

თავიანთი პოეზიით მარადიულად შთააგონებენ მკითხველს, რომ ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ არ დამთავრებულა.

ამ ბრძოლიდან დამარცხებული არ შეიძლება გამოვიდეს პიროვნება, რომელიც რომანტიკოსი პოეტების მსგავს თავგანწირვას ამჟღავნებს. ამბოხი გრძელდება...

### **დამონებიანი:**

**ბარათაშვილი 2012:** ბარათაშვილი ნ. *პოეზია, წერილები*. თბილისი: 2012.

**ელაშვილი 2012:** ელაშვილი ქ. „სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში“. *ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები*. თბილისი: 2012.

**ლეოპარდი 1985:** ლეოპარდი ჯ. *ლირიკა*. მთარგმნელი თ. ბაძალუა. რედაქტორი ჯ. აჯიაშვილი. თბილისი: 1985.

**მაგაროტო 1989:** მაგაროტო ლ. *რომანტიკული ამბოხი: ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჯვარდო ლეოპარდი*. ყ. „პირველი სხივი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ყოველწლიური „ლიტერატურული ალმანახი“, № 21., 1989.

**ნადირაძე 2010:** ნადირაძე გ. *ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო*. თბილისი: 2010.

**ყიფიანი 2006:** ყიფიანი მ. *ლიტერატურული წერილები. პიროვნული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში*. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2006.

## **JULIA EREMEEVA**

*Russia, Moscow*

*Moscow Region State University*

### **Light of Russian Spirituality in the Works of Leonid Borodin**

The comprehension of the creativity of L. Borodin, his relationship with time, is impossible without reference to biography, fate, to the problem of finding and choosing the author of his path. Being a freedom-loving person, the writer did not want to hide his thoughts and feelings. In the works of L. Borodin amazing amazing openness, boldness of the line, the unavailability of suffering, despair, hope, desire for will, which for the Russian means more than freedom. The concept of reality of L. Borodin is original and harmonious, always artistically justified combination of elements of two types of creative work: realistic and romantic.

**Key words:** *spirituality, iconicity, Christ-centered spirit, author-hero, the image of Russia, All-Russian social-Cristian Union for the Liberation of the People.*



## **ЮЛИЯ ЕРЕМЕЕВА**

*Россия, Москва*

*Московский государственный областной университет (МГОУ)*

### **Свет русской духовности в произведениях Л. Бородина**

Осмысление творчества Л. Бородина, его отношения со временем, невозможно без обращения к биографии, судьбе, к проблеме поиска и выбора автором своей стези. Жизненный путь писателя полно и всесторонне вообрал в себя особенности послевоенного времени, развитого социализма, перестройки, постсоветской действительности и нашел отображение в художественных произведениях. Будучи свободолюбивым человеком писатель не хотел скрывать свои мысли и чувства. Характерные черты его повествования: правдивость, восхищение красотой, критика несправедливого советского строя. В произведениях Л. Бородина потрясают удивительная открытость, смелость строки, неохватность страдания, отчаяния, надежды, стремление к воле, которая для русского значит больше, чем свобода. Романтическое мироощущение в произведениях писателя передано ярко и сильно. Концепция действительности Л. Бородина своеобразна гармоничным, всегда художественно оправданным сочетанием элементов двух типов творческой работы: реалистического и романтического (некоторые произведения Л. Бородина имеют чисто романтическую природу).

Вся жизнь Л. И. Бородина – путь к правде, лежащий через разочарования, лишения, тюрьмы. Так, в юношеском возрасте беззаветную веру будущего писателя в Сталина развенчал XX съезд партии. Об этом периоде жизни он напишет в автобиографическом повествовании «Без выбора»: «... заболел настолько, что ни о чем думать не мог...», и, осознавая, что со «СТРАНОЙ» не все в порядке, решил «... жить, поступать и действовать <...> искать и что-то делать, потому что если ничего не делать, то – подлость, трусость, лицемерие, бесчестие, наконец!» (Бородин 2013: 15). В дальнейшем за участие в неофициальной студенческой студии «Свободное слово», «ориентированной на выработку идей и предложений по улучшению комсомола и самой партии, выявившей очевидную несостоятельность» (Бородин 2013: 70), его исключат с исторического факультета Иркутского университета. Будущий писатель будет постигать жизнь на «великих стройках коммунизма» – в Норильске, на Братской ГЭС.

В 1965 г. Л. И. Бородин вступит во Всероссийский социал-христианский союз освобождения народа – «первый после Гражданской войны антикоммунистической организации, ставившей своей конечной целью свержение Коммунистической власти». Преданность ВСХСОН и данной ему присяге «быть верным сыном Великой России, борьбе за ее

Возрождение, славу и благосостояние, не щадя усилий, имущества и самой жизни» (Бородин 2013: 70) он пронесет через всю жизнь.

После провала ВСХСОН в 1967 году Л. И. Бородин получает первый срок по 70 статье УК РСФСР («Антисоветская агитация пропаганда»), и, попав в тюрьму, в одном из писем родным напишет: «То, что произошло <...> не беда, а естественные последствия, которых я ожидал, к которым готовился. Я был самим собой, и другим я быть не мог» (Бородина 2015: 23).

«В недавнем интервью Леонида Бородина спросили, почему у него, старого зека, в его произведениях нет той горечи или даже озлобленности, какие чувствуются у Шаламова, да и у многих других. Мне кажется, этот вопрос очень важный, и полный ответ может дать лишь все написанное Бородиным: и стихи, и проза» (Бородин 1992: 3) – выскажет свое мнение в предисловии к сборнику «Изломы» И. Р. Шафаревич. Писать Л. И. Бородин начал в заключении. Сначала стихи, позже обратился к прозе. В своем творчестве автор обращается к теме «малой родины», нравственно-этических идеалам народа. Будучи глубоко верующим человеком, он привнес в свои произведения концепцию, согласно которой «для подлинно воцерковленного человека главная истина о мире – вся в нескольких текстах». Все прочее же рассматривал как «попытки комментария и толкования Творения...» (Бородин 2013: 413). Поэтому прозаическое, поэтическое наследие писателя устремлено к воссозданию первообраза.

Художественный мир Л. И. Бородина иконичен. Иконичность наследия писателя проявляется и в образно-символической и мотивно-тематической организации произведений. Во многих из них реализуется идея православной иконичности как внутреннее качество «быть двуединством <...> небесного и земного, способности любого предмета быть отобразом первообраза» (Лепяхин 2007: 368).

Так образ земной матери для главного героя повести «Ловушка для Адама» является образом-иконой умопостигаемой действительности. С ее помощью герой начинает по иному познавать мир, бытийное взаимодействие земного и небесного. Другим средством, используемым автором для воплощения этого взаимодействия, выступает обращение к текстам Священного Писания, библейским образам – к иконичному слову.

О главной идее повести «Году чуда и печали», ее христианской составляющей, иконичности можно сказать словами автора: «... это самая моя православная вещь. Там нет ни одного слова «Бог», потому что проблема любой религии, а особенно православного мироощущения, – это вина, преступление, раскаяние или чувство вины, чувство покаяния, мести, долга – это все там есть. И это главное» (Бородин 2013: 636). В произведении автором раскрывается тема нравственного взросления и становления главного героя, двенадцатилетнего подростка, как чуда самопознания, как чуда откровения мира душе, испытавшей первую бурю чувств и вступившей

с ней в борьбу за обуздание стихийной силы жизни. В повести христианское мировосприятие побеждает языческие представления о долге и морали.

Тема родины и ее судьбы является центральной в лирике писателя. Основная проблематика большинства стихотворений – религия, русская история, искание Бога – подчиняется осмыслению того, что произошло с Россией после Октябрьской революции, поиску своего пути в советской и постсоветской действительности. Л. И. Бородин постоянно осознавал личную ответственность перед Богом, перед вечностью за судьбу России. Особенности его лирики являются христоцентричность, исповедальность.

Стихотворение «Россия, прости, что злоба...», написанное в период между 1982–1987 гг., когда за спиной автора было уже два тюремных срока, отличается предельной искренностью, эмоциональностью и выразительностью. Начальные строфы отсылают к началу советской эпохи. Автор говорит о «неродном» ее характере для страны. Стихотворение начинается с обращения к России:

Россия, прости, что злоба  
Дышала с моей строки.  
И ты ведь, и я, мы оба  
Друг к другу подчас строги.  
Нынче с душою иною,  
Нынче с поклоном я.  
То, что считал виною, —  
То лишь беда твоя.  
Наобещала эра  
Благодетей миру всему,  
Тогда уступила вера  
Доверию твоему.

Историософия писателя носит мистический характер. По мнению профессора НовГУ А. В. Моторина «главная творческая установка мистического художника – постижение и выражение правды Божией» (Моторин 2013: 237). Стихотворение Л. И. Бородина построено на восприятии действительности сквозь преломление трагических страниц в истории православной веры в России. Автор искренне верит во всепобеждающую, мистическую тайну России, верит в то, что ее душу нельзя сломить.

Писатель прямо оценивает события начала XX в. в России как трагедию, масштабную духовную катастрофу. Это подчеркивается в стихотворении эпитетами: «диких клинков», «злых дорог», «слепые мечты»; аллитерацией: пр / стр / др (Россия, прости, что злоба/ Дышала с моей строки./ И ты ведь, и я, мы оба/ Друг к другу подчас строги.); анафорой: «Было тебе испытание./ Будет тебе урок», «Нынче с душою иною,/Нынче с поклоном я»; вера в Россию поддерживается смысловой рифмой: «эра» – «вера»,

«всему» – «твоему», «дорог» – «урок», «блистание – испытание», «дорога» – «от Бога»). Стихотворение составляет единое смысловое, экспрессивное, эмоциональное целое. Автор дает понять, что Россия для него не территория, а хранилище духовно-нравственных устоев, христианства.

Диких клинков блистание,  
Радуга злых дорог.  
Было тебе испытание,  
Будет тебе урок.  
Но в тьму завела дорога  
Слепые твои мечты.  
И все же, уйдя от Бога,  
Безбожной не стала ты.

В стихотворении реализуется основная в христианстве мысль о спасении через страдания. В своих «Размышлениях над февральской революцией» А. И. Солженицын приводит слова отца Сергия Булгакова: «За что и почему Россия отвержена Богом, обречена на гниение и умирание? Грехи наши тяжелы, но не так, чтобы объяснить судьбы, единственные в Истории. Такой судьбы Россия не заслужила, она как агнец, несущий бремя грехов европейского мира. Здесь тайна, верою надо склониться» (Солженицын 1999: 429). «Верою надо склониться», – это ключ к пониманию историософии Л. И. Бородина.

Доктор богословия М. М. Дунаев в книге «Вера в горниле сомнений» пишет: «Православие есть тот удерживающий, о котором говорит Апостол: “Ибо тайна беззакония уже в действии, только не совершится до тех пор, пока не будет взят от среды удерживающий теперь...”» (2 Фес. 2, 7). <...> Средоточием этого удерживающего начала ныне является Россия. Именно на Россию Божиим Промыслом была возложена ответственность за судьбу Православия. Назначение России — нести в себе удерживающее начало и противостоять тайне беззакония. Ибо в том решаются судьбы мира» (Дунаев 2017).

В финальных строках стихотворения «Россия, прости, что злоба...» Л. И. Бородин прозревает эту высокую идею:

И оттого над порогом  
Меча я не подниму.  
Я знаю:  
*Россия с Богом,*  
*Хотя и спиной к Нему!*

Авторский курсив в конце стихотворения подводит итог и заставляет о многом задуматься... Например о том, что в представлении писателя безверие, отступление от основ православия порождают бесчинство,

деспотизм, смуту, о том, что Отечество Земное и Небесное воспринимаются Л. И. Бородиным как единое целое, составляют для него одно понятие и он искренне верит в божественное предназначение своего Отечества.

Художественный мир произведений Л. И. Бородина и всего его творчества обусловлен глубоким философским мирозерцанием на крепкой основе православия и истинного патриотизма. Как верный сын Отечества писатель в своих произведениях ориентируется на подлинные духовные ценности и утверждает, что их отвержение ведет к неисчислимым и безмерным страданиям.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

**Бородин 2013:** Бородин Л. *Собрание сочинений в 7 томах. Т.6.* М.: Москва, 2013.

**Бородин 2013:** Бородин Л. *Собрание сочинений в 7 томах. Т. 7.* М.: Москва, 2013.

**Бородина 2015:** Бородина В. «Не года, а жемчужная нить...». *Журнал Москва, №4.* М., 2015.

**Бородин 1992:** Бородин Л. *Изломы.* М.: «Русло», 1992.

**Дунаев 2017:** Дунаев М.М. *Вера в горниле сомнений* [book on-line] Режим доступа: [azbyka.ru/fiction/v-gornile-sommenij/](http://azbyka.ru/fiction/v-gornile-sommenij/) (дата обращения 11.03.2017)

**Лепяхин 2007:** Лепяхин В.В. *Икона и образ. Иконичность и словесность, М.: Паломник, 2007.*

**Моторин 2013:** Моторин А.В. *Теория русской словесности.* Великий Новгород: Изд-во НовГУ им. Ярослава Мудрого, 2013.

**Солженицын 1999:** Солженицын А.И. *Размышления над февральской революцией (1980-1983). Солженицын А.И. Собр. соч. Т.7.* М.: ТЕРРА, 1999.

## **TAMAR SHARABIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **From Georgian-Azerbaijani Literary Relations (Nikoloz Baratashvili and Goncha Begum)**

Research of Azerbaijani scientific material, cooperation with Nakhchivan University and Academy of Sciences professors, and work in Nakhchivan archive has otherwise demonstrated to us the four months spent by Georgian poet Nikoloz Baratashvili in Nakhchivan, from the end of November 1844 till the end of March 1845.

The epistolary heritage of the writer speaks the best about Baratashvili's work in Nakhchivan. Baratashvili's letters have shown the path to Azerbaijani research-

ers Dilara Alieva and Musa Guliev in finding the literary heritage of Nakhchivan resident woman, as Baratashvili wrote, “the salty daughter of the Khan”. Poems authored by Goncha Begum have been found in Nakhchivan private archives and they have already been published in the Anthology of Azerbaijani Poet Women.

**Key words:** Baratashvili, Nakhchivan, Goncha Begum.

## თამარ შარაზიძე

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობიდან (ნიკოლოზ ბარათაშვილი და გონჩა ბეგუმი)

ოთხი თვე – 1844 წლის ნოემბრის ბოლოდან 1845 წლის მარტის დასასრულამდე – ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოეთში, ნახჭევანის მაზრაში, გაატარა. ეს იყო სამშობლოდან პირველი მოშორება, გამოწვეული ოჯახის რჩენის მიზნით. ბარათაშვილი, ერთი შეხედვით მზიარული, ცოტა ცინიკურიც და დროსტარების მოყვარე, ოჯახისთვის განსაკუთრებით თავდადებულია. მთელი სერიოზულობით მუშაობს სახელმწიფო სამსახურში, თანახმაა თითქმის ყველაფერზე, რადგან სახლში უიმედობით ლოგინად ჩავარდნილი, დამბლადაცემული მამა ჰყავს, დარდით შეპყრობილი, არც თუ ისე მოხუცებული, სულ 50 წლის, და სილატაკეში მყოფი ოჯახის წევრები, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილნი. კანცელარისტად მუშაობა სულს უხუთავს ბარათაშვილს, ცოცხალი სამუშაო ურჩევნია, რადგან ბუნებით დაუდეგარია, მოუსვენარი. და აი, ნახჭევანის მაზრის მმართველად ლევან მელიქიშვილი ინიშნება. გომნაზიის მეგობართან ერთად სამსახური ბარათაშვილისთვის ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე გადამთიელ ჩინოვნიკებთან; თანაც პროვინციაში შრომა უფრო მეტად ფასობს და სამშობლოდან მოშორებით მყოფი ოჯახსაც მეტად დაეხმარება. ნაცნობ-მეგობრები შუამდგომლობენ ბარათაშვილს, რომ მაზრის მმართველის მოადგილედ დაინიშნოს. ბარათაშვილი ნახჭევანში მიემგზავრება; მას ევალემა მაზრის მმართველის მოადგილის თანამდებობის შესრულება, თუმცა ამ თანამდებობაზე ჯერ დამტკიცებული არ არის.

ნახჭევანი ახალი შეერთებული იყო რუსეთის იმპერიასთან, ამიტომ იქ ადმინისტრაციის შექმნისათვის მუშაობა დიდ ენერჯიასა და

ძალისხმევას მოითხოვდა. პოეტის მდგომარეობას ართულებდა სამშობლოდან, თბილისიდან, ნაცნობ-მეგობრებისაგან მოშორება. „**სამი თვეა აქა ვარ და ძალღად არავინ მახსენა**“, – ახლობლების უყურადღებობას განიცდის პოეტი და ჩივის მაიკო ორბელიანთან, – „**ეჰ! მაგის დარღსაც გაუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსძლევ, სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა, თქვენც გეყოფათ ბუზების ზოცვა...**“ (ბარათაშვილი 1968: 193). ბარათაშვილს სერიოზული მიზნები აქვს, მუშაობა სწადია, მაგრამ მაინც ხინჯად აქვს გულში, – „**როგორც ერთ ქალს უბრძანებია, ... აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო!**“ ერთ ქალს ვინღა ჩივის, ის აკვირვებს, რომ მანანა ორბელიანი მოკითხვასაც არ უთვლის. მიზეზი ნათელია – „**ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში. – ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოღაში ოთხმოცის წლის კაცები არიან**“ (ბარათაშვილი 1968: 194). ცხადია, ბარათაშვილი ხუმრობს, თუმცა ხუმრობის მიღმა გული სწყდება, რომ თბილისის საზოგადოების ცენტრში აღარ ტრიალებს. თავის მეორე წერილში მაიკოსადმი პოეტი იწერება: „**ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვასა და უსიამოვნების მეტი არა არის რა. ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარტს (იგულისხმება მთავარმართებელი) სწყევლის, აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს**“ (ბარათაშვილი 1968 : 195).

ნახტევანი მდებარეობდა ირანის საზღვარზე, იყო ერთი მივიწყებული აზიური ქალაქი, სადაც რუსეთთან შეერთების შემდგომ ბინა დაიდეს რუსეთის ოფიცრებმა, მათ შორის – კავკასიელებმაც და პოლონელებმაც. ბარათაშვილს ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა როგორც მათთან, ასევე ადგილობრივ განათლებულ მოსახლეობასთან – კერძოდ, ხანის მემკვიდრეებთან. გარკვეული კუთხით, მისთვის საინტერესოც კი უნდა ყოფილიყო ეს აზიური, თბილისისაგან საგრძნობლად განსხვავებული ქალაქი თავისი ტრადიციებით. თბილისელი მეგობარი ქალებისათვის აქ არჩევდა ბარათაშვილი ირანელ ვაჭრებთან ორიგინალურ კრიალოსნებს. მაიკო ორბელიანთან მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ მას ტასო ორბელიანისთვის (მანანა ორბელიანის ქალიშვილისთვის) გაუგზავნია თავდაპირველად კრიალოსანი. ქართველი ქალებისათვის იმჟამად უჩვეულო და ნატიფ ნივთს მაიკო ორბელიანიც მოუხიბლავს და ამის შესახებ ტატოსთვის მიუწერია. ტატო მეგობარს პასუხობს: „**კრიალოსნები გეთხოვათ. მე დიდი ხანია თავრიზიდან ხუთი კრიალოსანი დავიბარე... მაგრამ ჯერ არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, იმიტომ, რომ მაგისთანა კრიალოსანი**

**ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი ნაერთმევა“** (ბარათაშვილი 1968: 193).

მიუხედავად, ნახჭევანში ბარათაშვილის გარკვეულ დონეზე ადაპტაციისა, მის ბიოგრაფიებში იქ ცხოვრება მაინც მძიმე ტვირთად წარმოჩნდება. ამის მიზეზი უნდა იყოს დაუფასებელი შრომა, დაუფასებელი იმ „ხელმწიფობისა და საზოგადოებისგან“, რომელთათვისაც თავის „შეძღვნა“ ჰქონდა პოეტს გადანყვებილი. ვფიქრობთ, საბოლოოდ ნახჭევანში ყოფნა ბარათაშვილისთვის გაუსაძლისი მაინც არ უნდა ყოფილიყო. ჩვენს აზრს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ მას არ სურდა ამ პროვინციიდან წამოსვლა და თბილისში დაბრუნება.

ნახჭევანთან დაკავშირებულ კიდევ ერთ დადებით მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ იქ დაწერილი ორი ლექსი, რომლებიც, საბედნიეროდ, შემოგვრჩა. საბედნიეროდ, ვამბობთ იმიტომ, რომ ბარათაშვილის ბოლოდროინდელი ლექსები, ნახჭევანსა და განჯაში დაწერილი, არ შემონახულა. ისინი არც ერთ ხელნაწერ კრებულში (მაიკო ორბელიანის, ეკატერინე ჭავჭავაძის, თავად ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის) არ არის შესული. თითქმის ყველა დაიკარგა. გადარჩენილი ორი ლექსიდან ერთია „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ (ავტოგრაფი შენარჩუნდა, რადგან იგი ბარათაშვილს მაიკო ორბელიანისათვის გაუგზავნია წერილთან ერთად 1845 წლის 9 თებერვალს) და მეორე – უფრო ადრე დაწერილი, ისიც ნახჭევანში ამავე წლის 10 იანვარს – „მაღლი შენს გამჩენს“ (ლექსის ავტოგრაფი არ შემონახულა; იგი ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ – 1863 წ. №2). ეს ნაწარმოებები წერილებთან ერთად ხელს გვინყობს პოეტის ბიოგრაფიის სრულყოფაში, რადგან ყველაზე უფრო ცხადად წარმოაჩენს იმ ფიქრსა და გრძნობებს, რომლებითაც პოეტი სულდგმულობდა.

ორივე ლექსში ფიგურირებს სატრფო, ერთში კი აქცენტი სატრფოს დაკარგვით გამოწვეულ უბედობაზეა გადატანილი; პოეტის უბედობა, მთელი მისი შემოქმედებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის; უბრალოდ საინტერესოა, ამჯერადაც ჰყავს თუ არა ლირიკულ სატრფოს ადრესატი, რამდენად ძლიერია პოეტის გრძნობა მისადმი და განსხვავდება თუ არა მხატვრული თვალსაზრისით ეს ლექსები ადრეული სატრფიალო ნიმუშებისგან. ლექსის – „მაღლი შენს გამჩენს...“ – მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სატრფო ლამაზი, წყნარი, შავთვალემა ქალია და ძნელად თუ მიესადაგება პოეტის მუზას, ცისფერთვალა ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც ამ დროს დიდი ხნის გათხოვილია, დარღვეულია აგრეთვე ტატოსა და ეკატერინეს მეგობრობაც, რომელიც ეკატერინეს გათხოვების შემდგომ აღდგა და რამდენიმე ხანს გრძელდებოდა (1840-1841 წწ). სატრფოს მშვენიერ, „ცისაფერის“ თვა-



ლებს ლექსში შავი თვალები ცვლის, ამაღლებულ განწყობას კი, ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მდაბიური, „როგორღაც ფიქრში მოსული“. ლექსი თავისი საზომით (16-მარცვლიანი დაბალი შაირით, „მე ვარ და ჩემი ნაბადის...“ ხმაზედ თქმული) და ხალხური ლექსისათვის დამახასიათებელი ინტონაციით საგრძნობლად განსხვავდება ეკატერინე ქავჭავაძისადმი მიძღვნილი, დახვეწილი, ფილოსოფიური, არქაისტული ენითა და მაღალი სტილით შექმნილი ლექსებისაგან. ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ პოეტის ადრესატი სხვა არის. თუ ეს სხვა ნახჭევანელია, მაშინ კიდევ უფრო მკვეთრი ხდება მინიშნება უცხოეთში, სატრფოს ქვეყანაში, დროებით მყოფი მგზავრისა:

ყარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა სანყალი,  
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად – ბასრი ხანჯალი.  
(ბარათაშვილი 1968:134)

ნახჭევანიდან მაიკო ორბელიანთან გამოგზავნილ წერილებში გამოკრთის ერთი იქაური ქალის სახე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გამოკრთის და უფრო მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. პოეტი მის შესახებ წერს: „ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; სანყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. – ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის; ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. – ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის“ (ბარათაშვილი 1968: 194). სათარა ცნობილი ირანელი მომღერალი ყოფილა, აღმოსავლეთის ჰანგების დიდოსტატი. ნიკოს ძალიან უყვარდა მუსიკა და დიდ პატივს სცემდა სათარას ხელოვნებას; მისი დის – ბარბარე ვეზირიშვილის – თქმით, სადაც კი წავიდოდა, სათარა ყველგან თან დაჰყავდა თურმე.

წერილის მესამე გვერდის არშიაზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით: „ტატო დღე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გნამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვმვრები“ (ბარათაშვილი 1968: 194). მაზრის უფროსის ეს მინაწერი გონჩა-ბეგუმს ეხება. ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაინტერესება ამ ქალბატონით საკმაოდ სერიოზულია და, თუნდაც წარწერა სახუმარო ყოფილიყო, პოეტის

დამოკიდებულება სცილდება ხანის „ლამაზი და მარილიანი“ ასულის პოეზიით გამოწვეულ ხიბლს.

ამგვარადვე უნდა აღექვა ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანსაც და თუმცა მისი პასუხი ტატოსადმი აღარ არის შემორჩენილი (ბარათაშვილის არქივი მისი სიკვდილის შემდეგ, სანამ პოეტის დედა და ილია ორბელიანი ჩავიდოდნენ განჯაში, განადგურდა; 1844-1845 წლების ნაწარმოებებიცა და წერილებიც გაიბნა და დაიკარგა), ბარათაშვილის შემდეგი ბარათიდან, რომელიც კვლავ ნახჭევანიდან არის გამოგზავნილი, ვიგებთ, რომ მაიკო დაინტერესებულა ამ ამბით და გონჩა-ბეგუმი თავისი ძმობილის სატროფოდ თუ არა, გატაცებად მანც მიუჩნევია. სწორედ ამის უარყოფას ცდილობს ბარათაშვილი, როდესაც წერს: „საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდეც შევარიგე ცოლ-ქმარიო“ (ბარათაშვილი 1968:195).

1844 წლის 10 იანვრიდან (ეს არის ლექსის – „მადლი შენს გამჩენს“ – დაწერის თარიღად მიჩნეული დრო ილია ჭავჭავაძის მიხედვით) ამავე წლის 9 თებერვლამდე (მაიკო ორბელიანის წერილზე მითითებულ თარიღამდე) ერთი თვეც არ არის გასული და მკვეთრად იცვლება პოეტის განწყობა; კვლავ სახეზეა უიმედობა, სატროფოს დაკარგვით გამოწვეული; აღარ ჩანს სილალე, რომელსაც ლამაზი ქალის ხილვა იწვევს. მართალია, განცდა იმ ტრაგიზმს ვერ აღწევს, რომ პოეტი „უენო მსხვერპლად“ („მიყვარს თვალები მიბნედილები“, 1942 წ.) მივიჩნიოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ხელახალი იმედგაცრუების კვალი ლექსში ნამდვილად შეიგრძნობა.

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ბარათაშვილს გრძნობა გონჩა-ბეგუმისადმი და მიუძღვნა თუ არა მას „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, მაგრამ ერთი კი ცხადია, ნახჭევანში დაწერილ მეორე ლექსში – „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, რომელიც იმავე საზომით არის შესრულებული, რომლითაც ერთი თვით ადრე დაწერილი „მადლი შენს გამჩენს“, კვლავ ჩნდება დიდი სიმძიმისი და უიმედობის განცდა. სასტიკი ქარი პოეტს სიცოცხლის დამატკობებელ ყვავილს წაართმევს, ციური ცვარით დანამულს, მის ადგილს კი „უჟამო დრო“ ცრემლით შეცვლის:

„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,  
მაცხოვნებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი!  
იგი ნიდაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;  
დრომ უჟამურმან ან ცრემლით შესვარა მისი სახელი!“  
(ბარათაშვილი 1968: 135)

ლექსი თავისი განწყობითა და მსოფლხედვით გვახსენებს ბარათაშვილისავე ნაწარმოებს – „ვპოვე ტაძარი“, დაწერილს 1841 წელს, როცა პოეტს საბოლოოდ გადაეწურა ეკატერინე ქავჭავაძისაგან საპასუხო სიყვარულის იმედი. ბარათაშვილი არც აქ ლალატობს თავის მიერ წინა წლებში უკვე ჩამოყალიბებულ, შეიძლება ითქვას, დაკანონებულ ხედვას სიყვარულის ღვთაებრიობის შესახებ და ამ გრძნობას ამჯერადაც „ციური ცვარით“ დანამულს წარმოგვიდგენს ისეთივე ენობრივი ფაქტურით, როგორითაც სხვა ლექსებია დაწერილი, ლირიკოსის მნიგნობრული ენით. ბარათაშვილის სტილში პოეტის მხოლოდ ზოგიერთი ლექსი არ „ჯდება“ (ერთ-ერთი მათგანია „მადლი შენსგამჩენს“), რასაც ფოლკლორის გავლენით ხსნიან. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ცხოვრებისეულ სიახლესაც, რაც გავლენას ახდენს ლექსის განწყობაზეც და საზომზეც; ხოლო, როცა სიახლე ქრება, პოეტიც თავისივე ჩვეულ სტილში ექცევა. ვგულისხმობთ მეორე ლექსს, „დამქროლა ქარმან სასტიკმან...“, რომელიც იმავე საზომითაა დაწერილი, რომლითაც „მადლი შენს გამჩენს“, მაგრამ პოეტის სხვა ლექსთა სტილისგან ვერაფრით განსხვავებ.

რა შეიძლება ვთქვათ გონჩა-ბეგუმსა და მის ლექსზე? ჩვენ არ ვიცით, მოასწრო თუ არა ბარათაშვილმა მაიკო ორბელიანისადმი დაპირებული ლექსის თარგმნა, იმდენად მოკლე დროში დატოვა ნახჭევანი. აქამდე არც ამ ქალის შესახებ ვიცოდით რაიმე, მაგრამ ნახჭევანში ჩასვლამ უფრო თვალსაჩინო გახადა ისტორია. ნახჭევანის სახანო 1828 წლის თურქმენ-ჩაის ზავის საფუძველზე გადავიდა რუსეთის მფლობელობაში. უკანასკნელ ხანს – ექსან ქენღერლუს – ნაიბის ტიტული მიენიჭა. რუსეთის მთავრობამ მას და მის მემკვიდრეებს უარი ათქმევინა ხანობაზე საკმაოდ დიდი თანხის საფასურად. კვლევები გვივენებს, რომ უკანასკნელ ხანს ქალიშვილი, სახელად გონჩა არ ჰყოლია. პოეტი ქალი შესაძლებელია მისი რომელიმე მემკვიდრის ან ახლო ნათესავის ქალიშვილი ყოფილიყო, არსებობს რამდენიმე ვერსია. გონჩა-ბეგუმის შესახებ დანამდვილებით ვიცით მხოლოდ ის, რომ იყო გათხოვილი, როგორც წარჩინებული წრის ადამიანი, იცოდა წერა-კითხვა, ჰქონდა პოეტური სული და შებოჭილი იყო ისლამის მკაცრი კანონებით, რომლებიც ქმართან განშორების უფლებას არ აძლევდა. გონჩა-ბეგუმი დადიოდა ხანის სასახლეში გამართულ „მეჯლისებზე“ (სალონებში) და გაბედულად აცნობდა შეკრებილ პოეტთა საზოგადოებას საკუთარ შემოქმედებას. ბარათაშვილის დაინტერესება მისი პოეზიით გონჩა-ბეგუმის ლექსების ჭეშმარიტ ღირებულებაზე მეტყველებს. ბარათაშვილმა საჭიროდ სცნო გადაენერა ნახჭევანელი ქალის ერთ-ერთი ლექსი, ეთარგმნა და თბილისში ახლობლებისთვის გაეგზავნა. ე.ი. მან

ამ ქალბატონში სილამაზესთან ერთად პოეტი დაინახა. ამ შორეული ამბიდან კი ჩვენამდე მხოლოდ ყვავილის „დანაჭუნობმა“ ფურცლებმა მოაღწია, რომლებმაც მაინც დაგვატკბო, რადგან ეს ყველაფერი ბარათაშვილის „მოძულეებულ“ სიცოცხლეს ეხება:

„ანცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჭუნობს,  
მოძულეებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკობს“.  
(ბარათაშვილი 1968: 135)

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში „შემთხვევით“ (თუ საგულდაგულოდ) გაჟღერებულმა რამდენიმე წინადადებამ და პოეტის ორმა უკანასკნელმა ლექსმა საშუალება მოგვცა გონჩა-ბეგუმზე, 18 წლის ნიჭიერ პოეტ ქალზე გვესაუბრა, ხანის „ლამაზ და მარილიან“ ასულზე; ბარათაშვილის წერილმა დააინტერესა აზერბაიჯანელი მკვლევარებიც. მათ იპოვეს რამდენიმე ლექსი გონჩა-ბეიმის სახელით დაწერილი, რომლებიც შეტანილია აზერბაიჯანელ ქალთა ანთოლოგიაში; მიაგნეს მოგვიანებით გადაღებულ ფოტოსაც, რომელიც დღეს ხანის მუზეუმს ამშვენებს წარწერით – ნახჭევანელი პოეტი ქალი გონჩა-ბეიმი. გონჩა-ბეგუმის პიროვნება და მისი პოეზიის ფრაგმენტები აზერბაიჯანელი ხალხისათვის სწორედ ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, წერილების მეშვეობით გახდა ცნობილი.

### **დამონეპანი:**

**ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებანი 150* (პ. ინგოროყვას რედაქციით). თბილისი: 1968.

**ინგოროყვა 1968:** ინგოროყვა პ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნარკვევი)“. კრ. *ნიკოლოზ ბარათაშვილი 150. თხზულებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**ლეონიძე 1945:** ლეონიძე გ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. *თხზულებანი*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1945.

**ჩხეტია 1945:** ჩხეტია შ. „ნ. ბარათაშვილი“. *მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ*. თბილისი: სსსრ შინსახკომის საარქივო სამართველოს გამომცემლობა, 1945.

**MAIA TSERTSVADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **Poetic Lexis of Private Letters by Nikoloz Baratashvili**

Literary heritage by Nikoloz Baratashvili have been studied from many points of view. While exploring his language, literary critics concentrate on the expressive means employed by the poet together with his versification techniques and a number of other issues.

The poetic language of Baratashvili's private letters also attracts the scholars' attention. With regards to the expressive language of the epistolary heritage by Nikoloz Baratashvili not much attention has been paid to it yet.

This paper will be dedicated to the study of the poetic lexis and its components of the epistolary heritage by Nikoloz Baratashvili.

**Key words:** Nikoloz Baratashvili; Private letters by Nikoloz Baratashvili; Poetic lexis; Poetic lexis of private letters by Nikoloz Baratashvili.

## **მაია ტერცვაძე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური ლექსიკა**

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისას ლიტერატურათმცოდნე ვერსიფიკაციულ ტექნიკასა და სხვა საკითხებთან ერთად იკვლევდნენ და იკვლევენ პოეტის მხატვრულ ენასაც. ამ მიმართულებით მისი შემოქმედების ადრეული კვლევებიდან გამორჩეულია ორი ფუნდამენტური ნაშრომი: ა. შანიძის „ბარათაშვილის ენა“, რომელიც უმთავრესად არქაიზაციის საკითხებს ეძღვნება და გრ. კიკნაძის „როგორ მუშაობდა ბარათაშვილი“. ბოლოდროინდელი კვლევებიდან უნდა აღინიშნოს თ. ლომიძის „ქართული რომანტიზმის პოეტიკა“. დასახელებულ ნაშრომებში ავტორები უმთავრეს ყურადღებას უთმობდნენ რომანტიკოსი პოეტის პოეტურ ნიმუშებს.

რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეული მცირე, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი ეპისტოლური მემკვიდრეობის – 18 პირადი

წერილის პოეტიკას, შეიძლება ითქვას, რომ ის თითქმის შეუსწავლელია. თუ არ ჩავთვლით პირადი წერილების სხვადასხვა გამოცემების ლექსიკონებს, სადაც განმარტებულია ცალკეული ლექსემები და ფრაზემები და ენობრივი თავისებურებებისადმი მიძღვნილ თანდართულ წერილებს, იგი საგანგებო და სიღრმისეული კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა.

ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების მხატვრული ენა ხშირად აღუნიშნავთ ლიტერატურათმცოდნეებს, მკვლევრებსა და მწერლებს. „იმისი ერთი წერილის ადგილი ბევრს ლექსსა სჯობს თავის სიმშვენიერითა და აზრთა სიღრმით“ – შენიშნავდა კიტა აბაშიძე (აბაშიძე 2007: 97); „ნიკო ბარათაშვილის კერძო წერილები ისე იკითხება, როგორც მერიმეს ნოველები: რამდენი გრძნობა, რამდენი სიღრმე, გონებაამხვილობა“ – წერდა იოსებ გრიშაშვილი პოეტისადმი მიძღვნილ წერილში (გრიშაშვილი 2012: 180). აღნიშნული „გონებაამხვილობა“ და „სიმშვენიერე“, ბუნებრივია, გულისხმობს და უკავშირდება ადრესანტის მდიდარ გამომსახველობით საშუალებებს.

ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში გვხვდება პოეტური ლექსიკის მრავალი კომპონენტი (არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ყარგონიზმები, სინონიმები, ანტონიმები, პარონიმები, ტავტოლოგია...). წარმოდგენილ ნაშრომი რომანტიკოსი პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის პოეტური ლექსიკისა და მისი კომპონენტების შესწავლის ცდაა.

ნ. ბარათაშვილის ზოგიერთი წერილი თუ მისი ფრაგმენტი დანერვილია რუსულ ენაზე. ისინი ისევე გამოირჩევიან პოეტური მეტყველების მახასიათებლებით, როგორც ქართულად შესრულებული წერილები, მაგრამ მათ აქ არ განვიხილავთ.

ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების ლექსიკის ამომწურავი შესწავლა (გამოყენებული ლექსიკური ერთეულების სრულად აღწუსება, მათი სახეობების დადგენისა და კლასიფიკაციის, გენეზისის, ეტიმოლოგიისა და სხვა სპეციალური საკითხების კვლევა) საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და წარმოდგენილი ნაშრომი მას ვერ დაიტევს. ჩვენ შევეცდებით ყურადღება დავუთმოთ უმთავრესად იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც განსაკუთრებულ მხატვრულობას ანიჭებს და ხვენს ადრესანტის სათქმელს – სძენს მას პოეტურობას, სიმძაფრეს, ექსპრესიასა და კოლორიტს.

ციტატების დამონშებისას ტექსტის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით ვისარგებლებთ ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული პირადი წერილების ტრადიციული ნუმერაციით. ქრონოლოგია შეესაბამება ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების უკანასკნელ გამო-

ცემაში დაზუსტებულ და მოყვანილ წერილთა დათარიღებას (ბარათაშვილი 2015). კვადრატული ფრჩხილებით აღნიშნულია წერილების სავარაუდო დათარიღება.

1. გრიგოლ ორბელიანისადმი (1831 წლის 3 სექტემბერი);
2. გრიგოლ ორბელიანისადმი 1837 წლის თებერვალი;
3. მიხეილ თუმანიშვილისადმი 1838 წლის 6 აგვისტო;
4. გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 28 მაისი;
5. გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 18 ოქტომბერი;
6. გრიგოლ ორბელიანისადმი 1842 წლის 2 მაისი;
7. მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერი;
8. გრიგოლ ორბელიანისადმი 1843 წლის 21 აგვისტო;
9. ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 15 აპრილი;
10. ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 10 მაისი;
11. გრიგოლ ორბელიანისადმი 1844 წლის 23 მაისი;
12. ზაქარია ორბელიანისადმი (1844 წლის 18-20 აგვისტო);
13. მაიკო ორბელიანისადმი 1845 წლის 9 თებერვალი;
14. მაიკო ორბელიანისადმი (1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე);
15. მაიკო ორბელიანისადმი 1845 წლის 10 აგვისტო;
16. ბარბარე საგინაშვილისადმი (1845) წლის 23 აგვისტო;
17. ალექსანდრე საგინაშვილისადმი (1845 წლის 23 აგვისტო);
18. გრიგოლ ორბელიანისადმი (1842 წლის 1-10 ივლისამდე). უკანასკნელი წერილი თავისი ფრაგმენტული ხასიათის გამო ტრადიციულად ბოლოს არის ხოლმე მოყვანილი.

**არქაიზმები.** ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში არქაიზმებისა და ისტორიზმების კვლევისას, ცხადია, პოეტის ენა უნდა შევისწავლოთ სინქრონიული თვალსაზრისით. ზოგიერთი ლექსემა, რომელიც დიაქრონიული ასპექტით განხილვისას, არქაიზმებსა და ისტორიზმებს განეკუთვნება, სინქრონიული ასპექტით კვლევისას შეიძლება არ ჩაითვალოს არქაიზმებად და ისტორიზმებად. შესაბამისად არქაიზმების კვლევა საგანგებო მიდგომას ითხოვს, რაც სცილდება ჩვენს ამჟამინდელ მიზანს და მას ცალკე ნაშრომს დაეუთმობთ.

**ნეოლოგიზმები** და მათგან დერივაციით მიღებული ლექსიკური ერთეულები. **გიმნაზია, ჩინი, ჰანციონი, ინვალიდი, უნივერსიტეტი, ექსპედიცია (2); ნოტები, ტრალედია (4); მილიცია, დიპლომატობა, ბაკენბარდი, ლიტერატურა (5); მინისტრი, აფიცერი (6); ჰარუჩიკობა, სტატისტიკა, ისტორია, ბატალიონი, (8); პოდპოლკოვნიკობა (9); ლენერალ-ადიუტანტობა (10); პოლკოვნიკობა, ლენერლობა (12); კარანტინი, ლაქი, მოდა (13); ფაბრიკა, მაღაზია, იმპერატორი (15, 16); ფრანტისა (16); მაიორობა, მაიორშობა (17)...**

ყურადღებას იქცევს კომპოზიტი **თავყანა** – „ძმარ თავყანა; ასე, ჩემო ბატონო!“ (3) (ბარათაშვილი 2015: 36). მკვლევართა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, „თავყანა“ მივიჩნიოთ „სათაყვანოს“ სინონიმად (ბარათაშვილი. 1996: 136). გვინდა გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი აღნიშნულ ლექსემასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ეპითეტ „თავყანას“ ნ. ბარათაშვილი „ჭკვიანის“, „გონებრივად მომნიჭებულის“ მნიშვნელობით ირონიულად უწოდებს მეგობარს, რომელმაც ვერ გაიგო მისი დაქარაგმებული ლექსის შინაარსი. შესაძლოა, მას შეხუმრებთ იყენებდეს ხატოვნად თავმსუბუქის, სულელის, ზერელე ადამიანის მნიშვნელობით (შდრ. იგივე მნიშვნელობის „თავფევილა“, „თავქარიანი“, „თავში ბზე უყრია“ (სახოკია 1979: 244-245)). წერილის ტექსტის სტილი გვაძლევს ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. შესაძლებელია აგრეთვე აღნიშნული კომპოზიტი მეგობრის გარეგნობის სახასიათო რაიმე ნიშანს აღნიშნავდეს (სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით წერილის ადრესატის, იმხანად ოცი წლის ჭაბუკის მიხედვით თუმანიშვილის გარეგნობის შესახებ), მაგალითად, გულისხმობდეს თმაშპირს, თავქოჩორას ან ირონიული მნიშვნელობით – თმაშეთხელებულს. არსებობს ზემოიმერული დიალექტური ერთეული „თავყანთა“, რომელიც განიმარტება, როგორც უკან გადახრილი, გადაწონილი (ლლონტი 1974: 240). ნ. ბარათაშვილის მეტყველება ამ დიალექტზე თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ სიტყვას იყენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც და ჩვენ ვერ მოვიძიეთ ამის შესახებ ცნობა. ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდის მიხედვით „თავყანა“ ბარათაშვილის საავტორო ნეოლოგიზმად შეიძლება ჩაითვალოს.

**ბარბარიზმები.** პოეტი თავის წერილებში უხვად იყენებს უცხოენოვან სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთა დიდი უმრავლესობა რუსიზმია: **ფორტა** (2, 11), **სუდაირასპრავა**, **კომანდა**, **შტატსკი**, **შკოლა** (2), **კამანდერი** (5, 8), **ოცენკა** (6), **ვეჩერი** (7), **პორუჩენიე**, **ბუმაჟნიკი** (8), **შამპანსკი** (10), **ობლასტი**, **ნაჩალნიკობა** (12)... რუსიზმების ასეთი სიჭარბე, ასევე შესამჩნევი პოეტის სხვა თანამედროვეთა (აღლ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი...) მხატვრულ თუ დოკუმენტურ ტექსტებში, ბუნებრივია, იმხანად საქართველოში დამყარებული რუსული მმართველობისა და რუსული ენის მძლავრი გავლენის შედეგია.

თვალშისაცემია და ამავე გავლენის შედეგია ანთროპონიმებისა და პატრონიმების ერთად, რუსული ფორმით გამოყენების შემთხვევებიც:

**ანნა ივანოვნა** (7), **ნინა ალექსანდროვნა** (11, 16), **ივან კარლიჩი** (12), **ნიკოლაი ალაპიჩი** (15).

სხვა ენის სიტყვების მიხედვით დერივაციით მიღებული ლექსემების ნიმუშებია: **ვტანცაობ** – „ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ



**ვტანცაობ“** (2) (ბარათაშვილი 2015: 15); **ვიფრანცუცოთ** – „ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ, რაც უნდა **ვიფრანცუცოთ**, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა ნახდეს, ახალთან კიდევ მოვა!“ (9) (ბარათაშვილი 2015: 148).

უნდა აღინიშნოს მხატვრული მიზანდასახულობით **ოსიზმის** გამოყენების მაგალითი. ესაა **ქიზგა** (11) – სახეცვლილი ჩიზგა (ოს. ყЫЗГ), გოგო, გოგონა, ქალიშვილი. „მე კი ეს ვიცი, რომ ე(რისთავი)ანთ რძალთან არა დაგვეკარგება რა: კარგს **ქიზგას** გვაჩუქებენ. მაინც საჭიროა, ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა“ (ბარათაშვილი 2015: 163). წერილის ადრესანტს მხედველობაში ჰყავს მოახლე გოგო. ამ ლექსემის გამოყენებით იგი მის ეთნიკურ კუთვნილებაზე, ოსობაზე მიაწინებებს ადრესატს – როგორც ცნობილია, პოეტის უფროსი და ეკატერინე (კატო) ბარათაშვილი გათხოვილი იყო რევაზ ქსნის ერისთავზე ახალგორში, სადაც თავადებს მოურავებად და მსახურებად ხშირად ჰყავდათ რეგიონში მჭიდროდ დასახლებული ოსი ეთნოსის წარმომადგენლები.

ბარბარიზმებს შორის უნდა გამოიყოს **ეგზოტიზმები** და მათგან დერივაციული სიტყვათწარმოებით მიღებული ლექსიკური ერთეულები: **შაჰი** – „გუშინ **შაჰის** ელჩი შემოვიდა“ (8) (ბარათაშვილი 2015: 116); **ემირი (ემირობა)** – „საყვარელო ძმაო, გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, **ემირ-ავარო** (8)“ (ბარათაშვილი 2015: 115), „**ემირობა** მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? (8)“ (ბარათაშვილი 2015: 116); „თუ **ემირს** ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დანერონ“ (8) (ბარათაშვილი 2015: 117); **სულთან** – „ეს წიგნები **სულთანს** გამოეგზავნა შენთან“ (11) (ბარათაშვილი 2015: 164); **ხანი (ხანობა, ხანურად)** – „დიდს ნათლობას აპირებს **ხანურად**, თუმცა **ხანებმა** ნათლობა არ იციან“ (5) (ბარათაშვილი 2015: 79); „სინაქსაროვი და ყაზიყუმისის **ხანი** დაჭერილები ყოფილან“; „ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ **ხანისგან** გამოტანებულები“; „შამილ ახმეტ **ხანზედ** ძალიან გაბრაზებული თურმეა“ (6) (ბარათაშვილი 2015: 79); „ამათ შენი **ხანობა** არად ეპიტნავებათ“ (11) (ბარათაშვილი 2015: 164); „**ხანის** ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია“ (13) (ბარათაშვილი 2015: 192); **ბეგუმი** – „ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტი წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-**ბეგუმ** ჰქვია“ (13) (ბარათაშვილი 2015: 192).

**ჟარგონიზმები.** ჟარგონიზმის გამოყენების ნიმუშად მივიჩნევთ სინტაგმას **ხახვების ფრანტები**: „ჩვენი ყმანვილები და **ხახვების ფრანტები** სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ“ (11) (ბარათაშვილი 2015: 163). იგი მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის – ქართველ არის-

ტოკრატთა სოციალური ჯგუფისათვის სახასიათო გამოთქმად გვესახება. „ხახვების ფრანტებში“ უნდა იგულისხმებოდნენ დახვეწილი ადამიანები, რუსი არისტოკრატები. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ ნ. ბარათაშვილის თხზულებების 1922 წლის გამოცემის (რედაქტორი ს. ფირცხალავა) ი. გრიშაშვილისეულ ეგზემპლარზე, რომელიც ყურადღებას იპყრობს მკვლევრის მინაწერებითა და მარგინალიებით, მონიშნულია წერილის შემოთმომყვანილი ტექსტი, ხოლო სქოლიოში მიწერილია: „ხახვებს ჩრდილოელებს ეძახოდნენ“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სინტაგმა ამჟამად გამქრალია, შესიტყვება „ხახვის ფრანტები“ ხანდახან მაინც გვხვდება ქართულ ავტორთა ორიგინალურ (გ. შატბერაშვილი) თუ ნათარგმნ ტექსტებში (ო. ჭელიძე).

მკვლევართა ნაწილის აზრით უარგონიზმად შეიძლება მივიჩნიოთ ლექსემა „**ჩაგისველოთ**“ (XIX-XX საუკუნეების... 2011: 362): „მჯერა სარდლობა არლუთისსკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი **ჩაგისველოთ**“ (5) (ბარათაშვილი 2015: 61). თ. სახოკიას განმარტებით **ჩახველება** არის „მსუბუქი დაცინვა, ნათქვამზე ეჭვის მიტანა. როცა ვინმე სიმართლეს მოკლებულს რასმე გვიამბობს და თანაც ცდილობს სიმართლედ გაასაღოს, ერთი სახე ჩვენი სკეპტიციზმისა, მის ნათქვამში ეჭვის შეტანისა ჩვენი მხრით არის – რისამე უთქმელად ჩახველება. ტყუილის მოამბეს ამით ვანიშნებთ: გვაპატიე, მაგრამ შენი ნათქვამი ძალზე მეეჭვებაო (სახოკია. 1979: 774).

**სინონიმები.** სტილური სინონიმების გამოყენების ნიმუშია **ლამაზი** და **მარილიანი** წინადადებაში: „ხანის ქალია, ძალიან **ლამაზი** და **მარილიანი**“ (13) (ბარათაშვილი 2015: 192). მოყვანილ მაგალითში **ლამაზი** სტილისტურად ნეიტრალური სიტყვაა, რომელიც უფრო ხშირად იხმარება, ხოლო მისი სინონიმი **მარილიანი** („მარილიანი – ეშხიანი, სანდომიანი, ლამაზი, მიმზიდველი“ (სახოკია 1979: 373)) მეტადაა დატვირთული სტილისტიკური თვალსაზრისით და მხატვრული ეფექტის მატარებელია.

**ანტონიმები.** ანტონიმის, როგორც დაპირისპირების სტილისტიკური ხერხის, გამოყენების მაგალითებიდან აღსანიშნავია: **მტერ-მოყვარე** – „მაგ ვაჯავრებულს გულზე, გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი **მტერ-მოყვარე** ქალებისაგან“ (6) (ბარათაშვილი 2015: 81); **ტყუილი** და **მართალი** – „აქ კი ბევრი ცრემლი, **ტყუილი** და **მართალი**, დაინთხა ამის წაკითხვაზე“ (6) (ბარათაშვილი 2015: 80).

**პარონომასია.** განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. ბარათაშვილის მიერ ერთ წინადადებაში **პარონიმების** განზრახ, მხატვრული მიზანდასახულებით გამოყენების შემთხვევა, რაც სტილისტურ ფიგურალობას იწვევს. ეს პარონიმებია: **ჭირიანობა-ჭორიანობა** და **ჭირი-ჭორი**. „თუ ქალაქის ამბავი გინდა, ჰსწორე გითხრა, ბევრი **ჭორიანობაა** და **ჭირიანობა**. ორივე ერთია, მაგრამ **ჭირი** ტყუილია ამ ხელად და

ჭორი კი – მართალი“ (4) (ბარათაშვილი 2015: 51).

**ტავტოლოგია.** ნ. ბარათაშვილი პირად წერილებში ხშირად მიმართავს ტავტოლოგიას, როგორც სტილისტიკურ ხერხს. ადრესანტი იმეორებს სიტყვებს და ფრაზებს, რითაც სათქმელის კიდევ ერთხელ გააზრებასა და ხელახალ გადახედვას იწვევს და რაც მუსიკალობასა და მხატვრულობას სძენს წერილების შესაბამის პასაჟებს. წერილებში ტავტოლოგიის მაგალითებია: „დიდი დაძვერებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანერთის ჯავრით“ (4) (ბარათაშვილი 2015: 51); „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის სანამლაგისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?“ (7) (ბარათაშვილი 2015: 104); „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაჰკარგო?“ (7) (ბარათაშვილი 2015: 104); „ხუმრობა და ხუმრობა“ (9); „სხვებრ ღმერთსა ვთხოვ შენს მარად და მარად მშვიდობას“ (10); „მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან“ (13) (ბარათაშვილი 2015: 192); „ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან!“ (13) (ბარათაშვილი 2015: 193)...

პასიური ლექსიკის ერთეულებიდან ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფიზმები. ჩონგური (4); ჭრაქი, ზურნა, მზითევი (12); კრიანოსანი (კრიალოსანი) (13,14); სანთური (18). დასახელებული ლექსემების ეთნოგრაფიზმებისადმი მიკუთვნებისას ვისარგებლეთ ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონით (ნადირაძე 2011). წერილებში გვხვდება აგრეთვე სულიერი კულტურის ამსახველი ლექსიკური ერთეულები: საქორწილო (11); დუშალიკი (10); სამაჭანკლო (9; 10).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის პოეტური ლექსიკის კომპონენტების კვლევა წარმოდგენილ ნაშრომში განხილული მაგალითების საფუძველზე ცხადყოფს, რომ პოეტის პირადი წერილების ენა გამორჩეულად მხატვრული და ხატოვანია. იგი იმსახურებს ყურადღებას და მისი შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რადგან ერთი მხრივ შეეხება გამოჩენილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის პროზაული ტექსტების – პირადი წერილების პოეტური სტილისტიკის საკითხებს, მეორე მხრივ კი – მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თბილისელი განათლებული ახალგაზრდა არისტოკრატის მემკვიდელების თავისებურებებს.

## **დამონეგანი:**

**აბაშიძე 2007:** კ. აბაშიძე, თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული მწერლობა“, ტ. 28, „ნაკადული“, თბილისი. 2007.

**ბარათაშვილი 2015:** ნ. ბარათაშვილი, პირადი წერილები, მოამზადა, შესავალი, კომენტარები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მ. ცერცვაძემ, „არტანუჯი“, თბილისი. 2015.

**ბარათაშვილი 1996:** თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ. შემდგენლები ა. არაბული, თ. გვანცელაძე, ა. ლომთაძე, თსუ გამომცემლობა. თბილისი. 1996.

**გამყრელიძე 2008:** თ. გამყრელიძე, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, მეორე გამოცემა, თსუ გამომცემლობა, თბილისი. 2008.

**გრიშაშვილი 1997:** ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა, „სამშობლო“, თბილისი. 1997.

**გრიშაშვილი 2012:** ი. გრიშაშვილი, „წერილები“, „პალიტრა L“, თბილისი. 2012.

**კიკნაძე 1957:** გრ. კიკნაძე. როგორ მუშაობდა ბარათაშვილი. წიგნში გრ. კიკნაძე. მეტყველების სტილის საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1957.

**კოტეტიშვილი 1959:** ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1959.

**ლომიძე 2014:** თ. ლომიძე, ქართული რომანტიზმის პოეტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.

**ნადირაძე 2011:** ე. ნადირაძე. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, „მერიდიანი“, თბილისი. 2011.

**პოპიაშვილი 2012:** ნ. პოპიაშვილი, პოეტური ლექსიკა, GCLAPress, თბილისი. 2012.

**სახოკია 1979:** თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, “მერანი”, თბილისი. 1979.

**ქეგლ 1990:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავა (მთ. რედ.), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი. 1990.

**ლლონტი 1974:** ალ. ლლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, ტ.1, „განათლება“, თბილისი. 1974.

**XIX-XX საუკუნეების... 2011:** XIX-XX საუკუნეების... ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. „უნივერსალი“, თბილისი. 2011.

**შანიძე 1939:** ა. შანიძე. ბარათაშვილის ენა. წიგნში ნ. ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები. „ფედარაცია“. თბილისი. 1939.

**ჭილაია 2003:** რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობა – ენციკლოპედიური ცნობარი, „თობალისი“. თბილისი. 2003.

# ქართული რომანტიზმი Georgian Romanticism

---

**LEVAN BEBURISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **Literary and Aesthetical Views of Grigol Orbeliani**

In the poetry, diaries and personal letters of Grigol Orbeliani we encounter significant opinions about the problems of literature and art. Grigol Orbeliani's views about the literary production of contemporary Georgian writers are noteworthy. Although Orbeliani participated in disputes with young generation, it did not prevent him from acknowledging the notable value of the creations of Ilia Chavchavadze, remarkable poetical talent of his fierce rival, Akaki Tsereteli. Orbeliani also highly appreciated prose by Aleksandre Kazbegi – “Georgian Homer”. To grasp Grigol Orbeliani's aesthetic views, it is inevitable to take into consideration his critical article “The Trip to Svaneti”, which represents a critical analysis of the novel “The Traveler's letters” by Giorgi Tsereteli. It is also very important Grigol Orbeliani's opinions about the specificity of theatrical art, the importance of theatre in the formation of ethical and aesthetical consciousness of the society.

*Key words: Grigol Orbeliani, Georgian Romanticism.*

## **ლევან ბებურიშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები**

ქართული რომანტიზმის თეორიულ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე საუბრისას აუცილებელია ისეთი თვალსაჩინო რომანტიკოსი მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გათვალისწინება, როგორც გრიგოლ ორბელიანია.

მართალია, გრიგოლ ორბელიანის კრიტიკული და თეორიული მემკვიდრეობა არ არის მაინცდამაინც დიდი მოცულობის, მაგრამ პოეტის დღიურების, ჩანაწერებისა თუ პირადი წერილების შესწავლის საფუძველზე თავისუფლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ესთეტიკურ მრწამსზე. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „გრიგოლ ორბელიანი კრიტიკული სტატიებით იშვიათად მონაწილეობდა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგრამ მის თითოეულ სიტყვას სწორედ რომ მაორგანიზებელი ფუნქცია ჰქონდა ამა თუ იმ მწერალსა თუ ლიტერატურულ ფაქტზე გარკვეული საზოგადოებრივი თვალსაზრისის თუ ლიტერატურული აზრის შესაქმნელად“ (ევგენიძე 1995:75-76).

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის გაცნობისას ცხადი ხდება, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში პოეტს არასოდეს უქრებოდა წყურვილი, აქტიურად მიედევნებინა თვალი თავისი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისათვის. სამსახურებრივი მოვალეობის გამო გრიგოლ ორბელიანს ხანგრძლივი დროით მოუხდა სამშობლოს გარეთ ყოფნა. მიუხედავად ამისა, ის ყველანაირად ცდილობდა, რომ მხედველობიდან არ გამოორჩენოდა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ლიტერატურულ-კულტურული ყოფისა. 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის დარბაზში დაიდგა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. პიესაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა გრიგოლ ორბელიანის ძმა, ილია. დაღესტანში მყოფი პოეტი დიდი აღტაცებით ეხმაურება ამ ფაქტს და სთხოვს ძმას, რომ აუცილებლად გაუგზავნოს გ. ერისთავის კომედია: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქართული კომედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო გთხოვ გამომიგზავნო ეგ კამედია, რომელიცა არ წამიკითხავს“ (ორბელიანი 1936: 202). გრ. ორბელიანი სისტემატურად ეცნობა ჟურნალ „ცისკარს“; მას ყურადღების მიღმა არ რჩება ჟურნალის 1857 წლის სექტემბერის ნომერში გამოქვეყნებული მარიამ ერისთავის ლექსები, რომელთაც მაღალ შეფასებას აძლევს: „აბა ახლა წაიკითხე უკანასკნელს „ცისკარში“ ლექსი კნეინა მარიამ ერისთავისა, ნახე, როგორ მოგეწონოს“ (ორბელიანი 1937:213), – სწერს იგი თავის მეგობარს. სხვა ბარათში გრიგოლ ორბელიანი საკუთარ აზრს გამოთქვამს სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ თარგმანზე. ერთი სიტყვით, პოეტის პირადი მიმონერისათვის თვალის ერთი გადავლევაც კი გვარწმუნებს, რომ ლიტერატურული ცხოვრება გრიგოლ ორბელიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა.

გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გასათვალისწინებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის დღიურებს. პოეტის პირად ჩანაწერებში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ავტორის მიერ კონკრეტული საკითხის ირგვლივ წამოწყებული მსჯელობა განზოგადებულ, თეორიულ ხასიათს იძენს. XIX საუკუნის 30-იან წლებში, მოსკოვსა და პეტერბურგში მოგზაურობის დროს, გრიგოლ ორბელიანს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა მოსკოვისა და პეტერბურგის ღირსშესანიშნაობებს. პოეტი ვერ ფარავს მოსკოვის დიდი თეატრისა და პეტერბურგის თეატრის ხილვით გამოწვეულ აღტაცებას, პირადი შთაბეჭდილების გადმოცემის შემდეგ კი მისი მსჯელობა უკვე ზოგად ჭრილში მიიმართება და პოეტი საუბარს იწყებს თეატრალური ხელოვნების მნიშვნელობაზე: „თეატრი... გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა. ყოველთა ბოროტთა საქმეთა, სარწმუნოებითა ჩვენითა შერაცხილთა ცოდვად, წარმოგვიდგენს თეატრი თვალწინ ყოველთა მათთა სიბილწეთა და არწმუნებს გრძნობათა მხილველთასა. წინააღმდეგ ამისა, საქმენი კეთილნი გვეჩვენებიან ესრეთ მშვენიერად, ესრეთ ტურფად, რომელ გული ჩენი აღივსების გამოუთქმელითა სიხარულითა... ესრეთ ძლიერ შეენევის თეატრი სარწმუნოებასა ჩვენსა. თეატრი რაოდენცა არს უკეთეს, ეგოდენ საზოგადოება არს განათლებული, ხოლო ქვეყანასა მას, სადაცა არა არს სრულიად თეატრი, მუნცა არ არს განათლება ერისა. – თეატრი არს პირველი განმწმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან, მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკლულოვანებათა“ (ორბელიანი 1959:257). გრ. ორბელიანის მსჯელობაში შესანიშნავად არის ნაჩვენები როგორც ესთეტიკური ფუნქცია თეატრისა, ასევე მისი ზნეობრივი და ეროვნული მნიშვნელობა. პოეტის შეხედულება თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებული მისიის შესახებ ტიპოლოგიური თვალსაზრისით ძალზე უახლოვდება რომანტიზმის თეორეტიკოსთა მოსაზრებებს აღნიშნული საკითხის თაობაზე. მაგ., ფრიდრიხ შილერი წერდა: „თეატრი სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან შედარებით ყველაზე მეტად წარმოადგენს პრაქტიკული ცხოვრების სკოლას, სამოქალაქო ცხოვრების მეგზურს, ადამიანის სულის იდუმალი კარის გასაღებს... დიდი და მრავალფეროვანია თეატრის დამსახურება საზოგადოების ზნეობრივი განათლების საქმეში... თეატრი არის ის არხი, რომლის მეშვეობითაც ხალხის საუკეთესო, მოაზროვნე ნაწილისაგან ნაკადად მოედინება ჭეშმარიტების ნათელი მთელს სახელმწიფოში, ჭეშმარიტი ღირებულებები, ზნეობრივი ქცევის ნორმები, წმინდა გრძნობები იღვრება ხალხის ძარღვებში; იფანტება

ბარბაროსობის წყვიადი, ცრუმორწმუნეობის სიბნელე და ღამე ადგილს უთმობს გამარჯვებულ სინათლეს“ (შილერი 1950:19,22).

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანს ასევე განზრახული ჰქონია თავისი შეხედულებები თეატრის შესახებ უფრო ვრცლად გადმოეცა, თუმცა ჩვენამდე თემის მხოლოდ სათაურმა მოაღწია: „Влияние театра на нравственность“ – „აღწერა თეატრისა, სადაც არ არის, მუნ არცა არს განათლება ხალხისა“. ამ საკითხის განვრცობა გრიგოლ ორბელიანს ვეღარ მოუხერხებია.

გრიგოლ ორბელიანი ხელოვნების ერთ-ერთი უმაღლეს სახედ მიიჩნევს მუსიკას, რომელსაც, პოეტის თქმით, ადამიანზე განუმეორებელი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა აქვს. მუსიკის ამ თვისებას გრ. ორბელიანი შთამბეჭდავად აღგვიწერს: „ვითარი ძლიერება აქვთ ჩვენთა გრძნობათა ზედა სიმღერასა და მუზიკას, სმენა მათი ზოგჯერ აღმავსებდა გამოუთქმელი სიხარულითა და საიდუმლოთა სურვილითა განაღვიძებდა გულსა ჩემსა ... ხოლო სმენა რომელთამე ხმათა იყო დამატყვევებელ... ვითარცა ჯადო... მაშინ ქვეყნიური აღარა მახსოვდა რა და აღარა ვგრძნობდი ჩემს თავსა“ (ორბელიანი 1959:257).

გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული შეხედულებების ნათელსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 1874 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ვრცელი კრიტიკული წერილი „მგზავრობა სვანეთისაკენ“ გ. ნ. – განხილვა“, რომელიც ეხება გიორგი წერეთლის მოთხრობას „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“.

წერილის შესავალში გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს, რომ იგი მიზნად ისახავს არა ნაწარმოების იდეურ ანალიზს, არამედ მისი ენობრივი ფორმის შეფასებას: „მე არ შევეხები ავტორის იდეასა, არცა მისსა მიმართუასა, მე ვეძიებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართული ენის სინმინდესა“ (ორბელიანი 1959:314). უნდა აღინიშნოს, რომ დასახულ ამოცანას კრიტიკოსი შესაშური თანმიმდევრულობითა და პროფესიონალიზმით ახორციელებს. გრიგოლ ორბელიანის ეს წერილი მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი საქრესტომათიო ნიმუშია.

თავის წერილში, პირველ ყოვლისა, გრიგოლ ორბელიანი ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობაზე საუბრობს. პოეტის თქმით, სწორედ პირუთენელი კრიტიკაა ლიტერატურული პროცესის და, საზოგადოდ, ყოველგვარი შემოქმედების მასტიმულირებელი ძალა: „რომელსამე ხელოვნებას, ანუ საქმეს, არ მიეცემა უკეთესობა, თუ კრიტიკა არ მიეშველება მას და ცხადად არ აჩვენებს ნაკლებევაებასა, ანუ ურიგობასა“ (ორბელიანი 1959:314-315), – წერს ორბელიანი.

გრიგოლ ორბელიანის მიერ გიორგი წერეთლის, როგორც ხელოვანის, მიმართ გამოთქმული შენიშვნების აბსოლუტური უმრავ-



ლესობა სამართლიანი და გასაზიარებელია. მართალია, წერილის შესავალში კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ არ აპირებს ნაწარმოების იდეურ განხილვას, მაგრამ თხზულების ენობრივ ნაკლოვანებაზე საუბრისას იგი არაერთ საყურადღებო შეხედულებას გამოთქვამს ტექსტის იდეურ მხარეზე, სამართლიანად მიუთითებს მწერლის მხატვრული აზროვნების შეზღუდულობაზე, მხატვრული ზომიერების გრძნობისა და შემოქმედებითი ტაქტის უქონლობაზე. ამჯერად ჩვენი მიზანია არა კრიტიკოსის მიერ აღნუსხული ნაკლოვანებების განხილვა, არამედ იმის ნათელყოფა, თუ როგორია თავად გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ენობრივი პოზიცია ამ კრიტიკული წერილის მიხედვით. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სალიტერატურო ენის საკითხში პოეტი მკვეთრად დაუპირისპირდა ახალ თაობას და „ენის პროგრესისა და სტილის მიმართ გრ. ორბელიანი კონსერვატორი დარჩა“ (განერელია 1965:101). რამდენად გამართლებულია ეს შეხედულება ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებით?

ორთოგრაფიული თვალსაზრისით გრიგოლ ორბელიანი მართლაც უპირატესობას ანიჭებს ძველ ფორმებს და მომხრეა ილიას მიერ ანბანიდან განდევნილი ასოების გამოყენებისა. მაგრამ ორთოგრაფია საკითხის მხოლოდ ერთი, არაარსებითი მხარეა. როდესაც საქმე ეხება ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხს, გრიგოლ ორბელიანი, ახალი თაობის მწერალთა მსგავსად, გულწრფელი მომხრეა სასუბრო მეტყველებისა და სალიტერატურო ენის დაახლოებისა.

გიორგი წერეთლის მოთხოვნაზე მსჯელობისას გრიგოლ ორბელიანს იმ მარტივი ქეშმარიტების მტკიცება უხდება, რომ მწერალს მოეთხოვება მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნა, ენის ბუნების შეგრძნობის უნარი. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში, ენის ლექსიკური ფონდი ახლდება და იცვლება, მაგრამ ენის ბუნება, მისი შინაგანი არსი უცვლელი რჩება. გრ. ორბელიანის თქმით, მწერალი უნდა სწვდეს სწორედ ამ სიღრმისეულ არსს მშობლიური ენისას: „ახალი სტილი ვერაოდეს შეჰსცვლის ენის ბუნებითსა თვისებასა. მართალია, დროთა განმავლობასში ზოგი-ერთი სიტყვა უვარგისობისა-გამო, ძველდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეცლოს ძირიანად შეცვლა მისი. შეისწავლეთ არა ბაზრის არეული ენა, არამედ მდიდარი, მშუენიერებით სავსე ქართული ენა, რომელსზედაც ლოცულობს და რომელსზედაც დაჰმღერის ქართველი კაცი“ (ორბელიანი 1959:323).

გრიგოლ ორბელიანი სრულად იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ მწერალი ხალხისათვის გასაგებ ენაზე უნდა წერდეს. მას უცნაურადაც

კი ეჩვენება ამის აუცილებლობის საგანგებო მტკიცება ახალი თაობის ავტორებისაგან. ოღონდაც სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების მოთხოვნამ, გრიგოლ ორბელიანის თქმით, არ უნდა მიგვიყვანოს ენის ვულგარიზებამდე. უთუოდ სადღეისოდაც სახელმძღვანელო მნიშვნელობისაა გრიგოლ ორბელიანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხალხური მეტყველება წარმოადგენს დაუმუშავებელ, ნედლ მასალას, რომელიც მწერლის ნიჭმა უნდა განწმინდოს, გარდაქმნას, აზიდოს თავის სიმაღლეზე და შემდეგ კვლავ ხალხს დაუბრუნოს გამოსაყენებლად: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვსწეროთ“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ, ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უვარგისისაგან არ გაჰსწმენდს, არ გაამშუენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოში; მერე იმ გალამაზებულსა ენასა გამშუენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა“ (ორბელიანი 1959:323).

გრიგოლ ორბელიანის ენობრივი პოზიციის ნათელსაყოფად საყურადღებოა აგრეთვე მისი ერთი პირადი წერილი, რომელშიც პოეტი თავის რძალს, ქეთევან ორბელიანს, საკუთარ მოსაზრებას უზიარებს სარდიონ ალექსი მესხიშვილის თარგმანის შესახებ: „სარდიონს უთხარით, რომ მაგისგან დანერილი ცისკარში დიდის სიამოვნებით წავიკითხე; მაგრამ მაიმუნის ხასიათის აღწერაში, რა საჭიროა სახარების სიტყვები „რამეთუ, უკეთუ, მიერთ“ და სხვანი მკუდარნი სიტყვები, რომელნიცა ჰსცხოვრობენ დაბადებაში და ძველს წიგნებში და ახლა აღარ ჰხმარობს ხალხი“ (ორბელიანი 1937:55). სრულიად ნათელია, რომ გრიგოლ ორბელიანის დასკვნით, ნაწარმოების ფორმა აუცილებლად უნდა შეესატყვისებოდეს მის შინაარსს. პოეტის წერილის ეს პასაჟიც ცხადად ავლენს იმ გარემოებას, რომ ენობრივი თვალსაზრისით გრიგოლ ორბელიანი სალიტერატურო ენის საკითხში არ დგას ზედმიწევნით არქაისტულ პოზიციაზე, როგორც ამას არაერთი ლიტერატურათმცოდნე ირწმუნება.

გიორგი წერეთლის თხზულებათა ენობრივი ნაკლოვანებანი ხელს არ უშლის გრიგოლ ორბელიანს, რომ აღიაროს ახალი თაობის მწერალთა დიდი დამსახურება მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის წინაშე: „ეხლანდელთა მწერალთა მიენერებათ მართლად დიდი ქება მისთვის, რომ ესრეთის მეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსახურებით შეუდგნენ იგინი გულმხურვალედ აღდგენასა ჩუენისა დავრდომილისა ენისა და არა არიან ეგენი ბრალეულ, თუ ზოგიერთის წერასში მოჰსჩანს მრავალი შეცთომილება“ (ორბელიანი 1959:314).

გრიგოლ ორბელიანს არაერთხელ გამოუხატავს დიდი პატივისცემა ახალი თაობის იდეური წინამძღოლის ილია ჭავჭავაძის მიმართ. ახალგაზრდებთან ლიტერატურულ პოლემიკას პოეტისათვის ხელი არ შეუშლია, რომ ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ილიასთან, აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართული ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული თეატრის, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. გასახსენებელია ისიც, რომ სწორედ გრიგოლ ორბელიანი დაეხმარა თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს, ხელისუფლების თვალში უთუოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე ახალგაზრდას, ჟურნალის გამოცემის ოფიციალური ნებართვის მიღებაში.

გრიგოლ ორბელიანის მხრიდან ილიას, როგორც ლიტერატურული ავტორიტეტისადმი, პატივისცემა კარგად ჩანს მისადმი 1879 წელს გაგზავნილი წერილიდან. მსცოვანი პოეტი ილიას დასაბეჭდად აწვდის ლექს „ფსალმუნს“ და სწერს: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ, დავბერდი და შევუდეგ სულისა გზასა, ვჰკითხულობ დავითნსა და აი რა დაედნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვთ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს უღმობელს კრიტიკოსს კნე. ოლღასა: თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ისე რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენელად“ (ქართველი...1980:109).

საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ გიორგი წერეთლის გაკრიტიკებისას გრიგოლ ორბელიანი ახალი თაობის ავტორებს სანიმუშოდ სწორედ ილია ჭავჭავაძის ქართულს უსახავს. „რისგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია“ და „კაცია ადამიანი“ რამდენჯერმე წავიკითხე დიდის სიამოვნებით, კიკოლიკის მგზავრობა მეჩვენა ესრეთ საზიზღრად? მაშ, ამათ შორის, მართლად, რომელი არის ქართული?“ (ორბელიანი 1959:330). გრიგოლ ორბელიანის მიერ ამ სიტყვების განცხადება იმ დროს, როდესაც სულ ორიოდე წლის ჩავლილია მისი უმკაცრესი პოლემიკა ილია ჭავჭავაძესთან (ილიას „გამოცანები და კიდევ გამოცანები“, გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“, ილიას „პასუხის პასუხი“) თვალსაჩინოდ მიუთითებს პოეტის დიდბუნებოვნებასა და მიუკერძოებლობაზე.

ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის, გრიგოლ ორბელიანი დიდად აფასებდა თავისი დაუნდობელი მონინააღმდეგის, აკაკი წერეთლის პოეტურ ტალანტსაც. როგორც გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფი იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „აკაკის ლექსს ისე არ წაიკითხავდა პოეტი, რომ ქვეშ არ მოეწერა: „ბარაქალა აკაკიავ!“.. შენ მაინც გაამშვენიერე ეს ჩვენი ენა აკაკიავ“ და სხვ.“ (მეუნარგია 2010: 270).

ცნობილია გრიგოლ ორბელიანის მიერ ალექსანდრე ყაზბეგის შეფასებაც: „შაბაშ, ქართველთ ომროს არს!“ მხცოვან პოეტს ახალგაზრდა მწერლის შემოქმედება თავისი ეპიკურობითა და შინაგანი დრამატიზმით სწორედ ჰომეროსის თხზულებებს აგონებს.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას გრიგოლ ორბელიანის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის შეფასებაზე. ამჯერად ჩვენი მიზანი არაა ბიძა-დისწულის პიროვნული ურთიერთობის პერიპეტიათა განხილვა, რამდენადაც ეს საკითხი საფუძვლიანადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. პოეტების მიმონერის გაცნობისას აშკარა ხდება, რომ ბარათაშვილისათვის გრიგოლ ორბელიანი გარკვეულწილად ლიტერატურულ ავტორიტეტს წარმოადგენდა, რამდენადაც სწორედ მას უგზავნდა უპირველეს ყოვლისა შესაფასებლად თავის ნაწარმოებებს.

მართალია, გრიგოლ ორბელიანს ნერილობითად აზრი არ გამოუთქვამს საკუთარი დისწულის შემოქმედებაზე, მაგრამ მოგონებების მიხედვით ირკვევა, რომ იგი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდა ბარათაშვილის, როგორც ხელოვანის მიმართ. ზ. ჭიჭინაძე იგონებს, თუ რა განუცხადებია გრ. ორბელიანს, როდესაც საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს მისი სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს გამართვა განუზრახავს: „როცა მას 50 წლის მწერლობის სახსოვრად დღესასწაულის გამართვას სთხოვდნენ, მაშინ ორბელიანმა უარი სტკიცა და სთქვა: რას გაუგიჟებინ ესენიო. რის იუბილეი, რის დღესასწაული... თუ მაინცა და მაინც არ იშლიან და აკერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილიო“ (მთანმინდელი 1886:64).

გრიგოლ ორბელიანის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსენება რუსთველისა და გურამიშვილის სახელების გვერდით, შესანიშნავად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ შეფასებას აძლევდა პოეტი გენიალური დისწულის შემოქმედებას.

#### **დამონებიანი:**

**განერელია 1965:** განერელია ა., *რჩეული ნაწერები*, ტ. II, თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965.

**ევგენიძე 1995:** ევგენიძე ი., *გრიგოლ ორბელიანი*, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 1995.

**მეუნარგია 2010:** მეუნარგია ი., *თხზულებანი*, ტ. I, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2010.

**მთანმინდელი 1886:** მთანმინდელი ზ., *ბესიკი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე და თ. გრიგოლ ორბელიანი*, თბილისი, 1886.

**ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ., *ნერილები*, ტ. I, თბილისი, სახელმწიფო

გამომცემლობა, 1936.

**ორბელიანი 1937:** ორბელიანი გრ., *წერილები*, ტ. II, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937.

**ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ., *თხზულებათა სრული კრებული*, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, 1959.

**ქართველი... 1980:** *ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ*, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1980.

**შილერი 1950:** Шиллер Ф., *Собрание сочинении в восьми томах*, т.VI, Москва-Ленинград, 1950.

## KONSTANTINE BREGADZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Romantic Lyric by Nikoloz Baratashvili as a Unified Poetical Text**

The belief that the georgian romantic Poetry by Nikoloz Baratashvili (1817-1845) is spontaneously created (by the inspiration of a Muse, etc.) and the verses are mechanically arranged without any special concept can be regarded wrong, as the poetry is based on a fully understandable viewpoint and a united structural concept, due to which it establishes as a unified poetical text where each verse can be regarded as a “chapter”. Like the structure of the musical symphony the whole poetry by Batarashvili is created on a counterpoint principle creating a plot structure uniting the different verses and incorporating them in one whole text, namely in Baratashvili’s verses the opposites are always apparent, the increasing and decreasing perspectives and discourses – the tragic melancholy and the Dionysian transcendentalism, the feeling of vanity and deep philosophical belief.

**Key words:** *Nikoloz Baratashvili, Georgian Romanticism, Romantic Poetry*

## კონსტანტინე ბრაზაძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკა, როგორც ერთიანი ტექსტი

#### შესავალი

პრინციპულად მიმაჩნია, რომ ბარათაშვილის პოეზია სახელდახელო ვითარებაში შექმნილი („მუზის“ სტიქიური მოვლინება და მისთ.) და ერთმანეთისგან კონცეპტუალურად იზოლირებული ლექსების მექანიკური თავმოყრა კი არ არის, არამედ ეს არის ერთიანი იდეური და სტრუქტურული კონცეფციის საფუძველზე განყოფილი პოეზია, რომელიც ამ კონცეპტუალური და სტრუქტურული მთლიანობის გამო საბოლოო ჯამში ფუძნდება, როგორც ერთიანი პოეტური ტექსტი, რომლის ფარგლებშიც თითოეული ლექსი ამ ერთიანი პოეტური ტექსტის ერთ-ერთ „თავად“ გვევლინება. რა გვადლევს ამის თქმის საფუძველს?

1. ერთიანი მუსიკალური სიმფონიის სტრუქტურის მსგავსად ბარათაშვილის ლექსები კონტრაპუნქტის პრინციპით ლაგდება და მთლიანდება ერთიან ტექსტად: კერძოდ, ამ კონტრაპუნქტული პრინციპით ბარათაშვილის ლექსებში ერთმანეთს მუდამ ენაცვლება ორი ფუნდამენტური ურთიერთსაპირისპირო დისკურსი, კერძოდ, *მელანქოლიური* და *აღყვანებითი*: მაგ., ერთი მხრივ, “ხმა იდუმალი”, “სულო ბოროტო”, “სული ობოლი”, “ფიქრნი მტკვრის პირას”, “ჩონგურს”, “ვპოვე ტაძარი” და სხვ., მეორე მხრივ, “შემოლამება მთანმიდაზედ”, “ღამე ყაბახზედ”, “ჩჩვილი”, “ჩემი ლოცვა”, “აღმოსხდა მნათი აღმოსავალს” და ა. შ. ბარათაშვილის პოეზიაში ეს დისკურსები ერთმანეთს მუდმივად ენაცვლება და ამ მონაცვლეობის პროცესში თითოეული მათგანი უფრო და უფრო ღრმავდება, მძაფრდება და ბოლოს ერთიანდება და კულმინირდება ერთ გადამწყვეტ ლექსში, “მერანში”, რომელიც ბარათაშვილის პოეზიის, როგორც ერთიანი ტექსტის, ბოლო კულმინაციური “თავია”, სადაც მთელი ლირიკული ტექსტის მანძილზე, ასევე კონტრაპუნქტის პრინციპით, ერთმანეთს ენაცვლება აღმავალი და დაღმავალი დისკურსები – ტრაგიკული მელანქოლია და ტრანსცენდირებადი დიონისურობა (ლექსის სტრუქტურის კონტრაპუნქტულობას ჯერ კიდევ ფილოსოფოსმა მოსე გოგიბერიძემ მიაქცია ყურადღება წერილში “ნიკოლოზ ბარათაშვილის *მერანის* ესთეტიკურ-ენტიფიკატორული ანალიზი” – გოგიბერიძე 1978: 237-268.)

2. ბარათაშვილის ლირიკაში იკვეთება თავისებური საპროგრამო, მანიფესტური ტიპის ლექსები, უფრო ზუსტად, ლექსები, რომლებიც აშკარად შეიცავენ საპროგრამო თუ მანიფესტურ დისკურსებს. ჩემი აზრით, ეს ლექსებია “ნაპოლეონ” და “ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის”. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ლექსები უკვე თავისთავად მიუთითებენ, ერთი მხრივ, ავტორის პოეზიის კონცეპტუალურ არსზე და, მეორე მხრივ, მათში გაცხადებულია, რომ ამ „პროგრამულობისა“ და „მანიფესტურობის“ გამო ავტორის თითოეული ლირიკული ნიმუში ერთიანდება ერთი კონცეპტუალური ჩანაფიქრის გარშემო და მთელი ლირიკა უკვე ფუნქციონირებს ერთიან ტექსტად. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პროგრამატულად განპირობებული ბარათაშვილის სხვა ლირიკული ნიმუშები, რომლებიც ერთიან ტექსტუალურ ქსოვილს ქმნიან, უკვე არიან ამ ერთიანი ტექსტის სიუჟეტური განვითარების შემადგენელი ნაწილები, ერთიანი ლირიკული ტექსტის სტრუქტურული ნაწილები, ანუ ამ ტექსტის ცალკეული “თავები” (აღნიშნული “საპროგრამო” და “მანიფესტური” ლექსების ანალიზი იხ. ქვემოთ, თავი 1.).

3. ბარათაშვილის ლექსებს კონცეპტუალურად და მსოფლმხედველობრივად ამთლიანებს და ერთიან ტექსტად აყალიბებს ლექსებში მუდმივად ფიგურირებული ერთი და იგივე ლირიკული გმირი, რომელიც ლექსებში მუდმივად წარმოაჩენს საკუთარ მარად ერთსა და იმავე წინააღმდეგობრივ მსოფლმხედველობრივ, ეთიკურ და ესთეტიკურ პოზიციას. ამასთან, ლირიკული გმირის უკიდურესი ემოციონალური განწყობილებანიც მუდამ ერთი და იგივეა: ერთი მხრივ, არის მისი მძაფრი ტრაგიკული მელანქოლიური განწყობა, მეორე მხრივ, ალტყინებული ტრანსცენდირებადი (“აღყვანებითი”) განწყობილებანი.

4. ბარათაშვილის ლექსებში მუდმივად გვხვდება ერთი და იგივე კონცეპტუალური ლექსიკური ერთეულები, თავისებური ბარათაშვილისეული პოეტური “ტერმინოლოგია”: “ღამე”, “მწუხრი”, “მთვარე”, “იდუმლობა”, “საიდუმლობა”, “შემოღამება”, “ფიქრ(ნ)ი”, “ცნობანი”, “ვცნა”, “სევდა”, “სევდიანი”, “გული”, “გულისთქმა”, “სწრაფვა”, “ტრფობა”, “ტრფიალი”, “გრძნობა(ნი)”, “ხვედრი”, “ბედი”, “ცვარ(ნ)ი”, “მნათი”, “ცა”, “ციაგი”, “ციური”, “ცისიერი” და სხვ. ეს კი განპირობებულია ერთიანი პოეტიკური, ესთეტიკური, სახისმეტყველებითი და მსოფლმხედველობრივი კონცეფციით. ამ ნიუანსზე მართებულად მიუთითა რ. სირაძემ წერილში “ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი”: “ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილი ადრე გამოვლინდა (16 წლისამ დაწერა „შემოღამება“). იგი ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისი პოეტური სამყარო სრულიად დასრულებული ჩანს. ეტყობა, ადრედაწვე აღებჭჭდა მის სულს მისთვის უარსებითესი კითხვები, რო-

მლებიც შემდეგ სხვადასხვა დროს პოეზიებიდან პოეტურ გამოხატულებას. ამიტომაც მეორდება მის ლექსებსა და წერილებში არა მხოლოდ სახეები, არამედ ესთეტიკური იდეებიცა და პრინციპებიც, რითაც ისახება გარკვეული, მდგრადი სააზროვნო სფერო” (სირაძე 1987: 207).

## 1. ბარათაშვილის “საპროგრამო”-“მანიფესტური” ლექსები “ნაპოლეონ” და “ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის”

მართალია ქართულ რომანტიზმში, იმავე გერმანული რომანტიზმისაგან განსხვავებით, სპეციალურად ჩამოყალიბებული საპროგრამო თეორიული ნაშრომები (შდრ. ნოვალისის, ვ. ჰ. ვაკენროდერის ან ფრ. შლეგელის შესაბამისი თეორიული თხზულებანი, მაგ.: შლეგელის “ათენეუმის ფრაგმენტები” (1798), ვაკენროდერის “ხელოვნების მოყვარული ბერის აღსარებანი” (1796), ნოვალისის “ყვავილთა მტვერი” (1798) და მისივე “ზოგადი ჩანაწერები” (1799)) ან სპეციალურად შედგენილი საპროგრამო ლირიკული ტექსტები მოცემული არ არის, მაგრამ ბარათაშვილის ლექსებში “ნაპოლეონ” და “ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის” მაინც იკვეთება პროგრამატული თუ მანიფესტური დისკურსი.\*

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თუნდაც შემდეგი სტრიქონები ლექსიდან “ნაპოლეონ”:

„ახლა კი კმარა“, თქვა მან გულში, „სურვა აღმიხდა:  
სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,  
შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად  
და დაუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად“.

.....  
ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!  
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:  
დამქრალი ცეცხლი და ზღვის ლელვა წარმოგვიდგინებს  
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!  
("ნაპოლეონ") (ბარათაშვილი 1945: 16)

\* შდრ., თუნდაც ნოვალისის შემდეგი ცნობილი საპროგრამო ლექსი “**Wenn nicht mehr Zahlen und Figuren**”: „ოდეს ციფრებით და ფიგურებით // ვერ შეიცნობა ღვთის ქმნილებანი, // თუ როგორ მღერენ, ამბორს უყოფენ, // რა ველარ მისწვდნენ ღრმადგანსწავლულნი, // ოდეს სამყარო თავისუფალი // საკუთარ სულში ისევე ვლინდეს, // ოდეს შუქ-ჩრდილი განმეორებით // მოიპოვებენ ღვთაებრივ სხივებს; // ოდეს შევიცნობთ ზღაპრ-ლექსებში // ამა სამყაროს ჭეშმარიტ ამბებს, // მაშინ გაიფენს იღუმალ სიტყვა // ქაოსით მოცულ ველურ არსებებს“ (თარგმანი გერმანულიდან ჩემია – კ. ბ.).



ამ შემთხვევაში ნაპოლეონ გვევლინება თავად ბარათაშვილის პოეტურ ნიღბად და იგი (ავტორი) ხან თვითრეფერენციით (I გრამატიკული პირი), ხანაც მესამე გრამატიკული პირით ნაპოლეონის ნიღბმორგებულ გადმოსცემს და გვიცხადებს საკუთარ პოეტურ მრწამსსა და საკუთარი პოეზიის არსს. ე. წ. ნიღბების ესთეტიკა კი, ზოგადად, რომანტიზმის მახასიათებელი ტოპოსია, რომლის ფარგლებშიც პერსონაჟი თავს აიგივებს ხოლმე რომელიმე სასურველ სრულყოფილ, აბსოლუტურ სუბიექტურობასთან და ამ იდენტიფიკაციაში გაიგივების ობიექტის მისიასაც ითავსებს და ირგებს: მაგ., ნოვალისის ლირიკული გმირი “ლამის ჰიმნებიდან”, სადაც ლირიკული “მე”, როგორც *პოეტი/მგოსანი (“Sänger”)*, თავს ქრისტესთან აიგივებს და ახალ მოდერნულ დროში, როგორც ახალი “ქრისტე”, საკუთარ თავს აკისრებს კაცობრიობის ხსნის მისიას, რასაც საკუთარივე რომანტიკული პოეზიით ახორციელებს (ნოვალისი 2007: 34-41).

ბარათაშვილი კი თავის თვითიდენტიფიკაციაში ნარმოგვიდგება ქართული პოეზიის ახალ იმპერატორად, ქართული ენის ახალ დამაურვებლად, რომელიც ესთეტიკურ გადატრიალებას ახორციელებს ქართულ პოეზიაში, რისი მეტაფორაც თავად *ნაპოლეონია*. ამასთან, ლექსში ხაზი ესმება სუბიექტურობის ისეთ ტიპს, რომელიც თავის ამქვენიურ ბედს/ხვედრს იურვებს და დრო-სივრცეზე მაღლა დგება (“ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი”), რაც ნიშნავს იმას, რომ ნაპოლეონთან თვითგაიგივებული ბარათაშვილი საკუთარ თავს და საკუთარ პოეზიას გაიაზრებს აბსოლუტური “მე”-ს რეალიზების შესაძლებლობად.

მეორე “საპროგრამო” ლექსის შემდეგი სტრიქონები კი უნდა გავიგოთ როგორც საკუთარ ღმერთთანნიღნაყარ პოეზიაზე მინიშნება, რომელთან ზიარებაც მოკვდავთ, ან “მომძეთ”, როგორც თანამოაზრეთ, ანიჭებს დაბალი ყოფიერებიდან მაღალ ყოფიერებაში ამაღლების შესაძლებლობას:

“მოვედით სევდით მაშვრალნო გასვათ სასმელი ღმერთასი  
და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, ჭირი ათასი”.  
(„ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის...“; ბარათაშვილი 1945: 49)

აქ მნიშვნელოვანი და საყურადღებო კონცეპტია “სევდით მაშვრალნო”: *სევდა, მელანქოლია*, ეს სწორედ რომანტიკოსი ლირიკული გმირის, შესაბამისად, რომანტიკული მსოფლმხედველობის ინდივიდის ძირეული სულიერი მდგომარეობაა, რომელიც გამოწვეულია ე. წ. ტრაგიკული ცნობიერებით, როდესაც რომანტიკოს ლირიკულ “მე”-ში იჭრება დუალისტური მსოფლგანცდა, რაც გულისხმობს გრძნობად და

ზეგრძნობად სამყაროთა, ანუ მდაბალ და მაღალ ყოფიერებათა შორის იმთავითვე არსებულ დაუძლეველ წინააღმდეგობის ტრაგიკულ და მოუცილებელ განცდას.

მაგრამ ეს განცდა ნეიტრალდება სწორედ რომანტიკული პოეზიის ტრანსცენდირებადი პოეტური მეტყველების წყალობით, რომელიც მოქმედებს როგორც დიონისური ბანგი (“სასმელი ღმერთასი”), და რომლის წყალობითაც შესაძლებელია ღვთაებრივი ყოვლადობის საკუთარ სულში დამკვიდრება, თუ დაკარგული პარადიზულობის საკუთარ ეგზისტენციაში დაბრუნება.

ამ მიანიშნებათა და ქვეტექსტთა გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნულ ლექსში ბარათაშვილი გამოკვეთს, ერთი მხრივ, სწორედ საკუთარი პოეზიის ტრანსცენდირებად და დიონისურ თავისებურებებს, მეორე მხრივ, მიანიშნებს, რომ სწორედ ამ ტიპის (ტრანსცენდირებად და არსით დიონისურ) პოეზიას შეუძლია აზიაროს ადამიანი მაღალ ყოფიერებას და ასე იხსნას იგი წარმავალი და ამაო ეგზისტენციისაგან, აზიაროს იგი უკვდავ, მარადიულ, ღვთაებრივ მშვენიერებას. ყველაფერთან ერთად კი ბარათაშვილი იქვე მიანიშნებს ასეთი ტიპის პოეზიის რეცეფციის აუცილებლობაზეც – ლირიკული გმირის მკითხველისადმი მოწოდება “მოვედით”, სწორედ ასე უნდა გავიგოთ: “მოვედით” – ეს არის პოეტური კოდი, რომლითაც ბარათაშვილი, როგორც პოეტი-მოძღვარი, თავის თანამოაზრე მკითხველთა ვინრო წრეს (“მომმე(ებ)ს”), ან, ზოგადად, რეციპიენტთა ფართო წრეს მიანიშნებით ინვეეს ახალ პოეტურ “საიდუმლო სერობაზე”.

## **2. ბარათაშვილის რომანტიკული “ტერმინოლოგია”**

ბარათაშვილის პოეტური “ტერმინოლოგია” “ღამე”, “მწუხრი”, “მთვარე”, “იდუმლობა”, “საიდუმლობა”, “შემოღამება”, “ფიქრ(ნი)”, “ცნობანი”, “ვცნა”, “სევდა”, “სევდიანი”, “გული”, “გულისთქმა”, “სწრაფვა”, “ტრფობა”, “ტრფიალი”, “გრძნობა(ნი)”, “ხვედრი”, “ბედი”, “ცვარ(ნი)”, “მნათი”, “ცა”, “ციაგი”, “ციური”, “ცისიერი” და სხვ. სრულად გამოხატავს და აღნიშნავს ზოგადრომანტიკული მსოფლმხედველობისა და რომანტიზმისათვის დამახასიათებელ მისტიკურ-ესთეტიკურ შეგრძნებებს, ასევე – იმ ონტოლოგიურ და ეგზისტენციალურ პარადიგმას, სადაც მოცემულია სამყაროს გრძნობად და ზეგრძნობად, მაღალ და მდაბალ ყოფიერებად დაყოფა და „გარომანტიულების“ (ნოვალისი) პრინციპით მათი შენივთება. შესაბამისად, ეს „ტერმინოლოგია“ ზედმინვენით ზუსტად ასახავს ამ ონტოლოგიურ მონაცემებში ლირიკული გმირის მუდმივ მსოფლმხედველობრივ, ეგზისტენციალურ „რყევასა“

და „გახლართულობას“, რაც შემდგომ აყალიბებს მის ანტინომიურ სულიერ წყობას.

მსოფლმხედველობრივი და ეგზისტენციალური „რყევით“ განპირობებული ეს ანტინომიური სულიერი წყობა სქემატურად ასე შეგვიღია გამოვხატოთ:

### **ბარათაშვილის (რომანტიზმის) ლირიკული გმირი**

მელანქოლია/სევდა ↔ ლხენა/სიხარული

სასონარკვეთა ↔ აღტყინება

(ფილოსოფიური) სკეპსისი ↔ (ფილოსოფიური) რწმენა

სიმშაგე ↔ სიმშვიდე

მაგრამ ეს თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი მსოფლმხედველობრივი თუ სულიერი განწყობანი რომანტიკოსი ლირიკული გმირის არსებაში ერთმანეთს განაპირობებენ, ერთმანეთს განსაზღვრავენ, ერთმანეთს აძლიერებენ, რაც, საბოლოო ჯამში, აფართოებს, აღრმავებს და აძლიერებს შემეცნების ობიექტის გონისმიერი შეცნობისა და სპირიტუალური შეგრძნების ინტენსივობას და ხელს უწყობს შემეცნებისა და ტრანსცენდირების ობიექტისადმი ლირიკული გმირის აღმავალ სვლას: კერძოდ, დაპირისპირებულ პოლუსთა თანაარსებობა აუცილებელი წინაპირობაა შემეცნებისა და სწრაფვის ობიექტის სრულყოფილი, აბსოლუტური შეცნობისათვის, რადგან უკიდურეს პოლუსთა რადიკალური ურთიერთმონაცვლეობისას მუდმივად იხსნება შესამეცნებელი ობიექტის ახალი, მანამაღე დაფარული ნახნაგი.

გარდა ამისა, ამ “ტერმინოლოგიით” მუდმივად ფიქსირებულია თავად რომანტიკოსი ლირიკული გმირის სპეციფიკური ქცევის წესი, რაც უკავშირდება მის რეფლექსიურ, ჭვრეტით, სულიერი მედიტაციის მდგომარეობაში ყოფნას. ამასთან, ეს “ტერმინოლოგია” გამოხატავს რომანტიკოსი ლირიკული “მე”-ს ფუნდამენტურ ქცევის წესსაც: ღვთაებრივი ტრანსცენდენტურობისაკენ მუდმივ სწრაფვას (**Sehnsucht**) და აღწერს მის ტრანსცენდირებად, გადამლახველ ქმედებას.

ბარათაშვილის ლირიკაში მუდმივად მოცემული ეს კონცეპტუალურად მარკირებული მუდამ ერთი და იგივე ლექსკური ერთეულები ასევე ასახავენ *სამყაროს ვარომანტიულების* (ნოვალისი) პროცესს, ანუ მდაბალი და მაღალი ყოფიერების ურთიერთშენივების, ურთიერთთანაზიარობის, ურთიერთგანსაზღვრის პროცესს, რასაც მისი ლირიკული “მე” მუდმივად ახორციელებს საკუთარი შემეცნებითი და ესთე-

ტიკური ნებელობის, ძალმოსილებისა (**Willkür**) (ფრ. შლეგელი) და წარმოსახვის ძალის (**Einbildungskraft**) (ფიხტი, ნოვალისი, ფრ. შლეგელი) საფუძველზე. ამასთან, ამ “ტერმინოლოგიის” ფუნქციაა არა მხოლოდ ასახოს, არამედ ტექსტში კიდევ უფრო გაამძაფროს “სამყაროს გარომანტიულების” პროცესი.

### 3. “მერანი”, როგორც ერთიანი პოეტური ტექსტის უკანასკნელი “თავი”

“მერანში”, გარდა იმისა, რომ იმავე კონტრაპუნქტულობის პრინციპით ერთმანეთს უპირისპირდება და კიდევ უფრო კულმინირებული და რადიკალიზებულია ლირიკული გმირის ორი ურთიერთსაპირისპირო ფუნდამენტური სულიერი მდგომარეობა, ერთი მხრივ, სასონარკვეთილების ტრაგიკული განცდა და, მეორე მხრივ, ლხენითაღვსილი დიონისური გზნება,\* აქ გადამწყვეტია თავად *სანრაფვის* (**Sehnsucht**), როგორც რომანტიკოსი პერსონაჟის უმთავრესი ქცევის წესის, კულმინირება, რაც შემდგომ საფუძველს უდებს ღვთაებრივ უსასრულობაში (**das Unendliche**) ღვთაებრივი ნეტარების პერსპექტივას. ეს აღყვანებითი ეგზისტენციალური მდგომარეობა ბართაშვილთან აღნიშნულია “ხსნის” პოეტური კონცეპტით.

ბართაშვილთან *ხსნა* (“დახსნა”) კონცეპტუალურად და მსოფლმხედველობრივად რუსთველურ „დამხსნას“ უკავშირდება, რაც სულის მატერიალურ განზომილებებსა („გუამსა“) და ემპირიულ სტიქიებზე მიბმულობისაგან გათავისუფლებას გულისხმობს – „დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მინასა, ჰაერთა თანა ძრომასა“. ბართაშვილთან პრინციპულად სწორედ *ხსნის* ეს კონცეფციაა განვითარებული, რისი სიმბოლოც *მერანია*, ხოლო თავად ლექსში ლირიკული გმირის სწორედ „დახსნის“ გაუნელებელი სწრაფვაა გაცხადებული – „გარდამატარე ბედის სამზღვარი“, ანუ აქ ცხადდება წარმავალი და ამაო ყოფ(ნ)ის, “დაზაინ“-ისეულ შემთხვევითობაში მოხვედრილობის დაძლევის, ემპირიულ მოცემულობათა გადალახვისა და მატერიალურ ელემენტებზე სულის ამაღლების წყურვილი და ამავედროულად გაცხადებულია ტრანსცენდენტურობის დამკვიდრების ნება/ნებელობა. ეს ყველაფერი კი, ცხადია, უკავშირდება ლირიკული გმირის იმ არსობრივ ანთროპოლოგიურ მახასიათებელს, რასაც რო-

\* “მერანი” არა მარტო ფორმის მიხედვით არის შესრულებული კონტრაპუნქტის სტილის მიხედვით, არამედ შინაარსითაც, და ამიტომ ფუნოზორივი განმეორებით და წრეების კონცენტრული ზრდით მისი ჰარმონია მომაჯადოებელი ზღაპრის მსგავსად ინტენსიურდება და მასში გამოთქმული აზრების დენა განვითარების მწვერვალთან ამოსავალი ნერტილისა და დასაბამის სრულ წინააღმდეგობად იქცევა. შემოქმედებითი სტილის ეს თავისებურება რელიეფურადაა მოცემული “მერანის” ძირითადი იდეის გაშლის პროცესში” (გოგიბერიძე, 1978: 239).

მანტიკოსებისვე ტერმინოლოგიით *სწრაფვა*, „ზეენზუხტ“-ი (**Sehnsucht**) ჰქვია. აქ საერთოდ მოხსნილია ტრადიციული ცოდვა-მადლისეული განკითხვა, *მერანი*, როგორც ლირიკული გმირის ინდივიდუალიზმის, მისი სუბიექტურობის პრინციპი, გასულია „სიკეთისა“ და „ბოროტების“ ტრადიციული დიქტომიიდან. შესაბამისად, ლირიკული გმირი პასიურად ზემოდან კი არ ელოდება კურთხევასა და „ცოდვების მიტევებას“, არამედ თავად ისწრაფვის „სასუფევლის“ დამკვიდრებისაკენ და მისი მოტივაცია აქ სულაც არაა დეტერმინებული იმით, რომ თავი გამოიხსნას და გათავისუფლდეს პირველცოდვისაგან: ამ *სწრაფვაში* გაცნობიერებულია „სასუფევლის“ პირადი ესთეტიკური და შემეცნებითი ძალისხმევითა და ნებელობით დამკვიდრების აუცილებლობა.

ამასთან, ამ *სწრაფვაში* თავს იყრის, ერთმანეთს ერწყმის და ურთიერთს განაპირობებს ლირიკულ გმირში მოცემული *აპოლონური* და *დიონისური* სანყისები: კერძოდ, *აპოლონურობა* აქ ვლინდება, როგორც სუბიექტურობის, პიროვნულობის პრინციპი, როგორც ცნობიერი სწრაფვის მდგომარეობა, როგორც შემეცნებითი ნებელობა, როგორც თვითფლობის ძალმოსილება (შდრ., ლირიკული გმირის თვითრეფლექსიური რიტორიკა), ხოლო *დიონისურობა* ვლინდება, როგორც ეგზისტენციალური და ონტოლოგიური შეზღუდულობის გადალახვა. *მერანი* სწორედ ლირიკული გმირის ამ ორი სანყისის სინთეზის სიმბოლოცაა: იგი ერთდროულადაა ინდივიდუალიზაციის, პიროვნული ნებელობის და ექსტაზის სიმბოლო.

ამგვარად, *ხსნა* ანუ „დახსნა“, ანუ გათავისუფლება მატერიალური ელემენტისაგან, „დაზაინ“-ის შეზღუდულობისგან და მაღალი, ჭეშმარიტი ყოფიერებისაკენ ერთდროულად ექსტატიური და ცნობიერი სწრაფვა სწორედ *მერანის* სრბოლას უკავშირდება, *მერანია* ამ *სწრაფვის* სიმბოლო. აქ *სწრაფვა (Sehnsucht)* ვლინდება, როგორც რომანტიზმის და რომანტიკოსი პროტაგონისტის ფუნდამენტური რელიგიური, ეგზისტენციალური და შემეცნებითი *დიონისური-აპოლონური* ქცევის წესი.

როგორც ეს ზემოთ ითქვა, რომანტიკოს ლირიკულ გმირში მძაფრი ფილოსოფიური სკეფსისისა და ღრმა ფილოსოფიური რწმენის, ძლიერი *სევდისა/მელანქოლიისა* და ასევე ძლიერი სულიერ-მისტიური ალტყინება-ლხენის ურთიერთმონაცვლეობა სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა. სულიერ განცდათა ამ რადიკალურ მონაცვლეობაში კი კიდევ უფრო მძაფრდება ლირიკული გმირის კათარზისი და თეოზისი და პერსპექტივა იხსნება *ხსნისთვის*, რაც ბართაშვილის ლირიკაში კულმინირებულია „მერანის“ ლირიკული გმირის დიონისურ ექსტაზში: მისი ტრანსცენდირება, უპირველესყოვლისა, უკავშირდება დესაკრალიზებული ანმყოს დაძლევასა და გადალახვას („მოვმორდე“, „მოვაკლდე“) – შდრ. *სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, მინიერი სატროფო* სწორედ ამ

შეზღუდული ანწყოს, მდაბალი ყოფიერების ტოპოსებია – და ამ დიონისური გახელების ძალით აღესრულება “სადდასაიში”, ანუ ღვთაებრივ ყოვლადობაში დანთქმა და იქ უსასრულო ღვთაებრივი ნეტარების განცდა. საბოლოო ჯამში კი, სწორედ ასე ხორციელდება რომანტიზმში ინდივიდუალური რელიგია, ანუ დაკარგულ პირველსაწყისებთან გაფართოებული ცნობიერებითა და განვითარებული სუბიექტურობით კავშირის აღდგენა. ამ სწრაფვაში კი ბარათაშვილის ლირიკული გმირი უკიდურეს ინდივიდუალიზმს იჩენს და მხოლოდ წარმოსახულ რჩეულ თანამოაზრეთა (“მომძესა ჩემსა”) სახელით გამოდის.

ამგვარად, “მერანი”, როგორც ბარათაშვილის ერთიანი ლირიკული ტექსტის უკანასკნელი “თავი”, სრულიად ლოგიკურად ასრულებს ბარათაშვილის ლირიკის სიუჟეტურ ქარგას, გადაჰყავს რა ლირიკული გმირი სიკვდილის გავლით “სამუდამო მხარეში” (შდრ, *ცხენი*, როგორც *სიკვდილის* სიმბოლო – სიმბოლოთა... 2008: 274). თუმცა, ნებისმიერი ჟანრის რომანტიკული ტექსტის პოეტიკისათვის დამახასიათებელი *ფრაგმენტულობის*, ანუ ტექსტის სტრუქტურის ღიაობის გათვალისწინებით, ტექსტი არ უნდა დასრულდეს კონკრეტული ფინალით, არამედ უნდა “დასრულდეს” მონყვევით, მკვეთრად, იგი უნდა ტოვებდეს პრინციპულად “დაუსრულებელი”, “ფრაგმენტული” ტექსტის შთაბეჭდილებას, ვინაიდან სწორედ ასე იქმნება როგორც ტექსტის “უსასრულობის”, ისე უსასრულო ტრანსცენდენტურობის “დაზაინ-ის სასრულობაში განცდის ეფექტი. ტექსტის სწორედ ამ “ფრაგმენტულობის” საფუძველზე ხორციელდება რომანტიზმის მსოფლმხედველობის, პოეტიკისა და ესთეტიკის ფუნდამენტური დებულება, რასაც ე. წ. *რომანტიკული ირონია* (“*die romantische Ironie*”) (ფრ. შლეგელი) ჰქვია, რაც გულისხმობს პარადოქსის აღქმის ალღოს, პარადოქსის შეგრძნების ნიჭის ქონას, რაც სამყაროში არსებულ შეუთავსებელ ონტოლოგიურ მოცემულობათა ესთეტიკური შეთავსებისა და პოეტიკური ფორმირების წინაპირობაა. ამ პარადოქსს კი (ე. ი. შეუთავსებელთა შეთავსებას), პირველ რიგში, შეგვაგრძნობინებს და განგვაცდევინებს თავად რომანტიკული ტექსტი, როდესაც სასრული ტექსტი (გრძნობადობა) იტევს უსასრულო ტრანსცენდენტურობას (ზეგრძნობადობას) და გადმოსცემს მას (კრემერი 2003: 90-97). სწორედ ასეთი “დაუსრულებელი” და *რომანტიკული ირონიით* აღსავსე ტექსტია როგორც ლექსი “მერანი”, ისე მთლიანად ბარათაშვილის ლირიკა, როგორც ერთიანი ტექსტი.

ბოლოს კი შევნიშნავ, რომ ეს გადასვლა (“გარდამატარე”), უპირველეს ყოვლისა, აღესრულება ლირიკული “მე”-ს წარმოსახვაში და მხოლოდ შემდგომ, სავარაუდოდ, ესქატოლოგიური რეალური ჟამის ბოლო ფაზაზე, ვინაიდან რომანტიკულ ტექსტში, როგორც “ტრანსცენდენტალური პოეზიის” (“*Transzendentalpoesie*”) (ფრ. შლეგელი) ნიმუშში, პოეტური წარმოსახვის ძალით მიღებული ვიზიონები პრინ-

ციპულად კონსტრუირებულია, რასაც თავად რომანტიკოსები “ტრანსცენდენტალურ კონსტრუქციას” (“**transzendente Konstruktion**”) (ვ. ჰ. ი. შელინგი) უწოდებენ.

### **დამონებანი:**

**ბარათაშვილი 1945:** ნ. ბარათაშვილი, *თხზულებანი*, რედ. კ. კეკელიძე, თბილისი: “სახელმწიფო გამომცემლობა”.

**გოგიბერიძე 1978:** მ. გოგიბერიძე, „ნიკოლოზ ბარათაშვილის “მერანის” ესთეტიკურ-ენტიფიკატორული ანალიზი“ (გვ. 237-268); წიგნში: მ. გოგიბერიძე, *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი*, ტ. IV, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

**კრემერი 2003:** D. Kremer, *Romantik*, 2. Aufl., Stuttgart: Metzler.

**ნოვალისი 2007:** ნოვალისი (ფრიდრიჰ ფონ ჰარდენბერგი), *ღამის ჰიმნები*, გერმანიიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო კონსტანტინე ბრეგაძემ, თბილისი: “მერიდიანი”.

**სიმბოლოთა... 2008:** *Metzler Lexikon literarischer Symbole*, hrsg. von G. Butzer, Stuttgart: Metzler.

**სირაძე 1987:** რ. სირაძე, “მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული”: ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი (გვ. 204-234); წიგნში: რ. სირაძე, *ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები*, თბილისი: “განათლება”.

## **LEVAN BREGADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Nikoloz Baratashvili’s Romanticism**

It is discussed N. Baratashvili’s romanticism in close connection with the worldview of one of the most prominent creators and thinkers, “foremost” romanticist Novalis; on the basis of Novalis’ perception of the life romanticizing, using the technical means of polarization and potentiation it is studied how in the Nikoloz Baratashvili’s creative works the relationship with the universe, people, everyday occurrences is romanticized, the goal of which is to make the life intensive, full-blooded, to open its way towards infinity.

**Key words:** Baratashvili, Novalis, romanticism, polarization, potentiation.

## ლევან ბრეგვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი

მწერალ-რომანტიკოსთა უმეტესობამ ცოტა ხანს იცოცხლა: ედგარ ალან პომ 40 წელი დაჰყო ამქვეყნად, ჯაკომო ლეოპარდი და იულიუმ სლოვაკი 39 წლისა გარდაიცვალნენ, შარლოტ ბრონტე 38 წლისა გამოეთხოვა წუთისოფელს, რობერტ ბერნსი და ალექსანდრ პუშკინი – 37-ისა, ჯორჯ გორდონ ბაირონი – 36-ისა, ხოსე მარია ერედია – 35-ისა, ჰაინრიხ ფონ კლაისტი, ხოსე დე ესპრონსედა და გუსტავო ადოლფო ბეკერი – 34-ისა, ვილჰელმ მიულერი – 33-ისა, პერსი ბისი შელი და ემილი ბრონტე – 30-ისა, ნოვალისი, ენ ბრონტე და ბრანკო რადიჩევიჩი – 29-ისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი – 27-ისა, მიხაილ ლერმონტოვი, შანდორ პეტეფი, კარელ გინეკ მახა და კაროლინე ფონ გიუნდეროდე – 26-ისა, ჯონ კიტსი, ვილჰელმ ჰაუფი და ვილჰელმ ჰაინრიხ ვაკენროდერი – 25-ისა... და მაინც, მცირე დროის განმავლობაში მათ შექმნეს იმ ხარისხის ლიტერატურა, რომ სამუდამოდ შემორჩნენ კაცობრიობის მეხსიერებას, რამდენიმე მათგანმა კი იმდენად ღრმა კვალი დატოვა ლიტერატურის ისტორიაში, რომ დღემდე ახდენს და კვლავაც დიდხანს მოახდენს ზეგავლენას ადამიანთა სულიერ ფორმირებაზე. როგორ მოახერხეს ეს? რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამას?

ამ გამოცანის პასუხი მათი ცხოვრების ფილოსოფიაშია საძებარი, რომანტიკულად ცხოვრების ფილოსოფიაში. რომანტიკოსებმა ისეთი რალაც იცოდნენ, რაც მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას სისხლსავსესა და ინტენსიურს ხდიდა. გრძნობების გამძაფრებას, ანდა ასე ვთქვათ – სინამდვილის გამძაფრებულ აღქმას – რომანტიკოსები **პოლარიზებისა** და **პოტენციურების** მეშვეობით ახერხებდნენ. სადაც პოლარობა, ანუ წინააღმდეგობრიობა სუსტად იგრძნობოდა, იქ ისინი მის გაძლიერებას (პოტენციურებას) ხელოვნურად ახდენდნენ **პოლარიზაციის ტექნიკის** გამოყენებით, რასაც ჩინებულად ფლობდნენ. ურთიერთსაპირისპირო პოლუსებს შორის, სადაც დაძაბულობით აღსავსე ჰარმონია სუფევდა, პოულობდნენ ისინი სივრცეს რომანტიკული არსებობისათვის. და თუკი ფათერაკებით აღსავსე გზაზე ნაადრევად უმუხთლებდათ ბედი, ამის გამო სულაც არ იმსახურებენ სიბრალულს – ეს მათი არჩევანი იყო.

საზოგადოდ, ამ ურთულესი მოვლენის – რომანტიზმის – არსს რამდენადმე მაინც რომ ჩავწვდეთ, არქირომანტიკოს ნოვალისს უნდა მი-



ვაკითხოთ, მის ტექსტებში, ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მის შეხედულებებში დაგვხვდება რომანტიზმის, ასე ვთქვათ, ესენცია, რასაც ამგვარი პირველადი სახით, ასე ხელშესახებად სხვა რომანტიკოსებთან ვერ ვიპოვით.

ეს მით უფრო საჭიროა დღეს ჩვენთვის, რომ საბჭოთა ლიტმცოდნეობის მიერ ნოვალისი ე.წ. რეაქციული ანუ პესიმისტური რომანტიზმის წარმომადგენლად მიიჩნეოდა, რის გამოც მისი ხსენება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში იყო შესაძლებელი; ნ. ბარათაშვილს კი პროგრესულ რომანტიკოსად აცხადებდნენ. ოთარ ჯინორიას მართებული შენიშვნით, „მერანის“ შემოქმედის ზოგიერთ მკვლევარს ისე ავნო ხსენებულმა კონცეფციამ, რომ როგორც კი შენიშნავს მის რომელსამე ტიპიურ-რომანტიკულ ნიშანთვისებას ან, თუნდაც, შტრიხს, რომელიც ესთეტიკური მსოფლალქმის ამ სახეობას „უარყოფითად“ (...), „ავადმყოფურ“ მოვლენად სახავს, უყოყმანოდ აცხადებს მას (ამ ნიშანთვისებასა თუ შტრიხს), ჩვენი მგოსნისთვის „შემთხვევითად“ თუ „მეორადად“ ან, სულაც, ყურადღების უღირსად“ (ჯინორია 1975: 82).

როდესაც თანამედროვე გერმანელმა ფილოსოფოსმა ვილჰელმ შმიდმა, ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიის ახლად (ანუ თავიდან) დამფუძნებელმა, რომატიკულად ცხოვრების ფილოსოფიის პრინციპთა გამოკვლევა მოიწადინა, მან სწორედ ნოვალისს მიმართა. ვ. შმიდის ნაშრომი „რომანტიკულად ცხოვრების ხელოვნება“, რომელიც ავტორის თხოვნით ვთარგმნეთ ქართულად და „სჯანის“ 2001 წლის მე-2 ნომერში გამოვაქვეყნეთ, დაედო საფუძვლად ამ ჩვენს ნაშრომს. ვნახოთ, რამდენად ემთხვეოდა ბარათაშვილის ცხოვრების ფილოსოფია ნოვალისისას და ამ გზით ბარათაშვილის რომანტიკოსობის ხარისხის „გაზომვა“ ვცადოთ.

ვ. შმიდთან ვკითხულობთ:

„რომანტიზმის თეორიისა და ცხოვრების ხელოვნებისათვის ფუძემდებლურია თვალსაზრისი, რომ ინდივიდუუმსა და სამყაროს, ცხოვრებასა და ისტორიას პოლარობა ესაჭიროება, რომლის პოლუსებს შორის სიცოცხლის, ასე ვთქვათ, დენი მიედინება. ამ კონტექსტში „დენი“ იმ დროს მეტაფორა კი არ იყო, არამედ მართლაც ელექტრობას გულისხმობდა: გალვანსა და ვოლტაზე დაყრდნობით, ნოვალისი ამ პოლუსებს პლუსსა და მინუსს არქმევს. (...) არსებობის ნეგატიური მხარეები – სნეულება, შეშლილობა და სიკვდილი – უნდა ვაღიაროთ მეორე პოლუსად. ცხოვრების ხელოვნება ის როდია, ამათ თავი ავარიდოთ. ისტორია მერყეობს იდეალის დადებით პოლუსსა და ამ იდეალს მუდმივად ჩამორჩენილი რეალობის უარყოფით პოლუსს შორის: რეალურისა

და იდეალურის დაახლოების მცდელობა არასოდეს მთავრდება მათი ურთიერთშერწყმით“ (შმიდი 2001: 40).

პოლარიზების მეშვეობით ცხოვრების პოტენციურების და ამ გზით მისი გარომანტიულების შესაძლებლობა სავსებით შეგნებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეს კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილი იმ წერილის ერთი ფრაზიდან, რომელშიც ის შამილის მიერ ილიკო ორბელიანის დატყვევებაზე ლაპარაკობს:

„ასე გასინჯე, გოლოვინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს (შამილისთვის) სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. (...) **ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში**“ (ბარათაშვილი 1972: 116. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

ბარათაშვილიც, როგორც ჭეშმარიტი რომანტიკოსი, პოლარობებს შორის ცხოვრობდა და ქმნიდა.

მასთან უმთავრეს და ყველაზე თვალსაჩინო პოლარობას ქმნიან, ერთი მხრივ, ის ყოველად უბადრუკი გარემო, რომელშიც მას რიგითი ჩინოვნიკის რანგში უწევდა ცხოვრება, და, მეორე მხრივ, მისი დიდი ნიჭიერება და მაღალი სულიერი ინტერესები. ეს პოლარობები განსაზღვრავენ დიდწილად მის ბედსაც და უბედობასაც, რაც იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამაზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით და სხვა პოლარობებზე გადავალთ, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით არც ისე ადვილია.

## მეცნიერება და რელიგია

ხალხში **რომანტიკოსზე** არსებობს შეხედულება, რომ იგი „მეოცნებე, გრძნობების ამყოლი ადამიანია“ (ქეგლ 1960: 454-455), ხოლო „**რომანტიკა**“ ასე განიმარტება: „განწყობილება, რომელშიც გრძნობა სჭარბობს გონებას, მიდრეკილება ოცნებისადმი“ (ქეგლ 1960: 454). მაგრამ ნოვალისთან „გრძნობა არის მხოლოდ მეორე, შემავსებელი პოლუსი მეცნიერებისა“ (შმიდი 2001: 41).

ფრაგმენტი ვილჰელმ შმიდის სტატიიდან:

ნოვალისი „თავად ლაპარაკობს (...) თავის „სიყვარულზე რამდენიმე მეცნიერების მიმართ“. მას, რომანტიკოსს, იტაცებს ცოდნის წყურვილი, და იგი აანალიზებს, ზომავს და განმარტავს მათემატიკის წესების მეშვეობით (...). უწინარეს ყოვლისა მათემატიკა იტაცებდა, ის პირდაპირ აღტაცებაში მოდის, როცა მასზე ლაპარაკობს: „უმადლესი ცხოვრება მათემატიკაა“, (...) „ჭეშმარიტი მათემატიკოსი არის

ენტუზიასტი per se. ენთუზიზმის გარეშე მათემატიკა არ არსებობს“, „წმინდა მათემატიკა რელიგიაა“, „ვინც მათემატიკის წიგნს მოწინებით არ აიღებს ხელში და ღვთის სიტყვასავით არ წაიკითხავს, ის ვერაფერს გაუგებს მას“. (...) ცოტა ძნელი კია ჭეშმარიტ რომანტიკოსში მათემატიკოსის დანახვა, მაგრამ თუ ამას შევეფუებით, ძალიან აღარ გაგვაკვირვებს, თუკი რომატიკული გრძნობის კაცს, ნოვალისს, მურა ნახშირის საბადოს საძიებო სამუშაოებით გართულს ვიხილავთ, სამთამადნო მრეწველობის მოხელედ, რომელსაც გარდა თავისი გრძნობებისა, გეოლოგიაც უყვარს“ (შმიდი 2001: 41).

საბედნიეროდ, იმ მცირერიცხოვანი მოგონებების მეშვეობით, რაც ნ. ბარათაშვილის ნაცნობ-მეგობრებმა პოეტის შესახებ დაგვიტოვეს, შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ იმის თაობაზე, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა პოეტს მეცნიერებასთან.

იონა მეუნარგია წერს: „ბარათაშვილი ყველა საგანს კარგად სწავლობდა. ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო იმას და ლევან მელიქიშვილს განეგრძოთ მეტეოროლოგიური დაკვირვება, მისგან დანყებული. ბარათაშვილი კარგად ასრულებდა მინდობილობას, სანამ ერთ უბედურ დღეს თერმომეტრი არ გაუტყდა. იმას უნდოდა სხვა თერმომეტრი ეყიდა, მაგრამ ფული საიდან უნდა ეშოვნა და პირშავად დარჩა თავის მასწავლებელთანაო, – გვითხრა ლევან მელიქიშვილმა“ (მეუნარგია 1968: 13).

1940-იან წლებში მიხეილ ჩიქოვანმა ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ არქივში, მიაკვლია დოკუმენტებს, რომლებიც მეცნიერებასთან ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულების თაობაზე იუწყებიან (ჩიქოვანი 1968: 22-33). მათზე დაყრდნობით პავლე ინგოროყვა წერს:

„ირკვევა (...), რომ ნ. ბარათაშვილი თანამშრომლობას ეწეოდა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიასთან, სადაც ამ დროს ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის თეიმურაზ ბატონიშვილის ინიციატივით მოწვეული იყო აკადემიკოსი მარი ბროსე, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეს (...). 1842 წელს თბილისში ჩამოვიდა მარი ბროსეს კოლეგა მეცნიერებათა აკადემიის მუშაკი ადიუნტი იული ფრიჩე, რომელსაც ბროსესაგან დავალებული ჰქონდა ქართული წიგნებისა და ძველ-ქართული ხელნაწერების შეძენა.

მოსხენებაში, რომელიც წარდგენილი იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ განყოფილებაში 1843 წლის 13 იანვარს, ფრიჩე წერს:

„ერთმა ქართველმა პოეტმა (...) თავადმა ბარათაშვილმა, თანხმობა განაცხადა, თუ ეს აკადემიისათვის სასურველი იქნება, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა, და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებინა მათი პირები. ვეშურები ვაცნობო ეს აკადემიას“.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ სპეციალურ საკითხზე ურთიერთობას ამყარებენ არა იმ პირებთან, რომლებიც ქართული ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლის დარგში სპეციალურად მუშაობდნენ, არამედ **პოეტ** ნ. ბარათაშვილთან, რომელიც, ჩანს, ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა ამ დარგში“ (ინგოროყვა 1968: 45. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

იქვე ვკითხულობთ:

„...ცნობილი მეცნიერი მიხეილ ბარათაევი, ავტორი მონუმენტური ნაშრომისა „Нумизматические факты Грузинского царства“, ერთ წერილში, 1846 წლის 20 სექტემბრის თარიღით (როდესაც მიხეილ ბარათაევმა ჯერ არ იცოდა პოეტის გარდაცვალება), სწერდა ნ. ბარათაშვილის მამას მელიტონს: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი ნიკოლოზ მელიტონის ძე (...), თუ იგი შეავსებდა თავისი **უხვი ცოდნითა და ნიჭით** თავისი მოხუცი პაპის (ე. ი. თვით მიხეილ ბარათაევის) პირველ ნაშრომს“ (–იგულისხმება ზემოთ დასახელებული შრომა)“ (ინგოროყვა 1968: 44-45. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.)

მიხელ ბარათაევს, რუსეთში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს, უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა „საფლავი მეფის ირაკლისა“. სწორედ ამ ლექსში ლაპარაკობს იგი განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე. ამ ლექსიდან ნათლად ჩანს, რომ ორი დადებითი შედეგიდან, რაც საქართველოს რუსეთთან მიერთებას მოჰყვა, ავტორის აზრით, ერთი **განათლება**ა (იგი მას პირველ ადგილზე აყენებს) და მეორე **მშვიდობა**: ქართველებს რუსეთიდან „მოაქვთ მამულში განათლება (...), მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასს მშობელს ქვეყანად“ (ბარათაშვილი 1972: 54). (შდრ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სტრიქონები ლექსიდან „კავკასია“: „განისხნა გზა და ეშვათ ევერელთ სასოება, / რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“. – ჭავჭავაძე 1940: 78)

„ოლონდ, – როგორც ვ. შმიდი შენიშნავს, – რომანტიკოსი მეცნიერულ მოღვაწეობას მუდამ იმის შეგნებით ეწევა, რომ სინამდვილე იმდენად მრავლისმომცველია, მას ერთად აღებული ყველა მეცნიერებაც კი ვერ გამოიკვლევს ბოლომდე; იგი (სინამდვილე) მუდამ საოცარი, მიუწვდომელი და იდუმალებით მოცული რჩება (...). მეცნიერება კი არ უარიყოფა, არამედ მისი ოპტიმიზმი, პოზიტივიზმი, ობიექტივიზმი მიიჩნევა ფარდობითად. რომანტიკოსი სათანადო დისტანციას

იცავს ცოდნის პრეტენზიულობის მიმართ და იმ აზრზე დგას, რომ მეცნიერების სფეროს მიღმა კიდევ არსებობს „რაღაც“, და რომც არ არსებულებოდა, უნდა გამოგვეგონებინა. საქმე ეხება არა მეცნიერებისა და რაციონალიზმის სხვა რამით ჩანაცვლებას, არამედ შევსებას. სხვაგვარად სამყარო შიშველი და ცივი, უსაშველოდ მოსაწყენი იქნებოდა“ (შმიდი 2001: 41-42).

რა არის ის „რაღაც“, რაც მეცნიერების მიღმა არსებობს? ან, სხვა სიტყვებით: სად თავდება მეცნიერების კომპეტენცია? მეცნიერების კომპეტენცია თავდება იქ, სადაც იწყება უსასრულობა – უსასრულობის წინაშე მეცნიერება უმწეოა. უსასრულობას სხვაგვარად ტრანსცენდენტს უწოდებენ, რაც ის არის, რასაც პრინციპულად ვერ მივწვდებით ცდისმიერი შემეცნებით, რაციონალური მეთოდებით, და რასთან მიახლოება მხოლოდ რელიგიური რწმენის მეშვეობით არის შესაძლებელი. ვილჰელმ შმიდის აზრით, „მოდერნის მთელი მოძრაობა, დაწყებული მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის გასაყარზე, ყოველგვარი რელიგიისაგან განთავისუფლებას უკავშირდება. მას შემდეგ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობს ურელიგიოდ ცხოვრებას. (...) მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარად ცხოვრება დროთა განმავლობაში შეუძლებელი აღმოჩნდება და თვალმისაწვდომ მომავალში ეს ექსპერიმენტი წარუმატებლად დასრულდება“ (შმიდი 2001: 43).

მოკლედ, „ცხოვრება, რომელიც თავის სასრულობაში იკეტება, ვერასოდეს შეძლებს სისავსის სასურველ მასშტაბს მიაღწიოს“ (შმიდი 2001: 43-44). ეს ყველა რომანტიკოსისთვის სავსებით ცხადია, მათ შორის ბარათაშვილისთვისაც:

„ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!  
ანცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი  
შენდა მოისწრაფიან,  
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, მავინყდების საწუთროება,  
**გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ზენართ სამყოფს, რომ დაშტოს აქ ამოკება...**

მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!“  
(ბარათაშვილი 1972: 24-25. ხაზგასმა ჩვენია. ლ. ბ.).

აქ არაჩვეულებრივი ხატოვანებით არის გადმოცემული ტრანსცენდენტის მიუწვდომლობა რაციონალისტური მეთოდების საშუალებით.

რომანტიკოსისთვის უსასრულობაში გასაღწევ ღიობს, კარიბჭეს წარმოადგენს რელიგიური რწმენა, მეცნიერების საპირისპირო პოლუ-

სი. ნ. ბარათაშვილის ღრმა რელიგიურობა ნათლად ჩანს ლექსში „ჩემი ლოცვა“.

„ჩემი ლოცვა“ არის „მერანის“ ანტიპოდი, „მერანის“ საწინააღმდეგო პოლუსი, რის გამოც ეს ლექსი დიდ უხერხულობას უქმნიდა ლიტერატურის მკვლევრებს ათეისტურ საბჭოთა ხანაში, ცდილობდნენ როგორმე შეერბილებინათ მისი მგზნებარე რელიგიური პათოსი.

მაგალითად, 1969 წელს გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მე-3 ტომში ამ ლექსის თაობაზე ვკითხულობთ:

„ქარიშხლოვან განცდებს და ვნებათა ლელვას მოუქანცავს პოეტის სული, იგი ეძებს განსვენებას, მაგრამ **„ლოცვაში“** ისმის არა ღვთისმორწმუნის ლაღადისი, არამედ განწირული ხმა ცხოვრებაზე შეყვარებული ადამიანისა, რომელსაც განუვლია ქარიშხლიანი გზა და ეძიებს ნავთსაყუდელს, არა **სინამდვილის მიღმა, არამედ ცხოვრებაში**. ამიტომაც, რომ პოეტი მოულოდნელად სცილდება აბსტრაქტულ ცნებას და მიმართავს **თვით ცხოვრების ცხოველ ძალას** სულიერი ტკივილების დასაამებლად“ (აბზიანიძე 1969: 173. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.) და ამის დასტურად მოხმობილია ეს სტროფი:

„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,  
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!  
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“\*

შემდეგ ვკითხულობთ:

„ეს არის პოეტის ლტოლვა ნამდვილი, ადამიანური ცხოვრებისაკენ, მას სრულიად არ სურს განერიდოს საზოგადოებას, არამედ სურს თავი დააღწიოს შავბნელი სინამდვილის მღვრიე ტალღებს და დაეწაფოს **ცხოვრების წმინდა წყაროს**, ეს არის წადილი სულიერი განახლებისა, ძალთა მოკრებისა მომავალი ბრძოლისათვის „მსახვრალი ბედის“ წინააღმდეგ“ (აბზიანიძე 1969: 173. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

მაგრამ, „ცხოვრების წყარო“, რომელსაც ნ. ბარათაშვილი ასე გულმხურვალედ მიმართავს, რეალური ცხოვრების წყარო კი არ არის, არამედ მაცხოვრის სინონიმი.

ასევეა ინტერპრეტირებული ლექსის ეს ადგილი გიორგი ჯიბლაძესთანაც:

\* შევადაროთ ამას სრულიად საპირისპირო განწყობა, რომელიც „მერანშია“ თემატიზებული: „გაჰკვეთე ქარი, გააჰე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი, / გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი? / ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიციხესა, ნუცა ავდარსა, / ნუ შემობრალბე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!“ (ბარათაშვილი 1972: 51).

„უმანკო ადამამაც ხომ შესცოდა უზენაეს მცნებას (...). ამიტომ მან (ბარათაშვილმა) რად უნდა წარიკვეთოს სასოება? არა, ის ცხოვრების შვილია და სურს „ცხოვრების წყარო“ ბოლომდე სვას. როგორც ვხედავთ, პესიმისტური ჰანგებით სავსე ლექსში ძლიერი ლტოლვაა ამქვეყნიურისაკენ და ეს სრულებით არ არის შემთხვევითი ან გამონაკლისი“ (ჯიბლაძე 1968: 232).

(ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკაკი განერელიასა და ივანე ლოლაშვილის 1972 წლის გამოცემის კომენტარებში „ცხოვრების წყარო“ მართებულად არის განმარტებული: „ეპითეტია ღვთაებისა“. – ბარათაშვილი 1972: 214).

რაკილა ნ. ბარათაშვილი „პროგრესული“, „მებრძოლი“ რომანტიკოსების ფრთას მიაკუთვნეს, ეწოთირებათ, რომ „მერანის“ დამწერი ამ ლექსში („ჩემი ლოცვა“) ღმერთს მოსვენებას შესთხოვს („და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვლი“). – ბარათაშვილი 1972: 40), მყუდროების სადგურს ეძიებს („არა დაჰქროლონ ნაცსა ჩემსა ქართა ვნებისა, / არამედ მოეც მას სადგური მუდროებისა“. – ბარათაშვილი 1972: 40) და ცდილობენ ასე მოსწმინდონ ნამუსი: „რა ვუყოთ, თუ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ზოგჯერ ეძებს მყუდროების სადგურს?! რომელ მებრძოლს არ ენატრება ხანგრძლივი რუდუნების შემდეგ ნამით მაინც შეისვენოს და ძაღები აღიდგინოს?!“ (ჯიბლაძე 1968: 232).

ანუ მყუდროების სადგურის ძიება არარელევანტურ (არაარსებით) მოტივად არის მიჩნეული, ხოლო ბობოქარი ცხოვრებისაკენ ლტოლვა – რელევანტურად, რაც უმართებულოა. ჭეშმარიტი რომანტიკოსისთვის აქტიურობაც და მოსვენებაც რომანტიკულად ცხოვრების თანაბრად მაკონსტრუირებელი მდგომარეობებია, ის პოლარობებია, რომელთა შორის წარმოქმნილ დაძაბულობის ველში ხერხდება ისეთი ცხოვრება, როგორც მათთვის არის ღირებული. (ანალოგიისთვის შეადარეთ ერთმანეთს მიხაილ ლერმონტოვის „აფრა“ („Парус“) და მისივე „Выхожу один я на дорогу“).

რაც შეეხება აქტიურ, სისხლსავსე ცხოვრებას, იგი რომანტიკოსებს ასე ესახებათ:

„ცხოვრება კი არ (უნდა) მოგვეცეს, არამედ ჩვენ თვითონ (უნდა) შევექმნათ ის რომანივით“ (შმიდი 2001: 38), – ვკითხულობთ ნოვალისთან.

აქედან მოდის რომანტიკოსთა დიდი ინტერესი და აღფრთოვანება ნაპოლეონ ბონაპარტის პიროვნებით და ფარული შურიც იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც მათსავით ქალაღდზე კი არ შექმნა დაძაბულისიუფეტიანი, თავგადასავლებით აღსავსე რომანი, არამედ თავისივე ცხოვრებით, ბიოგრაფიით „დანერა“ იგი. (ისინიც კი აღიარებენ მის სიდიადეს, ვის სამშობლოსაც ბონაპარტი დამყრობლად მოველინა).

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ნაპოლეონ“, როგორც კარგა ხანია შენიშნულია ჩვენი ლიტმცოდნეების მიერ (ჯიბლაძე 1968: 221-225; აბზიანიძე 1969: 172-173), გამორჩეულია იმით, რომ ავტორი საფრანგეთის იმპერატორს წარმოგვიდგენს, როგორც „მარად უკმაყოფილო არსებას, რომელსაც შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი მტანჯველად ძიძგნიან“ (ჯიბლაძე 1968: 224), პოეტი ნაპოლეონის პიროვნებას გაიაზრებს „ზოგადად ადამიანის სურვილთა „აღუვსებელი სანყაულის“ ასპექტში“ (აბზიანიძე 1969: 172), რასაც უკავშირდება დიდი მხედართმთავრის სულიერი ბორგვა („მაგრამ მე გვამში სული ვერლა მომთავსებია!“ – ბარათაშვილი 1972: 34) და ბედის ნებიერი იმპერატორის ეჭვიანობა საკუთარი ბ ე დ ი ს მიმართ („მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ ბედსაც მოვსწყინდე / და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს“. – ბარათაშვილი 1972: 34). სწორედ ამ შინაგანი დინამიკის გამო „ნაპოლეონის შესახებ დაწერილ ლექსებს შორის ბარათაშვილის ლექსი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თავისი ორიგინალური კონცეფციით“ (აბზიანიძე 1969: 173).

რომანტიკული მაქსიმალიზმის თვალსაზრისით საგულისხმოა ფრაზა, რომელსაც ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონს ათქმევინებს:

„თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“ (ბარათაშვილი 1972: 34), რაც ნიშნავს: ისეთი საგმირო საქმეები უნდა ჩავიდინო, რომ სამომავლოდაც ვერავინ გაიმეოროს ის.

### **სულიერი და ხორციელი სიყვარული**

„სიყვარულის მისეული (ნოვალისისეული. – ლ. ბ.) გაგება მგრძნობელობისა და სულიერების პოლარობათა შორის სახლობს“, ვკითხულობთ ვ. შმიდთან (შმიდი 2001: 45).

1839 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა ორი ლექსი უძღვნა ეკატერინე ჭავჭავაძეს. ისინი გვერდიგვერდ იბეჭდება გამოცემებში. პირველი სიყვარულის სულიერი მხარის გამოვლინებაა:

„ხმით მშვენიერით,  
ტკბილის სიმღერით,  
ჰაეროვანო, სულს ელხინები!  
თვალთ არონინებ,  
გულს დაანყლულე  
და ღიმილითა ესალბუნები!“  
(ბარათაშვილი 1972: 35)



ხოლო მეორე სიყვარულის მგრძნობელობითი, სხეულებრივი შეგრძნების გამოხატულებაა:

„ჰოი, საყურეო,  
გრძნობით ამრეო,  
ვინ ბაგე შენ ქვეშ დაიტკბარუნოს?  
მუნ უკვდავების  
შარბათი ვინ სვის?  
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?“  
(ბარათაშვილი 1972: 36).

ერთობ უარყოფითად აფასებს ამ სტრიქონებს კიტა აბაშიძე:

„დაიტკბარუნოს, ბატონებო, ეს მეტად ტლანქად გამოთქმულია. შეიძლება ლამაზი სიტყვაც იყოს, მაგრამ ნაზი გრძნობის აღმძვრელი კი არ არის“ (აბაშიძე 1962: 71).

კიტა აბაშიძე ბარათაშვილის შემოქმედებაში სიყვარულის მხოლოდ ერთ პოლუსს – სულიერ მხარეს – ანიჭებს მნიშვნელობას. მას ბარათაშვილის დიდ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ ჩვენმა პოეტმა სიყვარული „გააჰაეროვნა, რალაც უცნაურ და უხილავ მეტაფიზიკურ, წმინდა იდეალურ საგნად გადააქცია და უნდა აღვიაროთ, რომ ამამიაც ბარათაშვილს ძნელად მოუძებნით ბადალს“ (აბაშიძე 1962: 70). ხოლო სიყვარულის მგრძნობელობითი, სხეულებრივი შეგრძნების გამოხატველი სტრიქონები მას ბარათაშვილთან არაარსებით, შემთხვევით და უარსაყოფ მოვლენად მიაჩნია.

ჩვენი პოეტისთვის კი, ისევე როგორც ნოვალისისთვის, სულიერი და ხორციელი სიყვარული ერთმანეთის გამაძლიერებელი პოლუსები და, რაც მთავარია, რომანტიკულად ცხოვრების, შეიძლება ითქვას, უმთავრესი წინაპირობაა. „შესაძლოა, სიყვარულის ხელოვნება უმთავრესი რომანტიკული ხელოვნებაც კი იყოს, რაკილა საქმე მთელი ცხოვრების რომანად ქცევას ეხება, რადგანაც სწორედ სიყვარულის ხელოვნება უკავშირდება ყველაზე მეტად რომანს და ამდენად ის არის per se რომანტიკული“ (შმიდი 2001: 45).

## ჯანმრთელობა და სნეულება

„რომანტიკული ცხოვრების ერთი ტექნიკურ ხერხთაგანი გახლავთ მიმართება სნეულებასთან, რომელიც ჯანმრთელობის საპირისპირო პოლუსია. ჯანმრთელობისგანაც და სნეულებისგანაც რომანტიზმი იმას გამოელის, რომ ორივე მათგანის გამოყენება შეიძლება ინდივიდუუმის და ცხოვრების კონსტრუირებისთვის“, წერს ვილჰელმ შმიდი (შმიდი 2001: 46) და ნოვალისის ამ ფრაგმენტს იმონებს:

„სნეულებანი, მეტადრე ქრონიკულნი, ცხოვრების ხელოვნების და ხასიათის ფორმირების სფეროში განსწავლის წლების როლს ასრულებენ. უნდა ვეცადოთ მათგან სარგებლობის გამოტანას ყოველდღიური დაკვირვების გზით“ (შმიდი 2001: 47).

1844 წელს ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილმა ბარათმა შემოგვინახა ნიკოლოზ ბარათაშვილის განცდები, რომლებიც მას, რომელიდაც (არ ასახელებს) საშიში დაავადებით შეპყრობილს დაუფლებია:

„შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება პოვა ჩემს სულში, თუმცა ჩვენ ამისათვის სხვადასხვა მიზეზი გვაქვს. მე ძალიან ავად ვიყავი; ცოტა დააკლდა ილვიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქამდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც უცნაური გავლენა მოახდინა, შეიძლება, მთელს ჩემს სიცოცხლეზე. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცალიერით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეიძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმძღვრობით და მშვიდად და მოსვენებით გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას სადა ბუნების ნიაღში, რომელიც ეგზომ დიადი და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში“ (ბარათაშვილი 1972: 125).

ეს ფრაგმენტი ჩინებული დასტურია იმისა, რომ ავადმყოფობის შედეგად ადამიანი გაიაზრებს მთელ თავის ცხოვრებას, ახდენს ღირებულებათა გადაფასებას; ხვდება რის გაკეთება არ ღირდა და რისი ღირდა გავლილ ცხოვრებაში; ავადმყოფობის დროს ადამიანს უძლიერდება ჭეშმარიტი და ყალბი ფასეულობების ერთმანეთისგან გარჩევის უნარი.

როგორც ჩანს, ამ ავადმყოფობის შემდეგ წერს იგი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსს, „ჩინარი“, რომელშიც სწორედ „სადა ბუნების ნიაღში“ განმარტობასა და „გაუმძღვარ ადამიანთა“ საზოგადოებისაგან მოშორებით ყოფნის სიკეთეზეა საუბარი:

„განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი, მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი.

საამო არის მის ჩრდილში ოცენა, და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა და წყალთ დუღუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა!“

(ბარათაშვილი 1972: 59).

ამავე ლექსში არის სტრიქონები:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“

(ბარათაშვილი 1972: 59).

ბარათაშვილმა „ბუნების ფილოსოფია ყველაზე მკვეთრად გად-  
მოგვცა ლექსში „ჩინარი“. ამ ლექსში პოეტმა ბუნებას ენა ჩაუდგა და  
სამეტყველა“ (აბზიანიძე 1969: 169).

მგონი, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმ ავადმყოფობის ჩინებ-  
ული შედეგი, რომელზეც ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანისადმი მი-  
წერილ წერილში ლაპარობს, ეს ლექსიც არის.

## სიცოცხლე და სიკვდილი

„უაღრესად რომატიკულია სიცოცხლის გაძლიერება სიკვდი-  
ლის მეშვეობით. სიცოცხლის ულტიმატიური შესაძლებლობა არის  
სიკვდილი – სიკვდილი როგორც სიცოცხლის საპირისპირო პოლუსი:  
მხოლოდ მისი წყალობით იძენს სიცოცხლე დაძაბულობას („სიკვდილი  
არის მინუსი – სიცოცხლე პლუსი“), და მისი კარიბჭის გავლით ერწყ-  
მის სიცოცხლე რაღაცა სხვას (...). „სიკვდილის წყალობით ძლიერდება  
სიცოცხლე“. „სიკვდილი არის ჩვენი ცხოვრების მარომანტიზებული  
პრინციპი“ (ნოვალისი, III, 559)“ (შმიდი 2001: 47).

ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულება სიკვდილისადმი, რო-  
გორც ცხოვრების მარომანტიზებული პრინციპისადმი, 1838 წელს მიხ-  
ვილ თუმანიშვილისთვის მიწერილმა ბარათმა შემოგვინახა:

„საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მარ-  
თალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენია  
და მტვრისაგან – სულის შემხუთველი, საყურადღებო არაფერია. მხ-  
ოლოდ გამოვცოცხლდები ხოლმე მთვარიან საღამოს, რომელიც ასე  
მშვენიერია თბილისში. გუშინ ერთ-ერთ ასეთ საღამოს წავედი სახ-  
ეტილოდ მოსკოვის სადარაჯოსაკენ და მოულოდნელად თავი სასა-  
ფლაოზე ამოვყავი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შევშოთოდი, როდესაც  
თვალი მიმოვავლე ამ მყუდროებას; ღამის 11 საათია, არც ერთი სული!  
გარშემო მარადიული სიცალიერე; მთვარე მკრთალად ანათებს საფლა-  
ვებს, როგორც მიცვალებულის მიმქრალი ბანზა. ჩუმად და ნელად  
მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნის  
მყუდროება... შენ ახლა არხეინადა ხარ და მე არ მინდა შეგაშოთო მჭ-  
მუნვარე ფიქრებით, რომლებიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიუ-  
რმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ **სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა;**  
**ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის**

**ცხოვრებას კითხულობდეს!**“ (ბარათაშვილი 1972: 110. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

მართებულად შენიშნავს იუზა ევგენიძე, რომ აქ „სიკვდილი მიწიერ ტანჯვათაგან ხსნის გზად კი არაა ჩათვლილი, არამედ სასაფლაოს წინააღმდეგ მასზე ფიქრი მიჩნეულია ადამიანის ზნეობრივი არსებობის გამანონსანორებელ ფაქტორად. რისთვის ვცხოვრობთ და რა აშინაარსიანებს ადამიანის სიცოცხლეს? რაა ადამიანის დანიშნულება ამქვეყნად და საითკენ მიისწრაფვის ადამიანი საერთოდ? აი, ამ კითხვებს დასტორიალებს თავს ნ. ბარათაშვილი“ (ევგენიძე 1982: 210).

### **სიზმარი/ოცნება და სინამდვილე**

ნოვალისთან „რომანტიკულია *სიზმრის* შეფასებაც, სიზმრისა, როგორც ნორმალურობის საპირისპირო პოლუსისა, როგორც უცნობ სამყაროში, X-ში გასაღწევი ღიობისა. მაშინ როცა კარტეზიანული აზროვნებიდან სიზმარი განდევნილი იყო, რომანტიკული აზროვნების პოეზია მის ლეგიტიმაციას ახდენს, რადგან სიზმარს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ხელოვნებისათვის: ის არის „დამცავი საშუალება ცხოვრების მონოტონურობისა და ჩვეულებრივობის წინააღმდეგ“ (ნოვალისი, I, 199) (შმიდი 2001: 46).

1842 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს სწერს:

„შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის-სოფლისა. (...) სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი **სიზმარში** მაქვს ნასწავლი და, თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს“ (ბარათაშვილი 1972: 119. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

აქედან ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილი სერიოზულად ეკიდება სიზმარს (საგანი, რის შესახებაც ის მსჯელობს, იმდენად სერიოზულია, რომ, ჩვენი ფიქრით, ამ სიტყვების – „ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი“ – ირონიული წაკითხვა შეუძლებელია). და მაინც ციტირებული პასაჟი ჩვენთვის საინტერესო კუთხით ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც სასაფლაოს თაობაზე გამოთქმული მისი შეხედულება. ამიტომ **ოცნებას** მოვიშველიებთ, რაც მით უფრო გამართლებულია, რომ ნოვალისის მშობლიურ ენაზე **ოცნებაც** და **სიზმარიც** ერთი სიტყვით აღინიშნება – *der Traum*.

ოცნების მეშვეობით უბადრუკი სინამდვილის პოტენციურების (გარომანტიულების) თაობაზე არის ლაპარაკი „ჩინარის“ ამ ტაყეებში:

„საამო არის მის (ჩინარის. ლ. ბ.) ჩრდილში **ოცნა**,  
და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა  
და ნყალთ დუდუნზე უკულმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა!  
მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,  
და გადმოსცემენ სახიობასა, ტკბილის **ოცნებით** დამაძინარსა!“  
(ბარათაშვილი 1972: 59).

აქ ოცნება (ოთხი სტრიქონის ფარგლებში ორჯერ ნახსენები) აშკარად უპირისპირდება რეალობას, ვითარცა მისი საწინააღმდეგო პოლუსი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა სინამდვილის რომანტიზება და ხერხდება „ამა სოფლისა ჭირთა დათმენა“.

### **რომანტიკული ირონია**

ურთიერთგანმაპირობებელი, ურთიერთდამაბალანსებელი პოლარობების როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება იწვევს ე.წ. რომანტიკულ ირონიას, რომელიც არსებითად განსხვავდება ყოფითი ირონიისაგან.

ამიტომაც ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ბოლო ოთხ ტაეპში გამოთქმული აზრი სოფლისთვის ზრუნვის აუცილებლობის თაობაზე პროპაგანდისტულ მონოდებად კი არ უნდა აღვიქვათ, არამედ – სწორედ რომანტიკული ირონიის გამოვლინებად. ლექსში თემატიზებული ეკლესიასტეს მოტივი, შესახებ იმისა, რომ „ყოველივე ამაოა“ (რამაც ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ადამიანი „აღუვსებელი სანყაულია“, და მეორეც იმის გამო, რომ ერთხელაც ამ სოფელს მართლა მოეღება ბოლო, როგორც რელიგია და მეცნიერება გვრწმუნებენ) „სოფლისთვის ზრუნვის“ მოტივით არის დაბალანსებული, რაც ჩვენი ნებისგან დამოუკიდებლად ხდება, მარტო იმის გამო, რომ კაცნი ვართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს! („მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა, / უნდა კიდევც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა. / არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, / იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“. – ბარათაშვილი 1972: 31). ამ ორ პოლუსს შორის – ყოველივე რომ ამაოა, მაგრამ მაინც რომ უნდა ვიზრუნოთ სოფლისთვის – მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება, რაც პარადოქსია, მაგრამ ამავედროულად გარდუვალი რეალობაცაა. ყოფითი ირონიისაგან განსხვავებით, რომელშიც სუბიექტური მომენტი ქარბობს, რომანტიკული ირონია ღრმა, ობიექტური ირონიაა, რომლის ფესვები თვით სამყაროს ობიექტურ წინააღმდეგობრიობაში არის საძიებელი.

## „ბედი ქართლისას“ პოლარობები

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ გამო კიტა აბაშიძეს უწერია: „ყველამ, რასაკვირველია, კარგად ვიცით, რომ ამ პოემას საგნად აქვს ალგვიწეროს უკანასკნელი ხანა ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა, როცა მეფე ერეკლემ საქართველოს ბედი გადასწყვიტა. ამ მოვლენის შესახებ თავისი აზრი არა ჰქონოდა ისეთ მახვილ გონებიანსა და გრძნობიერს პოეტს, როგორიც ბარათაშვილი იყო, შეუძლებელია, მაგრამ ამ აზრის გამორკვევა ამ პოემის შემწეობით შეუძლებელია. მართალია, პოეტს ხანდახან თავი ვერ დაუჭერია და აქა-იქ წამოსცდენია ალტაცება ხან „ჩვენის დედებით“, ხან მეფისა და მის მოყმეთა, ერის მამაშვილური კავშირით, მაგრამ ეს ისე მიკერებული აქვს პოემას და სრულიადაც რომ გამოაკლოთ ეგ ლექსები, არაფერი დაუშავდება პოემის თანდათანობას და ერთიანობას“ (აბაშიძე 1962: 86).

ჩვენი პროფესიული სალიტერატურო კრიტიკის პატრიარქი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ შეუძლებელია გამოვიცნოთ მეფე ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის კამათში ავტორი ვის მხარეზეა, და ამას პოემის რეალისტურ ხასიათს უკავშირებს – მისი სიტყვით, ამ პოემის ავტორი „არის რეალიზმის შემომღები ჩვენს პოეზიაში“ (აბაშიძე 1962: 86). ჩვენი აზრით კი, სწორედაც ერთობ რომანტიკულია ის ამბავი, რომ ნ. ბარათაშვილი პოემის პროტაგონისტთა თვალსაზრისების პოლარიზაციას ახდენს ისე, რომ ორივე მხარეს მოეპოვება თავისი სიმართლე. პოემის მიხედვით (და სინამდვილეშიც!) საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობდა დაძაბულობის იმ ველში, რომელიც წარმოიქმნა ორ პოლუსს, ორ რადიკალურად ურთიერთგანსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებას, შორის: 1. „ეხლა კი დროა სოლომონ, რომა / მშვიდობა ნახოს საქართველომ... / მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის / ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“ – ეს არის ერეკლე მეფის პოზიცია (ბარათაშვილი 1972: 75) და 2. „მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება / სხვას განუბოძო შენს ყმათ ცხოვრება, / მისდევდე შენსა გულისკვეთებას / და უთრგუნავდე თავისუფლებას“ (ბარათაშვილი 1972: 77), „ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, / თუ მოაკლება თავისუფლება?“ (ბარათაშვილი 1972: 79) – ამ აზრზე დგანან სოლომონ მსაჯული და მისი მეუღლე სოფიო.

ორივე ამ პოზიციას ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში პოემის გარდა კიდევ თითო ლექსი უმაგრებს მხარს: ერეკლე მეფისას – „საფლავი მეფის ირაკლისა“, სოლომონ მსაჯულისა და მისი მეუღლისას – „სუმბული და მწირი“. სრული სიმეტრიაა!

ჩვენი აზრით, „არარომატიკულია“ საკითხის ასე დასმა: ვის ემხრობა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მეფე ერეკლესა თუ სოლომონ მსაჯულს?

ისევე, როგორც „არარომანტიკული“ იქნება ვიკითხოთ: ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ თემატიზებული ორი პოზიციიდან – 1. ყოველივე წარმავალია და ამაო, ადამიანი აღუვსებელი სანყაულია, მოსვენებული არც კეთილი და არც ბოროტი ადამიანი (მეფეთა ჩათვლით!) არ არის და ვერც ვერასოდეს იქნება, და 2. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, / იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“ (ბარათაშვილი 1972: 32) – რომელი გამოხატავს ავტორის პოზიციას? ანდა, როდის არის უფრო გულწრფელი ნ. ბარათაშვილი, როდესაც „მერანში“ ბობოქარ ცხოვრებას ესწრაფვის თუ როდესაც ლექსში „ჩემი ლოცვა“ სიმშვიდესა და მოსვენებას ნატრობს?

რომანტიკული ცხოვრების კონსტრუირებისთვის და რომანტიკული მხატვრული ტექსტების შესაქმნელად პოლარობები აუცილებელია. სხვაგვარი ცხოვრება და სხვაგვარი შემოქმედება რომანტიკოსებს არ აინტერესებთ, ვინაიდან სჯერათ, რომ „პოლარობა სიცოცხლის პირობაა და მასში არ უნდა დავინახოთ სიცოცხლის მტერი, მეტიც: იქ, სადაც პოლარობა არასაკმარისი დოზით გვხვდება, საჭიროა გავაძლიეროთ იგი პოლარიზების ტექნიკის საშუალებით. ვისაც სურს იცოდეს, რას ნიშნავს იყო რომანტიკული, უნინარეს ყოვლისა ამ პუნქტს უნდა მიმართოს და განმაცვიფრებელ აღმოჩენებს მოახდენს“ (შმიდი 2001: 40).

#### **დაამოწმებანი:**

**აბაშიძე 1962:** კიტა აბაშიძე. *ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962.

**აბზიანიძე 1969:** გიორგი აბზიანიძე. ნიკოლოზ ბარათაშვილი. კრებულში: *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. III. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960.

**ბარათაშვილი 1972:** ნიკოლოზ ბარათაშვილი. *თხზულებანი*. აკაკი განერელიასა და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**ინგოროყვა 1968:** პავლე ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი. *თხზულებანი*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**მეუნარგია 1968:** იონა მეუნარგია. *ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**ქეგლ 1960:** *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. VI. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

**შმიდი 2001:** ვილჰელმ შმიდი. *რომანტიკული ცხოვრების ხელოვნება*. გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგვაძემ // „სჯანი“, 2001, № 2.

**ჩიქოვანი 1968:** მიხეილ ჩიქოვანი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ერთი მომენტი // ნიკოლოზ ბარათაშვილი. საიუბილეო კრებული. თბილისი: „მეცნიერება“, 1968.

**ჭავჭავაძე 1940:** ალექსანდრე ჭავჭავაძე. *თხზულებანი*. თბილისი: „ფედერაცია“, 1940.

**ჯიბლაძე 1968:** გიორგი ჯიბლაძე. ბარათაშვილის პოეტური გენია. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**ჯინორია 1975:** ოთარ ჯინორია. *ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმისათვის // თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, 163. ლიტერატურათმცოდნეობა. თბილისი: 1975.

## **LIA KARICHASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“Rustaveli” by Alexander Orbeliani**

Contents of the poem “Rustaveli” by Alexander Orbeliani, the romanticist poet consists of three sections: 1. divine origin of Rustaveli; 2. worldly life; 3. eternal world.

Of the main motifs of Rustaveli’s art, Alexander Orbeliani emphasizes love, friendship and high morality; generosity. Rustaveli’s worldly life is covered with mystery. Alexander Orbeliani mentions his native land as something like Eden.

Finally, the poet looks with the spiritual gaze to Rustaveli’s being in heaven. His poetical power exceeds even the one of David the Psalmist.

Alexander Orbeliani’s assessment of Rustaveli’s art is compatible with the attitude of Georgian romanticists towards the great poet. The image of new Rustaveli is associated with the restored, powerful Georgia.

**Key words:** romanticist, Alexander Orbeliani, poem “Rustaveli”

## **ლია კარიჭაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ალექსანდრე ორბელიანის „რუსთაველი“**

ალექსანდრე ორბელიანი (1801-1869) მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადოების გამოკვეთილი ფიგურაა. მისი მოღვაწეობა და შემოქმედება აღბეჭდილია ღრმა პატრიოტიზმითა და რომანტიზმისთვის ნიშანდობლივი ტენდენციებით, ეს ორი ფაქტორი კი ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების ძირითად ნიშნად განსაზღვრავს „რომანტიკულ



პატრიოტიზმს“. ერეკლე მეორის უმცროსი ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილისა, და ვახტანგ ორბელიანის ვაჟი მამულიშვილობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. მის შესახებ ბიოგრაფიული რომანის ავტორი როსტომ ჩხეიძე წერს: „ალექსანდრე ორბელიანი თავისი მრწამსითა და ცხოვრების სტილით არის სახიერი სიმბოლო იმ შეხედულებისა, რაც ასეთი სრულყოფილებით გამოითქმის ვაჟა-ფშაველას საპროგრამო ესეიში „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“.... კაცობრიობის სიყვარული საკუთარი ერის სიყვარულით იწყება (ჩხეიძე 1996: 292-293). ალ. ორბელიანის მსოფლმხედველობა, შემოქმედების თემატიკა და განწყობა დიდწილად განაპირობა სწორედ სამშობლოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ.

ალექსანდრემ კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა. შემდგომში მას თანმიმდევრული განათლება არ მიუღია, შეიძლება ითქვას, თვითგანათლებას ეწეოდა. მისი შემოქმედება, როგორც მხატვრული, მემუარული, ისე პუბლიცისტური წერილები, წარმოაჩენენ ღრმად მოფიქრალ, ანალიტიკური გონების ადამიანს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი, თვითმყოფადი სამყარო და პრინციპული შეხედულებები შემოქმედებით, სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საკითხებზე.

ალ. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა არც ისე დიდია, მას ეკუთვნის ლექსები, დრამები, პიესები, მემუარული და პუბლიცისტური წერილები. 1853 წელს ჟურნალ „ციკარში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი „რუსთაველი“, ავტორისავე მინაწერით ლექსი შექმნილია 1852 წელს ალგეთის ხეობაში, წმ. სამების მთაზე.

აღნიშნული ლექსი შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მასზე ყურადღება გაამახვილეს ალ. ორბელიანის და, ზოგადად, ქართული რომანტიზმის მკვლევარებმა, მათ შორის: მიხეილ ზანდუკელმა, შალვა რადიანმა, გერონტი ქიქოძემ, სერგი ჭილაიამ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, აპოლონ მახარაძემ, ალექსანდრე კალანდაძემ, რევაზ სირაძემ და ნინო ვახანიამ. ლექსის შეფასება არაერთგვაროვანია. ის მიიჩნევა ტრივიალურ შესხმა-ქებად რუსთაველისა, ან საყურადღებო ტექსტად როგორც შინაარსის, ისე პოეტური ფორმის თვალსაზრისით. ცალსახა ერთი რამ: მასში ჩანს რუსთაველის შემოქმედების ღრმა ცოდნა, მეტიც, იკითხება ორბელიანის რუსთველოლოგიური კონცეფცია. ეს არის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი პირველი ცდა, გამოიკვეთოს რუსთაველის შემოქმედების უმთავრესი მოტივები და პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ლექსი შექმნილია რუსთველოლოგიის საწყის ეტაპზე, როდესაც სამეცნიერო ნარკვევები საკმაოდ მწირია. 1852 წლამდე არსებობს პოემის ორიოდე გამოცემა: „ვეფხის ტყაოსანი“, 1712 წელი (ვახტანგი-

სეული), და „ვეფხისტყაოსანი“ მარი ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის რედაქციით, მარი ბროსეს წინასიტყვაობით, 1841 წელი. გამოქვეყნებულია რუსთველოლოგიური ნარკვევები, რომლებსაც დიდი ალბათობით პოეტი იცნობდა. ესენია: ევგენი ბოლხოვიტინოვის (წიგნში „ქართველი ერის კულტურა და მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, 1802); მარი ბროსეს, პლატონ იოსელიანის, დავით ჩუბინაშვილის, ანტონ პირველის, ტიმოთე გაბაშვილის წერილები და თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, 1843.

ამ ნარკვევებში რუსთაველის შემოქმედების შეფასება არაერთგვაროვანია (ვგულისხმობთ ანტონ პირველისა და ტიმოთე გაბაშვილის კრიტიკულ პოზიციებს), ამიტომაც სრულიად საფუძვლიანია ვახტანგ კოტეტიშვილის დაკვირვება: „ის სითამამე, რომელსაც იჩენს ავტორი (აღლ. ორბელიანი, ლ.კ.) რუსთაველის შეფასებაში, ააშკარავებს მისი აზროვნების დამოუკიდებლობას და უშიშრობას. მან რუსთაველი ყველაზე მაღლა დააყენა მთელი ქვეყნის პოეტთა შორის, და, ერთგვარად, წინამორბედად ექცა ცნობილ რუს პოეტს ბალმონტს, რომელმაც 1917 წელს თითქმის იგივე სთქვა....“ (კოტეტიშვილი 1965: 230).

ლექსი „რუსთაველი“ სტრუქტურულად სამი მონაკვეთისგან შედგება: 1. პოეტის ღვთაებრივი წარმომავლობა 2. ამქვეყნიური ცხოვრება და 3. მარადიული სამყოფელი.

რუსთაველის გენია, პოეტის აზრით, ღვთაებრივია, ამიტომაც ელოდება ზეცისგან კითხვებზე პასუხებს („ნეტავი მითხრან, ანუ ზეცითგანა გადმომძახონ“). ლექსი განმსჭვალულია გაცეებით და აფრთოვანებით. ჭარბობს კითხვითი ნაცვალსახელები: „ვინ“, „ვილაც“ „რომელს“, „რამდენი“ ..... რაც რუსთაველის ფენომენის იდუმალებას და ზეციურ წარმომავლობას მიანიშნებს. ტექსტი, ფაქტობრივად, შედგება კითხვებისგან რუსთაველის შესახებ. „ვინ“, ტრადიციულად, ღმერთის სახელს „ფარავს“, რუსთაველის ღვთიურობას მიმანიშნებელია ისიც, რომ „ვილაც მკურნალმა“ მას უკვდავება ასვა, იგი მზეშემოსილია.

რევაზ სირაძე წერილში „სული დავნებული სურვილითა“ განიხილავს ლექსის მხატვრულ სახეებსა და ცნებებს („რტო“, „ცთომილთ მოგფინეს მზის პოდირი“, „ცა პატივს გცემს ღრუბლის გრგვინვითა...“) სასულიერო მწერლობისა და „დავითიანის“ პარადიგმულ სახისმეტყველებათა გათვალისწინებით და ასკვნის, რომ „აღლ. ორბელიანის პოეტური სიტყვასმარება მიმართულია ორმხრივ: ღვთისა და რუსთაველისკენ. ამის გაუთვალისწინებლად გაუგებარი დარჩება ლექსის მთელი რიგი პასაჟები, რომლებიც უბრალო კონვენციურ ფრაზეოლოგიად ჩაითვლება და მეტიც, შეიძლება აღმოსავლური ტროპიკიდან მომდინარედაც კი მიგვაჩნია, რაც გამორიცხულია ამ ლექსისთვის... ეს

ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიურია და ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიული, შემდეგ რუსთველური და ამ გზით რომანტიზებული“ (სირაძე 1997: 49). ზოგადად, ალ. ორბელიანის შემოქმედებისთვის ნიშანდობლივია სიახლოვე კლასიციზტურ პოეზიასთან.

ორიგინალურ მხატვრულ სახეში – „სული დავენებული სურვილითა“ – რევაზ სირაძე საღვთო სიყვარულს ხედავს, რამდენადაც „სული“ და „სურვილი“ პეტრინულ-რუსთველურია, სურვილი ამ კონტექსტში საღვთო სწრაფვაა, „მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,“ (2,3) – ამ ტაეპში რუსთაველი ღმერთს სთხოვს სიყვარულის, საღვთო სწრაფვის უნარს, რომელიც სიკვდილამდე გაჰყვება.

ორბელიანის ლექსში გამჭვირვალე მინიშნებებია რუსთაველის სტრიქონებზე: („ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩვენა“? ცხადია, სტრიქონი შთაგონებულია რუსთაველის ტაეპით – „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა რბილისა“ (5,4). აქვე ჩანს სხვა რემინისცენციებიც: ორბელიანი: „ის რა ტყე არის, შენგნით მოღბნენ მხეც-ნადირნი გააფთრულნი,“ – რუსთაველი: „სმენად მხეცნი მოვიდიან,“ (967,1) ორბელიანი: „რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის ნადილს?“ – რუსთაველი: „რა წყალი ნახის გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა“ (840,2). ორბელიანი: „რომელს მინდორზე ილოცავდი, რომელ ცთომილთა მოგფინეს მზის პოდირი,“ – მოგვაგონებს ავთანდილის საუბარს მნათობებთან.

ალ. ორბელიანის აქცენტებმა რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხები მონიშნა: მაგალითად, პოემის უმთავრესი მოტივი: სიყვარული („ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩვენა“?), რუსთაველის ეთიკური კრედო: („ვინ გასწავა ცხოვრებისა წესი – მეგობრობა და ზნეობა“); ჰუმანიზმი, რომელიც ქრისტიანული მსოფლმხედველობიდანაა ამოზრდილი – („ვინ მოგიტანა დიდსულოვნობის რტო სასუფეველიდან?“).

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, რუსთაველის სიტყვა სავსეა ცრემლით და, ამავე დროს, სიტკბოებით („ვინ გაურია შენს მტკინვარეს ცრემლში აურაცხელი სიტკბო“). მან იცის, რომ პოეტმა პირადი ტკივილი გადმოსცა პოემაში; ჩანს, რაღაც სიმწარე აგემა წუთისოფელმა:

„როგორ, საიდან სცან ტკივილი სოფლის გულისა?  
ნეტა რად ილმე ტკინვა მისი, დაუდგრომლისა?“

რუსთაველის ამქვეყნიური ცხოვრება ბურუსითაა მოცული. ალექსანდრე ორბელიანი მის მშობლიურ მხარეს ედემის ბაღად წარმოიდგენს. სურს იცოდეს, ვინ იყვნენ მისი აღმზრდელები, ბრძენნი, ვისაც იგი დაულოცავთ, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა იგი და სხვა.

დასასრულ, პოეტი სულიერი თვალთვლით განჭვრეტს რუსთველის ყოფას ზესთასოფელში. ის ნეტარებაშია. სიმდიდრე და დიდება მასთან არარაობაა. დავით მეფესალმუნესაც კი ჯაზნის მისი პოეტური ძლიერება:

„რა უნდა იმ შენს მტერს დავითს შენგნით:  
შენი შურით თავის ქნარი უკეანეს ზღვაში გადაუგდია  
და მწარედ დასტირის სანყალი ზედა“.

„მტერი“ აქ, ცხადია, უნდა გავიგოთ, როგორც მოქიშპე პოეზიაში. ალ. ორბელიანის აზრით, რუსთაველის ხმოვანება მთელი ქვეყნის ლექს-მგოსნების ლაღადებას აღემატება.

ლექსი ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც საყურადღებოა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნულია ფაქტობრივად, ის ჩანს თეთრი ლექსის სათავედ და წინ უსწრებს ისეთ ნიმუშებს, როგორებიცაა გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“, უილიამ შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები, ი. ჭავჭავაძის „მუშა“, „აჩრდილის“ ცალკეული ადგილები და სხვა. ლექსი პროზაული ჰიმნოგრაფიის ნიმუშებს მოგვაგონებს. პროზაულ ფორმას, ამ შემთხვევაში, თავისი მხატვრული დანიშნულება აქვს, ის „ლექსში მედიტაციურობას აძლიერებს“ (რ. სირაძე). რუსთაველის ფენომენის ღვთიურობამ უბიძგა პოეტს ამ ფორმისაკენ, თითქოს მისი აღფრთოვანება და აღტაცება რუსთაველით ვერ „დაიტია“ რითმამ, სათქმელმა „დაარღვია“ პოეტური რითმისა და საზომის საზღვრები. ზოგადად, „ამაღლებულის ესთეტიკამ მიიყვანა ქართული ჰიმნოგრაფია ფორმით პროზაულ ლირიკამდე. დიდი წილი ჩვენი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობისა სწორედ პროზის ფორმითაა დაწერილი. ასეთია „აბოს წამების“ მეოთხე თავი, „ქებაი და დიდებაი აბოსი“ ან იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. პოეზიაში გაბატონდა აზრი, აზრს დაექვემდებარა ფორმა“ (სირაძე 2000: 238).

„რუსთაველს“ თავისუფალი ლექსის სათავედ მიიჩნევენ ვახტანგ კოტეტიშვილი და ალექსანდრე კალანდაძე: „როგორც ვერსიფიკაციის, ისე საერთოდ სტილის განვითარების ასპექტში გიორგი ერისთავის „ცისკარში“ დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან საგანგებო ინტერესს იმსახურებს ალ. ორბელიანის ბრწყინვალე ლექსი „რუსთაველს“. უწინარეს ყოვლისა, ანტონ ბაგრატიონის იამბიკო აქ ტექნიკურ სრულყოფას აღწევს, ახალი თვისობრიობით – „თავისუფალი ლექსის“ სახით გვევლინება, იქცევა მოგვიანებით უფლებამოპოვებული „თავისუფალი ლექსის“ უშუალო სათავედ“ (კალანდაძე 1986: 176).

აპოლონ მახარაძე, მსგავსად ზემოდასახელებული მკვლევრებისა, ფიქრობს, რომ პირველი ნიმუში ვერლიბრისა სწორედ ალექსანდრე ორბელიანმა მოგვცა. მისი აზრით, გავრცელებული შეხედულება, რომ

ივ. მაჩაბლისეული ვერსიფიკაციის სათავე ნიკოლოზ ბარათაშვილის მედიტაციური პოეზიაა, კორექტივს მოითხოვს.

ალექსანდრე ორბელიანი რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე მსჯელობს“ ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე დანერილ სტატიებში. წერილში „ქართული უბნობა, ანუ წერა“, რომელიც 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა, ალ. ორბელიანი „ვეფხისტყაოსანს“ ასახელებს, როგორც ენობრივად სანიმუშო ნაწარმოებს: „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი იმისათვის არის ისე კარგი, რომ ქართული სიტყვა თავის კავშირებით ისე შეწყობილია თავ-თავის ადგილს ყველა, ვითარცა საგანგებოს ხელოსნისგან შეწყობილი მარგალიტი ძვირფასი“ (ორბელიანი 1879: 183). სალიტერატურო სტილის თვალსაზრისითაც იდეალური ვეფხისტყაოსანია: „შოთა რუსთაველის ქართულ სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისათვის.“

ალექსანდრე ორბელიანი „ვეფხისტყაოსანს“ ეხება აგრეთვე წერილში „ზოგიერთი შემცნევა“. იგი თამარ მეფის სვებედნიერ დროს უკავშირებს რუსთაველის სტროფს:

“ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,  
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,  
ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,  
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. (1664,1)

ამავე დროს, ალ. ორბელიანი აქ ხედავს რუსთაველის ჰუმანისტური აზროვნების დიდ სიახლეს, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოციალური თანასწორობის იმ მოდელს, რომლისკენაც განვითარებული სახელმწიფო უნდა ისწრაფოვდეს.

შემდგომმა რუსთაველოლოგიურმა ძიებებმა დაადასტურა, რომ ალ. ორბელიანის კითხვები, შეხედულებები და შეფასება რუსთაველის შემოქმედებისა დღესაც რელევანტურია. ის თანხვედბა სხვა ქართველ რომანტიკოსთა დამოკიდებულებას დიდი პოეტისადმი. მათთვის ის არის „შოთა უკვდავი“, რომლის პოეტური ხელოვნება ყველა დროის დაუძლეველი მწვერვალია. ახალი რუსთაველის სახება კი მხოლოდ აღორძინებულ, ძლიერ საქართველოს უკავშირდება.

## დამოწმებანი:

**კალანდაძე 1986:** კალანდაძე ალ., „ალექსანდრე ორბელიანი“, წიგნში: „გვაქვს საგანძური“, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1986, გვ. 174-186.

**კოტეტიშვილი 1965:** კოტეტიშვილი ვ. *ალექსანდრე ორბელიანი, რჩეული ნაწერები* 2 წიგნად. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1965.

**მახარაძე 1982:** მახარაძე ა., „ალექსანდრე ორბელიანი“. წიგნში *ქართული რომანტიზმი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1982.

**ორბელიანი 1853:** ორბელიანი ალ. „*რუსთაველი*“. უ. ცისკარი, 1853, № 1.

**ორბელიანი 1879:** ჯამბაკურ-ორბელიანი ალ. ქართული უბნობა ანუ წერა, თ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი: 1879, გვ. 173-185.

**ორბელიანი 1865:** ორბელიანი ალ. „ზოგი ერთი შემცნევა“, „ცისკარი“, 1865, № 8, 31 გვ.

**რუსთაველი 1966:** რუსთაველი შოთა, *ვეფხისტყაოსანი*, თბილისი: 1966.

**სირაძე 2000:** სირაძე რ., ქართული კულტურის საფუძვლები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2000.

**სირაძე 1997:** სირაძე რ. „სული დავნებული სურვილითა“, ალ. ორბელიანის საზოგადოება, I სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი: „ლომისი“, 1997. გვ. 48-51.

**ჩხეიძე 1996:** ჩხეიძე რ., ალექსანდრე ორბელიანი, ბიოგრაფიული რომანი. თბილისი: „ლომისი“, 1996.

## **DAREJAN MENABDE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### ***My Journey from Tiflis to Petersburg by Grigol Orbeliani in the Context of Georgian Travel Literature***

In the diary of Grigol Orbeliani *My Journey from Tiflis to Petersburg* the writer's public views and worldview discourse are obvious. In the presentation attention is focused on the descriptive part of the work, the basic concepts and characteristics are accentuated which bring the *Journey* by Grigol Orbeliani even closer to the general tendencies of works of his contemporary authors of the same genre (G.Ratishvili, N.Onikashvili, Gr.Bagratiioni, I.Khelashvili, T.Bagratiioni) and fully demonstrate the place of this composition in the context of Georgian travel literature.

**Key words:** Grigol Orbeliani, Georgian Travel Literature.

## დარეჯან მინაბდი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“ ქართული სამოგზაურო ლიტერატურის კონტექსტში

გრიგოლ ორბელიანის სამგზავრო დღიური „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“ ქართული სამოგზაურო ლიტერატურის მრავალმხრივ საინტერესო ნიმუშია. უნდა ითქვას, რომ ტექსტის პუბლიკატორები და მკვლევრები უმეტეს შემთხვევაში გამოცალკევებულად ამახვილებდნენ ყურადღებას კონკრეტულ ეპიზოდებზე (ბუნების სურათები, დიალოგი ივანე აბხაზთან, ურთიერთობა რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებთან...) და ნაკლებად ეხებოდნენ დღიურის აღწერილობით ნაწილს. სამოგზაურო ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე კი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ გადმოგვცემს მწერალი საკუთარი თვალთ ნანახსა და განცდილს. მით უმეტეს, რომ გრიგოლ ორბელიანმა საკმაოდ ვრცლად აღწერა თბილისიდან პეტერბურამდე ყველა ქალაქი, სოფელი თუ მდინარე, ციხესიმაგრეები, ჩრდილოკავკასიელი ხალხებისა და რუსების ყოფა, ტრადიციები, მოსკოვისა და პეტერბურგის სიძველენი, დედაქალაქების კულტურული ცხოვრება, სამხედრო დაწესებულებები, მუზეუმები და ა. შ. საგულისხმოა, რომ მწერლის დაკვირვებული თვალი რუსული სინამდვილიდან არცთუ იშვიათად გამოარჩევს ევროპული ყოფის მახასიათებლებს და საგანგებოდ მსჯელობს მათ შესახებ (ზოგან ერთმანეთს ადარებს ევროპულ და აზიურ ცხოვრების წესსა და ტრადიციებს).

ჩვენი კვლევის საგანია ტექსტის აღწერილობითი ნაწილი, ის ძირითადი კონცეპტები და მახასიათებლები, რომლებიც გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობას“ აკავშირებს ამ ჟანრში მოღვაწე მის თანამედროვე ავტორთა (გ. რატიშვილი, ნ. ონიკაშვილი, გრ. ბაგრატიონი, ი. ხელაშვილი, თ. ბაგრატიონი) ნაწერების ზოგად ტენდენციებთან და წარმოაჩენს ამ თხზულებას ქართული სამოგზაურო ლიტერატურის კონტექსტში [არანაკლებ საინტერესო აღწერილობები გვხვდება XVIII საუკუნის იმ მწერალთა (გ. გელოვანი, ვ. ორბელიანი, ი. გედევანიშვილი, რ. დანიბეგაშვილი) ნაწერებშიც, რომლებმაც საქართველოდან რუსეთში იმოგზაურეს. აღსანიშნავია, რომ თავად პოეტი გრ. ორბელიანი არ მიმართავს იმ დროისათვის გავრცელებულ (გ. რატიშვილი, თ. ბაგრატიონი) ლექსჩართულ თხრობას].

ამთავითვე უნდა განვასხვავოთ ამ მოგზაურობათა მიზნები და ამოცანები. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მწერლებთან, რომელთა უმეტესი ნაწილი იძულებით, ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა რუსეთში (და, შესაბამისად, მათ ნაწერებში აისახა ის მძიმე განწყობა, რომელიც რუსეთში მოგზაურობას, უფრო ზუსტად, იძულებით ემიგრირებას, ახლდა). გრიგოლ ორბელიანი რუსეთში სულ სხვა მიზნით მიემგზავრებოდა, მაგრამ ტკივილი და საფიქრალი მასაც დაახლოებით იგივე ჰქონდა. მისი ფიქრი უკვე იმ შედეგებს ეხებოდა, რომლებიც რუსეთის ოცდაათწლიანმა ბატონობამ მოიტანა საქართველოში. ქვეყნის დამოუკიდებლობის, მისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ამ თხზულებაშიც ისევე აქტუალურია, როგორც მოგვიანებით დაწერილ ტექსტებში „ბედი ქართლისა“ და „მგზავრის წერილები“.

გრ. ორბელიანის დღიურის პირველი მკვლევარი და გამომცემელი პ. ინგოროყვა (ინგოროყვა 1928) მართებულად მიიჩნევდა, რომ „ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალო დღიურს, არამედ წმინდალიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიური დასდებია. „მგზავრობა“-ს შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც მას დოკუმენტალური პროზის ხასიათს ანიჭებს“ (ინგოროყვა 1940: 88). გრ. ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მრავლადაა წერილები, დღიურები (პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში მოგზაურობისა), მაგრამ „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ გამორჩეულია თავისი ლიტერატურული და მხატვრული ღირსებებით (განსაკუთრებით საინტერესოა მგზავრობის აღწერა თბილისიდან სტავროპოლამდე, რომელიც გადათეთრებული და რედაქტირებულია თვით ავტორის მიერ). როდესაც გრ. ორბელიანის ეს ტექსტი იწერებოდა, „დღიური“ ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული იყო და ქართულ მწერლობაშიც იმკვიდრებდა ადგილს (სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ ბაგრატიონი).

გრ. ორბელიანის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მან 1831 წლის ივნისში ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლების დავალებით ნოვგოროდში დაბანაკებული საგანგებო ქვეითი პოლკისათვის რუსეთში წაიყვანა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები; გზად რამდენიმე დღე დაყო მოსკოვში, შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში, ხოლო ამის მერე – ნოვგოროდში. ნოვგოროდში 1833 წლის 11 მარტს გრ. ორბელიანი მოულოდნელად გაჩხრიკეს, დააპატიმრეს და დაკითხვის შემდეგ საქართველოში დააბრუნეს. მას ბრალად ედებოდა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა. დაპატიმრების დროს პოეტს ჩამოართვეს წიგნები და ხელნაწერები. ხელნაწერთა შორის იყო ვრცელი დღიური, რომელსაც გრ. ორბელიანი საქართველოდან რუსეთში მგზა-



ვრობის დროს გზადაგზა წერდა (საინტერესოა, რომ ერთ-ერთ პირად წერილში (1835) გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას, ილიასაც, ურჩევდა: „სამხედრო სამსახური ამით არის კარგი, საცა არ გგონია, იქ მიხვალ, ამისათვის ყოველივე უნდა ყურადღებით გასინჯო, გამოიკითხო და დასახსომებლად ჩასწერო ჟურნალში“ – ორბელიანი 1936: 37).

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერები, რომლებიც ამ ტექსტს იკვლევდნენ (პ. ინგოროყვა, მ. ზანდუკელი, ლ. ასათიანი, ა. განურელია, ჯ. ჭუმბურიძე, ი. ევგენიძე, ნ. საღირაშვილი, ვ. შადური, მ. გოცაძე, ნ. ვახანია და სხვ.), ძირითადად განიხილავდნენ თხზულების პირველ ნაწილს – მართლაც რომანტიკოსის თვალთ დასახულ და არაჩვეულებრივად წარმოდგენილ ბუნების სურათებს, არაგვისა და თერგის მიდამოებს, დარიალის ხეობას (ბუნების ასეთი შთამბეჭდავი სურათები სამოგზაურო ტექსტებში არცთუ ხშირია)... ავტორის ფიქრებსა და ემოციებს მცხეთისა და სვეტიცხოვლის დათვალიერების დროს და ა. შ. თხზულების გამორჩეული მონაკვეთია „უბნობა ჩვენი“ – დიალოგი ივანე აფხაზსა და გრიგოლ ორბელიანს შორის (ორბელიანი 1959: 172-175), რომელიც არაერთი მეცნიერის მსჯელობის საგნად იქცა. სამგზავრო დღიურს, შეიძლება ითქვას, ფონად გასდევს 1832 წლის შეთქმულების საყოველთაო განწყობა, სტრუქციონებს შორის სრულიად ნათლად იკვეთება ავტორის დამოკიდებულება „ფარული საზოგადოებისადმი“. ტექსტში შეთქმულებასთან დაკავშირებული საკმაო ინფორმაციაა გაბნეული – დღიურის დასაწყისშივე მწერალი ახსენებს თავის „გულითადასა და ჭეშმარიტ“ შეთქმულ მეგობრებს, რომლებმაც გააცილეს იგი და მადლიერია მათთან სიახლოვისა: „ვაკურთხებ მარადჟამს მხვედრსა მას, რომელმანც შეგვკრა ჩვენ განუწყვეტელითა მეგობრობისა ჯაჭვითა“ (ორბელიანი 1959: 156; სხვათა შორის, თავის თანამოაზრე „ჭეშმარიტ“ მეგობრებს პოეტი სხვაგანაც ახსენებს – როდესაც ნოვგოროდიდან პეტერბურგისკენ მიემგზავრება: „ჩემი ფიქრები დიახ შორს ფრინვიდნენ ამ ღამეს, ესე იგი, თქვენთან, მეგობარნო ჩემნო! მე ვიყავ თქვენ შორის უხილავად და თქვენ კი ვერა მგრძნობდით მე“ – ორბელიანი 1959: 219); საქართველოს სამხედრო გზაზე გავლისას მწერალი დეტალურად აღწერს რუსების საჯარისო დისლოკაციის ადგილებსა და ჯარების რაოდენობას. ჯერ კიდევ პ. ინგოროყვამ შენიშნა, რომ გრ. ორბელიანი საქართველოს სამხედრო გზასა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში დაწვრილებით აღწერდა, „თუ სად არის მეფის ჯარების შესაკრებელი ადგილები, სად რამდენი რეგულიარული ჯარი არის დაბანაკებული და რა ხასიათის იარაღი აქვს ამ ჯარს... ცნობებს ჯარის დისლოკაციის შესახებ გრ. ორბელიანი, ჩანს, აწვდიდა თბილისში შეთქმულთა მთავარ კომიტეტს სანდო პირთა საშუალებით“ (ინგოროყვა 1940: 93);

შეთქმულების საკითხებსვე უკავშირდებოდა გრ. ორბელიანის შეხვედრები მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან, რასაც ქვემოთ ცალკე შევეხებით.

თუ საქართველოს სამხედრო გზასთან დაკავშირებით მწერალს სტრატეგიული მიზნებიც ამოძრავებდა (მაგალითად, „ფასანაურს დგას ნახევარი როტა სალდათი“, „შევისვენეთ კაიშაურს, სადაცა დგას ერთი როტა სალდათი და ერთი ზარბაზანი“, „შუა გზაზედ არის გაკეთებული პოსტი, სახელად დარიარი, სადაცა არს ერთი როტა ერთის ზარბაზნით“ და სხვ.), ჩრდილოეთ კავკასიიდან იგი უკვე სულ სხვა თვალთ იწყებს გარემოს გაცნობასა და აღწერას; აქ კლიმატური პირობებიც იცვლება და ლანდშაფტიც, ვლადიკავკაზის სიახლოვეს „თერგიცა ჰკარგავს ნელნელად გიჟურსა სირბილსა“ (ორბელიანი 1959: 162; საინტერესოა პარალელი ილიას „მგზავრის ნერილებიდან“). მწერლის ჩრდილოკავკასიური შთაბეჭდილებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ყაბარდოს აღწერა, რაც ამ მხარის ერთგვარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიმოხილვას წარმოადგენს (ორბელიანი 1959: 164-168).

ჩრდილოკავკასიელი ხალხების ყოფა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ქალაქები და სოფლები მეტ-ნაკლებად აღწერილია სხვა სამოგზაურო ტექსტებშიც, რომელთა ავტორები საქართველოდან რუსეთისკენ მიემგზავრებოდნენ. ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის ამალის წევრი გაბრიელ გელოვანი (გარდ. 1754 წ. შემდეგ) თავის „მცირე ანდერძში“ (გელოვანი 1963: 175-177) გვანვდის ცნობებს ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ძალმომრეობაზე ვახტანგის ამალის მიმართ. აღწერს ყალმუხთა ჯარის წყობას, მათს გარეგნობას: „ჩრდილოეთისა სპათა მხედრობანი, რაოდენნიმე ათასნი ჩინგიზთა მხედრობათა სპანი, თვალთ წვრილნი, პირით პრტყელნი, სრულიად ქარქამ-ხილფოსანი“ (გელოვანი 1963: 175); გზა მცირე ყაბარდოდან მოზდოკისა და ჩერქესკისაკენ აღწერილია გაბრიელ რატიშვილის (1771-გარდ. წ. უცნობია) თხზულებაში „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ (რატიშვილი 1962: 156-301), რომელშიც ცალკე სათაურითაა გამოყოფილი „ან გკადროთ ვითარება მოსდოკისა“ (რატიშვილი 1962: 164-171). მოზდოკი იყო პირველი ქალაქი, რომელიც გ. რატიშვილმა საქართველოს გარეთ ნახა. იგი განაცვიფრა მოსახლეობის მრავალეროვნულმა შემადგენლობამ: „არიან მუნ მოსახლენი ჩერქეზნი და ოვსნი მრავლად, არიან რუსნი მცირედ, ქართველნი, სომეხნი და ფრანგნიცა (=კათოლიკენი – დ. მ.) მრავლად სრულიად საქართველოსანი“ (რატიშვილი 1962: 164). თავისი შთაბეჭდილება ავტორმა ლექსითაც გამოხატა: „მოსდოკი მცირე ქალაქი არს სავსე ქართველთ ძეებით, / კარგნი პურადნი კაცნი და ქალნიცა მათთან მწეებით...“ (რატიშვილი 1962: 165); ცნობები მცირე ყაბარდოზე,

მოზდოკსა და ჩერკესკზე გვხვდება აგრეთვე ნიკოლოზ ონიკაშვილის (დაბ. და გარდ. წწ. უცნობია) თხზულებაში „მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე“ (მეფარიშვილი 1971: 192-236), რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ჩავიდნენ „პატარა ყაბარდოდ ნოდებულსა ადგილსა, უცხოდ და საამოდ მსახლობელთა ხალხთა...“ (მეფარიშვილი 1971: 194); მოზდოკი და ჩერკესკი მოკლელაა აღწერილი თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) დღიურში „მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1962: 310-317). ავტორი აღწერს მოზდოკის მართლმადიდებელ ეკლესიას: „არის სობორო ესე ძველი, ფიცრისაგან ნაშენი, კეთილის კანკლით და კრებულით შემკობილი“, რომლის შორიახლოს „არს ეკლესიანი ფრანგთა და სომეხთა“, სადაც მწერალს იეზუიტი პატრებიც უნახავს (თეიმურაზ ბაგრატიონი 1962: 311) და სხვ.

ეს აღწერილობები თავისთავად საყურადღებოა, მაგრამ არც ერთ მათგანში არ ჩანს ისეთი ფართო და სიღრმისეული ინტერესი ამ კუთხის მოსახლეობისადმი, როგორც გრ. ორბელიანის „მგზავრობაშია“. ასეთი დაკვირვებითა და ცოდნით დაწერილი დახასიათება ჩრდილო კავკასიისა ჩვენს სამოგზაურო ლიტერატურაში მართლაც იშვიათია. გრ. ორბელიანი დეტალურად აღწერს ყაბარდოელთა ცხოვრების წესს, მათს ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს. დღიურის ეს მონაკვეთი იწყება ყაბარდოს გეოგრაფიული მდებარეობის აღწერით და გრძელდება თავისუფლებისმოყვარე ყაბარდოელთა ისტორიული წარსულის გადმოცემით:

„ვლადიკავკასიიდან დაიწყების ყაბართოს მამული: ყაბართო განიყოფების ორად, დიდად და მცირედ. ამ ორთა განჰყოფს მდინარე თერგი... უწინ ძლიერი ხალხი იყო; გარნა საშინელმან ჭირმან განყვიტა, და შემდეგ ბრძოლამან პირისპირ რუსთა. უმეტესი ნაწილი ხალხისა, წინააღმდეგი ყოვლისა მორჩილებისა, გაიქცა ყუბანის იქით. – ყაბართოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლისათვისცა ებრძვიან ესოდენთა წელთა რუსთა, რომელთაცა შეაინროეს ფრიად, დაამცირეს და დაიპყრეს მთელი ყაბართო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერა აღხოცეს მათ შორის. ესენი არიან მხნენი და ყოველთვის საომრად განმზადებულნი და მარადის ეძიებენ შემთხვევასა, რათა დაიხსნან მამული თვისი რუსთაგან“ (ორბელიანი 1959: 164).

მწერალი საგანგებოდ გამოყოფს ყაბარდოელთა სტუმართმოყვარეობასა და ქალისადმი პატივისცემას: „სტუმართმოყვარეობასა არათუ ოდენ ყაბართოელნი, არამედ ყოველნი კავკასიისა ხალხნი ჰრაცხვენ უწმიდეს მოვალეობად. – სტუმარი, გინა იყოს უცნობი, შევალს რა მათდა სახლსა შინა, იქმნების შეუხებელ ყოველთა მისთა მტერთაგან და პატივცემულ ყოვლისა სახლობისაგან... – დედაკაცი არიან მათ

შორის პატივცემულნი, ესრეთ რომელ ვინმე მისდევდეს სასიკვდილოდ მტერსა თვისსა, და ამან უკანასკნელმან მიახწივა დედაკაცთან, მაშინ მფარველობასა ქვეშე დედაკაცისასა იქმნების შეუხებელ“ (ორბელიანი 1959: 164-165).

მწერლის სიტყვით, „საქმე მათი არს იარალი, ცხენი და ბრძოლა“ (ორბელიანი 1959: 165). გრ. ორბელიანის დაკვირვებით, ყაზარდოელები ფლობენ საომარ ხელოვნებას და აქვთ სათანადო ტრადიციებიც: ახალგაზრდების სამხედრო აღზრდა ბავშვობიდანვე იწყება, საომრად გამოდიან განსაკუთრებული ჩაცმულობითა და აღჭურვილობით, დაღუპულ მეომარს არასოდეს ტოვებენ ბრძოლის ველზე, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს ამჯობინებენ... შემთხვევითი არ არის, რომ გრ. ორბელიანი, თვითონ სამხედრო პირი, ასე დეტალურად აღწერს ყაზარდოელთა სამხედრო მომზადებას. დღიურიდან კარგად ჩანს, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ყაზარდოელთა საომარ წარსულს და ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ ცხენზე ჯდომას, იარალის ხმარებასა და ვაჟკაცობას ყაზარდოელთა მსგავსად ყმანვილებს წინათ ქართველებიც ასწავლიდნენო: „ჩვეულება ესე იყო ოდესმე საქართველოშიც“ (ორბელიანი 1959: 165). დღიურში საინტერესო ცნობებია დამნაშავის დასჯის მეთოდებისა და ფორმების შესახებ, ნაჩვენებია ყაზარდოელთა საოჯახო ყოფა, ეტიკეტი, სამეურნეო საქმიანობა და სხვ. ყაზარდოს აღწერა გრ. ორბელიანის „მგზავრობის“ ერთ-ერთი გამორჩეული ეპიზოდია.

თხზულებაში ვრცლად არის აღწერილი დონის კაზაკთა ცხოვრება. ცნობები კაზაკთა შესახებ ქართულ სამოგზაურო ლიტერატურაში ნაკლებად გვხვდება. ამ მხრივ საინტერესოა გ. რატიშვილის, ნ. ონიკაშვილისა და თ. ბაგრატიონის ტექსტები, რომლებმაც შემოგვინახა მასალა დონის კაზაკთა იმდროინდელი ყოფის შესახებ. გ. რატიშვილის „მცირედ მოთხრობაში“ წარმოდგენილია კაზაკთა სამხედრო ფენა: „ყაზახნი – კაცნი მხენი და მამაცნი, უხვნი, სტუმართმოყვარენი, მონყალენი, უცხოთა შემწყნარებელნი და პატივისა მიმცემნი, თვით სჯულითა მართლისა სარწმუნოებისა აღმსარებელნი; ტანთა საცმელი მათი, მათნი იარაღნი და მათთა ცხენთა იარაღნი ემზავსება ჩერქეზისა იარაღთა თვინიერ მშვილდ-ისრისა, ქუდნი ქართული და არა ჩერქეზისა. ქალნი მათნი მშვენიერნი“ (რატიშვილი 1962: 171); ნ. ონიკაშვილის თხზულებაში ქალაქ ჩერკესკის მოსახლეობაზე ვკითხულობთ: „ქალაქსა მას შინა სახლობენ ჩინებულნი ხალხნი, დონისა ყაზახისანი და მცირედი რუსნიცა. ტანისამოსი აცვიათ წესისამებრ მათისა, კაცნი ჩინებულნი, მხენი, მამაცნი, ასაკოვანნი და სახითა საამოვნონი, უხვნი, მონყალენი, უცხოთ შემწყნარებელნი და სტუმართმოყვარენი“ (მეფარიშვილი 1971:

198); თ. ბაგრატიონი დაწვრილებით აღწერს „ჩერქეზ ქირმანს“, მის შემოგარენს, ქალაქის მოსახლეობასა და ღირსშესანიშნაობებს: „არის გამოღმით სოფელი ესე ორთა წყალთა, სადაცა იწყებთან აქ დიდნი წყალნი: დონცკი, რომელი ჩამოუდის ძველსა ჩერქეზ ქირმანსა აღმოსავლეთით და დასავლეთით წყალი აკსაი. და ორთა ამათ წყალთა შორის არს ძველი ჩერქეზ ქირმანი... არიან ამა ქალაქსა შინა მცხოვრებნი ყაზახნი ყოველნივე და არს ერთ კერძ გორასა ზედა შესახლებული ქალაქი ესე, რომელიცა დაყურებს წყალსა“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1962: 97).

გრ. ორბელიანი „მგზავრობაში“ აღწერს მდინარე დონის მიდამოებს, დონის კაზაკების ცხოვრებას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ქცევას, ჩაცმულობასა და ა. შ. (ორბელიანი 1959: 177-184). ტექსტის მიხედვით არ ჩანს, რომ ავტორი რაიმე წყაროს ეყრდნობოდა. ეს არის მწერლის თვალთ დანახული უცხო ხალხის ცხოვრება: „გამოჩნდნენ ქალაქნი როსტოვი, ნახჩევანი, სოფ. აქსაი და ჩერკასკი ქალაქი და სხვანი მრავალნი ყაზახის სტანიცები მდინარესა დონზე გამსკრივებულნი“ (ორბელიანი 1959: 178); აღწერილია დონზე ნავებით, ტივებითა და სავაჭრო გემებით ნაოსნობა; აქაურ კაზაკთა ჩაცმულობა და გარეგნობა: „ყაზახის ქალები არიან რუსისა ჩამომავალნი, გარნა სხვადასხვათა ერთა თანა შერევითა სახეცა აქვსთ დედაკაცთა ფრიად განსხვავებული რუსთაგან: შავთვალნარბნი აქვსთ ჩერქეზული, სახისა დაწყობილება აქვსთ ნოლური და კალმუხური, სითეთრე აქვსთ რუსისა“ (ორბელიანი 1959: 179); ცხოვრების წესი: „აქაურთა კეთილშობილთა არ შეუძლიანთ ჰყვანდესთ ყაზახნი ყმად: ესენი არიან თავისუფალნი და მხოლოდ მოვალენი, რომ თავის ცხენით და იარაღით უნდა საომრად გავიდეს, როცა ერგება რიგი“ (ორბელიანი 1959: 180).

რუსეთის დედაქალაქების გზაზე გრ. ორბელიანმა მოკლედ აღწერა ეკატერინობურგი, სტავროპოლი, ვორონეჟი, ტულა, სხვა მცირე ქალაქები თუ სოფლები და ბოლოს ჩავიდა რუსეთის ძველ დედაქალაქში – მოსკოვში.

„მოსკოვი“ ანუ „მოსკოვის აღწერა“ დღიურის ის ნაწილია, რომელზეც მწერალს საგანგებოდ არ უმუშავია. არსებითად ეს არის დღიურის შავი, დაუმუშავებელი ნაწილი, რომელიც ხელნაწერის სახით იყო შემორჩენილი და მხოლოდ 1956 წელს გამოქვეყნდა (გოცაძე 1956: 169-180). ტექსტის პუბლიკატორის, მ. გოცაძის, აზრით, ეს აღწერა ავტორს დაუმთავრებელი დარჩენია. მისივე დასკვნით, ამ ტექსტის წერისას გრ. ორბელიანი ხშირად ეყრდნობოდა ნ. კარამზინს და ზოგჯერ მისი ისტორიის თარგმნასაც კი მიმართავდა (გოცაძე 1956: 169-171).

მოსკოვის აღწერა გვხვდება არაერთ სამოგზაურო ტექსტში. მოსკოვსა და იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებზე ცნობები არის იონა

გედევანიშვილის (1737-1821; იონამ სიცოცხლის უკანასკნელი წლები „დიდსა რუსეთსა შინა, სამეფოსა მოსკოვს“ გაატარა) „მიმოსვლაში“ (გედევანიშვილი 1852: 143-145); მოსკოვის აღწერას მთელი გვერდი ეთმობა რაფიელ დანიბეგაშვილის (დაბ. და გარდ. წწ. უცნობია) ნიგნში „მოგზაურობა ინდოეთში“. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მწერალი ჩავიდა მოსკოვს: „ბოლოს, განგების წყალობით, მეღირსა მოსკოვის ხილვა... მე საკუთარი თვალთ ვიხილე ის დიდებული შენობები, ის უზარმაზარი ტაძრები და კოშკები, მცხოვრებთა ის სიმრავლე, მათი ის სიმდიდრე, რაც ყველაზე ძვირფასია, გონებათა ის განათლებულობა, გულთა ის ღმობიერება და სიკეთე, ის სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა, რომელთა შესახებ აქამდე მხოლოდ მსმენოდა თვით უშორეს ქვეყნებში“ (დანიბეგაშვილი 1962: 154-155); მოსკოვი აღწერილია გაბრიელ რატიშვილის „მცირედ მოთხრობაში“. ამ მონაკვეთის სათაურია „ვითარება მოსკოვის ქალაქისა, ვითა ჩემ მიერ შესაძლებელ იქმნების აღწერად“, თუმცა ავტორი ქალაქის საგანგებო ქებისაგან თავს იკავებს: „რად ეჭირება ან ჩემგან ქება მას ძველად ქებულსა“ (რატიშვილი 1862: 180). მიუხედავად ამისა, გ. რატიშვილმა აღწერა ქალაქი (ადგილმდებარეობა, არქიტექტურა, ნაგებობათა შიდა მოწყობილობა და მოხატულობა, მცხოვრებთა ყოფა და სხვ. – რატიშვილი 1962: 180-192); ცნობები მოსკოვის შესახებ შემოუნახავს ნიკოლოზ ონიკაშვილის „მოგზაურობასაც“. მწერალმა დაათვალიერა და აღწერა მოსკოვის ეკლესია-მონასტრები, სასახლეები, მუზეუმები, განსაკუთრებული ინტერესით გაეცნო კრემლის სიძველეებს, ბაღებსა და ბაზრებს, შეკრიბა ცნობები მოსახლეობაზე, დაესწრო ღვთისმსახურებასა და სახალხო დღესასწაულს. ამ „ფრიად სასიამოვნო“ ქალაქში მწერლის თვალი მიიზიდა „ქუჩათა უცხოთა და სასახლეთა კარგ ხელოვნებითა ნაშენთა“ ნახვამ (მეფარიშვილი 1971: 201).

გრ. ორბელიანის „მოსკოვი“ ზოგ შემთხვევაში დღიურის სახითაა წარმოდგენილი, ზოგან კი ავტორი გაბმულ თხრობას მიმართავს. „მოსკოვი“ შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან: „სამრეკლო, რომელსაცა პრევიან ივან ველიკი ანუ იოანე დიდი“, „უსპენსკის სობორი“, „ორუყეინის პალატა (ანუ საჭურველისა)“, „სამეფო ტახტნი სხვათა ხელმწიფეთაგან ნაჩუქებნი“, „კიტიას ქალაქის ნაწილი (კრასნი პლოშადი ანუ წითელი მოედანი, ესე იგი ლამაზი)“ (ორბელიანი 1959: 188-211).

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანის მოსკოვის აღწერა განსხვავდება ყველა იმ ტექსტისაგან, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ და აი, რითი: დასახელებული ავტორები გადმოგვცემენ პირად შთაბეჭდილებებს, აღწერენ იმას, რაც თავად ნახეს, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებასა თუ ემოციას. გრ. ორბელიანთან კი სხვა

ვითარებაა. ის არის ავტორი, რომელიც აღწერს არა მარტო თვალთ  
ნანახსა და განცდილს, არამედ ცდილობს, მასალა წარმოადგინოს  
მთელი სისრულით, მოგვცეს ძეგლისა თუ სანახაობის არა უბრალოდ  
აღწერა, არამედ შექმნის, აშენების, გამოყენებისა და ა. შ. ისტორია.  
მოსკოვის აღწერა იწყება ბორის გოდუნოვის ეპოქიდან: „ისტორია  
მოგვითხრობს...“, – წერს ავტორი და ეს ისტორიული აღწერა გრძელ-  
დება მწერლის თანამედროვე ეპოქამდე. ჩვენ წინაშეა ფართო ინტერე-  
სებისა და ერუდიციის ავტორი, რომელსაც მიზნად დაუსახავს არა მხ-  
ოლოდ ნანახის აღწერა, არამედ უცხო ქვეყნის ისტორიის, კულტურის,  
ხელოვნების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის. ჩვეულებრივ,  
დღიურის ავტორი (მით უმეტეს, მწერალი) ქვეცნობიერად ვარაუ-  
დობს, რომ ამ ტექსტს ოდესმე მკითხველი ეყოლება. გრ. ორბელიანი  
სწორედ ის ავტორია, რომელიც ტექსტის წამკითხველზეა ორიენტირე-  
ბული და ცდილობს, ყოველივე ნანახი ისტორიულ კონტექსტში წარ-  
მოუდგინოს მას. ამიტომაც ხშირად მიმართავს საისტორიო მასალას  
და იყენებს ისტორიული სურათის აღსადგენად. როგორც აღნიშნავენ,  
„თვით პოეტს ერთ-ერთი ჩვენების დროს საგამომძიებლო კომისიისთ-  
ვის განუცხადებია, რომ საკუთრივ რუსეთის ისტორიისა და ძეგლების  
დანვრილებით აღწერას ის მიზანი ჰქონდა, რომ მე მსურდა თანამე-  
მამულეებისათვის გამეცნო რუსეთის სიძლიერე... და თუ ჩემს კეთილ-  
განზრახვას ყოველთვის შესაფერისად ვერ ვასრულებ, – ყოველ შემ-  
თხვევაში, იქ სამსახურში მყოფ და აღზრდილ ქართველთაგან მე ვარ  
პირველი, რომელმაც ეს ღირსშესანიშნაობანი აღწერეო“ (ჭუმბურიძე  
1959: 0102-0103). მართალია, გრ. ორბელიანი არ არის პირველი, ვინც  
აღწერა მოგზაურობა საქართველოდან რუსეთში, მაგრამ ტექსტის ასე-  
თი სისრულისა და ისტორიული მასალით შევსების თვალსაზრისით ის  
მართლაც გამორჩეული ავტორია.

დღიურის ეს ნაწილი იწყება მოსკოვის კრემლისა და წითელი მოედ-  
ნის გაცნობით. აღწერილია კრემლის დიდი სამრეკლო, „მეფე ზარი“.   
კრემლის მიძინების ტაძრის, „უსპენსკის სობოროს“, შესახებ თხრობას  
მწერალი ასე იწყებს: „პირველად ვიდრე შევიდოდეთ ამა სობოროს გა-  
საჩხრეკლად, გავსინჯოთ ისტორია. რუსეთმა განაგდო მძიმე უღელი  
თათართა, რომელნიცა აოხრებდნენ უმეტეს ორისა საუკუნოისა და  
იყვნენ მისა მბრძანებელ“ (ორბელიანი 1959: 191) და ა. შ. ასეთია გრ.  
ორბელიანის წერის მანერა, ასე გვაცნობს იგი ღირსშესანიშნაობათა  
უმეტეს ნაწილს. ამდენად, აღარც გასაკვირია, რომ იგი ხშირად მიმარ-  
თავს საისტორიო ცნობებს.

მწერალი განსაკუთრებით დაუინტერესებია „ორუწყინის პალა-  
ტას“. იქ მას მეფეთა მრავალრიცხოვან გვირგვინებს შორის უნახავს

ქართველ მეფეთა რეგალიებიც: „გვირგვინი საქართველოს სამეფოსი, – ემზავასების იმპერატორის გვირგვინს, არს ჩამოსხმული ოქროსი, შემკობილი თვლებითა გვირგვინზე არს ვაშლი ანუ ბურთი და ჯვარი, ეგრეთვე ოქროსი; სკიპტრა საქართველოს მეფისა, არწივით თავზე, – არს ოქროსი მწვანეს (ემალით) დაფარული და შემკობილი თვლებით“ (ორბელიანი 1959: 201); ხოლო სხვა ხელმწიფეთაგან მირთმეულ სამეფო ტახტთა შორის იხსენიება ტახტი, „მირთმეული საქართველოს მეფის თეიმურაზის დავითის ძისა მიერ მეფე ალექსისადმი 1655 წელსა“ (ორბელიანი 1959: 206); ავტორს იქვე, მრავალი ქვეყნის საჭურველთა შორის, უნახავს „სრულიადი შეჭურვა ქართული“ (ორბელიანი 1959: 208).

მოსკოვში გრ. ორბელიანი დაესწრო წარმოდგენას თეატრში, რასაც მასზე დაუენიყარი შთაბეჭდილება მოუხდენია: „სალამოზე წაველით დიდს თეატრში. – რა შეველ, გავოცდი, ერთბაშად არ ვიცოდი, რა მეხილვა პირველად... არ შეიძლება აღწერა თეატრისა, უთოოდ უნდა იხილოს თვით, რომ იგრძნოს ყოველივე სიამოვნება და ის გონების მიტაცება“ (ორბელიანი 1959: 186).

მოსკოვის კრემლის ეზოში გრ. ორბელიანმა ნახა და აღწერა ნოვგოროდიდან ჩამოტანილი უზარმაზარი ზარი, რომლის ნახვამ მას ნოვგოროდის წარსული გაახსენა: „აქვე არს ნოვგოროდის ზარი... რომლისა ხმაზე შეიკრიბებოდნენ ნოვგოროდელნი რესპუბლიკის დროსა, გარდასაწყვეტლად მძიმის რესპუბლიკის საქმისათვის, ქალაქს გარეთ. ნოვგოროდელთა ზარი ესე გამოაცილეს დიდის ტირილითა. ვითარ არა ეტირნათ ამა ზარისათვის, რომლისა ხმა რაოდენსამე საუკუნესა შეჰკრებდა ვეჩეს, ანუ შესაკრებელსა ადგილს და მოაგონებდა მათ თავისუფლებასა, რომელიცა მიანიჭა მათ დიდმან თავადმან იაროსლავმან. – ვიდრემდის ზარი ესე ეკიდა ნოვგოროდს, რესპუბლიკური სული და აღრეულობა არა განქარდა მათ შორის“ (ორბელიანი 1959: 189); ხოლო როდესაც ნოვგოროდს მიუახლოვდნენ, იგი წერდა: „ფიქრმა ნოვგოროდისათვის არ დამაძინა დიდს ხანს... გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობა... ვოჩევოს ზარი, რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გადასაწყვეტლად... გარნა ან აღარც აჩრდილი ჰსჩანს უწინდელისა მის შემძლებელობისა. – რკინის ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი“ (ორბელიანი 1959: 216). ამ ციტატების მიხედვით ნათლად ჩანს გრ. ორბელიანის იმდროინდელი გატაცება რესპუბლიკური იდეებით.

გრ. ორბელიანის დღიურის მომდევნო ნაწილია „პეტერბურლი“. ამ ტექსტის ნაწყვეტები პირველად 1957 წელს ვ. შადურმა დაბეჭდა (შადური 1957: 169-177), ხოლო სრული ტექსტი მოგვიანებით გამოქვეყნ-



და (ორბელიანი 1959: 223-265). პეტერბურგში გრ. ორბელიანი ოთხი თვე დარჩა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამის ნახვა და აღწერა მოასწრო.

ცნობილ ისტორიულ გარემოებათა გამო XIX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში თავი მოიყარა ბევრმა ქართველმა მწერალმა, მთარგმნელმა თუ მეცნიერმა. მათ შორის იყვნენ იოანე, დავით და თეიმურაზ ბატონიშვილები, გ. ავალიშვილი, ი. ხელაშვილი, გ. რატიშვილი, ნ. ონიკაშვილი და სხვ. „ჩრდილოეთის დედაქალაქში“ მცხოვრები ქართველები ხშირად წერდნენ პეტერბურგზე. განსაკუთრებით საინტერესო იმ მწერალთა თხზულებებია, რომლებიც უშუალოდ გაეცნენ პეტერბურგსა და მის ღირსშესანიშნაობებს. პირველი ასეთი მწერალია ვახტანგ ორბელიანი (1700-1752), რომელიც იმყოფებოდა „სამეფოსა ქალაქსა პეტერბურგს“, მოინახულა პეტერგოფი და თავის თხზულებაში „ამბავნი პეტერლოფისა სრა-სახლთა და ბაღჩა-ბაღთანი“ (ორბელიანი 1962: 99-109) აღწერა კიდევ იგი. ცნობები პეტერბურგის შესახებ გვხვდება გაბრიელ გელოვანის („მცირე ანდერძი“) ნაწარმოებში. XIX საუკუნის დასაწყისის პეტერბურგი აღწერეს გ. რატიშვილმა (რატიშვილი 1962: 194-290), ნ. ონიკაშვილმა (მეფარიშვილი 1971: 207-210), თეიმურაზ ბაგრატიონმა (თეიმურაზ ბაგრატიონი 1962: 185-186), ი. ხელაშვილმა თავის თხზულებებში „რონინი“ და „პეტერგოფის აღწერა“ (ხელაშვილი 1962: 305-309; მეფარიშვილი 1986: 60-64), იოანე ბატონიშვილმა „კალმასობაში“ (იოანე ბატონიშვილი 1948: 155-161; თემის გარშემო ვრცლად იხ.: მენაბდე 2003<sup>ა</sup>: 135-145; მენაბდე 2003<sup>ბ</sup>: 163-170).

გრ. ორბელიანს პეტერბურგიც ისეთივე სიზუსტითა და დაკვირვებით აქვს აღწერილი, როგორც მოსკოვი. ჩანს საისტორიო ლიტერატურის კვალიც (ნ. კარამზინი, ა. რადიშჩევი – იხ. შადური 1962: 67), მაგრამ დღიურის ამ მონაკვეთში ავტორი უფრო უშუალოა მკითხველთან, უფრო ხშირად ურთავს სუბიექტურ შეფასებებს. გრ. ორბელიანი აღწერს ნევის სანაპიროს, პეტერბურგის გამყოფ არხებსა და პატარ-პატარა მდინარეებს, კუნძულებს... მან იცის, რომ ქალაქში სამი ათასამდე ქვითკირის სახლია და ხუთი ათასი – ხისა, რომლებშიც ცხოვრობს 400 000-მდე მცხოვრები; რომ ქალაქში არის 117 მართლმადიდებლური და 28 სხვა სარწმუნოების ეკლესია, 9 აკადემია, ბიბლიოთეკები, საერო სასწავლებლები, „რომლისა თავი არს უნივერსიტეტი, ყმანვილნი ჰსწავლობენ უფულოდ“ (ორბელიანი 1959: 224); რომ სახელმწიფოს ხარჯით არსებობს „თოთხმეტი ღოშპიტალი და ბოლნიცა“ (ორბელიანი 1959: 224); რომ ერმიტაჟში „ირიცხება უმეტეს ოთხი ათასი კარტინა, ერთმანეთზედა უმშვენიერესნი“ (ორბელიანი 1959: 253) და ა. შ. და ა. შ. დღიურში აღწერილია ალექსანდრე ნეველის ლავრა, ყაზანის ტაძ-

არი, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე, ერმიტაჟი, თეატრები და სხვ. გრ. ორბელიანის სიტყვით, „ვისაცა ჰსურს ხილვა ამა დიდშემკობილისა და უმშვენიერესისა ქალაქისა, – აღვიდეს ქალაქის კოშკსა ზედა და გადმოხედოს მუნიტ, ვითარი დიდებულებითი და საამო სახილველი წარმოუდგების წინაშე თვალთა!“ (ორბელიანი 1959: 224).

აღსანიშნავია გრ. ორბელიანის დაინტერესება თეატრალური ხელოვნებით. ჯერ კიდევ მოსკოვში, მცირე თეატრის სცენაზე, მან ნახა ცნობილი რუსი მსახიობის, პ. მოჩალოვის, თამაში, ხოლო პეტერბურგში დაესწრო „სანწყლის, უდროოდ მომკვდარის ღრიბოედოვის“ პიესის „ვაი ჭკუისგან“ წარმოდგენას (ორბელიანი 1959: 260). ნაკვეთში „საზოგადო სალხინო ადგილი“ გრ. ორბელიანი საგანგებოდ მსჯელობს თეატრის როლსა და მნიშვნელობაზე ერის კულტურულ ცხოვრებაში: „პირველი სალხინო ადგილი არს თეატრი, რომელიცა გამოაჩენს ხარისხსა ერის განათლებისასა და აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩვენისა წარმოდგენა... ძლიერ შეეწევის თეატრი სარწმუნოებასა ჩვენსა. – თეატრი რაოდენცა არს უკეთეს, ეგოდენ ერი, ანუ საზოგადოება არს განათლებულ, ხოლო ქვეყანასა მას, სადაცა არა არს სრულიად თეატრი, მუნცა არ არს განათლება ერისა. თეატრი არს პირველი განმმენდელი ზნეობისა ჩვენისა ყოველთა სიბილწეთაგან, მუნ ვხედავთ ყოველთა ჩვენთა ნაკულლოვანებათა“ (ორბელიანი 1959: 257).

დღიურში მწერალმა ვრცლად აღწერა აგრეთვე პეტერბურგის მახლობელი ქალაქები: პეტერგოფი, ორანიენბაუმი, ცარსკოე სელო, პავლოვსკი და სხვ. გამორჩეულია აღწერა პეტერგოფისა (ორბელიანი 1959: 262-263), რომლის შესახებაც ავტორი ასკვნის: „ღირსი არს პეტერგოფი, რომ რამდენიმე ათასი ვერსი გამოვლო განგებ ამის სანახავად მხოლოდ“ (ორბელიანი 1959: 263).

საზგასმით უნდა ითქვას, რომ პეტერგოფი და ზოგადად პეტერბურგული ყოფა და სანახაობა ავტორში აღძრავს ევროპული კულტურის არეალში მოქცევის განცდას, რაც არაერთხელ მკაფიოდ ჩანს ამ ტექსტში. გრ. ორბელიანი ერთმანეთისაგან გამიჯნავს, ერთი მხრივ, აზიურ ყოფასა და ტრადიციებს და, მეორე მხრივ, ევროპული ცხოვრების წესს და ეს უკანასკნელი მას პეტერბურგის მთავარ მახასიათებლად მიაჩნია: „აზიასა შინა არა უწყიან არცა ბალისა და არცა სახლისა შემკობა ესრედ დიდშვენიერად და ესრეთ გემოვნებით, ვითარცა აქ, და არცა საკვირველ არს, ვინაითგან აზია დიახ შორს ჰსდგას განათლებასა შინა ევროპიისაგან“ (ორბელიანი 1959: 221).

დღიურში აღწერილია გრ. ორბელიანის შეხვედრები რუსეთში გადასახლებულ სამეფო ოჯახის წევრებთან (მარიამ დედოფალი, ირაკლი,

ლუარსაბ, თეიმურაზ ბატონიშვილები და სხვ.), მათ შორის, 1832 წლის შეთქმულების ინიციატორებთან: მოსკოვში – ოქროპირ, ხოლო პეტერბურგში – დიმიტრი და ფარნაოზ ბატონიშვილებთან. ნიშანდობლივია, რომ თავის დღიურში გრ. ორბელიანი ხაზგასმით მიუთითებს, თუ რა თემაზე ჰქონდა საუბარი: „[ოქროპირ ბატონიშვილთან] ლაპარაკი გვქონდა მეფე ირაკლიზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულს ლექსებზე...“ (ორბელიანი 1959: 188), „[დიმიტრი და ფარნაოზ ბატონიშვილებთან] ლაპარაკი გვქონდა პირველთა მუზიკანტებზე: მოცარტზე... როსინზე...“; შემდეგ შეხვედრაზე: „გვქონდა უბნობა მხატვრობაზე: რაფაელი... მიქელანჯელო...“; შემდეგ: „ლაპარაკი იყო ლეოლრაფიაზე... სალამოზე მე და დიმიტრი ბატონისშვილმა [ვისაუბრეთ] საქართველოს სილარიბზე, რომელიცა ჰსწარმოებს მცხოვრებთა უცოდინობისაგან, თუ ვითარ და ანუ სადით ისარგებლოს. – ფაბრიკების გაკეთება და სხვანი ამგვარნი“ (ორბელიანი 1959: 263-264). რასაკვირველია, რუსეთში გადახვენილ ბატონიშვილებთან საუბრის თემა მხოლოდ მუსიკა, მხატვრობა და „ლეოლრაფია“ არ იქნებოდა. 1832 წლის აგვისტოში, სავარაუდოდ, შეხვედრების მთავარი თემა შეთქმულებისათვის მზადება, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მის მომავალზე მსჯელობა იქნებოდა. ამ შეხვედრებზე უთუოდ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილებოდა, რომელთა დაფარვა მწერალმა საჭიროდ ჩათვალა და საკუთარ დღიურში არ გაამხილა (საინტერესო დეტალი: გრ. ორბელიანი არაფერს ამბობს, თუ რა თემებზე ესაუბრებოდა ირაკლი, ლუარსაბ და თეიმურაზ ბატონიშვილებს. იქნებ იმიტომ, რომ ისინი არც იყვნენ ჩაბმული შეთქმულთა მოძრაობაში).

### **დამონებიანი:**

**განერელია 1959:** განერელია ა. გრიგოლ ორბელიანი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი). // გრ. ორბელიანი თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიას და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

**გედევანიშვილი 1852:** მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა (პ. იოსელიანის გამოცემა). თფილისი: 1852.

**გელოვანი 1963:** გელოვანი გ. „მცირე ანდერძი“. // ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (შ კოლექცია). III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1963.

**გოცაძე 1956:** გოცაძე მ. გრიგოლ ორბელიანის „მოსკოვის აღწერა“. „მნათობი“, 1956, № 3.

**დანბეგაშვილი 1962:** დანბეგაშვილი რ. მოგზაურობა ინდოეთში. // ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგენელი ვ. შადური. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1962.

**თეიმურაზ ბატონიშვილი 1962:** თეიმურაზ ბატონიშვილი [რუსეთში მოგზაურობის დღიური]. // ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგენელი ვ. შადური. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1962.

**ინგოროყვა 1928:** ინგოროყვა პ., გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები. „ქართული მწერლობა“, 1928, №6-7.

**ინგოროყვა 1940:** ინგოროყვა პ., გრ. ორბელიანის „მგზავრობა“. „მნათობი“, 1940, № 2.

**იოანე ბატონიშვილი 1948:** იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. II. კ. ეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბილისი: სახელგამი. 1948.

**მენაბდე 2003<sup>ა</sup>:** მენაბდე დ. პეტრე პირველი და მისი ქალაქი ძველ ქართულ მწერლობაში. ჟ. „ლიტერატურა და სხვა“, ივნისი (5), 2003.

**მენაბდე 2003<sup>ბ</sup>:** Менабде Д. Петербург глазами грузинских мемуаристов. „Литературная Грузия“. №1-3. 2003.

**მეფარიშვილი 1971:** მეფარიშვილი ლ. რუს და ქართველ ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ნ. ონიკაშვილის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე). „საისტორიო მოამბე“, № 25-26, 1971.

**მეფარიშვილი 1986:** მეფარიშვილი ლ. იონა ხელაშვილის საერო ხასიათის თხზულება. „მაცნე“ (ელს), 1986, №2.

**ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ. წერილები. ა. განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კ. გორდელაძის წინასიტყვაობით. ტ. I. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1936.

**ორბელიანი 1959:** ორბელიანი გრ. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიას და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

**ორბელიანი 1962:** ორბელიანი ვ. ამბავნი პეტერლოფისა... // ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგენელი ვ. შადური. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1962.

**რატიშვილი 1962:** რატიშვილი გ. მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა. // ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგენელი ვ. შადური. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1962.

**შადური 1957:** შადური ვ. გრიგოლ ორბელიანის „პეტერბურლი“. „მნათობი“, 1957, № 6.

**ჭუმბურიძე 1959:** ჭუმბურიძე ჯ. გრიგოლ ორბელიანის პროზა. // ორბელიანი გრ. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიას და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

**ხელაშვილი 1962:** ხელაშვილი ი. რონინი. // ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგენელი ვ. შადური. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1962.

# ბარათაშვილი და მსოფლიო რომანტიზმი Nikoloz Baratashvili and the World Romanticism

---

**NANA GONJILASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **For Understanding of Nikoloz Baratashvili's "Pegasus"**

N. Baratashvili's art is based on the Christian worldview.

It is well known that the first (the author's) title of the poem is "Desperate Rider" correlating with the Christian ideals of a hero and heroism – holy horseman and riding. The poem demonstrates the inner nature (knightly bravery, high spirits, permanent fight with the fate, internal struggle etc.) of the lyrical subject as a desperate rider.

In our opinion, the Pegasus is the symbol of the soul as only knightly brave soul is able to overcome all distances and obstacles (whether visible or invisible) and have super-aspirations.

If the Pegasus is regarded as the symbol of soul, Baratashvili's poetry can be presented symbolically, according to and within the area of the titles of his three poems – "The Orphaned Soul", "The Evil Spirit" and "Pegasus" (or the Soul).

**Key words:** Pegasus, Rider, Spirits struggle.

## **ნანა გონჯილაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ გააზრებისათვის**

ქართულ პოეზიაში, ვგონებ, არ იძებნება ლექსი, რომელიც გააზრებათა პლურალიზმითა და ტიპოლოგიურ მიმართებათა მრავალრიცხოვნებით ნ. ბარათაშვილის „მერანს“ გაუტოლდეს. დღესაც გრძელდება მისი ინტერპრეტაცია. ჩვენი ნაშრომი ერთ-ერთი ასეთი მოკრძალებული ცდაა.

უპირველეს ყოვლისა, გვმართებს ილია ჭავჭავაძის აზრის გამოკვეთა. ილიამ „მერანი“ სულის ქროლად მიიჩნია, მერნის ფრენა – „ადამია-

– „ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი“ „ჭკუა-გონების ქროლად“ (ჭავჭავაძე 1984: 663), ბედი ადამიანის გონების დამსაზღვრელად. თუ „სად გარბოდა“, საით მიისწრაფოდა მხედარი, ილიას აზრით, ამის პასუხს „მერანში“ ვერ ვიპოვით, მაგრამ „იგი მარტო ამას გვიქადაგებს, რომ ძებნა უნდა ამასაო თავგანწირულად და უშიშრად“ (იქვე).

„მერანის“ პრობლემეტიკის განხილვამდე, ყურადღებას ნაწარმოების სათაურზე შევაჩერებთ. ცნობილია, რომ 1842 წელს ნ. ბარათაშვილის ხელითვე გადაწერილ კრებულში ლექსის სახელწოდებაა „თავგანწირული მხედარი“, დანარჩენ სამ ხელნაწერში (1842-43 წ.წ) – „მირბის, მიმაფრენს“, ხოლო 1863 წელს დ. ჩუბინაშვილმა პეტერბურგში გამოცემულ „ქართული ქრისტომათიის“ II ნიგნში ლექსი შეიტანა სათაურით „მერანი“.

რ. სირაძე ყურადღებას ამახვილებს ავტორისეულ სათაურზე. „ძველი სათაურით („თავგანწირული მხედარი“ – ნ.გ.) ლექსის უმთავრესი იდეაა ხაზგასმული – ესაა თავგანწირვა და ამისათვის გამჟღავნებული უდიდესი ადამიანური ძალისხმევა, რომელიც რჩეულთა ხვედრია“ (სირაძე 1987: 232); მ. კვაჭანტირაძის აზრით, თავდაპირველი სახელწოდების შეცვლა „...იმაზე მიგვითითებს, რომ მისთვის ძირითადი აღსანიშნავი არც მარტოოდენ მხედარია და არც მარტოოდენ მერანი, არამედ ის მოძრაობა, რომელსაც მხედარი მერანთან ერთად ახორციელებს“ (კვაჭანტირაძე 2006: 37).

ზემოთხსენებულ შეხედულებებს სავსებით ვიზიარებთ. აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ ნ. ბარათაშვილის მიერ ლექსის თავდაპირველი სახელწოდება პოეტის გულიდან მომდინარეა და შემოქმედებითი პროცესის თანამდევი ემოციური განწყობის წარმომაჩენელი (გავიხსენოთ, გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ლექსის დაწერამდე და შემდგომ პოეტისაგან საკუთარი სულიერი მდგომარეობის გადმოცემა – „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დაწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“, ბარათაშვილი 1945: 75). სახელწოდებაში – „თავგანწირული მხედარი“ – წამყვანია „ტრფობისა მთაზე შადგომის“ მოსურნე მერანის უფალი-მხედარი. იგი წარმართავს, გეზს აძლევს მერანს, რათა „გიჟურ ლტოლვას“ მიეცეს და უკან დასახვევი გზა არ დაიტოვოს. ლექსის სათაურის შეცვლა კი, სავარაუდოდ, პოეტის განსჯილ-ნაფიქრის შედეგი უნდა იყოს. „მირბის, მიმაფრენს“ ერთიანად იტევს „ბრძენ გულს“, გამოხატავს რა გზა-კვალზე დამდ-

გარი ლირიკული გმირისა და მერნის ერთ სულ და ერთ ხორც მყოფობას, მათს სწრაფვათა თანხმეობას. შესაბამისად, ამ სახელწოდებით აზრის მთელი სიმძიმე ქროლაზეა გადატანილი და მიზნისაკენ სავალი „გზის შემოკლების“ და მომავლის სიკეთის რწმენითაა აღბეჭდილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველგანაა საუბარი მხედრის თავგანწირვასა და სულისკვეთებაზე, არ იხილვება უმთავრესი. ლექსის თავდაპირველი სათაური თვალნათლივ გააცხადებს, რომ **თავგანწირული მხედარი** მთელი თავისი შემართებით **ქრისტიანი მხედარია**, რასაც ლექსის მთელი შინა-არსი, ყოველი სიტყვა და ყოველი ტაეპი ამონმებს.

ლექსიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს და გამოიკვეთოს მერნის, „შავი ყორანის“, „ბედის სამძღვრის“ და „უვალი გზის“ საზრისი, რაც ლირიკული გმირის უმთავრესი სათქმელის მართლწვდომისათვის გზას გაკვალავს.

ჩნდება კითხვები – რა არის მერანი? რისი სიმბოლოა იგი? ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ნაშრომებში აღნიშნულის შესახებ ორიოდ ნაშრომი დაიძებნა, კერძოდ, რ. სირაძის აზრით, „ნ. ბარათაშვილისეული სიმბოლოს რაობის გასაგებად ძალზე საყურადღებოა, რომ არაერთი მისი მყარი სიმბოლო, გარეგნულად კონკრეტული სახისაა (მაგალითად, მერანი ან – ბედის ვარსკვლავი), სინამდვიეში კი, მთლიანად სულიერი რაობანი არიან. ე.ი. მათში სულის ფორმაც სულია“ (სირაძე 1987: 222); ა. გომართელის შეხედულებით, „...მოყვასისათვის ვნებული და გზის გამკვალავი მაცხოვრის სახე ...იდენტიფიკაციას მერანთან ჰპოვებს, მერანიც მაცხოვრის სახე-სიმბოლოდ აღიქმება“ (გომართელი 2017: 7) და „მერანი ქრისტეს (ძე ღვთისას) კაცებრივ ბუნებას განასახიერებს“ (იქვე: 8), რასაც ვერ დავეთანხმებით. შესაძლებელია, რომ მხედარი „ქრისტეს კაცებრივ ბუნებას“ მოუწოდებდეს, ამხნეებდეს და წარმართავდეს? ან „ქრისტეს კაცებრივი ბუნების“ მიერ განვლილი გზა „მაინც დარჩეს“?

მაშ, რა არის მერანი? რა შეიძლება იყოს ისეთი, რაც ადამიანს ყოველგვარ დაბრკოლებას (შინაგანსა და გარეგანს), დროსა და სივრცეს გადააღახვინებს და მიუწვდომელს სანვდომს გახდის? ეს არაა ფიქრი და წარმოსახვა-ოცნება, რამეთუ, ნ. ბარათაშვილისვე თქმით, „ცის ლაჟვარდს“ მსწრაფლნი „ფიქრნი“ იქამდე ვერ მიაღწევენ „და ჰაერშივე განიბნევიან!“ (ბარათაშვილი 1976: 5).

აღნიშნულ კითხვებზე სავსებით სარწმუნო პასუხს იძლევა რ. სირაძე – „სულია მერანიც. ისაა პიროვნული სულის ყველაზე მაღალი გამოვლინება...“ (სირაძე 1987: 216).

და მართლაც, მხოლოდ მხედრული შემართებით აღვსილ მღვიძარე სულს ძალუძს ბუნების ბატონობას, მინიერ საზრუნავსა და ამსოფ-

ლიურ ამოებას დაუსხლტეს და თავისი მხედარი „ბედის სამძღვარს გარდაატაროს“, მარადისობას შერთოს. მხოლოდ სული და მისი სრბოლის უსაზღვროებაა „ძღვევაჲ საკვირველი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში (დ. უზნაძე, პ. ინგოროყვა, ა. განერელია, გრ. კიკნაძე, გ. ქიქოძე, რ. სირაძე, თ. შარაბიძე, ა. გომართელი და სხვ.) არაერთგზისაა აღნიშნული, რომ „მერანში“ ნ. ბარათაშვილის შემართება პიროვნული თავისუფლების მოპოვებისთვის გამართული ბრძოლაა, რასაც სავსებით ვეთანხმებით.

რაც შეეხება „მერანის“ სხვა სახე-სიმბოლოებსა და სახე-იდებებს. „შავი ყორანის“ სიმბოლური დატვირთვის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული, კერძოდ, იგი არის ბრმა აუცილებლობის მტრული ძალები (გ. ასათიანი), პოეტის თანამედროვე ეპოქა (შ. ლლონტი), უხილავი მეორე „მე“ – ბოროტი სული (ბ. კილანავა), შავად მღვღვარი ფიქრი (რ. სირაძე), დემონური ძალა, კაცობრიობის მტერი (მ. ყიფიანი), რაციონალური აზროვნება (ა. გომართელი), უარყოფითი სახე-ხასიათით მიესადაგება ბედისა და ბედისწერის მითოლოგიამათა არქაულ გაგებას (ა. არაბული) და ა.შ.

ჩვენი აზრით, თუ ლირიკულ გმირს ქრისტიან მხედრად დავსახავთ, ძნელი არ უნდა იყოს მხედრის მადევარი „თვალბედითი შავი ყორანის“ საზრისის ამოცნობა. ვფიქრობთ, იგი თავისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლი მხედრის სულში გამართული ბრძოლის, სიკეთის მარკენალ „ბოროტ ზრახვათა“, ამქვეყნიურ ქვედამზიდველ ძალთა სიმბოლოა, სიცოცხლის ბოლომდე რომ „მისჩხავის“, სულის დაპატრონებას რომ ცდილობს, აღმაფრენას რომ ელოდება და „წყაროს წყალს“ დანაფების სურვილით აღვისიდ „წრფელ ზრახვათ“ რომ ებრძვის. „შავი ყორანი“ „გონების და სიცოცხლის აღმაშფოთი“ ბოროტი სულის გამოვლენაა, „სულის მშვიდობისა“ და რწმენის წარმწყმედი, ცრუ დაპირებებით („ჯოჯოხეთის სამოთხედ ქვევის“, „ტანჯვათა შორის სიამეთა დასახვის“ და „ამა სოფლად თავისუფლების“ მინიჭების) რომ ხიბლავს მოკვდავთ; ქვეყნად „უსაგნოდ“ და „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალს“ რომ ტოვებს მის ბრმა მინდობილთ. საგულისხმოა, რომ სიტყვა „თვალბედითი“, რომელიც ავი, ბოროტის შინაარსის გამომხატველია, ბედითაა განსაზღვრული; ბედი კი წუთისოფლისეულია, მისი თანამდევია. საგულისხმოა ისიც, რომ ნ. ბარათაშვილი სიცოცხლის ბოლომდე „ბოროტ ზრახვათა“ წინააღმდეგ შეჭურვილი მეომარია, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ „მერანის“ შემდგომ დაინერა მისი „სულო ბოროტო“. ადამიანის სული სიკეთისა და ბოროტების გამუდმებული ბრძოლის ასპარეზია და ამ ბრძოლას მხოლოდ სიკვდილი ასრულებს.

ზემოაღნიშნულ სახე-სიმბოლოებთან ერთად, მნიშვნელოვანია ბედისა და „ბედის სამძღვრის“ გააზრებანი. ამ შემთხვევაშიც მეცნიერ-



მკვლევართა სხვადასხვაგვარი შეხედულება ვლინდება,\* კერძოდ, ბედისწერა, ფატალიზმი (დ. უზნაძე, გ. ქიქოძე), მიწიერი ხუნდები (ა. განერელია), ბრძოლა „მესი თავისთავთან“, თავის საბედისწერო საზღვრებთან (გ. ქიქოძე), პოეტის ანმყო (ვ. კოტეტიშვილი) და ობიექტური სინამდვილე (გ. ასათიანი), ცხოვრებისეული შეზღუდულობა (რ. სირაძე), ბედის იქით რეალური ბედის ძიება, არსებულის გარდაქმნა (ბ. კილანავა), ბედისწერა – აღარც ღვთიურია და აღარც კეთილი“ (კ. ჯამბურია), გონების მიერ ორ სამყაროს შორის გავლელული საზღვარი (თ. შარაბიძე), განგების (ღმერთის) ნების წინააღმდეგ გალაშქრება (ნ. ვახანია) და სხვ.

„ბედის სამძღვარი“, ვფიქრობთ, ყოველგვარ ამქვეყნიურს ითავსებს, ტკობობა-სიამეთაც (ცხოვრებით ღმერთის სიხარულს) და ტანჯვათაც (ფიზიკურ თუ სულიერ განსაცდელს). საკუთარი ხვედრის შეცნობისკენ მსწრაფი, სულის მოხილვის გზაზე შემდგარი ნ. ბარათაშვილი ორივეს ეზიარა. ვფიქრობთ, ერთს (სოფლის სიამეთ – ნვეულებებს და სხვ.) – გამიზნულად, რათა „ბედი უბედოს“ მიერ მისთვის შემოსაზღვრული ცხოვრების (რაც სამხედრო კარიერის და სატრფოს „ვერ-მიხვდომისა წყენაში“ გამოიხატა) ჭეშმარიტი საზრისისათვის მიეგნო და „სულით ობლობა“ დაეძლია. თუმცა, ყოველივე ამაო იყო: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული“ (ბარათაშვილი 1945: 82) და „ძნელი არის მარტოობა სული-სა... ოხვრა არის შვება უბედურისა!“ (ბარათაშვილი 1976: 19).

რ. სირაძის აზრით, „როცა ირგვლივ ყველაფერი დახშულია... გახსნილია მხოლოდ ერთი გზა – გზა შინაგანი სულიერი ცხოვრებისა. ესაა მერანის ქროლის დიდი და თავისუფალი ასპარეზი. მთლიანად

სულიერი ცხოვრებით ცხოვრების უნარი დიდი თავისუფლების მომნიჭებელია... მხოლოდ პოეზია ქმნიდა საშუალებას სულიერად გადალახულიყო „ბედის სამზღვარი“ (სირაძე 1987: 229).

ჩვენი მხრივ, დავძენთ – იმის შეგნებამ, რომ „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“, პოეტის სულის მოძრაობა საპირისპირო ამპლიტუდით წარმართა და ხსნის ჭეშმარიტ საზრისამდე გზა გაუკვალა. რაც შეეხება რ. სირაძის მოსაზრებას, რომ მხოლოდ პოეზიაში იყო შესაძლებელი „ბედის სამძღვრის“ გადალახვა, ვერ გავიზიარებთ, რამეთუ პოეზიაში ამოთქმულს (თუკი ის ჭეშმარიტად ნაგრძნობ-განცდილია), მეტწილად, რეალურ ყოფაში პიროვნების შინაგან სამყაროში მიმდინარე ძვრები ესაძირკვლება, ამ კონკრეტულ

\* ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ბედის სხვადასხვა დატვირთვის შესახებ იხ. – ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწარები, თბ., 1965.

შემთხვევაში – პოეტის სულში გადახდილი დიდი ბრძოლა (რაც რეალურადაც გამოვლინდა – პოეტის განცდები „მერანის“ შექმნისას).

დ. უზნაძის სიტყვები – „...მთელი მისი სალიტერატურო შემოქმედება მხოლოდ „ოდისეა“ მისი თვითგამორკვევისადმი მიმსწრაფი სულისა“ (უზნაძე 1922: 246) – ვფიქრობთ, ერთიანად განმსაზღვრელია ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და პოეზიისა.

მართალია, „მერანი“ ნ. ბარათაშვილმა ილიკო ორბელიანს უძღვნა, მაგრამ, თავისთავად, ეს მის პიროვნებაში დიდი ხნის მანძილზე ნაფიქრ-ნასიტყვის შეჯამება, დასკვნითი სიტყვა იყო. „მერანის“ შექმნით ნ. ბარათაშვილი თავის „ლექსსაც ამოთქვამს“, რომელიც დიდხანს სულს უფორიაქებდა. ლექსმა პასუხი გასცა მის უმნიშვნელოვანეს კითხვებს, როგორ იცხოვროს სულით ობოლმა რეალურ სივრცესა და დროში, როგორ დაძლიოს გაუცხოება, ამაღლდეს „გონებისა და გულისათვის უსარგებლო“ ყოფაზე, როგორ გაარღვიოს მის ირგვლივ დრო-სივრცით შემორკალული წრებრუნვა, ტკივილით, უნდობლობით, უიმედობით რომ აღავსებს. ვფიქრობთ, ილიკოს ტყვეობა იქცა ბიძგად პოეტის სულის ტყვეობიდან გასათავისუფლებად. საკუთარმა ლექსმა ერთიანად შეძრა. თითქოს აღმოაჩინა, რომ ამ წუთისოფელში ლოდინი მისი მხსნელი კაცისა, რომელიც „ამ პატარა ღრე-კლდეს“ გაიყვანდა და „გაშლილს ადგილს“ დააყენებდა, ჭეშმარიტ თავისუფლებას ვერ მოუტანდა. „თავგანწირული მხედრის“ სიტყვებმა მიაგნებინა ეს „გაშლილი ადგილი“, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას რომ მისცემდა; ჩასწვდა უმთავრესს – გარეთ სახილველი შიგნით უნდა მოეხილა.

მ. ბუბერის (ბუბერი 1979) თქმით, ყოველდღიური ამაოებიდან თავის დასაღწევად ადამიანმა, რომელიც კაცთა შორის ცხოვრობს და რომელსაც ყველაფერი ეწინააღმდეგება, ეგოცენტრისტული „მე“ უნდა სძლიოს და უნდა დაამკვიდროს პიროვნების „ღრმა“ „მე“.

ილიკოსადმი მიძღვნილი „მერანი“, ვფიქრობთ, პოეტისაგან ერთგვარი ცდაა მხედრული სულის გაღვიძებისა, ხაროში მყოფის გამხსნელება და ხსნის გზათა ჩვენება (ამ გზით, თანამოდმეთათვისაც), რომ ფიზიკური ტყვეობა სულიერი თავისუფლებით იძლევა. მისი სიტყვების – „ვიცი, გულში ჩაიცინებს (ილიკო – ნ. გ.) და არ იქნება, მით არა ენუგემოს რა“ (ბარათაშვილი 1945: 75), მიხედვით, ილიკოს „ჩაიცინება“, ალბათ, დისწულისგან აღნიშნულის შესხენებას უკავშირდება, ლექსით აღძრული ნუგეში კი მისი შინა-არსით იქნება გამონვეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა განხილული მხედრის „თელილი“ „უვალი გზის“ საზრისი. ვფიქრობთ, „გზა უვალი“ არ უნდა უკავშირდებოდეს „ახალის აზრებისა და ახალი ცხოვრებისათვის“ ქადაგებას (ა. ფურცელაძე), „ისტორიის პროგრესისა“ და კაცობრიობის

უკეთესი მომავლის რწმენას (ა. ქუთელია, ბ. კილანავა, ა. არაბული), „პესიმიზმისა და ინდივიდუალიზმის“ დაძლევის გზას (ა. ქუთელია), „მომავლის გმირის“ მოვლინების წინასწარმეტყველებას (პ. ინგოროყვა), „ახალი საქართველოსათვის“ მოყვასისადმი სიყვარულის „ახალი მოძღვრების“ „ქურუმიდ“ გააზრებას (გ. ასათიანი), „პოლიტიკურ პათოსს“ (შ. ლლონტი), ჭეშმარიტების გონების თვალთვალთ განჭვრეტას (თ. შარაბიძე), განკაცებული უფლის მიერ გაკვალულ გზას (ა. გომართელი) და ა.შ.

აზრთა სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, მეცნიერთა უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ ნ. ბარათაშვილი „მერანში“ რაღაც ახალი თქვა. სავსებით გასაზიარებელია, რომ „ბედის სამძღვრების“ გადალახვა რწმენითაა შესაძლებელი. მაგრამ ეს „ახლის თქმასა“ და „უვალი გზის“ გაკვალვას გულისხმობს? მაშ რაა ის ახალი, რა აღმოაჩინა და რას მიაკვლია პოეტმა?

ვფიქრობთ, ლექსში „უვალი გზა“, სხვა ფაქტორებთან ერთად, მერანის „უგზო-უკვლოდ“ „ფრენას“ უკავშირდება. ნ. ბარათაშვილის თავგანწირვის გზა – „მამულიდან გაჭრისთვის“ სრული მზაობა, სულიერ გაჭრას გულისხმობს. ლირიკულმა გმირმა არ იცის ცხოვრებაში ამ რეალური გზის რაობა და ამიტომაც მისი სული თავდაუზოგავად და „უგზო-უკვლოდ“ მიჰქრის; თუმცა, მისი საზრისი სავსებით გათავისებული აქვს და მთელი არსებით ეძლევა ამ „გიჟურ ლტოლვას“ (აქ გვახსენდება გიორგი მერჩულეს სიტყვები ქართლიდან მიმავალი გრიგოლისა და მისი თანამზრახველების შესახებ: „...სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოდ უძლოდა მათ, ხედვიდა რაი გულსა მათსა წმიდასა და წყაროებრ დაუწყუედელსა ლოცვასა და ცრემლთა...“ – გიორგი მერჩულე 1963: 252). ლირიკული გმირის მიერ შინაგანი სამყაროს მოხილვა-„გათელვა“, რომელიც დიდ ტკივილს უკავშირდება და უდიდეს ძალისხმევას ითხოვს („მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“ – ბარათაშვილი 1945: 77), ლექსის დასასრულს „უვალი გზის“ საზრისად აღიქმება. ამდენად, ეს მხოლოდ მისი პირად-ინდივიდუალური, ახალი გზაა, რომელიც მოძმეთ შეენევა და ნიშნად (პარადიგმად) „დარჩება“. ისმის კითხვა – რაა ამ გზაში ახალი?

„ნ. ბარათაშვილის აზრთა წყობის საფუძველია თვითშემეცნება. „მეს“ გარეშე თითქმის არსად არა ჩანს „ჩვენ“, არც მისი ეროვნული და არც ზოგადსაკაცობრიო შინაარსით“ (სირაძე 1987: 225).

ნ. ბარათაშვილი ამ ცხოვრებაში ეძიებს ყველგან – შინ, საკუთარ სულში, თუ გარეთ. ცდილობს, ყველა სფერო შეიცნოს. მარტო დარჩენილი კი ფიქრობს, მსჯელობს და წუხს. მას ეს ქვეყანა კი არ სძულს და კი არ „წყევლის“ (ი. მეუნარგია), მისთვის იგი „უსაგნოა“. რა გზით

დააღწიოს თავი? ამის გარკვევას ესწრაფვის.

„ჩვენ უნდა ვეძიოთ სიცოცხლის საზრისი არა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით, ცალ-ცალკე რომ წარმოიდგენენ ხოლმე, არამედ სიცოცხლისეული ამ ორი ხაზის გაერთიანებაში, იქ, სადაც ისინი გადაეჯვარებიან“ (ტრუბეცკოი 1994: 293).

ნ. ბარათაშვილის ლირიკა ძიებაა ამა თუ იმ სფეროთა (წუთისოფელი, „აღუვსებელი სანყაული“, ადამიანის მოვალეობა, მშვენიერება, სიყვარული და სხვ.) წვდომისა და შეცნობისა. ეს ჭეშმარიტებისაკენ მიმსწრაფი სულის საფეხურიდან საფეხურზე აღმასვლაა (იოანე სინელის „კლემაქსის“ სულის სათნოებათა კიბის საფეხურებზე სვლის კვალობაზე). მისი პოეზია და ცხოვრება თვითშემეცნების გზაა, დიალოგიზირებული მონოლოგია მკითხველთან. რ. სირაძე აღნიშნავს, რომ სევდა ახლავდა მის ყოველგვარ ფიქრს და ამის კომპენსაციას ახდენდა უზომო მხიარულებით, „ეს გაორება არაა. ესაა ფსიქოლოგიურად შინაგანად გამართლებული მონაცვლეობა განწყობილებებისა. მთლიანპიროვნული განწყობა... ასეთი პიროვნება მთელი სიმძაფრით განიცდის სევდა-სიხარულის პოლარიზაციას“ (სირაძე 1987: 227).

„უვალი გზა“ წმინდანობის გზა არაა, მაგრამ მისი „მობაძავია“. ნ. ბარათაშვილი „ბედის სამძღვრების“ გადამლახავი „უვალი გზის“ გაკვალვაში სულიერი უდაბურების, სულით ობლობის ძლევის გზას უნდა გულისხმობდეს, რამეთუ ეს გზა ერთიანად მსჭვალავს მის პოეზიასა და პირად წერილებს და ყველა სატკივარზე მეტადაა თავჩენილი. ესაა პოეტის უმთავრესი „ზრუნვის საგანი“ – „მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის... კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ (ბარათაშვილი 1945: 76-77). სულით ობლობის დაძლევის გზას ეძებს იგი ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მეგობართა და ნათესავთ შორის, წვეულებებსა და სალონებში, მაგრამ – ამაოდ. კარიერული წინსვლა თუ სხვა რამ ქვეყნიური ასპარეზი, რომელიც, პოეტის თქმით, „თავისუფლად ამოსუნთქვის“ და თავისი „ასპარეზის“ „ხელმწიფურად გარდახედვის“ საშუალებას მისცემდა, ვფიქრობთ, მხოლოდ დროებით დააძლევინებდა „ძნელს“, სულით მარტოობას, რადგან „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“. „სული შენი ეძებს ახალ საზრდოს, აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას, უფრო ძლიერსა და პათეტიკურ სცენებს. და სანამ ის თავის დანიშნულებამდე

მივიდოდეს, მოწყენილი და ნაღვლიანია“ (ბარათაშვილი 1945: 82) – ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ეს სიტყვები პოეტის საკუთარი სულიერი გამოცდილების ნაყოფია. ნ. ბარათაშვილისთვის მარტოსულობის დაძლევა „ზეგარდმო მადლით ცხებული“ სიყვარულითაა შესაძლებელი, თუმცა „სულ ამო“ აღმოჩნდა იმედი სულის „განსასვენებელი“, „თავის მისადრეკი“ ტრფობის სასუფევლის მოპოვებისა. სულის მოხილვის გზაზე მდგარი პოეტისათვის „...ტფილისი ისევ ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ (ბარათაშვილი 1945: 73).

მოკვდავისათვის მარტოსულობის გადალახვის გზის სწავლებას ნ. ბარათაშვილი ვერსად პოულობს, ვერც ცხოვრებასა და, ვფიქრობთ, ვერც მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. მართალია, აგიოგრაფიაში (რიგ შემთხვევებში) მარტოსულობის განცდა თავჩენილია, მონამეობის გზაზე შემდგარი ადამიანისათვის ეს არაა მთავარი საზრუნავი. იგი ღვთისაკენ სწრაფვის, სიხარულით ნასაზრდოებ ტანჯვაგვემის გზაზე მონამის ადამიანური ბუნების გამოვლინებად აღიქმება (რომლის პარადიგმად გოლგოთაზე უფლის წარმოთქმული სიტყვები მიიჩნევა). „ცხოვრებათა“ ჟანრის გმირების შემთხვევაში, ღმერთთან მუდმივი თანაყოფის სურვილი და ამ გზაზე აღსრულებული ღვწა მარტოსულობის შეგრძნებისათვის ადგილს არ ტოვებს. მომდევნო ხანის საერო თხზულებების („ამირანდარეჯანიანსა“ და სახოტბო პოეზიაში, ჟანრობრივი თავისებურებათა გათვალისწინებით) გმირებთანაც არ ჩანს მარტოსულობის კვალი. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებთანაც იგი მთავარ საზრუნავს არ წარმოადგენს და მხოლოდ წუთისოფლის სიმუხბთლის ერთ-ერთ საყვედურად ისმის. მართალია, თინათინისაგან ავთანდილის წასვლა „მზის მიფარებად“ განიცდება, მაგრამ გმირთაგან დასახული საქმე უმთავრესია; მარტოდმარტო და „უგზო-უკვლოდ“ მოხეტიალე ავთანდილი („უგზოდ ვლიდეს, თუნდა გზეთსა“) გულით მუდამ ღმერთს, სატრფოსა და „ძმადფიცს“ დაატარებს. „სიკვდილს მიახლებული“ ვეფხისტყაოსანი ტარიელიც მუდამ ნესტანთანაა და მარტოსულობის განცდა მისი ვერპოვნით აღძრულ გაუსაძლის ტკივილში იძირება. აღნიშნული თვალსაზრისით, ნ. ბარათაშვილისთვის ყველაზე ახლობელი ქართულ მწერლობაში პირად-ინდივიდუალურის პირველგამომთქმელი, თვითშემეცნების გზას დამდგარი დავით გურამიშვილი იხილვება. ვფიქრობთ, მასთან მარტოსულობის განცდა „უძეობაზე“ ჩივილში ვლინდება, რომელიც „დავითიანის“ „შვილებით“, მისი „გაზრდითა“ და ყმანვილთათვის სწავლა-რგების სულისკვეთებით იძლევა. თითქოს გზაც ნაჩვენებია, მაგრამ ეს ყოვლისმომცველი გზაა და არა მხოლოდ მარტოსულთა და მიუსაფართათვის განკუთვნილი. თუმცა, ნ. ბარათაშვილის გზაც საბოლოოდ მას უერთდება, რამეთუ მარტო-

სულობასთან ბრძოლა მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენას ძალუძს – „...ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც კი ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული... ყმანვილობითვე შერვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“ (ბარათაშვილი 1945: 77). ეს სიტყვები ერთგვარად შეესიტყვება „მერანის“ შინა-არსს; აქ „გულცივი განცდა“ (მართლჭვრეტა) ყოველგვარი სუბიექტური გრძობისაგან განრიდება გულისხმობს, რასაც მისი „თავისუფალი ფიქრი“, „მტკიცე“, შეუძრავი გული და „სამოცი წლის მოხუცზე“ აღმატებული უსყიდველი მსაჯულობა მოწმობს (აქ გვახსენდება „მოხუცებულობა გონებისა“). მიუხედავად იმისა, რომ მას ადამიანის დანიშნულების საზრისის მიუწვდომელობა აფიქრებს, საკუთარ თავს და სხვათა ც თვითჩარმავეებისა და თვითშემეცნებისაკენ მოუწოდებს („ღრმად ჩაიხედე შენს გულში...“).

ბასილი დიდის სწავლებით, „უძნელეს არს ყოვლისავე ცნობა თავისა თვისსა... არა უმეტეს იცნობების ცისაგან და ქუეყანისა ღმერთი, ვითარ – იგი აგებულებისაგან ჩუენისა, უკუეთუ ვინმე გულისკმისმყოფით გამოიკულევდეს თავსა თვისსა“ (ბასილი დიდი 1948: 112).

ნ. ბარათაშვილის კითხვას – „სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკოს თავი?“ – „მერანი“ სცემს პასუხს. პოეტის „ღრმა მე“ დიდი ფიქრისა და შინაგანი ბრძოლის შემდეგ მარტოსულობის დაძლევის ერთადერთ ჭეშმარიტ, პიროვნული თავისუფლების მოპოვების გზას ირჩევს. „ნუ გძინავსო“ – ეუბნება შინაგანი ხმა და პასუხად თქმული: „მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს...“ (ბარათაშვილი 1945: 78) – მაუწყებელია, რომ სულიერი მღვიძარება ჯერ კიდევ არაა დამდგარი; „მერანში“ კი ამაოებიდან განრიდებადული და დრო-სივრცის გადამლაზავი „თავგანწირული“ ახოვანი სული „ზენაართ სამყოფისაკენ“ გზას თავად მიიკვლევს.

სულის მარტობასთან გამართული „მწარე ტანჯვა და ბრძოლა“, „კუეთება“ მშვენიერია („და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!“). ნ. ბარათაშვილმა ღვთის ხატობის („და კაცთა შორის ვით კერძოსა ღვთაებობისა“) დაჩენით, მინიერ სიამეთა დათმობით („სხვათ ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!“ – ბარათაშვილი 1945: 77), მონოდებით – „დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა“ (იქვე), რომელიც მისთვის არის „ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კაცი წაიღებს ამ სოფლისგან“ (იქვე), სწვდება ყოფიერების საზრისს და აღასრულებს ადამიანის მოვალეობას: „...და ჩემს შემდგო-

მად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ (ბარათაშვილი 1976: 53). მარტოობის ძლევისათვის რწმენით ცხოველყოფილი სულის „მშვენიერი ლტოლვა“ „უმაღლესი სიამეა“. ამგვარი მშვენიერი „კუთებით“ აღვსილ მშვენიერ სულშია უკვდავება.

ზ. კიკნაძე ერთობ საყურადღებო ნაშრომში წერს, რომ „ამაო იყო მისი იმედი, რომ „გზა უვალი, ჩემგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“. ყველა გზა ინდივიდუალურ-პიროვნულია, ყველასათვის საკუთრივ გასათელ-გასავლელი“ (კიკნაძე 2006: 85) და რომ „...ასე უგზო-უკვლოდ გაჭრილ პოეტს ერთადერთი იმედი ჰქონდა, რომ მისი გაჭრა მამულიდან... მის მოძმეებს (ანუ მასავით სულით ობოლთ) გზას გაუკაფავდა... მათი ბედისწერის მძლეველ ჰუნედ... გადაიქცეოდა... მაგრამ თუ გადავხედავთ მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურას, იქ ვერ ვიხილავთ მერნის ფლოქვების კვალს, ვერც „გზას, მისგან თელილს“, იგი წუთისოფლის შამბმა დაფარა“ (იქვე: 90).

სავსებით ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ მერანი „მასავით სულით ობოლთ“ „გზას გაუკაფავდა“, თუმცა, ვერ გავიზიარებთ შეხედულებას, რომ პოეტის სულისკვეთება და „თელილი გზა“ „შამბმა დაფარა“. მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაში შესაძლოა, მართლაც აღარ ჩანს მისი მერნის „ფლოქვების კვალი“, მაგრამ, ვფიქრობთ, მოძმეთათვის „სულით ობოლობის“ ძლევის სწორედ ეს პირად-ინდივიდუალური გზის ჩვენებაა ნიმუში, პარადიგმა. ესაა დემონსტრირება იმისა, რომ ბედისაგან დასაზღვრულ წუთისოფელში შესაძლებელია, ადამიანმა (მის მსგავსად) „ქალაქ ჰყოს“ სულის უდაბურება (მანამდე ეს გზა, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ მწერლობაში „უვალი“ ჩანს). ეს არაა მხოლოდ ლირიკული „მეს“ პოეტური „განმინდავება“. ეს სიტყვა არა მხოლოდ პოეზიაში უკვდავყოფისთვის ხმიანობს, არამედ, უმთავრესად, მოკვდავთათვის. მხოლოდ პიროვნული თავისუფლების მოპოვების გზით შეძლო მან ბედის საზღვრებისგან თავის დაღწევა, მაგრამ ეს არაა მისთვის საკმარისი. ამ გზის სხვათათვის ჩვენებაა ნ. ბარათაშვილისათვის უმთავრესი საოცნებო, რისთვისაც ღირს მამულიდან გადახვეწა და სიკვდილი (გვახსენდება ავთანდილის სიტყვები – „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრებ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისთვის თამამად და მიჩანს მღერად“ – რუსთაველი 1966: სტრ. 786). პოეტური სიტყვით ხორცშესხმული და დასახული ეს გზა სულით ობოლობის ძლევის მაძიებელ მკითხველ-მსმენელთა გულეებში მიიკვლევს გზას და, ვფიქრობთ, ესაა მისი მთავარი მიზანი და არა ოდენ ლიტერატურულ ფენომენად დარჩენა.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის...“ – ეს არა მარტო აღსარებაა, როგორც ამას რ. სირაძე სახელდება, არამედ სწავლება, ქადაგება-დამოძღვრა სულიერი წვრთნის, შეუპოვარი ბრძოლისა და დაუცხრომელი სწრაფვის შესახებ (მსგავსად დ. გურამიშვილის „დავითიანისა“, რომელიც ყმანვილთა და, ზოგადად, ქართველთათვის უფლისკენ სწრაფვის და თვითშემეცნებისკენ მიმართულ მოწოდებად, სწავლა-დარიგებად და მოძღვრებად წარმოდგება). „ადამიანი განსაზღვრავს თავის თავს, სჭედს თავის იმ ადამიანურ სახეს, რომელიც გადავა მარადიულობის საუფლოში ან მეორე სიკვდილს შეენიერება. შექმნა თვით საკუთარი სახისა ღვთის ხატობისა და მსგავსების შესატყვისად, არის სწორედ ის ჭეშმარიტი, სუბსტანციური და შემოქმედებითი საქმე, რომლისთვისაც მოწოდებულია ადამიანი“ (ტრუბეცკოი 1994: 487).

მერნის „უსამძღვრო ჭენება“ სიკეთისათვის წარმართული სულისკვეთებაა. ნ. ბარათაშვილისათვის ესაა „ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე“. მოყვასისათვის ამგვარ თავგანწირვასა და ცხოველმყოფელი სიყვარულის დაჩენას „ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება, და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!“ (ბარათაშვილი 1976: 55).

სამეცნიერო ლიტერატურაში „მერანის“ დასასრულის ტონალობაზე საუბრისას განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, კერძოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ აქ ოპტიმიზმის გამოვლენაა (ა. განერელია, გრ. კიკნაძე, ბ. არევაძე, რ. სირაძე, ბ. კილანავა, ა. გომართელი და ა.შ.), სხვები კი მას ტრაგიკული განწყობილების (დ. უზნაძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ქიქოძე, ზ. კიკნაძე და ა.შ.) და ტრაგიკული ოპტიმიზმის გამომხატველად მიიჩნევენ (გ. ასათიანი).

როგორია „მერანში“ თავჩენილი ლირიკული გმირის განწყობილება და რაგვარი პათოსი მსჭვალავს ლექსს, ამაზე პასუხს მის შინაარსზე დაკვირვება გამოკვეთს.

ვფიქრობთ, „მერანი“ არაა ტრაგიზმის გამომხატველი ლექსი. თავგანწირული მხედარი არ მარცხდება და არც შეიძლება, დამარცხდეს (ტრაგიკულობას აქ არ ქმნის მხედრის ფიზიკური სიკვდილი). მხედრის თავგანწირვას (რომელიც, ჩვენი აზრით, ქრისტიანული მხედრობაა) და მერნის (სულის) უსაზღვრო ფრენას ტრაგიკულობასთან საერთო არ აქვს, რამეთუ აქ მხედრის სულში ამქვეყნიურ ამაოებასთან გამართული ბრძოლის ძლევამოსილი შედეგია (მინიერი არტახებისგან გათავისუფლებისა) ნაჩვენები. სულიერ სამყაროში მიმდინარე ტანჯვასთან წილნაყარი ძვრა და ჭიდილი თავისუფალი ნების არჩევანია. ეს ტანჯვა-ბრძოლა დაუსრულებელი სწრაფვის, შესაძლებლობათა უსაზღვროების ნეტარება-სიხარულის (მიზნისკენ სწრაფვისა) განცდებითაა



„შემოსილ“-ნასაზრდოები, ვერანაირი დაბრკოლება, ვერც სულიერი (მამულისა და სწორ-მეგობართა, მშობელთა და სატრფოს დაშორება-დატოვება) და ვერც ფიზიკური, („თვალბედითი შავი ყორანი“, „კლდენი და ღრენი“, უგზო-უკვლობა) რომ ვერ შეაფერხებს; პირიქით, შეგნება და სრული მზაობა მონობის დაუმორჩილებლობისა („...არც ან ემონოს შენი მხედარი“) გამობრძმედს თავგანწირულ მხედარს და შესაძლებლობათა სრული რეალიზების საფუძველს ქმნის (მხედრის მონოდებები, შეძახილები კიდევ უფრო მეტად აძლიერებენ მხედრის ალტკინებული სწრაფვის სიხარულს). „მერანი“ სულის ქროლვისა და სწრაფვის „ალუესებელი სანყაულის“ განცდას ბადებს. გმირის სწრაფვის ამგვარი შინა-არსი, ჭეშმარიტებად და სიკეთედ რომ განიცდება, მერნის გიჟურ სრბას „მშვენიერ, გიჟურ ლტოლვად“ განასახოვნებს, რომელსაც რწმენა, სასოება და სიყვარული ესაძირკვლება (ერთი მხრივ – ღვთის რწმენა, სასოება და სიყვარული, მეორე მხრივ – რწმენა სულის ახოვანებისა, იმედი ხსნისა, სიყვარული მამულისა და მოძქეთა). ამის კვალობაზე, გვახსენდება ბიბლიური სწავლება – თუ არ აქ, მაშ სად? თუ არ დღეს, მაშ როდის? თუ არ მე, მაშ ვინ? ნ. ბერდიაევის (ბერდიაევი 1936) თქმით, „შინაგანი თვითგანსაზღვრა მოითხოვს ასკეზს. ადამიანი არის არსება, რომელსაც ძალუძს ამაღლდეს თავის თავზე, და ეს ამაღლება თავის თავზე, ტრანსცენტირება თავისი თავისა, თავისი თავის დახურული საზღვრებიდან გასვლა არის შემოქმედებითი აქტი თავისი თავისა. სწორედ შემოქმედებით გადალახავს თავის თავს ადამიანი; შემოქმედება არის არა თვითდამკვიდრება, არამედ თვითგანსაზღვრა.

და მართლაც, თავგანწირული მხედრისათვის სამშობლოს დატოვება, ვფიქრობთ, არაა გამოსავალი. სიკვდილის შიშის დამთრგუნველი პიროვნება გმირობას თავისსავე სივრცულ გარემოში აღასრულებს და, უპირველესად, საკუთარ თავში ამარცხებს „თვალბედით“ ძალებს და მარტოსულობის დრო-სივრცეს თავისუფლების დრო-სივრცედ გარდაქმნის.

ზ. კიკნაძე ნ. ბარათაშვილის განჯაში სიკვდილთან დაკავშირებით სვამს კითხვებს – „სად იყო მისი მერანი? სად იყო მხედარი? სად იყო ბედისწერის საზღვრის გადალახვა?“ (კიკნაძე 2006: 86) და „...სად მიდის ჩვენი პოეტი ანუ მისი სული, რომელმაც თითქოს დააღწია თავი წუთისოფლის (ანუ ბედისწერის) საკვრელებს. იგი გაექცა ბედის საზღვრებს, რათა უდაბურებასა და არარაობაში მოხვედრილიყო? თუმცა ეს კანონზომიერია: ერთი წლით ადრე დანერილ ლექსში „ვპოვე ტაძარი“ (1841) ის წუხს ნაპოვნი ტაძრის გაუჩინარებაზე – „განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემი მდუმარებს“ – ანუ რწმენის დაკარგვაზე ან მის შეუძლებლობაზე სეკულარულ XIX საუკუნეში, რომელიც ეს-ეს არის, იწყება“

(კიკნაძე 2006: 91). აღნიშნულის „კანონზომიერებად“ მიჩნევისათვის, ვფიქრობთ, არაა მიზანშეწონილი მისი ერთი წლით ადრე დაწერილი ლექსის („ვპოვე ტაძარის“) მოხმობა, რამეთუ ამქვეყნიურ არსებობაში ადამიანის სულში მიმდინარე ბრძოლა მუდმივია და იგი მხოლოდ გარდაცვალებით სრულდება. მღვიძარე სულის ამ მუდმივი ჭიდილის ნიმუში ნ. ბარათაშვილის ლირიკაა; თუნდაც ის ფაქტი, რომ „მერანის“ შემდგომ მისი „სულო ბოროტო“ იწერება. მომდევნო ლექსებშიც რწმენის დაკარგვაზე ჩივილი არ ჩანს, რაც, ვფიქრობთ, ცხადად მეტყველებს თვითშემეცნების გზას დამდგარი პოეტის სულის ახოვანებაზე, პიროვნული „მე“-ს შეუძვრელობაზე. აღნიშნულს საკვებით მიესადაგება კ. იასპერსის სიტყვები: „შეინყნარებს რა თავის ამქვეყნიურ არსებობას, იგი მაინც დაბეჯითებით მიელტვის ყოფიერებას (ყოფიერების სათავეს – ნ. გ.) ...იგი გადააბიჯებს თავისი მინიერი მყოფობისა და სამყაროს საზღვრებს, მათს საფუძვლებამდე აღწევს, მიისწრაფვის იქითკენ, სადაც მას თავისი საწყისთა (ფესვთა) რწმენა ეუფლება, და ამ დროს იგი თითქოს შესაქმის აქტში მონაწილეობს... თავის ცხოვრებაში იგი ეძებს მარადიულს საწყისსა და მიზანს შორის“ (იასპერსი 1994: 455).

„მერანში“, როგორც ითქვა, ურვა-შეჭირვებასა და მწუხარებას ადგილი არ აქვს, არც ერთ სიტყვაში სინანული არ ვლინდება. აქ პოეტის სიყვარულით წარმოთქმული ფოლადივით ნაჭედი ფრაზები ისმის (გვახსენდება რუსთაველის თქმული: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე – ნაჭედისა“, რუსთაველი 1966: 1137), ურყევი გადაწყვეტილებების დამამოწმებელი, კითხვის ნიშნისა და კითხვითი ინტონაციისგან დაცლილი. აქ იკვეთება, რომ სულს და მის სწრაფვას „არ აქვს სამძღვარი“. სული სპეტაკია, ფიქრი კი – მინიერი, დასაზღვრულ-შეზღუდული; იგი სხვაა, „შავად მღელვარია“. იგი ღელავს (ზღვისდარად), სული კი ფრენს (ჰაეროვნებით); ფრენა-ქროლა კი ღვთაებრიობით სუნთქავს – „და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა“ – დაბ. 1, 2). სპეტაკი სულის ფრენა-ქროლვამ უნდა გაფანტოს ფიქრის შავი ღელვა, რომელიც მხედარს უკანდადევნებულს „თვალბედითი შავი ყორნის“ ზრახვათა გამოძახილია. „მირბის, მიმაფრენს“ – ეს სიტყვები მინიერ-ხორციელ მერანს და სულს, მის ფრენა-აღმაფრენას ითავსებს. ნ. ბარათაშვილმა ამ ორი სიტყვის მოხმობით, საფიქრებელია, ადამიანის ბუნებაში სულისა და ხორცის მთლიანობა გამოკვეთა. მხედრის შეძახილი, რომლის მიზანი მერანის გამხნეება-„გაგულვანებაა“, გრძელდება და ახლა იგი თანამზრახველს სივრცული გარემოს, ამქვეყნიური დაბრკოლებების (ქარის, წყლის, კლდე-ღრეთა) გადალახვისაკენ მოუწოდებს. მოქმედების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები, ზოგადად, მხედრის სულისკვეთების შესატყვისია, რომელიც „გა“ ზმნისწინითაა

გამძაფრებული. „გაჰკვეთე“ და „გააპე“ – აქ მახვილს უკავშირდება. სულია მხედრის ბასრი, ყოვლისგამკვეთ-გამპოზი მახვილი – ქარისაც და წყლისაც, გარდამტარებელი კლეთა და ღრეთაც (გავიხსენოთ, გრიგოლ ხანძთელის პასუხად ეფრემის ნათქვამი სიტყვები – „ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკუთეთელ უფროსს მახვილისა“ – გიორგი მერჩულე 1963: 287). სივრცის გადალახვას ლირიკული

გმირისგან ყოფითი დროის („სავალ დღეთა“) დაძლევის წყურვილი ამძაფრებს. მიზნისკენ და ახალი სიცოცხლისკენ დაუცხრომელი სრბა მსხვერპლს ითხოვს, რასაც, ზოგადად, ქრისტიან მხედარში სიხარულის განცდა ახლავს. ასეთ სწრაფვას დაღლა-დაქანცულობა ვერ აბრკოლებს და ამიტომაც სულის მხედარი სრბოლის უწყვეტობას მოითხოვს. უარყოფითი „ნუ“ ნაწილაკით დაწყებულ კატეგორიულობით აღბეჭდილ სტროფებს სიყვარულის „ლბილი“ ჰანგი მსჭვალავს („რაა, მოვშორდე...“, „ნულა ვიხილავ...“). ეს სტროფი პირდაპირ გვამცნობს თავის თავთან და, ამავდროულად, მოძმესთან გამართულ დიალოგს. კატეგორიული ტონი აქაც არ ჩანს (ძახილის ნიშანიც არ იხილვება).

„მერანში“ სიხარულია თავგანწირვისა, რაზეც მეტყველებს ლექსის პათოსის გამომხატველი ცალკეული ფრაზები და ლექსიკური ერთეულები; ნაწილაკები – „რაა“, „ნულა“ – მოწმობს, რომ თავგანწირულ მხედარს თითქმის (აქ ჯერ კატეგორიული ტონი არ ვლინდება. „რაა მოვშორდე“ – აქ „რაა“ ხომ პირდაპირ ამას ამბობს: „მერე და რა“ ან „რა მოხდა, რომ“) გადალახული და დაწყვეტილი აქვს მინიერ სიყვარულთან მიჯაჭვულობის განცდები, თანდათანობით (აქ ფიქრში დაშვება-ვარაუდი ხშიანობს და არა გადაწყვეტილება) მალდება ამქვეყნიურ დამბორკავ ტრფობაზე, მამულთან, სწორ-მეგობრებთან, მშობლებთან და სატრფოსთან რომ აკავშირებს. აქვე ვლინდება, რომ იგი გადის მშობლიური დრო-სივრცის ფარგლებიდან და უცხო, უცნობ მხარეს მიაშურებს. „სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო“ – ამ ფრაზაში შემოსაზღვრულია მისი მომავალი (სავარაუდო) ახალი დრო-სივრცე („სად“ – „იქ“, „დამილამდეს“ – „გამითენდეს“), ხოლო შინა-არსით იგი ბიბლიურ ცნობიერებას ეხმიანება.

„აღბათ ბიბლია არის ერთადერთი წიგნი ძველ სამყაროში, სადაც გაცნობიერებულია „სამშობლოს“ იდეა. „სამშობლო“ – მშობელთა ქვეყანა, შობის ადგილი, მამის სახლი, „მამული“ – გარკვეული ცნებებია ძველ აღთქმაში, და რაც განსაკუთრებულია, გვხვდება იმ ადგილას, სადაც ადამიანს ევალება მიატოვოს ის... აბრაამის ისტორიიდან ირკვევა, რომ სამშობლო ინყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება... სამშობლოს განცდა საფლავით ინყება“ (კიკნაძე 1989: 28). ამისდა კვალობაზე, „მერანის“ მხედრისათვის სამშობლო იქნება

იქ, სადაც დაიმარხება; მთავარია, მიზანს მიაღწიოს, აღასრულოს საკუთარი მისია, დაიწყოს ახალი სიცოცხლე.

ლექსის მომდევნო ტაეპიდან ჩანს, რომ ლირიკული გმირი თავის გულისნადებს მხოლოდ „ვარსკვლავთა თანამავალთა“ ამცნობს. აქ, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება ავთანდილის გალობა შვიდთა მნათობთადმი. აღნიშნულის შესატყვისად, შესაძლებელია, ვარსკვლავიანი ზეცა მხედრის სულიერ სამყაროდ დავსახოთ, ვარსკვლავები – სულის წახნაგებად (რ. სირაძე), რაც „ზენაართ სამყოფის“ ადამიანურში ხილვას მოასწავებს. შესაძლებელია, იგი მიწიერების ზეციურობისკენ, სულის აღმაფრენისკენ სწრაფვაც ვავიზროთ (ვფიქრობთ, ამას გალაკტიონის „მე და ლამეც“ მიემართება).

„მერანის“ ეს ტაეპი რემინისცირდება ძველი აღთქმის კიდევ ერთ ეპიზოდთან, კერძოდ, როდესაც აბრაამს ჰქონდა ხილვა და სიტყვის გამოცხადება – „კარვიდან გამოსულმა დაინახა ცაში ვარსკვლავები და ჩაესმა ხმაც, რომელიც ეუბნებოდა, რომ მისი ნიალიდან ურიცხვი ხალხი გამოვიდოდა. ან შეიძლება სწორედ ამ ხმამ გამოიყვანა კარვიდან და ვარსკვლავებისკენ აახედა. მაშინ მან დაინახა ის, რასაც კარავში ანუ თავის თავში ჯერ ვერ იხილავდა, არამედ უნდა ერწმუნა (ვარსკვლავებით სავსე ცის ანალოგია არწმუნებდა) – ეს იყო საკუთარი ნიალი, რომელიც მომავლით იყო სავსე...“ (კიკნაძე 1979: 29-30). აღნიშნულთან მიმართებით, შესაძლებელია ფიქრი იმისა, რომ „მერანის“ თავგანწირული მხედარი „თანამავალ“ ვარსკვლავებში მისგან „თელილი“ გზის საზრისსა და მიზანს – მომავლის ნიაღს ხედავდეს („რომ ჩემს შემდგომად...“).

„მერანის“ მომდევნო სტროფში მიწიერ სიყვარულთან განშორების ტკივილი მოისმის – „კვნესა გულისა“, რომელიც „ტრფობის ნაშთია“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მხედარი შეელია მიწიერ სიყვარულს, მისი მხოლოდ „ნაშთი“ შემორჩა, რომელსაც მიწაზე ტოვებს, „ზღვის ღელვას“, სიყვარულის აბოზოქრებულ სტიქიას (მინას მიწისას) „აძლევს“, რათა სულის „მშვენიერს“ ლტოლვას მისცეს სრული თავისუფლება; გული ნების არჩევანს უთმობს ასპარეზს. ამგვარ სწრაფვას სასოება მიუძღვის, რომელიც „შავად მღელვარ ფიქრს“ უკვალოდ გააქრობს („ნიაღს მიეც“). ლირიკულმა გმირმა თითქოს მოიხილა შინაგანი სამყარო, შეეხო უმტკივნეულეს სიმებს, თავი გაიმხნევა და უკომპრომისო გადანყვეტილება მიიღო – „ნუ დავიმარხო...“ (აქ ნაწილაკი „რაა“ შეცვალა „ნუ“-მ). და მართლაც, ლექსის მომდევნო სტროფი გააცხადებს, რომ მხედარი ახოვანქმნილია, ყოველგვარ პირადულზე ამაღლებული, რასაც მოწმობს კვლავაც მამულთან, წინაპრებთან და სატრფოსთან (უკვე ცივი გონებით და კატეგორიული ტონით) გამოთხოვება.

კ. იასპერსის თქმით (იასპერსი 1994), ჩვენი არსებობის უმთავრესი პარადოქსი ისაა, რომ სამყაროზე ამაღლება მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ვცხოვრობთ სამყაროში. „აქ იგულისხმება სულიერი მხედრობა, ბრძოლა ბუნებრივის დასაძლევად, ერთადერთი რამ, რაც დავადაგამს გვირგვინს სრულყოფილი პიროვნებისა. ეს გვირგვინი ღვთის ხატის გაბრწყინებაა კაცში“ (ფარულავა 2002: 45).

ლირიკული გმირის წარმოსახვაში იხატება მისი სიკვდილის შემდგომი ბედიც – შავი ყორანი (შავი ბედის მეგზური) სადღაც („მდელოთა შორის ტიალის მინდვის“) გაუთხრის საფლავს (გამიზნულადაა მოხმობილი „ტიალი“; „ოხერ-ტიალი“ სანუთროს მიემართება). მხედრის უკომპრომისობით განზილებული შავი ბედის ქარიშხლის ზარი-ღრიალი ავბედიობის დამარცხებისგან გადმოღვრილ გოდებად და მწუხარებად აღიქმება. ბედს მხოლოდ ძვალნი დარჩება შურის საძიებლად და აღასრულებს ღვთის ნებას – მიწიერი მიწად იქცევა.

აქ გვახსენდება წამების გზას დამდგარი აბო თბილელის შესახებ თქმული – „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა. და სულითა თჳსითა მოგზაურ ქმნული თჳთ იტყოდა ფსალმუნსა ამას და მეთრვაამეტსა“ (საბანისძე 1963: 70).

ნ. ბარათაშვილიც, მონამის მსგავსად, თვალნათლივ წარმოსახავს თავისი სიკვდილის ერთობ შთამბეჭდავ სურათს, ზემოდან რომ დასცქერის. და „ახოვან ქმნილი“ ჭაბუკი მხედრული შემართებით შეჭურვილი ეკვეთება დროსა და სივრცეს. მან კარგად იცის, რომ ეს ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა, რომელიც თანამოქმედება უნდა ირჩიონ და „ჩვეულებისაებრ მამულისა სღვის გზად“ დასახონ. ყოველგვარ მიწიერზე ამაღლებულობა, „დაუინტერესებელი კმაყოფილებით“ (კანტი) აღვსება კანცელარიის კედლებს შორის ფიზიკურად მყოფ „ტყვეს“ ახალი სულიერი რეალობის – თავისუფლების „ტყვისა“ და „მონის“ – შემოქმედად აქცევს. სწორედ აქ იხილვება მერანიც, მერნის ფრენაც და მხედარიც, „ტყვე, საკნით ნააზატები“.

ლირიკული გმირის წარმოსახვაში მისი სიკვდილით შეჭირვებული სატრფო და მოყვანნი იხილვებიან; სატრფოს ცრემლს „ციური ცვარი“, „ნათესავთ გლოვას“ კი „მყივარ“ სვავთა ტირილი შეცვლის, მიწიერი სიყვარულის ცრემლთა სანაცვლოდ ზეციური მადლი ეპკურება. საგულისხმოა ისიც, რომ მიწიერი სავსებით შესატყვისი ლექსიკით წარმოდგება – „ნათესავთ გლოვა“ და „მივალალებენ სვავნი მყივარნი“. აღსანიშნია, რომ ლირიკული გმირის ცხედრის დამარხვის სცენა ერთობ უარყოფითი, შემზარავი ლექსიკითაა („შავი ყორანი“, „გამითხრის“, „ტიალის“, „ზარით“, „ღრიალით“ და ა. შ.) აღწერილი, რაც, შესაძლოა

(ზემოაღნიშნულთან ერთად), ხორციელების ქვედამზიდველ სიმძიმეს უკავშირდებოდეს და მისადმი მხედრის დამოკიდებულებასაც მიანიშნებდეს (ხორციელების დამცრობა-დამდაბლებას). აღნიშნულ სტროფს განასრულებს „ბედის სამძღვრის“ გადამლახავი სულის მიმართ მხედრის უმნიშვნელოვანესი სათქმელი, ნაჭედი სიტყვა – „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!“ (ბარათაშვილი 1976: 53). აქ იკვეთება, რომ სანუკვარი მიზნისკენ სწრაფვისას ლირიკული გმირი „არ დაემონა“ გულისთქმას, რომელიც ამაოდ ილტვის ხოლმე „ზენაართ სამყოფისაკენ“; გადახდილი ბრძოლის შემდგომ კი გამოხურვებული სული აღარ თმობს ასპარეზს. სიკვდილის შიში დაძლეულია – „დაე მოვჰკვდე...“. „უპატრონოდ“ და „მისგან ოხერი“ – ეს სიტყვები საცნაურს ხდის, რომ ობოლი სული ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული, რომ მხედარი ყოველივე მიწიერისგან განძარცვული შიშველი სულით უშიშრად დგას „ოხერი“ ბედის წინაშე. მას მახვილივით მჭრელი ბედის კლანჭები აღარ აშინებს, რამეთუ, როგორც გრიგოლ ხანძთელი „ჯუარისა მოქაღულისა“ წმ. გიორგისა და მოწამეთა შესახებ ამბობს – „კორცნი მახკლითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუნოებაა არა განიკუეთებოდა“ (გიორგი მერჩულე 1963: 261). წმინდა გიორგის მობაძავი მხედარი ცხოველი სულით ბედის მოსისხლე მტერია, ბედის რწმენით დამმარცხებელი. და კვლავაც შეძახილი – „გასწი, მერანო...“, რამეთუ სულის სრბოლა უსასრულოდ გრძელდება და ამქვეყნად „შავად მღელვარი“ ფიქრი მუდამ მისი თანამდეგია (საგულისხმოა, რომ სტროფში ძახილის ნიშანი სამ ტაეპშია დასმული, რაც მხედრის ურყევობას კიდევ ერთხელ ამოწმებს).

მომდევნო სტროფის მიხედვით, ლირიკული გმირის სიტყვები გვამცნობს შემდეგს – მართალია, რწმენით აღვსილი მხედარი საკუთარ თავს ხორციელად უკვდება, მაგრამ თავგანწირულის „სულის კუეთება“ („კუეთება“ აფიქსირებს არსებითს – მხედრის სულში გამართულ რკენას) უკვალოდ არ იკარგება. მისი მარტოსულობით აღბეჭდილი ძნელი, მაგრამ სულის მამზევებელი გზა მოძმით სავალს გაუადვილდება – „და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ (ბარათაშვილი 1976: 53). აღნიშნული გააცხადებს აზრს, რომ ამ სანუთროში ყველას სდევს მეტ-ნაკლებად „შავი ბედი“, ასეთია წუთისოფელი; რომ ღვთის ხატობის დაჩენა ნების თავისუფლების ძალით ხდება, რომ მისი სული მერანია, რომ ყველას თავისი „ჰუნე“ ჰყავს (ერთი არსისა და სიმბოლურად – მსგავსი: მერანი//ჰუნე), რომ ჟამიერი უნდა იძლიოს მარადიულით („ზეციით მონაბერი“ სულით), ჟამიერშივე გამობრწყინდეს უსასრულო და უბოლო.

მხედარმა თავისი დანიშნულება აღასრულა. მარტოობის ძღვევის მოსწრაფეთ და ამ გზით ყოველგვარ მიწიერზე ამაღლების მოსურ-

ნეთ ბრძოლა უნდა გადაიხადონ, რომელიც ტანჯვა-ტკივილს უკავშირდება, მაგრამ უფლის „ნელსაცხებელთა სურნელებისკენ“ სწრაფვა საღბუნად ედება ამგვარ ტანჯვა-წამებას, „რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოილოს. და რომელი ეძიებდეს, პოვოს და რომელი ირეკდეს, განელოს“ (მათ. 7, 8). „მერანი“ სულში გამართულ ბრძოლის ველზე გამოსული და ველად გაჭრილი მხედრის სიმღერაა. „მერანს“ სულივით უსასრულო დასასრული აქვს.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას ილიას „ფიქრით“, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმიტო, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა“ (ჭავჭავაძე 1984: 665). გრ.კიკნაძე (კიკნაძე 1956) გამოთქვამს შეხედულებას, რომ სევდის განწყობა შესაძლებელია, ერთიანად წარმოდგეს სამი ლექსით – „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“ და „ვპოვე ტაძარი“. რ. სირაძის აზრით კი – „ნ. ბარათაშვილისათვის თვით თბილისი სიმბოლოა მაკროსამყაროსი. იგი სამ სიმბოლოშია განსახოვნებული, ესენია – ყაბახი, მტკვარი და მთანმინდა. ყაბახი – სიცოცხლით ტკბობის სიმბოლოა... მტკვარი სიმბოლოა ცხოვრების წარმავლობისა... მთანმინდა – სიმბოლოა სულიერი ამაღლებულობისა“ (სირაძე 1987: 221-222).

ვფიქრობთ, ნ. ბარათაშვილის პოეზია, შესაძლოა, სამმა ლექსმა – „სული ობოლი“, „მერანი“ და „სულო ბოროტო“ – განასახოვნოს. პოეტის შემოქმედებაში სული და ხორცი, მინა და ზეცა, რეალური და იდეალური, დრო და უდროობა, ყოფიერების საზრისი (პასუხისმგებლობა და მოვალეობა) და უნაყოფობა (ცოცხალმკვდრად ყოფნა), სამყარო და პიროვნება, სულით ობლობა და მშვენიერ სულთა კავშირი, ძირითადად, ზემოაღნიშნულ ლექსთა შინა-არსში სულიერი სფეროს სამი ვითარების – სულით ობლობის, სულის სწრაფვისა და სულის ბრძოლის – წარმომარჩენელია.

### **დამოწმებანი:**

**ბარათაშვილი 1945:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებანი*, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1945.

**ბარათაშვილი 1976:** *ლექსნი თქმულნი თ.ნ. ბარათაშვილისაგან*, თბილისი: გამომც. „ნაკადული“, 1976.

**ბასილი დიდი 1948:** ბასილი დიდი, *ექუსთა დღეთაჲ*, თბილისი: 1948.

**ბერდიაევი 1936:** ბერდიაევი ნ. *ადამიანის პრობლემები*, ჟურნ. „Путь“, 1936, 150 (რუსულ ენაზე).

**ბუბერი 1979:** ბუბერი მ. *რჩეული თხზულებები*, იერუსალიმი, 1979 (რუსულ ენაზე).

**გიორგი მერჩულე 1963:** გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, წიგნში – ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედ., თბილისი: საქ.სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963

**იასპერსი 1994:** იასპერსი კ. ისტორიის საზრისი და დანიშნულება, მოსკოვი: 1994 (რუსულ ენაზე).

**იოანე საბანისძე 1963:** წამება ჰაბობასი, ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედ., თბილისი: საქ.სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963.

**კვაჭანტირაძე 2006:** კვაჭანტირაძე მ. „მერანი“. სივრცის სემანტიკა, კრებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბილისი: 2006.

**კიკნაძე 1956:** კიკნაძე გრ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში – გრ. კიკნაძე, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956, თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომც., გვ. 167-198.

**კიკნაძე 1989:** კიკნაძე ზ. საუბრები ბიბლიაზე, თბილისი: გამომცემლობა „ათინათი“, 1989.

**კიკნაძე 2006:** კიკნაძე ზ. „მერანის“ გენეალოგია, ძიებანი, 2006, XXVII, გვ. 80-91.

**ლოსკი 1972:** ლოსკი ვ. აღმოსავლეთის ეკლესიის მისტიკური ღვთისმეტყველების ნარკვევი და დოგმატიკური ღვთისმეტყველება, კრებ. დოგმატიკური ღვთისმეტყველება, კიევი, 1994 (რუსულ ენაზე).

**ლოსკი 1973:** ლოსკი ვ. სახის ღვთისმეტყველება, საღვთისმეტყველო შრომები, XIV, მოსკოვი, 1973 (რუსულ ენაზე).

**რუსთაველი 1966:** რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა ა. ბარამიძის რედ., თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

**სირაძე 1987:** სირაძე რ. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბილისი: გამომც. „განათლება“, 1987.

**ტრუბეცკოი 1994:** ტრუბეცკოი ე. სიცოცხლის საზრისი, კრებ. „სიცოცხლის საზრისი“, მოსკოვი: 1994 (რუსულ ენაზე)

**უზნაზე 1922:** უზნაძე დ. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება, წიგნში – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას რედ., ტფილისი 1922.

**ფარულავა 2002:** ფარულავა გ. ადამიანი – ხატი და მსგავსი ღვთისა, საგურამო, № 3, 2002.

**ჭავჭავაძე 1984:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.



**NANA GUNTSADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **Nikoloz Baratashvili – Way to the Universal Poetry: French Romanticism and Baratashvili**

Founder of the new Georgian poetry, N. Baratashvili has brought European ideas into Georgian poetry. To understand Baratashvili's poetry, one should be aware in the worldview-esthetic problems of the European romanticism. Therefore, I found reasonable to present some aspects of French romanticism and link Baratashvili's lyrics with this context.

The 19th century became the epoch of romanticism and Napoleon's epopee has contributed greatly to this..

The Napoleon's myth reflects the spirit of that epoch; thus, according to the dialectic process, Napoleon's myth stimulates formation of the romantic spirit.

**Key words:** Myth, Awareness, Christianity, Eternity, time, Exaltation, Transposition.

### **ნანა გუნცაძე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ნიკოლოზ ბარათაშვილი – გზა უნივერსალური პოეზიისაკენ: ფრანგული რომანტიზმი და ბარათაშვილი**

ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებელმა ნ. ბარათაშვილმა ქართულ პოეზიაში პირველმა შემოიტანა ევროპული იდეები და „ჩვენს პოეზიას მოველინა როგორც პოეტური მეტყველების განმაახლებელი, ახალი გზის გამკაფავი“ (ბარათაშვილი 1968ა: 69), როგორც ნამდვილი მოდერნული პოეტი.

მართალია ფრანგულმა რომანტიზმმა განიცადა გერმანულის გავლენა: მაგ. შატობრიანმა თავისი „ქრისტიანიზმის გენია“ დაწერა ნოვალისის „ევროპა ანუ ქრისტიანიზმის“ გავლენით, მაგრამ იგივე შატობრიანმა ხაზი გაუსვა ფრანგული რომანტიზმის თავისებურებას.

„რენეს“ ავტორის თვალსაზრისით ამ საუკუნის ფრანგი ახალგაზრდობა, ებრძოდა შოკს, რომელსაც ის თვითმკვლევლობისკენ მიჰყავდა. რაც იქცა საუკუნის სენად. ეს თაობა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის მოვლენების შემდეგ ისტორიის მოძრაობის მიღმა დარჩენილ არისტოკრატიასთან იყო იდენტიფიცირებული, ხასიათდებოდა რენეს სულიერი მდგომარეობით: მის დიდ მოთხოვნებს პასუხობდა სამყარო, სადაც არფერი არ შეესაბამება იმ ზე-არსებობის სურვილს, რომლისკენაც ადამიანი მიისწრაფვის; ნაპრალი, რომელიც გაჩნდა ინდივიდის მისწრაფვასა და საუკუნის მიერ შემოთავაზებულ რეალურ შესაძლებლობებს შორის, გამოვლინდა სევდაში.

ამრიგად, ყველაზე დიდი გარდაქმნა, რომელიც მოახდინა რომანტიზმმა მე-19-ე ს-ის ადამიანის ცნობიერებაში, ეხება მის დროში ცხოვრებას, ხანგრძლიობაში განლაგებას. რომანტიკოსი მოგონებაში და ოცნებაში ეძებს ხანგრძლიობის და სისავსის გრძნობას, რომელსაც მას რეალური ცხოვრება არ აძლევს. რომანტიზმის პერიოდში პირველად ისტორიაში მოხდა ის, რომ ახალი თაობა არ დაკმაყოფილდა, არაცნობიერად გადმოეცა ისტორიული მდგომარეობის სიახლე ღირებულებათა სიახლის სისტემით, არამედ მან ეს სიახლე თავად აქცია უპირველეს ფასეულობად და გადაწყვიტა შეგნებულად აესახა ქმნადობის პროცესში მყოფი სამყაროს მოძრაობა.

დროის შემეცნების ასეთი გარდაქმნა შეეხო ადამიანის შინაგან ცხოვრებასაც და მის მიერ ისტორიის ხედვასაც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება იმპერიის დაცემის შემდეგ, როდესაც თითქმის შეუძლებელი ხდება შინაგანი სიცარიელისაგან თავის დაღწევა.

რაკი 20-იანი წლების ფორმალისტურ რელიგიას არ ძალუძს ადამიანის სულს მიუჩინოს თავისი ადგილი ღვთაებრივი ჩანაფიქრის განხორციელებაში და დააკავშიროს ის დროის უკვდავ წყაროსთან, ასეთ პირობებში ძნელია დაკმაყოფილდეს ადამიანი იცხოვროს მხოლოდ ანმყოში და მხოლოდ ანმყოთი. სტენდალი აქედან გამონაკლისია. იგი ირწმუნება, რომ ცხოვრობს „დღიდან დღემდე“ და რომ აღწევს კიდევ ბედნიერების რამდენიმე წუთის ფლობას.

ამ ეპოქაში ამ მხრივ, ალბათ სტენდალი და მერიმე იყვნენ გამონაკლისები. რომანტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მომწყვდეული არიან ძალზე ვიწრო დროის საზღვრებს, წუთის მიღმა დროში ცხოვრების გარკვეული ფორმის, თუ მარადიულობის შეცნობის სურვილს შორის, რომელიც შეესაბამება იმ განუსაზღვრელ მოთხოვნას, რომელსაც ისინი თავის თავში გრძნობენ.

როგორ შევქმნათ ხანგრძლიობა, რომელიც პროპორციული იქნება აზროვნების და სურვილის განუსაზღვრელობის, კითხვობს რომან-

ტიკოსი; პირველ რიგში ექსტაზით, რომელიც სხვადასხვა გზით მიიღწევა (ბუნებასთან კონტაქტით, სიყვარულით). ამგვარი ექსტაზის მიღწევას რომანტიკოსები ცდილობენ გრძობადი ეგზალტაციის მდგომარეობიდან, რომელიც მათ აძლევდათ ანმყოსა და წარსულის მოგონებას შორის არსებული ინტერვალის გაქრობის ნუთიერ განცდას და ინტელექტუალური და ემოციური ძალების ერთ ხანგრძლიობად გაერთიანების საშუალებას; ასეთი ეგზალტაცია, მათი აზრით, სიყვარულში ხერხდება.: „სიყვარული არის ნათელი მომენტი, რომელიც თითქოს დროს იმორჩილებს” (Constant 1958: 125).

ეს არის მათთვის მარადიულობის ნუთიერი წვედომა, რაც შეესაბამება აზროვნების და სურვილის განუსაზღვრელობას.

ინტერვალის ამოვსება წარსულსა და ანმყოს შორის მიიღწევა სიყვარულით განცდილი ექსტაზით. როგორც ფრანგი რომანტიკოსებისთვის, ლამარტინისთვის, ვინისთვის, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილისთვისაც სიყვარული ტანჯვაა, ტკივილია, მას განშორების საფრთხე ემუქრება. პოეტის ამ პერიოდის ლექსები „სატრფოვ მახსოვს“, „ვპოვე ტაძარი“ სატრფოს განშორებით გამოწვეულ დიდ სულიერ დრამას გამოხატავს. „არ უკიჟინო, სატრფოო” ამ ლექსში ამაოების და წარმავალობისგან თავის დახსნის გზად ბარათაშვილის პოეზიაში სიყვარული ისახება.

სიყვარულით გამოწვეული განწყობილება ბარათაშვილის ამ ლექსში გადადის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველ სულიერ ენერგიაში, რაც პოეტს ესაჭიროება იმ სიცარიელის დაძლევაში, რაც წარსულის მოგონებებსა და ანმყოს შორის იქმნება.

სატრფოსთან სულიერ ერთობას, პოეტი ოცნებით ცისკენ, ამაღლებული სიყვარულით ეგზალტაციისკენ, ექსტატიური განცდისკენ მიჰყავს, რაც მას დროის უკვდავ წყაროსთან, მარადისობასთან ზიარების ნუთიერ ბედნიერებას განაცდევინებს.

ამ გამოსვლაში გადაწყვეტილ ძირითადი ადგილი დავუთმო ნაპოლეონის სახეს ფრანგულ ლიტერატურაში, კერძოდ ჰიუგოს ლირიკაში და ბარათაშვილის პოეტური შედეგის ამ კონტექსტში წარმოდგენას.

ამის მიზეზი არის ის, რომ თუ კი მე-19-ე საუკუნე რომანტიზმის ეპოქად იქცა, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ნაპოლეონის ეპოპეას მიუძღვის. კონსულობის და იმპერიის პერიოდს გაცილებით უფრო დიდი რადიუსი ჰქონდა ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. ამ წლებმა დასაბამი მისცა მითებს, რადგან ბევრი იყო გამონაგონი, რეალური ფაქტების დამახინჯებები, ინტერპრეტაციები.

იმპერიასთან დაკავშირებულ მითებში ჩანს კვალი, რომელიც ნაპოლეონის მმართველობამ დატოვა, როგორც ფრანგების, ასევე ზოგა-

დად ევროპელების მეხსიერებაში. თუკი ნაპლეონს სიკვდილის შემდეგ ჰქონდა დიდი წარმატება, საფრანგეთში, ეს მარტო იმიტომ არაა, რომ ის იყო რევოლუციის შვილი, არამედ იმიტომ, რომ ის იყო თანამედროვე (მოდერნული) ადამიანი, რაც ცხადად ჩანს მის სამოქალაქო კოდექსში. ფრანგებისათვის ის იყო ამავე დროს პიროვნება, რომელმაც მთელს ევროპაში ააფრიალა გამარჯვების სამფეროვანი ფრანგული დროშა. ფართო მასებში ნაპოლეონის შესახებ დარჩა მოგონება, როგორც სუვერენული მმართველისა, რომელიც ახლოს იყო ხალხთან, ამ ხალხის წრიდან იყო გამოსული და ამიტომ იცოდა, როგორ გამოეხატა ხალხისადმი სიყვარული. ნაპოლეონის პიროვნებამ შთააგონა ლეგენდა იმპერატორზე, რომელმაც გამოიწვია საყოველთაო აღფრთოვანება თავისი განსაცვიფრებელი ამაღლებით და მრავალმხრივი გენიით, რაც გამოიხატებოდა ომის, გონივრული პოლიტიკის და ადმინისტრაციული ხელოვნების ფლობის უნარში.

სწორედ ამ პერიოდში რომანტიკოსებს თავისი იდეები შემოაქვთ ხელოვნებაში; ლამარტინის „პირველი მედიტაციები“, რომელსაც მოჰყვა ჰიუგოს და ვინის კრებულები, თავდაყირა აყენებს პოეტის იმიჯს და მის როლს საზოგადოების წინაშე. ამიერიდან პოეტის მისიაა წინ წაუძღვეს ხალხს, იყოს მათი გიდი თავისუფლების იდეალისაკენ. ამ პოეტების ხმა ასიმილირდება ახალ წინასწარმეტყველთა ხმებთან, მოგვებთან, რომლებიც სიტყვების საშუალებით ბატონობენ სამყაროზე. რომანტიკულ პოეზიას ახასიათებს პოეტის “მე”-ს ყველგან მყოფობა. პოეტი ლაპარაკობს პირველ პირში, უზიარებს მკითხველს თავის ინტიმურ გრძნობებს, ჰყვება თავის სუბიექტურ თავგადასავალს. პოეზია იქცა მე-ს გამოხატვის ადგილად. ექსის ამ ახალი ფუნქციით პოეტი მკითხველთან სრულიად განსხვავებულ ურთიერთობას აყალიბებს. ეს ყველგანმყოფობა ხელს უწყობს რომანტიკულ პოეზიაში ლირიკული რეგისტრის შეტანას.

ამრიგად, პოეტი, რომელიც ლექსის სუბიექტი და ადრესატია, უარს ამბობს მსჯელობაზე, ესთეტიკურ თეორიებზე და გულწრფელ განცდებს უზიარებს მკითხველს.

დიდი რომანტიკოსებისათვის, საკუთარ თავზე საუბარი სამყაროზე საუბარს ნიშნავს.

ბარესისათვის ნაპოლეონის სახელს უკავშირდება მე-ს კულტით ეგზალტაცია და ენერჯის გაკვეთილი.

იმპერიის დაცემის შემდეგ ძალიან მალე, ნაპოლეონი მე-19-ე ს-ის პოეტების მუზად იქცა. იგი შთააგონებდა არამარტო ისეთ აღიარებულ პოეტებს, როგორცაა ლამარტინი, ჰიუგო, კინე, არამედ შედარებით მეორეხარისხოვან ავტორებსაც, ბერანჟეს და დებროს.

როგორც ცნობილია ბერანჟე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შექმნა ნაპოლეონის მითი. პოეტმა იმპერატორის სახე წარმოადგინა ისეთი, როგორსაც ხედავდნენ რესტავრაციის პერიოდში ჯარისკაცები და ზოგადად ხალხი. ამიტომ მისი მოდიდან გადასული სიმღერები რჩება, როგორც ძვირფასი დოკუმენტი ისტორიკოსებისთვის.

ბერანჟესგან განსხვავებით შატობრიანი საზეიმო და წინასწარმეტყველური სიტყვით მიესალმა ცოცხალ ნაპოლეონს, რაც გამოხატა „ატალას“ წინასიტყვაობაში. „საიქიოს მიღმა მემუარებში“, ავტორი, რომელიც რამდენიმე თავს უძღვნის ნაპოლეონს, ხან თითქმის აღმერთებს მას, ხან კი ეკამათება და ბრალსაც დებს.

„ბონაპარტე იყო პოეტი მოქმედებაში, ომში ნამდვილი გენიოსი, ნიჭიერი მმართველი, გონიერი კანონმდებელი. თუმცა, ჭეშმარიტი ფილოსოფია არ აპატიებს იმას, რომ მან ჩამოაყალიბა პასიური, მორჩილი საზოგადოება, რომ კაცობრიობას უბიძგა მორალური დეგრადაციისკენ... ჩვენი დღევანდელი დაცემა ნაპოლეონისეული მონობის შედეგია“ – წერს „საიქიოს მემუარების“ ავტორი. თუმცა იქვე დასძენს: მსოფლიო ეკუთვნის ბონაპარტს. (Chateaubriand 1999: 128) რისი დაპყრობაც მან სიცოცხლეში ვერ შეძლო, მისმა ხსოვნამ სიკვდილის შემდეგ მოახერხა.

სტენდალმა თავისი პირველი წიგნი მიუძღვნა მის უდიდებულსობას, ნაპოლეონ დიდს, წმ. ელენეს კუნძულის პატიმარს და თავისი ეპიტაფია დაწერა ასე: „აქ განისვენებს ანრი ბეილი; იგი ცხოვრობდა წერდა, უყვარდა...ის პატივს სცემდა ერთადერთ პიროვნებას, ნაპოლეონს“ (Brunel 1979: 468).

სტენდალი მუშაობდა ნაპოლეონის ისტორიაზე, რომელიც 6 ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა, გარდაცვალების შემდეგ ერთი დაუსრულებელი ტომი დარჩა.

თავდაპირველად ნაპოლეონის მითის ისტორიული და პოლიტიკური თავისებურება ნაპოლეონის შესახებ არსებულ პროპაგანდას უკავშირდებოდა. ამით ის განსხვავდება როგორც ანტიკურობის დიდი მითებისაგან, რომელთა გენეზისი ნაკლებადაა ცნობილი, ასევე ლიტერატურული მითებისაგან. დონ-ჟუანის და ფაუსტისაგან განსხვავებით, ნაპოლეონის პერსონაჟი წინ უსწრებს მის პოეტურ ინკარნაციას. ამ შემთხვევაში უთუოდ, პოეზიის საშუალებით მითის აღდგენასთან გვაქვს საქმე.

ნაპოლეონის შესახებ არსებულ ბიბლიოგრაფიაში მოიპოვება დიდი რაოდენობის ნამუშევრები, რომელთა უმრავლესობა ეხება ნაპოლეონის მითთან მწერლების დამოკიდებულებას; ისინი, უფრო მეტად 1830 წ-ის შემდგომ პერიოდს უკავშირდება; ასეთია მაგ. მორის დეკოტის

ნიგნი, რომელიც ეხება ნაპოლეონის ისტორიული პერსონაჟის შესაბამისობას, დიდი ფრანგი მწერლების მიერ შექმნილ სახესთან.

პიერ ალბუის, რემონ ტრუსონის და პიერ ბრიუნელის მითების კვლევების ტრადიციიდან გამომდინარე, ნაპოლეონის ლიტერატურულ მითთან დაკავშირებით, პირველ რიგში სასურველია განისაზღვროს მიდგომები და ის სიმბოლური ღირებულებები (იქნება ეს პოლიტიკური ხასიათის, საკრალური, თუ იდეოლოგიური), რომლებიც შეიძლება მიუყუენოთ ნაპოლეონის მითს. რით განსხვავდება პოეზიაში გადამუშავებული ლიტერატურული მითი, ისტორიული და პოპულარული მითისაგან, რომლიდანაც ის (ლიტერატურული მითი) წარმოიშვა? რა ადგილი უკავია მას დროის წარმოსახვაში? და ა. შ.

პოლიტიკური რყევები გავლენას ახდენენ ე. წ. ნაპოლეონური პოეზიის ფორმაზე; რაც უფრო ძლიერია მითის პოლიტიკური განზომილება, მით უფრო ნაკლებადაა დამუშავებული ამ პოეზიის ფორმა და პირიქით, რაც უფრო პატარავდება ეს განზომილება, მით უფრო მეტ პროგრესირებას განიცდის მითის ესთეტიზაცია.

ნაპოლეონის სახის შექმნაზე რომანტიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, თავის მხრივ ნაპოლეონის მითი ასახავს იმ ეპოქის სულისკვეთებას; ამგვარად დიალექტიკური პროცესის შესაბამისად ნაპოლეონის მითი ხელს უწყობს რომანტიკული სულისკვეთების ჩამოყალიბებას, ანუ მე-19-ე ს-ის პირველი ნახევრის პოეტების საერთო „მენტალური სივრცის“ შექმნას. ნაპოლეონის ლიტერატურული მითის დამოკიდებულება ისტორიასთან, ინდივიდის ცნების წარმოქმნა, და ბოლოს პოეტიკა იძლევა იმ უმთავრესი კავშირის დადგენის საშუალებას, რომელიც აერთიანებს ნაპოლეონის ლიტერატურულ მითს, რომანტიზმთან. ნაპოლეონის მითთან დაკავშირებულ ამ მენტალური სივრცის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ როგორც ვიქტორ ჰიუგო თავისი ნაპოლეონური ლირიკული შედეგებით, ასევე გენიალური ქართველი ლირიკოსი ნ. ბარათაშვილი თავისი საპროგრამო ლექსით: „ნაპოლეონ“.

თავიდანვე პირველივე მონარქისტულ ოდებში, ჰიუგოს მხრიდან, გენიოსის ესთეტიკური არჩევანი, და ის აღფრთოვანება, რომელსაც იჩენდა პოეტი ზოგიერთი დიდი ისტორიული პიროვნების მიმართ, აიძულებდა პოეტს თავისი პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად, ნაპოლეონით გატაცებას. ეს ჩანს 1829 წ-ს გამოქვეყნებული კრებულში, *Orientales*:

Tu domines notre âge ; ange ou démon, qu'importe!  
Ton aigle dans son vol, haletants, nous emporte.  
L'œil même qui te fuit te retrouve partout.

Toujours dans nos tableaux tujettes ta grande ombre ;  
Toujours Napoléon, éblouissant et sombre,  
Sur le seuil du siècle est debout. (Hugo 1968a: 535)

მოდერნული ლეგენდის გმირი, ნაპოლეონი, ჰიუგოსთვის ერთი-დამავე დროს გენიოსიცაა და გმირიც; გონების და მკლავის ადამიანი.

ნაპოლეონი ჰიუგოსათვის იყო განსაკუთრებული პიროვნება, რომელიც კლასიკური მონარქისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ჰიუგოს პიესებში მეფეები სუსტი და მკრთალი არიან, ნაპოლეონი კი მას ნიბლავდა თავისი ძლიერი, ინდივიდუალური ისტორიული და პოლიტიკური ქმედებებით. ნაპოლეონის მითის ერთ-ერთი კომპონენტი ჰიუგოსათვის, ისევე, როგორც რომანტიკოსთა უმეტესი ნაწილისათვის, იყო მისი, როგორც მმართველის (ადმინისტრატორის) გენია. ნაპოლეონის მითის მიხედვით მოხდა სახელმწიფოს გაქრობა და გენიალური პიროვნების მიერ მისი (სახელმწიფოს) შთანთქმა.

ამიტომ ჰიუგოა რასოდეს არ ნიღბავს ნაპოლეონის უზურპატორობას, რადგან მას მიაჩნია, რომ სწორედ ეს უდევს საფუძვლად ნაპოლეონის დიდებას; მას მიაჩნია, რომ, დიდი ადამიანი, ასე თუ ისე, აუცილებლად ახდენს ხელისუფლების უზურპაციას.

ჰიუგო, ასეთი ანალიზის შემდეგ აკეთებს შემდეგ დასკვნას: კარგია, როცა მეფედ გყავს „მკლავის მეფე“ ანუ მხედარი; ამასთანავე იგი ამართლებს უზურპაციას გენიალური მმართველის მხრიდან.

„რა კარგია, დედამინაზე სირბილი...“ ამბობს ჰიუგო ეს არის ის, რის გამოც განადიდებს პოეტი იმპერატორ ნაპოლეონს. ჰიუგოსათვის ნაპოლეონი არის ადამიანი-სამყარო ჰიუგოს ნაპოლეონი არ არის ერთ განსაზღვრულ ადგილზე მყოფი პიროვნება, არამედ ის ვინც თავისი კვალით და თავისი აჩრდილით ავსებს მთელ სივრცეს. ნაპოლეონის ყველგანმყოფობით აღელვებული პოეტი წამოიძახებს:

Toujours lui ! lui partout ! – ou brûlante ou glacée  
Son image sans cesse ébranle ma pensée.

(...)

A Rome, où du Sénat hérite le conclave,  
A l'Elbe, aux monts blanchis de neige ou noirs de lave,  
Au menaçant Kremlin, à l'Alhambriant,  
Il est partout. (Hugo 1968b: 533)

ჰიუგოს აზრით, ნაპოლეონის ეპოპეა ეკუთვნის მთელი ევროპის ისტორიას. ევროპის ისტორიას კი არა, სინამდვილეში მსოფლიოს ისტორიას, რადგან, ეგვიპტის კამპანია როგორც ჰიუგოსთვის ისე ყველა

რომანტიკოსისათვის ესაა მომენტი, როდესაც სამხედრო ისტორია გადადის უნივერსალურ ლეგენდაში. აღმოსავლეთში და აღმოსავლეთით, ძველი იმპერიების და სიმბოლოების მიწაზე, აღწევს ბონაპარტე სწორედ მზის ბრწყინვალეობას:

(...) Au Nil je le retrouve encore.

L'Égypte resplendit des feux de son aurore ;

Son astre impérial se lève à l'orient. (Hugo 1968c: 12)

ვინ არის ნაპოლეონი, დიდი არქიტექტორი თუ მოხეტიალე მებრძოლი ჯარისკაცი? „Je me rappelle avoir vu à Burgos en 1811 nos soldats se faire une cible du tombeau du Cid” (Hugo 1968d: 12).

ჰიუგოს აზრით, ნაპოლეონი დიდია იმიტომ, რომ ის მუშაობდა მსოფლიოს და პირველ რიგში ევროპის გასაერთიანებლად. როგორი იყო ეს ნამონწყება? აქ ორი სახე ეჯახება ერთმანეთს: პირველი არის ის, ვინც იმპერიულ ავანტიურას აქცევს შეგნებულ პროექტად, გენიალურად, რაციონალურად, ნაადრევად, რომელსაც ის ჯიუტად მიჰყვება.

მაგრამ ჰიუგოსთვის, ნაპოლეონის, როგორც ევროპის დიდი არქიტექტორის სახე არ არის, ნაპოლეონის ეპიკურ გმირად და ლეგენდარულ პიროვნებად ქცევის ერთადერთი სახე. მის პოეზიაში გმირის ამადლებული სიდიადე უფრო მეტად მოხეტიალე მებრძოლის, მხედრის სახეს უკავშირდება, რომელიც არასოდეს არ ჩერდება და დადგენილი მარშრუტის და გეგმის გარეშე, წარმოუდგენელი სისწრაფით ჰკვეთს დიდ სივრცეებს. ეს მისი მეორე სახეა.

ფაქტობრივად მხედრის მოძრაობა ამ პერიოდის ჰიუგოს პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ეპიკურ მოტივს წარმოადგენს. მოძრაობა, რომელიც ხასიათდება სიჩქარით, რაც მის ლექსებში, ნაპოლეონთან დაკავშირებით, ზმნების: „სირბილის” და „ფრენის (მიფრინავს)” ხშირი განმეორებით ვლინდება. რბოლის სისწრაფე უკავშირდება უწყვეტობას. „ნაპოლეონი” ის არწივია, რომლის ფრენა გრძელდება 12 წელი, კაიროდან, ვოლგამდე, რასაც ახლავს სივრცობრივი მოძრაობა და ამასთან ერთად სხვადასხვა სახის ტოპონიმების (მთების, მდინარეების, დედაქალაქების ბრძოლის ველის) სიმრავლით გამოწვეული ბუნდოვანება.

უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონის ეს სახე მის ირგვლივ მსოფლიოს ისე როდი აერთიანებს, როგორც პირველი:

თუმცა, ნაპოლეონის მხედრად წარმოდგენა მნიშვნელოვანია, რადგან ამაშია ის წარმოსახვითი და სიმბოლური მნიშვნელობა, რომლებმაც განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა შესძინა ნაპოლეონ-



ნის ლეგენდას. და ეს ალბათ იმიტომ, რომ ნაპოლეონის პერსონაჟის ისტორიულმა და პარაისტორიულმა ასპექტმა იგი აქცია მითოლოგიური მეომრის მოდერნულ განსახიერებად, რომელსაც მეტ-ნაკლებად დეფორმირებული სახით ვხდებით ინდო-ევროპულ კულტურულ სივრცეში, რაც ჩანს ჟორჟ დიუმევილის უკვე კლასიკურად ქცულ კვლევებში. ამდენად, ნაპოლეონის ამ ორი სახის წარმოჩენა აძლევს ჰიუგოს დროის შეზღუდულობის და იმ საზღვრების გადალახვის იმედს, რომელშიცაა ის მოქცეული და რომელსაც ის ისევე, როგორც ყველა რომანტიკოსი ასე მწვავედ განიცდის.

ნაპოლეონის ეპოქის რომანტიკულ პოეზიას ფორმის ორიგინალობა ნაკლებად ახასიათებს; იგი ძირითადად თემების სიახლით გამოირჩევა და ყოველგვარ სულიერ მდგომარეობაზე საუბრობს. ლირიკოსი პოეტი სისტემატურად მიმართავს სუბიექტურ „მე“-ს და საკუთარი „მე“-თი ეგზალტაციას, ნაპოლეონის მითით გატაცებისკენ მიჰყავს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ნაპოლეონის სახე არა მარტო ჰიუგოს, არამედ თითქმის მთელი ფრანგული რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს შთაგონების წყაროდ იქცა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონ“ სწორედ იმ დროს შეიქმნა, როდესაც ფრანგი მწერლებისთვის ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ, ნაპოლეონის ეპოპეით, მისი ექსტრაორდინალური ბედით გამოწვეული აღფრთოვანება, ადამიანის შესაძლებლობებით ეგზალტაცია პიკს აღწევს. უნდა ითქვას, რომ არც ერთ ფრანგ რომანტიკოსთან, მათ შორის არც ჰიუგოსთან არ შეიმჩნევა ისე მძლავრად, როგორც ბარათაშვილთან, ადამიანის ბედის, დიდების, დროსთან დაპირისპირებული ინდივიდის ენერგიით და სიძლიერით გამოწვეული აღფრთოვანება „ჟამი ჩემშია და ჟამისა მე ვარ იმედიო“, ამბობს პოეტი და დროში შეზღუდული ადამიანის ბედთან დაკავშირებული ტრაგიკული აქცენტი მასთან მე-ს ეგზალტირებული რწმენით იცვლება.

ნაპოლეონის მითი ბარათაშვილის ლექსში „ნაპოლეონ“, წარმოჩნდება, როგორც ისტორიული მითის ტრანსპოზიცია პოეტურ ტექსტში.

ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას,  
და თქვა: „აბაო ხელმწიფებამ რა შემიძინა?“  
და რა იხილა თვის დიდების მსხვერპლი თვის წინა,  
ის მოღრუბლულს შუბლს შუქი რალაც გარდაეფინა.  
(ბარათაშვილი 1968ბ: 99).

ასე იწყებს პოეტი ლექსს და პირველსავე სტროფებში ჩანს ავტორის მხრიდან ნაპოლეონის, ძლიერი მმართველის სახის გამოკვეთის სურვი-

ლი; ნაპოლეონის მითის ერთ-ერთი კომპონენტი, ბარათაშვილისათვის, ისევე, როგორც ჰიუგოსათვის ეს არის ნაპოლეონის, როგორც ევროპის გამაერთიანებლის გენია. მითი, სახელმწიფოს გაქრობის და გენიალური პიროვნების მიერ მისი შთანთქმის შესახებ, ბარათაშვილისთვისაც ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც ჰიუგოსთვის.

სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,  
შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშენად  
და დაუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად.  
(ბარათაშვილი 1968გ: 99)

ასე ხდება ისტორიული მითის ტრანსპოზიცია ლექსის ამ სტრიქონებში.

არის ძალის ამოფრქვევის, ამაღლების ენთუზიაზმის წუთები, როცა საკუთარი დიდებით მთვრალ პოეტს ამ მომენტის სიღიადე უეცრად აგრძნობინებს თავის ყოვლისშემძლეობას და ყოველგვარი დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას ეს არის წუთი, როცა საკუთარი თავისთვის ხარ ღმერთის მაგიერი. ალბათ ასეთი წუთები აგრძნობინებს პოეტს დროის დამორჩილების, მარადისობის წუთიერი წვდომის იმ შეუდარებელ განცდას, რაც ასეთი ძალით და სიმტკიცით წარმოათქმევინებს მის ლირიკულ გმირს ამ საოცარ სიტყვებს „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“.

ის რის გადმოცემის გამოსაამკარავებლად ჰიუგოს ნაპოლეონური ლექსების ციკლის ანალიზს მივყავართ, ამ ლექსის ავტორს ამ ერთ გენიალურ ფრაზაში აქვს მოთავსებული. არის რაღაც სასწაულებრივი ბარათაშვილთან... დროდადრო ჩნდება ასეთი ფრაზები და მაღალფარდოვანი ბრწყინვალე ტაქები, რომლებიც უეცრად არავინ იცის რატომ, წმინდა პოეზიას აღწევს.

ნაპოლეონის სიღიადე ბარათაშვილს საშუალებას აძლევს დასვას ეპოქასთან მიმართებაში კითხვები და გარკვეულ მომენტში თავი დააღწიოს წუხილს, რომელსაც მასში იწვევს დროის განსაზღვრულობით, გამოწვეული მწვავე განცდა. ისტორიული მითის პოეტურ ტექსტში ტრანსპოზიცია ამავე დროს ცხადად ამჟღავნებს პოეტის მიერ საკუთარი სტატუსის განსაზღვრის სურვილს. ამ შემთხვევაში ბარათაშვილისეული ნაპოლეონის მითი რეზონანსშია ზეკაცის მითთან და განსაკუთრებით გენიოსის მითთან. ბარათაშვილი გაცნობიერებულად ახდენს ამ გმირთან პოეტის მე-ს იდენტიფიცირებას;

ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!  
რაგინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,

მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,  
თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!  
(ბარათაშვილი 1968დ: 99)

ამბობს ბარათაშვილი ამ ლექსში და ისევე როგორც ნაპოლეონი, პოეტი საკუთარი ენერგიით და სიდიადით თრობის ექსტაზში, დარწმუნებულია, რომ შეძლებს დაძლიოს ყოველგვარი წინააღმდეგობანი. დაუპირისპირდეს მდაბალ რეალობას და გადალახოს ბედის სამძლვარი.

ბარათაშვილის ლექსში „ნაპოლეონ“ იგრძნობა ენერგიის კულტით განპირობებული დინამიზმი, რაც ვლინდება ბარათაშვილის ლექსის სტრუქტურაშიც და ტექნიკაშიც; როგორც ვინის, ლამარტინის, ასევე ბარათაშვილის ტექსტებს ლექსის შექმნის სისწრაფე ისეთ სუნთქვას და მოძრაობას აძლევს, როგორც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს უფრო ხანგრძლივ, დროში მომნიჭებულ, მრავალჯერ გადანერილ და რედაქტირებულ ნაწარმოებებს.

ამგვარად, მარტო პოეტური შედეგის „ნაპოლეონის“ ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ ნ. ბარათაშვილი თავისი შემოქმედების არსით, დგას ისეთ ევროპულ შემოქმედთა გვერდით, როგორებიც არიან: ლამარტინი, ჰიუგო, ვინი და მისი პოეზია იმსახურებს უფრო ფართე კონტექსტში გაანალიზებას, რათა ამ გენიალურმა პოეტმა ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ლიტერატურის ფონდში.

### **დამონებიანი:**

**ასათიანი 1975:** ასათიანი გ, ნიკოლოზ ბარათაშვილი. გამომცემლობა: „ნაკადული“, თბილისი 1975.

**ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**ბენარდიე 2003:** Benardieau Ch. Napoléon dans la littérature. Paris: Edition Nouveau Monde, 2003.

**ბენიშუ 1992ა:** Benichou P. *Romantisme français*, t I. Paris: Edition „Quarto Gallimard“, 1992.

**ბენიშუ 1992ბ:** Benichou P. *Romantisme français*, t II, Paris: Edition „Quarto Gallimard“, 1992.

**ბრიუნელი 1979:** Brunel P. *Histoire de la littérature Française* t.2. Paris: Hachette, 1979.

**დარკოსი 2013:** Darcos X. *Histoire de la littérature française*. Paris: Edition „Hachette“, 2013.

**კონსტანი 1958:** Constant B. Paris : Edition „Robert Laffon“, 1958.

**ტიულარი 1983:** Tulard J. *Napoléon* ; Paris: Edition „Fayard“, 1983.

**შატობრიანი 1999:** Chateaubriand F-R. De. *Mémoires d’Ouvre-tombe*. Paris: Edition „Jean-Claude Berchet“ (Éditeur scientifique) 1999.

**ჰიუგო 1968:** Hugo V. *Poésie I*. Paris: Edition „Le classique de poche“, 1968.

## MANANA KVATAIA

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **On Reception of Nikoloz Baratashvili's Poetic Phenomenon**

The phenomenon of the author or his artistic discourse is studied in different directions. To R. Ingarden, the literary work of art is a fictional realm which comes from the author's phenomenon. At the same time, multiple concretization of one and the same literary text is possible. From the viewpoint of Reception Aesthetics, the realization of literary text is connected only with a perceiver's consciousness, which, on its part, requires an active attitude, because "constructive principle, code, the key of the work requires a discovery from him" (R. Karalashvili). According to hermeneutics, the interpretation of the work occurs in the context of its absolute artistic values, at the same time, it is necessary "the deciphering of the text, i.e. decoding of poetic codes hidden to ordinary vision" (I. Ratiani). Naturally, the role of researchers is exceptional in this process.

The existing definitions of Nikoloz Baratashvili's phenomenon show different aspects. For Ilia Chavchavadze the poet is a founder of a new Georgian writing. Baratashvili's appearance devastated and ruined Georgia at that time is regarded by Guram Asatiani as a manifestation of the unshakable spiritual energy of the people etc. Nikoloz Baratashvili is a universal adherent of national energy and research into his poetic phenomenon continues. New methodological studies reveal enigmatic spaces of Baratashvili's creativity.

**Key words:** phenomenon of the author, Rezeptionsästhetik, Nikoloz Baratashvili's creativity.

## მანანა კვათაია

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ფენომენის რეცეფციისათვის**

მწერლის ფენომენის თუ შემოქმედებითი დისკურსის სიღრმისეული კვლევა ზუსტ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს ითხოვს. რ. ინგარდენის აზრით, ლიტერატურული ნაწარმოები ფიქციური სამყაროა, რომელიც ავტორის ფენომენიდან მომდინარეობს. ამასთან, ერთი და იმავე მხატვრული ქმნილების მრავალგვარი კონკრეტიზაციაა შესაძლებელი.

რეცეფციული ესთეტიკა ლიტერატურული ტექსტის რეალიზებას აღმქმელის ცნობიერებას უკავშირებს, რომელსაც, თავის მხრივ, ნაწარმოებისადმი აქტიური დამოკიდებულება თუნდაც იმიტომ მოეთხოვება, რომ “კონსტრუქციული პრინციპი, კოდი, ნაწარმოების გასაღები აღმოჩენას მოითხოვს მისგან” (რ. ყარალაშვილი). რ. ბარტის მოსაზრებით, ტექსტი მხოლოდ მუშაობის, ქმნადობის პროცესში აღიქმება. ჰერმენევტიკის უპირველეს მეთოდოლოგიურ ამოცანად სახელდება ტექსტის ინტერპრეტირება მისი აბსოლუტური მხატვრული ფასეულობების კონტექსტში, “ტექსტის გაშიფრვა, ანუ ჩვეულებრივი, ორდინარული თვალთახედვისათვის დაფარული პოეტიკური კოდების დეკოდირება” (ი. რატიანი).

თეორეტიკოსთა განმარტებით, მხატვრული რეცეფცია ქმედებაა, რომელიც მოიცავს ტექსტის უშუალო აღქმას, იდეური შინაარსის მოფიქრებას, მის ესთეტიკურ შეფასებას და ყოველივე ამის შედეგს: მხატვრული ლიტერატურის გავლენას რეციპიენტის პიროვნებაზე. გოეთეს აზრით, მხატვრული აღქმის სამი ტიპი არსებობს: 1. დავტკბეთ სილამაზით შეფასების გარეშე; 2. განვსაჯოთ, მაგრამ ვერ დავტკბეთ; 3. განვსაჯოთ ტკბობისას და დავტკბეთ განსჯისას (მსჯელობისას). დიდი გერმანელი პოეტის სიტყვით, სწორედ მესამე ტიპის უნარის მქონე ადამიანები აღიქვამენ მხატვრული აზრის მთელ სიმდიდრეს.

ლიტერატურული ტექსტის რეცეფციის თეორია მკითხველის მიერ ნაწარმოების აღქმასა და განმარტებას გულისხმობს. მისი ძირითადი კონცეპტები პირველად 1960-იანი წლების ბოლოს ჰანს-რობერტ იაუსის შრომებში აისახა. რეცეფციის თეორიის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია ლიტერატურულმა და ისტორიულმა ჰერმენევტიკამ და ფენომენოლოგიამ – გ. გადამერის, რ. ინგარდენის, ლ. როზენბლატის, კ. ლუისის შრომებმა. რეცეფციული ესთეტიკის ცენტრი გახდა კონსტანცის უნივერსიტეტი (გფრ), სადაც მოღვაწეობდნენ რომანისტი პროფესორი ჰანს-რობერტ იაუსი და ანგლისტი ვოლფგანგ იზერი. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები კი 1970-80-იან წლებში გერმანიასა და აშშ-ში დაიწერა. კულტურის თეორეტიკოსმა სტიუარტ ჰოლმა რეცეფციის თეორია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მასობრივი კომუნიკაციებისათვის დაამუშავა და ლიტერატურასა და ისტორიაზე ორიენტირებულ მიდგომებს გაემიჯნა.

რეცეფციული ესთეტიკა – გერმ. – Rezeptionsästhetik, ინგლ. Reader-response criticism – ზემოქმედების ესთეტიკაა, რომელიც სწავლობს ტექსტის სიცოცხლეს დროში, მის აღქმას სხვადასხვა პერიოდებში, განმარტების დამოკიდებულებას სოციალურ-კულტურულ სიტუაციაზე, ტექსტსა და მკითხველს შორის დიალოგის ესთეტიკას.

საქართველოში პოსტსტრუქტურალისტური ლიტერატურათმცოდნეობის დასაწყისს რევაზ ყარალაშვილის სახელს უკავშირებენ. მის სტატიებსა და 1977 წელს გამოქვეყნებულ “ნიგნსა და მკითხველში” ნარმოდგენილია რეცეფციული ესთეტიკისა და კრიტიკის საფუძვლები, “რამაც გააფართოვა ჩვენი ნარმოდგენა მხატვრული ტექსტის რაობისა და ტრიადის – ავტორი-ტექსტი-მკითხველი – შემადგენელი კომპონენტების ურთიერთმიმართების თაობაზე” (ბრეგაძე 2017: 54). ეს შრომები მაშინ იწერებოდა, როდესაც რეცეფციული ესთეტიკა ბურჟუაზიული დასავლეთის მოცლილ მეცნიერთა ტვინისჭყლეტის ნაყოფად იყო მიჩნეული (ლ. ბრეგაძე). რ. ყარალაშვილის თქმით, “მხატვრული ნაწარმოები ყოველი ნაკითხვისას სულ ახალი სახით ნარმოუდგება მკითხველს, რომელიც გარკვეული აზრით ესთეტიკური აზრის ისეთივე მწარმოებელია, როგორც თვით ავტორი” (ყარალაშვილი 1977: 6).

ჰანს-რობერტ იაუსის რეცეფციის თეორიის ცენტრალურ ცნებად მოლოდინის ჰორიზონტი – რეცეფციული ესთეტიკის ტერმინი – ითვლება, რომელიც ახასიათებს ავტორისა და მკითხველის ურთიერთობას. ეს არის ესთეტიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ნარმოდგენების ერთობლიობა სამყაროზე, რომლებიც განსაზღვრავს მკითხველის დამოკიდებულებას ნაწარმოებისადმი, მის მიერ ნაწარმოების აღქმას. თეორეტიკოსები განმარტავენ, რომ ავტორსაც აქვს თავისი მოლოდინის ჰორიზონტი: მის ცნობიერებაში არის ადრესანტი. მაღალ ლიტერატურას კი მასობრივისაგან ის განასხვავებს, რომ იგი ისწრაფვის, გააფართოვოს მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტი.

იაუსის აზრით, ლიტერატურის ისტორია – ეს რეცეფციათა ისტორიაა, რომელთაგან ყოველმა უკანასკნელმა წინამორბედთა გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს, რამდენადაც ნაწარმოების აზრობრივი პოტენციალი. სწორედ ასე რეალიზდება შესაბამისად, ტექსტის მოლოდინის ჰორიზონტი მუდმივად იცვლება.

ამ ჰორიზონტის გაფართოებისათვის განსაკუთრებულია მკვლევარ-ინტერპრეტატორთა როლი, რაც ტექსტის თუ ავტორის ინტენციის განსაზღვრა-განმარტებას ისახავს მიზნად. ლევან ბრეგაძის თქმით, “ინყება უაღრესად საინტერესო რამ – ინტერპრეტაციათა კონკურენცია, რომელშიც ის ინტერპრეტაცია იმარჯვებს, რომელიც უკეთაა დასაბუთებული. არც ის არის გამორიცხული, რომ რამდენიმე თანაბრად დამაჯერებელი ინტერპრეტაცია გამოჩნდეს, რაც, მეტი რომ არ ვთქვათ, აცოცხლებს ლიტერატურულ ცხოვრებას” (ბრეგაძე 2017: 56).

ქართული რომანტიზმის მწვერვალის, ნიკოლოზ ბარათაშვილის არაორდინარული ფენომენის, მისი ურთულესი პოეტური ინტეგრალების აღქმისა და კვლევის პროცესის თვალმიდევნება ცნობილ

მკვლევარ-ინტერპრეტატორთა ნაშრომებში რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით საინტერესო სურათს წარმოაჩენს.

XIX საუკუნის ეს გენიალური ქართველი შემოქმედი მკითხველისათვის ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა და სწორედ მან განსაზღვრა რომანტიკოსი პოეტის ადგილი და როლი ქართულ თუ მსოფლიო ლიტერატურაში. ილიას დეფინიციით, ბარათაშვილი ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებელია, რომლის გამოჩენა ჩვენში ღვთის ნყალობის სადარია. “ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მონყალების თვალთ გადამოჰხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მაღლი ცხებულს”, – ემოციურად აფასებს ი. ჭავჭავაძე უნიჭიერეს რომანტიკოს პოეტს.

მწერალი გამოყოფს ბარათაშვილის პოეზიის მთავარ მოტივებს და შენიშნავს, რომ პოეტმა “განანმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას.” სწორედ ილიამ განსაზღვრა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გლობალური პარამეტრები: “მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი.. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა – კაცობრიობის უღონობაა” (ჭავჭავაძე 1986: 189).

ბარათაშვილის შემოქმედების სიღრმისეულ შრეებში ილია ჭავჭავაძემ ტრანსცენდენტური დინებები დალანდა: ცხოვრების ამაოების შეგრძნებამ ჯერ კიდევ ყმანვილი ბარათაშვილის სულში დაიდო ბინა და ბრძენი ჭაბუკი მიხვდა, რომ ყრმობიდანვე მას ადევნებული “ხმა იღუმალი” მფარველი ანგელოზი კი არა, “ბოროტი სული” იყო. აქ ილიამ მთავარი კონცეპტი შენიშნა: “მისი მშვენიერი “სულო ბოროტო” სხვა არა არის რა, თუ არა ყოველი ადამიანის ჩივილი, რომელსაც მოხვედრია “ხელი მსახვრალი” ეჭვისა” (ჭავჭავაძე 1986: 191). ილია ჭავჭავაძე, თავადაც შემოქმედი, უმალ მიხვდა, რომ ამგვარ ყოფას მოსდევს სულის საშინელი კივილი და “მერანის” თავგანწირული, გიჟური ლტოლვა. ბედის საზღვრის გადასალახავად კი, ილიას თქმით, ბაირონმა ლუციფერი აირჩია, გოეთეს ფაუსტმა – მეფისტოფელი, ჩვენმა პოეტმა – მერანი. და მაინც, რას გაუბოდა მხედარი? ამ კითხვის პასუხს ილია “სულო ბოროტოში” ხედავს, რომელსაც “მერანის” წინასიტყვაობად მიიჩნევს.

ი. ჭავჭავაძე გლობალურად აფასებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობას: მან “ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც დაანაფა”. ილიასათვის ბარათაშვილი “ობოლი მაგალითია”, “ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში, არც წინამორბედი ჰყავს და არც უკანმომდევნი”.

ილიას შემდეგ რომანტიკოსი შემოქმედის ფესვებს ეძიებდნენ მოსე ჯანაშვილი, იონა მეუნარგია, ივანე გომართელი და სხვა მკვლევრები, რომლებიც ბარათაშვილის პოეზიის საერთო შტრიხებს ევროპელ თუ რუს რომანტიკოს პოეტებთან ხედავდნენ. ვალრიან გაფრინდაშვილი კი ნიკოლოზ ბარათაშვილს „ქართული პოეზიის ჰამლეტს“ უწოდებდა.

ბარათაშვილის პოეტური ფენომენის რეცეფცია ორიგინალური რაკურსით წარმოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამართული ლიტერატურული პაექრობისას, რომელიც გამოიწვია გრიგოლ რობაქიძის ლექციამ „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. მოხსენება მწერალმა 1909 წლის 24 ოქტომბერს თბილისში, ქართულ თეატრში, 7 ნოემბერს კი ქუთაისში წაიკითხა.

იმავე წლის 14 ოქტომბერს „დროებაში“ დაიბეჭდა ლექციის „პროგრამა“ ანუ თეზისები, რაც მისი ერთადერთი ნყაროა (თვით ტექსტი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება).

თეზისების მიხედვით, მოხსენების შესავალში გრიგოლ რობაქიძეს უნდა ესაუბრა ორი სახის მხატვარზე: პირველი იქცევა სხვადასხვა სახედ, რომ „მათში ცხოველჰყოს საკუთარი სახე“, მეორე „ხსნის საკუთარ სახეს, რომ აქციოს იგი სხვადასხვა სახედ“. ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ რობაქიძისათვის მეორე ტიპის პოეტია, ხოლო მისი შემოქმედება – მისივე სულიერი დრამაა. „გარშემომცველი ქართველობა მას ვერ აკმაყოფილებს: იგი იმავ ამაოებას უღვიძებს მას.. ბარათაშვილის სულისკვეთება მის სასონარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას“.

რობაქიძის ლექციას ორიოდ დღეში გამოეხმაურა არჩილ ჯორჯაძე წერილით „პოეზიის სამფლობელოში. გ. რობაქიძის ლექციის გამო“ („დროება“, 1909, 239), რასაც გრიგოლ რობაქიძემ უპასუხა სტატიით „მცირე განმარტება არჩ. ჯორჯაძის გამო“. მას მოჰყვა არჩილ ჯორჯაძის „მცირე განმარტების განმარტება. კიდევ გრ. რობაქიძეს“ („დროება“, 247), ასევე დ. უზნაძის „ბარათაშვილის ლირიკის მოტივები“ (გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო) („დროება“, 252-253). ორივე წერილს გრიგოლ რობაქიძემ უპასუხა სტატიით „შემოქმედი და გარემო (კიდევ ჩემი ლექციის გამო)“ („დროება“, 1909, 257), რითაც პაექრობა დასრულდა.

ბარათაშვილის პოეზიის ი. ჭავჭავაძისეულ რეცეფციას არჩილ ჯორჯაძე უფრო მართებულად მიიჩნევს. იგი არ იზიარებს „მერანის“ დედააზრის რობაქიძისეულ გაგებას, „მხედარი ბედს უცხადებს ომს“, ასევე დებულებას: რომანტიკული გმირი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ჯორჯაძისათვის მიუღებელია რობაქიძის შეფასების ორი კრიტერიუმი: აბსოლუტური და ისტორიული.



საპასუხო წერილში გრიგოლ რობაქიძე თავის პოზიციას განმარტავს: ბარათაშვილი "თავის გენიალური ბუნებით წინ უსწრებდა მთელს მის თანადროულ ქართველობას", ამავე დროს, "მთელი თავისი არსებით ქართველობის, როგორც სულიერი ერთეულის, სხეულს ეკუთვნოდა"; "მისი პოეზია ეროვნულ საზღვრებშია აღმოცენებული, ხოლო იგი თავის ძლიერებით გადალახავს ეროვნულ საზღვრებს და შემდგომ ხდება ყოვლად – კაცობრიულად".

"მცირე განმარტებაში" გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს: "შემოქმედება ორი თვალსაზრით უნდა იხილებოდეს: აბსოლუტურით და ისტორიულით. აბსოლუტური თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსნის ბუნებას, მის ერთხელ მოვლენილსა და სამუდამოდ განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიული თვალსაზრისი მიზეზობრივ ხსნის, თუ რომელ განსაზღვრულ წრეში მხილდებოდა (და არა იქმნებოდა) მისი ბუნება" (რობაქიძე 2012: 412-413).

რობაქიძე-ჯორჯაძის პაექრობაში ჩართული ახალგაზრდა დიმიტრი უზნაძე თავის წერილში იწონებს გრიგოლ რობაქიძის ლექციის მდიდარ შინაარსსა და მშვენიერ ფორმას. ასევე განმარტავს მის დებულებას: "გენიალური პიროვნება აბსოლუტია, ამიტომ ერთხელ დასამუდამოდ მოვლენილი, განუმეორებელი, ინდივიდუალური". ახალგაზრდა მეცნიერი არ ეთანხმება გრ. რობაქიძის შეხედულებას და არც ა. ჯორჯაძის აზრს იზიარებს: პირველი მათგანი მისთვის შეუწყნარებელია იმიტომ, რომ "იგი სავსებით ვერა ხსნის მას, რისი ახსნაც სწყურია.. ისე, როგორც ჯორჯაძის აზრი უარს ამბობს მის გადანყვეტაზე".

ახალი სიღრმეები აღმოაჩინა პოეტის პიროვნებისა თუ შემოქმედებაში კიტა აბაშიძემ. ნიკოლოზ ბარათაშვილს კრიტიკოსი "ქართული ლიტერატურის დიდებას", "ცით მოვლენილ გენიოსს" უწოდებს. იგი პოეტს აღიქვამს, როგორც "ძლიერი გრძნობით აღსავსეს", "წმინდისა და ნათელი გრძნობის გადმოცემს", "გულითა და სულით ამაღლებულს", "ზნეობრივი სტოიციზმით აღსავსეს" და, ამავე დროს, "ბოროტი სულისაგან" ყველაზე უფრო დატანჯულს.

კონცეპტუალურია მკვლევრის დაკვირვებანი: პოეტმა "ქართული პოეზია ფილოსოფიას დაუკავშირა", რადგან "მან ბუნება გააცოცხლა.. და პოეზია იმ სიმალემდე აიყვანა.. მოვლენათა შორის საიდუმლო კავშირის" შემგნებ-გამომსახველად გახადა" და ა. შ.

კიტა აბაშიძე ნიკოლოზ ბარათაშვილს რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელს უწოდებს, რომელმაც ეს მიმდინარეობა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. პოეტის სულიერი განწყობილების გამოხატულებად მკვლევარი "ქართული ლიტერატურის მარგალიტს" – "მერანს" მიიჩნევს. ადამ მიცკევიჩის "ფარისთან" ამ ლექსის მიმართების ასახს-

ნელად კ. აბაშიძე იონა მეუნარგიას იმონებებს: თავად მიცკევიჩის ეს სიტყვები არაბული ლექსიდან აუღიაო. მეუნარგიას ცნობით, “ფარისი” არაბეთის უდაბნოში სამეცნიერო კვლევა-ძიების მიზნით წასული და უდაბნოშივე დაღუპული პოლონელი ორიენტალისტის ვაცლავ რაჟევსკის ხსოვნას ეძღვნება: მხედარს უდაბნოში ძელქორი ადევნებია, რომელსაც იგი თავს აღწევს. “მიცკევიჩი თავისი მხედრის გამირობას გვიხატავს, რომელიც ვერას შეუშინებია, ბარათაშვილი კი თავისი მხედრის სასონარკვეთილებას, რომელიც იმ მდგომარეობაშია, რომ.. სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს, მაგრამ სიკვდილს აზრიანს, შთამომავლობისათვის თავგანწირულს” (აბაშიძე 1970: 159).

შემოქმედის გენიოსობის გამოხატულება კიბა აბაშიძისათვის გახლავთ “ბედი ქართლისა”. მისი შეფასებით, “ამ პოემით ბარათაშვილი შეიქნა ქართული რეალური ლიტერატურის მამამთავრად” (აბაშიძე 1970: 160). კრიტიკოსის აზრით, პოეტი “ბედი ქართლისაში” “უპირადოვნებას” (impersonallite) იცავს, რითაც რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს კანონთაგანს ასრულებს, რეალიზმის ფილოსოფიის აღმსარებელი ხდება.

კიბა აბაშიძე ნიკოლოზ ბარათაშვილს ბაირონის, შელის, ჰიუგოს, ლერმონტოვის, ლამარტინის, დე ვინის, მიუსეს სახელების გვერდით მოიხსენიებს.

პავლე ინგოროყვას ბარათაშვილის შემოქმედებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშანსვეტიად აღიქვან, ხოლო გენიალური პოეტი გახლავთ ახალი ქართული პოეზიის დიდი რეფორმატორი, XIX საუკუნის ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებელი, მასში ევროპეიზმის დამამკვიდრებელი.

“მერანს” მკვლევარი ადამ მიცკევიჩის “ფარისს” კი არ უკავშირებს, არამედ შოთა რუსთაველის პოემას. თვით პოეტური სახე – მერანი – პ. ინგოროყვასათვის რემინისცენციაა “ვეფხისტყაოსნიდან”. შესაბამისად, მკვლევრის დასკვნით, “ბარათაშვილის “მერანში” იგრძნობა რუსთაველის პოეზიის სტიქია.. “მერანი” ნამდვილი ჰიმნია გამირობისა. აქ გადმოცემულია ტიტანური, ქარტეხილიანი ამბოხება ადამიანის სულისა.. ეს არის აჯანყება განწირულის სულისა” (ინგოროყვა 1969: 131, 132).

გერონტი ქიქოძე ნ. ბარათაშვილს უდიდეს ლირიკოსად თვლის, რომანტიკოს პოეტს ჩვენს მწერლობაში “გაფაქიზებულ არისტოკრატსა და უპირველეს ინდივიდუალისტს” უწოდებს და ამ მხრივ განმარტოებულ მოვლენად მიიჩნევს.

ინდივიდუალიზმის ნიშნებს გ. ქიქოძე წინა პერიოდის ქართულ ლიტერატურაშიც ხედავს, მაგრამ, მისი რეცეფციით, ბარათაშვილ-

მა “ინდივიდუალიზმი გააღრმავა, გააფართოვა და ზოგად ფორმაში გამოხატა. მან შესძლო მეობის პრობლემა მსოფლიო სიმაღლეზე აყვანა.. მისი პოეზია პირადი სევდისა და მსოფლიო გოდების გამოხატულებაა” (ქიქოძე 1963: 100).

ღრმა სევდის მიუხედავად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს პესიმისტური კილო არა აქვს, – შენიშნავს ვახტანგ კოტეტიშვილი. პირიქით, მისი აზრით, “მერანში” სიცოცხლის წყურვილი და გამარჯვების მოლოდინი არაჩვეულებრივი ძალით იხატება. მკვლევრის აზრით, “ბარათაშვილი პესიმისტი კი არ არის, სევდიანი პოეტია, რომელმაც იცის სიხარულიც და სიცოცხლის მაღალი ღირებულებაც” (კოტეტიშვილი 1925: 161). პოეტის შემოქმედებაში მკვლევარი ოთხ ძირითად მოტივს გამოყოფს: ეროვნული რომანტიზმი, სატრფიალო მღერა, პესიმისტური კილო, ცხოვრებასთან შერიგება. ვ. კოტეტიშვილი არ ეთანხმება კიტა აბაშიძის მოსაზრებას “მერანისა” და “ფარისის” მსგავსებაზე. მისი დაკვირვებით, მიცკევიჩის ლექსი “სულ სხვა ჟანრით, სხვა იდეოლოგიით და სხვა განცდებით არის დანერვილი” (კოტეტიშვილი 1925: 155), “მერანში” კი ქვეყნის განცდა თუ მსოფლმხედველობა სხვა გახლავთ.

ორიგინალური რაკურსით სწავლობს რომანტიკოსის ფენომენს მოსე გოგიბერიძე ნაშრომში “ნ. ბარათაშვილის “მერანის” ესთეტიკურ-ენტიფიკატური ანალიზი”. ფილოსოფოსისათვის “ქართული პოეზიის უდავო შედეგრი” – “მერანი” – დიდი სტილის ნაწარმოებია მსოფლიო პოეზიის თვალსაზრისითაც: “პოეტი ვიზიონერი, მოგვი და ბრძენი ერთმანეთს ეცილებიან პირველობაში”. მ. გოგიბერიძის რეცეფციით, “მერანი” ქართველური მოდემის უკვდავების დოკუმენტია და, ამავე დროს, ის არის “ფილოსოფიური ტრაქტატი, რომლის თემა არის ზოგადადამიანური მოტივი და რომლის დიაპაზონი საყოველთაო და საზოგადო პრობლემებს შეეხება” (გოგიბერიძე 1978: 238).

ამავე ნაშრომში მითითებულია, რომ “მერანი” კონტრაპუნქტივითაა შესრულებული, რადგან შთაგონების პროცესში სასონარკვეთილება ქრება და ბრძოლის წყურვილი იბადება. ფილოსოფოსის დასკვნით, “მერანის” წამყვანი იდეა არის ადამიანის ბრძოლა თავის ბედმდევართან.. ადამიანს სწყურია, გადალახოს საწუთროება ყველა მისი დაბრკოლება-უსიამოვნებით და შეუერთდეს მარადისობას (გოგიბერიძე 1978: 242).

ადამიანისა და ბედმდევრის მიმართების ტრაგედიას მკვლევარი ანტიკური ფილოსოფიისა და ტრაგედიების ცენტრალური თემად მიიჩნევს და იმასაც შენიშნავს, რომ ანტიკურობამ ბრძოლისა და თავისუფლების იდეა ვერ შექმნა. იქ სიკეთის გამარჯვება ინდივიდუალიზმის პირობაშია.

ორიგინალურია მოსე გოგიბერიძის მოსაზრება „მერანის“ კავშირზე დასავლეთის სიმბოლოდ აღიარებულ ფაუსტთან, რომლის იდეით გოეთემ გამოხატა ძალა სიცოცხლის არსებობის აზრისა. “მხედარი ნ. ბარათაშვილის “მერნისა” არის ფაუსტის ტიპის ტიტანი და არა ჰამლეტის ტიპის ინდივიდუუმი” (გოგიბერიძე 1978: 253). ამ მხედარს ფილოსოფოსი გოეთეს ფაუსტის ქართულ ორეულს უწოდებს.

საქართველოში რუსთაველის სულის აღდგენას მოსე გოგიბერიძე ნიკოლოზ ბარათაშვილს უკავშირებს. ამასთან, მისი აზრით, ის პირველი შემოქმედია, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ეროვნული უიმედობა ადამიანის ბედის თუ უბედობის ზოგად საკითხებს დაუკავშირა და პოეზიის ინტერესი ზოგადადამიანური პრობლემების კვლევისაკენ მიმართა.

გურამ ასათიანის ნაშრომებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენის კვლევა ახალი დასკვნებით მდიდრდება. კრიტიკოსისათვის პოეტის შემოქმედება “ქართული რომანტიზმის მწვერვალია”, XIX საუკუნის მწერლობაში მისი გამოჩენა კი ხალხის გაუტეხელი სულიერი ენერჯის ნიშანი. გ. ასათიანი ბარათაშვილის პოეზიაში რომანტიკული გენიის მკაფიო გამოვლინებას ხედავს. მისი ნოვატორობა კი ისაა, რომ პოეტმა უარყო ძველი, ტრადიციული ფორმები და “შექმნა თავისი საკუთარი ფორმა, ერთადერთი შესაფერისი ყალიბი, რომელშიც ახალი შინაარსი შეიძლება დატეულიყო” (ასათიანი 2, 2002: 197).

“მერანს” გ. ასათიანი ქართული პოეზიის ისეთი მწვერვალად მიიჩნევს, როგორც “ვეფხისტყაოსანს”. ლექსი მისთვის “უბრწყინვალესი გამოვლინებაა ქართველი ერის პოეტური გენიისა და მას გარდუვალი მხატვრული ზემოქმედების ძალა აქვს”.

“თავისებურ, საბედისწერო, ტრაგიკულ გაორებას” ხედავს კრიტიკოსი ნ. ბარათაშვილის პიროვნებაში. მისი რეცეფციით, “სულო ბოროტო”, რომელიც ეპოქალური შინაარსის სახეა, პოეტის შეგნებაში მიმდინარე შინაგან კრიზისსაც გამოხატავს. “ეს არის ტრაგედია გონებისა, რომელიც ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის” (ასათიანი 2002: 46). მის პირველწყაროდ გ. ასათიანს ბიბლიური ლეგენდა ესახება სამოთხიდან განდევნილ ანგელოზზე, რომელიც ევროპის ახალმა მწერლობამ მარადიული ამბოხისა და შურისგების სიმბოლოდ აქცია. აქვე გ. ასათიანი ბაირონის “კაენს” იხსენებს, თუმცა, მისი აზრით, ნ. ბარათაშვილი ბაირონზე უფრო შორს წავიდა. “მერანში” კრიტიკოსი “ტრაგიკულ ოპტიმიზმსაც” ხედავს.

მსგავსებას შენიშნავს გ. ასათიანი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და იტალიური რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელს ჯაკომო ლეოპარდის შემოქმედებას შორის, რომლის პოეზიის მთავარი მოტივი

ასევე “მსოფლიო სევდაა”. მას კი “საფუძვლად უძევს ეროვნული კაე-შანი, მშვენიერი იტალიის დამხობით და დამცირებით გამოწვეული სევდა”.

უახლესი ლიტერატურათმცოდნეობით ოპუსებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენის რეცეფციის ასპექტები ახალ ფერებს, ახალ სიღრმეებს იძენს.

თამაზ ვასაძე ფილოსოფიურ და რელიგიურ ორიენტაციებს ეძიებს ლექსში “შემოღამება მთანმინდაზე”. მისი თქმით, “სამყაროს მითოსურ თუ რელიგიურ მოდელებში მთა ღვთის (ღვთაებათა) სამყოფელია, ან, ყოველ შემთხვევაში, მიწისა და ცის შესაყარია, სადაც ზებუნებრივი ძალები უფრო ცხოვლად მოქმედებენ, ვიდრე სხვაგან” (ვასაძე 2010: 26). მკვლევრის დაკვირვებით, წმინდა მთის მოტივი ბარათაშვილს ფსალმუნებიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული. თ. ვასაძისათვის “შემოღამება მთანმინდაზე” რომანტიკოსი ავტორის პოეზიის ერთი პოლუსია, მეორე პოლუსად მკვლევარი “მერანს” მიიჩნევს, სადაც თავისუფლებისაკენ სწრაფვის ტრაგიზმი ის არის, რომ “მერანის” მხედრის “უგზო-უკვლო”, “გიჟურ ლტოლვას” აღარ აქვს გარკვეული ორიენტირი, მკაფიო მიზანი: მისი მშფოთვარება ველარ დაცხრება იმ “სადგურში”, თავშესაფრად რომ ესახება “შემოღამების” ლირიკულ გმირს” (ვასაძე 2010: 27).

წერილში “ბარათაშვილის პოეზიის ანტიტეზები” თამაზ ვასაძე განმარტავს, რომ ბარათაშვილის პოეტიკა, გამომხატველობითი საშუალებები, სტილი მისსავე მსოფლმხედველობასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც, თავის მხრივ, ზოგადრომანტიკული მსოფლალქმის ტიპური, თუმცა თავისებური გამოვლინებაა. მკვლევარი დეტალურად ანალიზებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ანტიტეტურობას: მის “პოეზიას ერთნაირად ტოტალურად მსჭვალავს იდეალისა და რეალობის კოლიზია და მისგან აღმოცენებული შეპირისპირებები – ანტიტეზები, კონტრასტები, ოპოზიციები” (ვასაძე 2017: 64).

სტატიაში “მერანი” – სივრცის სემანტიკა” მანანა კვაჭანტირაძე ბარათაშვილის ლექსში ორი ტიპის ნარატივს გამოყოფს: ერთის რიტმულ-სემანტიკური რკალი იკვრება მხედრის “შავად მღელვარი ფიქრის ირგვლივ (მედიტაციის სივრცე), მეორე, მკვლევრის აზრით, მერანისადმი მიმართული გამამხნეველი შეძახილის ნარატივია. მ. კვაჭანტირაძე ახლებურად წარმოადგენს ბარათაშვილის ლექსის უმთავრეს კონცეპტს: “მერნის სრბოლა გრძელდება, რათა თავისუფლება ახალ ფასეულობასთან შესახვედრად მოამზადოს.. ესაა “მე”-ს გახსნა უსასრულო ყოფიერების წინაშე, “მე ვარ”-ის, როგორც პოეტური ყოფიერების, წარდგენა დროსივრცული კონტინიუმიისათვის. აქ ჩვენ წინაშეა არა “მე თვითონ”, ანუ რეფლექსიის ძალადობა სუბიექტზე, არამედ

სწორედ “მე ვარ” – თავისუფალი პოეტური ყოფიერება, მშვენიერი და ზნეობრივი გადანყვეტილებით დამუხტული არსი” (კვაჭანტირაძე 2013: 110).

კონსტანტინე ბრეგაძის წერილი “ნიკოლოზ ბარათაშვილი და გერმანული რომანტიზმი” ავტორისავე შენიშვნით, მომავალი ვრცელი გამოკვლევის ნაწილია, რომელიც ბარათაშვილის ლირიკას ეძღვნება. სტატიაში გადმოცემულია გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობითი დებულებები და პოეტოლოგიური პრინციპები, რომელთა გააზრება ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გასაღებიცაა. მკვლევრის დაკვირვებით, “რომანტიზმის არსი “სამყაროს გარომანტიულების” პროცესში, “რომანტიკული ირონიის” დაფუძნების პროცესშია მოცემული” (ბრეგაძე 2017 ა: 80).

ნოვალისის “გარომანტიულების ფრაგმენტზე” დაყრდნობით კ. ბრეგაძე რომანტიზმის პოზიციებს გამოყოფს, რის შედეგადაც იკვეთება რომანტიკოსი პერსონაჟის მახასიათებლები. სტატიაში ჩამოთვლილია რომანტიზმისათვის დამახასიათებელი “აბსოლუტური” სიმბოლოები, შემდეგ კი ავტორი იკვლევს გარომანტიულებას ბარათაშვილთან, რაც, მისი აზრით, პოეტის რომანტიკული ლირიკის ფუნდამენტია. “შემოღამება მთანმინდაზე” კ. ბრეგაძისათვის მთლიანად მოიცავს და გადმოსცემს გარომანტიულების პროცესს სამივე განზომილებით (ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, ესთეტიკური).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენის, მისი შემოქმედების კვლევისა და რეცეფციისადმი მიძღვნილი უცხოენოვანი მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ინესა მერაბიშვილის წერილმა: “Liberty and Freedom and the Georgian Byron”, რომელიც დაბეჭდილია წიგნში “The Reception of Byron in Europe” (London-New York, 2004). ქართველი მკვლევარი უცხოელ მკითხველს წარუდგენს მის მიერ “ქართველ ბაირონად” სახელდებული დიდი რომანტიკოსი პოეტის პიროვნებასა და შემოქმედებით ასპექტებს, აღნიშნავს ბარათაშვილის სულიერ სიახლოვეს ბაირონთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი ენიგმის კვლევისა და რეცეფციისათვის საინტერესო მასალები წარმოადგინეს მეცნიერებმა 2017 წლის სექტემბერში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ ლიტერატურათმცოდნეობის მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმზე “რომანტიზმი ლიტერატურაში ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე”, რომელიც ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან მე-200 წლისთავს მიეძღვნა.

როგორც ვხადავთ, მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტის თუ მისი აღქმის თვალსაწიერის გაფართოებისა და სრულყოფისათვის პროფე-

სიონალ მკვლევარ-ინტერპრეტატორთა ოპუსებს განსაკუთრებული ფუნქცია აქვთ: ისინი ახლლებურად, განსხვავებული ასპექტით ხსნიან ტექსტის მანამდე დაშიფრული კოდების ენიგმას, რის შედეგადაც ტრი-ადა: ავტორი-ტექსტი-მკითხველი მხატვრული რეცეფციის თვალსა-რისით თანდათან სრულ ჰარმონიას აღწევს.

## **დამოწმებანი:**

**აბაშიძე 1970:** აბაშიძე კ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში: აბაშიძე კ. *ეტყუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.

**ასათიანი 2002ა:** ასათიანი გ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში: ასათიანი გ. *თხზულებანი*, ტ.2. თბილისი: ნეოსტუდია, 2002.

**ასათიანი 2002ბ:** ასათიანი გ. „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტისათვის“. წიგნში: ასათიანი გ. *თხზულებანი*, ტ.3. თბილისი: ნეოსტუდია, 2002.

**ბრეგაძე 2017ა:** ბრეგაძე კ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და გერმანული რომან-ტიზმი“. *სჯანი*, 18, 2017.

**ბრეგაძე 2017:** ბრეგაძე ლ. რეზო ყარალაშვილი – ლიტერატურის თეო-რეტიკოსი. *სჯანი*, 18, 2017.

**გოგიბერიძე 1978:** გოგიბერიძე მ. „ნ. ბარათაშვილის “მერანის” ესთეტიკურ-ენტიფატიკური ანალიზი“. წიგნში: გოგიბერიძე მ. *რჩეული თხზულებანი*, IV. თბილისი, 1978.

**ვასაძე 2017:** ვასაძე თ. „ბარათაშვილის პოეზიის ანტითეზები“. *სჯანი*, 18, 2017.

**ვასაძე 2010:** ვასაძე თ. *ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი, 2010.

**ინგოროყვა 1978:** ინგოროყვა პ. *ნიკოლოზ ბარათაშვილი*. თბილისი: „მერანი“, 1969.

**კვაჭანტირაძე 2013:** კვაჭანტირაძე მ. “მერანი” – სივრცის სემანტიკა“. წიგნ-ში: კვაჭანტირაძე მ. *ვექტორები*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი, 2013.

**კოტეტიშვილი 1925:** კოტეტიშვილი ვ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში: კოტეტიშვილი ვ. *ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX – დღევანდლამდე)*. ტფილისი: 1925.

**რობაქიძე 2012:** რობაქიძე გრ. *ნაწერები*. ნ.2. თბილისი: 2012.

**ქიქოძე 1963:** ქიქოძე გ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნში: ქიქოძე გ. *რჩეული თხზულებანი*, ტ. I. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

**ჭავჭავაძე 1986:** ჭავჭავაძე ი. *თხზულებანი (წერილები ლიტერატურასა და ხე-ლოვნებაზე)*. ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1986.

**M.I. LAZARIDI**

*Bishkek, Kyrgyzstan*

*Kyrgyz-Russian Slavic University*

### **“Color celestial, color blue” of N.Baratashvili**

Poetry masterpieces of the Georgian poet Baratashvili were shaped under the influence of Byron’s oriental poems though expressed the spirit of the time. The heroes of his poem are lonely, unappreciated and rebellious; the winged Merani in N.Baratashvili’s poem is the Alter Ego of his master, the mandatory feature of romantic poems. One can’t help remembering G.Byron, M. Lermontov, and A. Mickiewicz - the poets, who died, like N. Baratashvili, away from their home. We are invisibly attracted to them by beauty, amazing harmony, and mysterious charm of their poems. Baratashvili is a symbol of poetry. No wonder that the sacred lyre serves as a monument to him on Mtatsminda, the holy mountain.

**Key word:** Georgian poetry, Baratashvili, «Merani».

**М.И. ЛАЗАРИДИ**

*Кыргызстан, Бишкек*

*Кыргызско - Российский Славянский университет*

### **«Цвет небесный, синий цвет» Н.Бараташвили**

*И скучно, и грустно, и некому руку подать*

*В минуту душевной невзгоды...*

*М.Лермонтов*

Николоз Бараташвили... Какой образ возникает, когда мы слышим это имя?

Годы жизни молодого поэта насыщены печальными событиями. Прожито совсем немного лет – поэт умер 27 лет от роду. Но если проследить судьбу Николоза Бараташвили в широком контексте, то можно увидеть, что все события, рассмотренные в системе, рисует портрет поэта, романтического героя, прожившего очень короткую, но прекрасную жизнь.

27 лет... Но столько же прожил М.Лермонтов, русский гений. До 30 лет также не дожили Д.Китс, П.-Б. Шелли, Ш.Петефи. Упав с лестницы, Николоз Бараташвили повредил ногу и уже не мог мечтать о военной службе. Но это несчастье роднит поэта с гениальным английским поэтом лордом Дж.Байроном.



Родился поэт в Грузии, стране красоты, величавой природы, прекрасных песен, где очень ценили слово, земле, где девушкам дарили в приданое кпоэтический шедевр Руставели. В письме к Г.Орбелиани от 18.02.1841г. Николоз Бараташвили с радостью отмечал: *«Этот общий дух любви к родному языку, царящий среди молодежи, обнаруживает, что разум грузин не дремлет!»* Вспомним также, как высоко ценил Николоз Бараташвили певца Сатару. Но, как поэт, скончался Николоз Бараташвили в Гянце, в родном городе одного из величайших поэтов Востока Низами Гянцеви.

Поэту не суждено было умереть на родине, хотя он всей душой стремился в любимый город. «Сколько ни скитайся, жизнь свою мы будем завершать в Грузии...» (Из письма З.Орбелиани 15.04.2017 г.).

Но такая же судьба ждала его предшественников и современников поэтов-романтиков Дж.Байрона, П.-Б.Шелли, А.Мицкевича, М.Лермонтова...

На родине Николоза Бараташвили считают величайшим поэтом, сравнивают с Шота Руставели. Правомерно ли это? Ведь написано всего 35 стихотворений и одна поэма.

Но какие стихи! Какая глубина чувств и прелесть поэтического языка! Ведь дело не в количестве стихотворных строк, а в глубине проникновения в человеческую душу и в способности выразить знание в прекрасной форме, умение призвать читателя в сотворцы, пробудить в его душе симпатию в греческом понимании слова ,когда поэт и слушатель объединены одним общим состоянием радости, горя, одиночества.

«И эта ночь прошла, как сон, и снова завладела мной моя обычная тоска (...) Жизнь опротивела мне из-за столь долгого одиночества», - пишет поэт любимой сестре, прелестной Маико Орбелиани. «Он (человек) все равно сирота в этом обширном и полном мире. Кого я считал способным на высокое чувство, оказался бессердечным, чей дух я считал развитым, в том не нашел я души, чей разум почитал я даром свыше, не обладает даже суждением, слезы, которые понимал я как слезы сострадания, как выражение прекрасной души, оказались знаком коварства,каплями страшного яда! Где же отдохнуть душе, куда преклониться голове?» (31.10.1842 г.

Человека охватывает ощущение причастности к космосу переживаний и ощущений великого поэта, пронзительное чувство личной потери, которое, возможно, мир и не заметил.

Поэт понимал свое высокое предназначение. «Я говорю о том ,что внутренний голос зовет меня к лучшей участи,сердце говорит, что я не рожден для нынешнего моего положения!» (Из письма Григолу Орбелиани от 21.11.1843 г.)

Но прошло время, пролетели годы. Поэзия Николоза Бараташвили пережила все тяготы, и воспринимается нами как сверкающий бриллиант, но не холодный, а живой ,волнующий, пробуждающий в сердце самые чистые, возвышенные чувства, приближающие нас к небу, к истине, к горным вершинам.

Показательно, что перед смертью, в одной из последних встреч со зрителями, большой актер и великий почитатель поэзии М.Козаков завершил свое выступление поэтическим шедевром Николоза Бараташвили «ცისა ფერს, ლურჯსა ფერს» («Цвет небесный, синий цвет») в переводе Б.Пастернака:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, / პირველად ქმნილსა ფერს  
და არ ამ ქვეყნიერს, / სიყრმიდგან ვეტრფოდ.

\*\*\*

**მოკვდები – ვერ ვნახავ / ცრემლსა მე მშობლიურს, –  
მის ნაცვლად ცა ლურჯი / დამაფრქვევს ცვარს ციურს!**  
სამარეს ჩემსა, როს / გარს ნისლი მოეცვას –  
იგიცა შესწიროს / ციაგმან ლურჯსა ცას!

Цвет небесный, синий цвет / Полюбил я с малых лет.  
В детстве он мне означал / Синеву иных начал.

\*\*\*

Это лёгкий переход / В неизвестность от забот  
И от плачущих родных / На похоронах твоих.  
Это синий негустой / Иней над моей плитой,  
Это сизый зимний дым / Мглы над именем моим.

Какое место занимает Н.Бараташвили в мировой поэзии? Сопоставима ли ценность поэтических шедевров? Можно ли говорить о единстве поднятых тем, чтобы было основание для сравнения?

Хотелось бы показать творческий шедевр Н.Бараташвили «Мерани» в контексте мировой поэзии («Гяур» Байрона и «Фарис» Мицкевича) на примере вербализация концепта *конь*.

В современной лингвистике становится общепризнанным положение о языке как когнитивном механизме и его описание при помощи концептов. Одно из первых определений концепта как единицы языка и мысли характеризуется:

1) функцией замещения различных представлений (предметов) в процессе мышления;

2) концепт определяется как иерархически организованная структура, каждый элемент которой стремится к большему уровню образования (Аскольдов-Алексеев 1928: 29).

Концептуализация мира формируется посредством элементарных универсальных смыслов, в которых через миропонимание гениальной языковой личности отражается духовная культура народа.

Проблемы природы концептов связаны с теоретическими исследованиями поэтики слова, ее смысло- и стилиобразующих свойств,

построенной на этой базе концептуальной картине мира. **Концепт** как сгусток культуры в сознании человека сходит в его ментальный мир, с другой стороны, это то, посредством чего человек сам входит в культуру и в некоторых случаях влияет на нее (Степанов 1997: 40).

Ключевые слова поэзии образуют научные оппозиции, за сочетанием которых скрыты особенности философии поэта. Индивидуальное начало, внутреннее «эго» становится своеобразным катализатором, который преобразует всплески личностных ассоциаций в языковые образы мира. «Чем яснее становится моя мысль, тем ближе она к оформленным продуктам научного творчества. (...) И на всех этапах этого пути человеческое сознание работает словом, этим самым тонким, но и самым запутанным преломлением социально-экономической закономерности» (Волошинов 1995: 165-166).

Процесс и результат вербализации концептов продемонстрируем на материалах лирических шедевров, обогативших литературу планеты Земля: *Чу... топот звонкий раздается.../ Какой же всадник там несется/ На скакуне во весь опор?* Это герой поэмы Дж. Байрона «Гяур», герой нового времени и направления – романтизма. Байрон овладел умами своего времени. Сравнивая двух гениев – Гете и Байрона – Мицкевич замечал: «Как неудачны все сравнения Гете с Байроном!.. Один пишет, чтобы создать творения искусства, другой – излить собственные чувства. Байрон возвысил и облагородил достоинства поэта и человека» (Мицкевич 1976: 294).

В тексте поэмы можно определить целый синонимический ряд, включающий описание Гяура, мчавшегося на быстром скакуне (всадник, беглец, путник, наездник) и описания – сравнения: **Гяур** – черная беда, **Гяур** – самум в степи; **Гяур** – коршун, который противопоставляется **Гяуру** – голубю, **Гяуру** – лебедю: *Я верен был как голубь нежный, / Своей голубке белоснежной.*

В контексте поэмы хищный коршун выступает в роли антонима к голубке, лебедю (образ Лейлы, возлюбленной Гяура).

Психическое состояние, наиболее характерное для Гяура – это гнев, тоска, отчаяние. Гяур глубоко страдает из-за несовершенства мира – и своего собственного. Страдающий герой – это не случайность.

Поэзия – наслаждение. Но поэтическое произведение должно перевернуть душу читателя, довести до предела, «прошибить» человека, только тогда наступает катарсис, через трагическое очищение, через страдание из-за нарушения калокагатии – дисгармонии системы прекрасного и добродетельного.

Гяур испытывает всю гамму чувств, получивших в научной литературе наименование базовых психических состояний (Лазариди 2000): это **страх** - застывший в ужасе, **беспокойство** - его душе был чужд покой, **гнев** - иль старый гнев в душе носить, **грусть** - и вдруг с отчаянной тоской потряс он в воздухе рукой, **отсутствие радости** - прочесть нерадостную повесть.

В «Гяуре» таился «дух мятежный», это человек необыкновенный. Страстный, сильный. В гневе «в лице он краской разлился» - а это те выразительные движения, которые обычно сопровождают состояние *злости*. «Резцом из мрамора оно, казалось, было создано». Неадекватная реакция Гяура также свидетельствует о его неординарности.

Завершается поэма исповедью Гяура, пронзительной искренностью человека, стоявшего у края пропасти, перед близким концом жизни. Здесь нет раскаяния, но есть четкое осознание одиночества:

О всем ты Расскажи ему, /Что ясно взору твоему:  
Об этом теле истощенном, / О сердце, страстью разоренном,  
Скажи, что чувств мятежный бег /Обломок выбросил на брег,  
Скажи, что я лишь свиток пыльный, /Листок оборванный, бессильный,  
Перед покорным ветром бед...

And tell him – What thou dost behold! The wither d frame, the ruin d mind,  
The wrack by passion left behind, A shrivel d scroll, a scatter d leaf, Sear d by  
the autumn blast of gief!

Но Гяур – всадник. А что же такое конь, каков конь романтического героя? Конь легкий, гордый; наездник и конь составляют одно целое: стрелой ты мимо пролетишь; и как стрела из лука помчался вновь в ночную тьму; как демон мчался он ночной... Конь Гяура – быстрый скакун, романтический, сказочный, под стать своему мятежному хозяину.

Под влиянием восточных поэм Байрона в духе своего времени складывались поэтические шедевры грузинского поэта Бараташвили и польского стихотворца Мицкевича.

Герои их поэм – одиноки, не поняты, мятежны; их кони – безымянный в «Фарисе» А.Мицкевича и крылатый Мерани в поэме Н.Бараташвили – это «alter ego» своих хозяев, необходимая принадлежность романтических поэм.

«Каждый удар сердца ранит и терзает нас, и жизнь стала бы безудержно кровоточащей раной, если бы в мире не было поэзии». Так говорил известный грузинский поэт и просветитель Илья Чавчавадзе, когда прах Н.Бараташвили, великого сына Грузии, поэта, написавшего несколько десятков стихотворений, ставших явлением национального масштаба – перевозили на родину с чужбины – из Гянджи, где он скончался всего 27 лет от роду (прах перевезли в 1893 году, через 47 лет после смерти поэта).

Как тут не вспомнить Дж. Байрона, М.Лермонтова, А.Мицкевича – поэтов, тысячами ассоциаций связанных друг с другом, почивших, как и Н.Бараташвили, на чужбине, вдали от родного дома.

Восхищаясь их поэзией, сочувствуя их судьбе, с особой силой переживаешь пронзительную любовь к поэтам, подаренным нам свыше, не понятым на земле. Но нас незримо влечет к ним красота поэзии, удивительная гармония, неземная прелесть их поэзии.

